PRIME Time

N21 (219) ორშაბათი, 27 მაისი, 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



„პოლიციელები, რომლებიც ახალაიას წინააღმდეგ იძლეოდნენ ჩვენებას, მერაბიშვილის მოადგილის, ჯანაშვილის გადაბირებულები იყვნენ“

# დაპატიმრებამდე ვანო მერაბიშვილს როლანდ ახალაია შეხვდა

EXCLUSIVE





# გირგვლიანის მკვლელობის სკანდალური ვიდეო გამოჩნდა

EXCLUSIVE

## ფარულ შეხვედრას დათა ახალაიასა და ირაკლი ღარიბაშვილს შორის მერაბიშვილის დაკავება მოჰყვა

„კადრში აღბეჭდილია ყველა პირი და ქმედება, რომელიც ოქროყანაში სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ განხორციელდა, ყველა ის ძალადობა, რომელიც აჩვენებს, როგორ გადააგდეს ხევში დანით დაჭრილი ბიჭი“



## გეგუთის ციხის პატიმრები ბუნტით იმუქრებიან



## რა ბრალდებებს წაუყენებენ სააკაშვილს მერაბიშვილის დაკითხვის შემდეგ



## ვანო მერაბიშვილი 26 მაისის გამო დააკავეს

EXCLUSIVE

## სამართლებრივი პასუხისმგებლობა ნინო ბურჯანაძეზეც ვრცელდება

„დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ იმ ორი ადამიანის მკვლელობა და შემდგომში იმის დაბრალება, რომ თითქოს მათ დენმა დაარტყა, თავიდან ბოლომდე მერაბიშვილს უკავშირდება. ეს არის მისი ხელწერა“

## კახა კუკავამ ბურჯანაძეს ერთობა ჩაუშალა?

რა ხდება არასაპარლამენტო ოპოზიციის კულუარებში

## წულუკიანი კბილაშვილს დაუპირისპირდა





## ციხის „ბუნტის“ საქმის ახალი დეტალები

„სოზარ სუბარმა ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდა... ის ბაჩანა ახალაიას მარჯვენა ხელი იყო“

EXCLUSIVE

## ნანა კაკაბაძეს იჭერენ?



ნანა კაკაბაძე: „პრობლემები შეიძლება შემექმნას და ეს პრობლემები უკვე მაქვს... მოვა დრო, ამაზე ვილაპარაკებ...“

EXCLUSIVE

## ბათიაშვილი გიგა ბოკერიას დაპატიმრებას ითხოვს



„ბოკერია არის მასშტაბური საბოტაჟის კოორდინატორი“

EXCLUSIVE

## დუშეთის ხევის ნაგავსაყრელმა შესაძლოა, არაგვში ჩამავალი მდინარე დააბინძუროს



ჟინვალსა და ფასანაურში საკანალიზაციო კოლექტორი და გამწმენდი ნაგებობა აღარ არსებობს – ფეკალური მასა პირდაპირ არაგვში ჩადის

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვანო მერაბიშვილი 26 მაისის გამო დააკავეს

ნანა შონია

ნინო ბურჯანაძის პარტიისა და „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებული, საპროტესტო გამოსვლები პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით 2 წლის წინ 21 მაისიდან 26 მაისამდე მიმდინარეობდა. საბოლოოდ კი სპეცოპერაციით დასრულდა. მართალია, მაშინდელი ხელისუფლება ამას აუცილებელი ზომების ფარგლებში განიხილავდა, მაგრამ დღეს უკვე ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ აქცია გადაჭარბებული სისასტიკით დაარბიეს სპეცრაზმელებმა. დაიღუპა სამი ადამიანი, მათ შორის ერთი პოლიციელი. ბუნებრივია, ამ ორი წლის განმავლობაში საზოგადოება დამნაშავეების დასჯას მოითხოვდა. გასულ კვირას კი გვაცნობეს, რომ დამნაშავე მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ვანო მერაბიშვილი ყოფილა. მართალია, ამ საქმის გამოძიების ფარგლებში ყოფილი მინისტრისთვის ბრალი ჯერაც არ წარუდგენიათ, მაგრამ პროკურატურამ უკვე დაასანონსა მისი დანაშაულებრივი მონაწილეობა და დიდი ვარაუდით, საკუთარ სიტყვებს უკან აღარ წაიღებს.




## „ჩვენ გვახსოვს ისიც, მანქანამ როგორ დაარტყა პოლიციელს და მისი ფიზიკური ლიკვიდაცია მოახდინა“

**თუმცა, აქციაზე პასუხისმგებლობა ნინო ბურჯანაძემაც უნდა გაინაწილოს, ვინაიდან მან იცოდა, რომ უკვე 26 მაისს მას აქციის ჩატარების უფლება აღარ ჰქონდა, რადგანაც რუსთაველზე სამხედრო აღლუმი უნდა ჩატარებულიყო. მოსალოდნელი დარბევის შესახებაც იცოდა, მაგრამ პროვოკაციაზე წავიდა.**

**სანდრო ბრეგაძე:**

- ცალსახაა, რომ 26 მაისის მოვლენებში მერაბიშვილის წვლილი განუზომელია, რადგან სწორედ ის ბრძანდებოდა მაშინ ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი და ყველაფერს აკონტროლებდა. სწორედ მისი ხელდასმით მოხდა ის მკვლელობა, ჯალათობა და ავაზაკობა, რაც 26 მაისის მიტინგის დარბევის დროს ვნახეთ ყველამ და რამაც საკმაოდ რთული და მძიმე შედეგები გამოიწვია. მე ვფიქრობ, რომ მერაბიშვილმა პასუხი უნდა აგოს 26 მაისის გამო, როგორც ადამიანმა, რომელმაც საქართველოს წინაშე დანაშაული ჩაიდინა. ამავე დროს მერაბიშვილმა უნდა დაასახელოს, თუ მასზე ზემდგომმა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა რა როლი ითამაშა 26 მაისის სისხლიან ღამეში. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი დარბევა, ეს იყო სასაკლაო და სამაგალითო დასჯა იმ ადამიანებისა, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ გამოვიდნენ.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად არის კავშირში მერაბიშვილის დაკავება სწორედ 26 მაისის მოვლენებთან?**

- 26 მაისის მოვლენები მერაბიშვილის დაკავების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არა მგონია, რომ თავიდან ბოლომდე ეს იყოს მერაბიშვილის დაკავების მიზეზი. 26 მაისის მსგავსი დანაშაული აქვს მას ჩადენილი 7 ნოემბერს, მას უკავშირდება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე, ბუტა რობაქიძის საქმის გამოუძიებლობა, არჩევნების გაყალბებები და ძალიან ბევრი რამ. მე, ამას წინათ, ვცდილობდი მერაბიშვილის ქმედებებში რაიმე გამართლება მომეძებნა, მაგრამ ეს გამართლება ვერ ვიპოვე. ადამიანურად, ყველა მეცოდება ციხისთვის, მაგრამ ამ დროს ჩნდება ის დანაშაულებები, რომელიც მას აქვს ჩადენილი და ეს ავაზაკობები ყველაფერს წონის.

**- როგორ ფიქრობთ, იკვეთება თუ არა მერაბიშვილის ბრალეულობა 26 მაისის ღამეს ნაპოვნი ორი ადამიანის საქმეში, რომელთა გვამებიც თავისუფლების მოედანზე მდებარე მაღაზიის თავზე იქნა ნაპოვნი?**



**„სწორედ მერაბიშვილს შესწევდა იმის ძალა, რომ ასეთი ტიპის ტყუილი მოეგონებინა და ამ ტყუილში დაეჯერებინათ საზოგადოების გარკვეული ნაწილი. რა თქმა უნდა, ეს არის მერაბიშვილის გაკეთებული ამბავი და მან ამაზე პასუხი უნდა აგოს“**

- მე არ ვარ გამოძიების წარმმართველი ფიგურა, არც პროკურორი ვარ, მაგრამ ლოგიკით, ინფორმაციით, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ამ ორი ადამიანის მკვლელობაში და შემდგომში ამ ადამიანებისთვის იმის დაბრალებაში, რომ თითქოს მათ დენმა დაარტყა, ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე მერაბიშვილს უკავშირდება და ეს არის მისი ხელწერა. სწორედ მერაბიშვილს შესწევდა იმის ძალა, რომ ასეთი ტიპის ტყუილი მოეგონებინა და ამ ტყუილში დაეჯერებინათ საზოგადოების გარკვეული ნაწილი. რა თქმა უნდა, ეს არის მერაბიშვილის გაკეთებული ამბავი და მან ამაზე პასუხი უნდა აგოს.

მაგრამ, ექსპერტი ნიკა ჩიტიძე პასუხისმგებელთა ჭრილში მხოლოდ ვანო მერაბიშვილს არ განიხილავს. ის სწორედ იმ ჯგუფს წარმოადგენს, რომლის პოზიციითაც აქციის მონაწილეთა მიმართ ძალადობაზე პასუხისმგებლობა აქციის ორგანიზატორებმაც, მათ შორის ნინო ბურჯანაძემ უნდა აიღოს.

**ნიკა ჩიტიძე (ექსპერტი):** „26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა დადგეს ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობა. ბურჯანაძე ჩადიოდა საქართველოს დამპყრობელ პუტინთან. ის დაკავშირებული იყო რუსეთის ხელისუფლებასთან, რუსეთის ინტერესში კი შედიოდა საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევა, რათა პროვოკაციაზე წამოეგოთ საქართველოს ხელისუფლება, რომ მას ძალა გამოეყენებინა. 26 მაისის საღამოს მომიტინგეებს ხელისუფლებამ შესთავაზა მიტინგის ჩასატარებლად ალტერნატიული ადგილი და მათ უარი განაცხადეს. მით უფრო, რომ 26 მაისის 12 საათიდან მათ უფლება ამოეწურათ. ხელისუფლება იძულებული იყო ძალა გამოეყენებინა. ამიტომაც აქ იკვეთება ბურჯანაძის მორალური და სამათლებრივი პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, ჩვენ გვახსოვს ისიც, მანქანამ როგორ დაარტყა პოლიციელს და მისი ფიზიკური ლიკვიდაცია მოახდინა. ახლა ყველაფერს მერაბიშვილს აბრალებენ და მეორე მხრივ, პრემიერი მოუწოდებს ბურჯანაძეს, რომ გააქტიურდეს“.

**- სამართლებრივად რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ბურჯანაძეს?**

- მე ვფიქრობ, რომ გამოძიება უნდა მოხდეს „გრუ“-ს სპეცრაზმის შემოყვანაზე და გარკვეულ კავშირებზე, ასევე აღმოჩენილ იარაღის სამალავზე. მაგრამ პრობლემა იმაშია, თუ რამდენად სამართლებრივ გამოძიებას ჩაატარებენ, რადგანაც აქ მიზანი არ არის ბურჯანაძის მხილება. ჩვენთან პროკურატურა არ არის დამოუკიდებელი. როდესაც ამ ყველაფერზე არ არის საუბარი, ეს ეჭვს იწვევს, რომელ სამართლიანობის აღგენაზე მიმდინარეობს დღეს მსჯელობა?!

# თამაზაშვილი ბრუნდება



## შურისძიება თუ სამართალი

ქეთი ხატიაშვილი

**ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ პროკურატურა მისი გუნდის სხვა წევრებსაც აკავებს. ათამდე პოლიციელი საგანგებო სპეცოპერაციის შედეგად აიყვანეს, რომელიც ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. მათ შორის არის მერაბიშვილის მოადგილე გია ლორთქიფანიძე.**

ეს სწორედ ის ადამიანები არიან, ვინც პასუხს აგებდა ქვეყანაში კრიმინალურ ვითარებაზე. ექსპერტების შეფასებით, სწორედ მათი დამსახურებაა დაბალი კრიმინალური ვითარება ქვეყანაში, „კანონიერი ქურდებისა“ თუ სხვა მიმართულებით ბრძოლის წარმოებას სწორედ ისინი ახორციელებდნენ. პირობითად მას ლევან ვაზაგაშვილის გუნდი ერქვა.

ვაზაგაშვილი მერაბიშვილს სამინისტროში დახვდა. მისი პროფესიონალური თვისებების გამო, როგორც ამბობენ, მინისტრმა ის უწყებაში დატოვა. თუმცა, მოგვიანებით თავად ლევანი უწყებას ჩამოაშორეს, გუნდმა კი მუშაობა გააგრძელა.

ყველა, ვინც დაკავებულია, თამაზაშვილის ჩხრეკისა და დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდა. ასე რომ, ამას, რაც სამართლიანობის აღდგენის კუთხით ხდება, ნათესაური „სამართალი“ უფრო ჰქვია. ბიძინა ივანიშვილმა „ქართუ ბანკში“ აღადგინა სამართლიანობა და ახლა, როგორც ჩანს, შს მინისტრის სიმამრი თამაზ თამაზაშვილი იძიებს შურს. ერთ-ერთი ინფორმაციით, თამაზ თამაზაშვილი არა მხოლოდ შს უწყებაში ლობირებს საკუთარ კადრებს, არამედ სხვა უწყებებშიც იმაგრებს პოზიციებს. ერთ-ერთ ასეთ უწყებად ინფრასტრუქტურის სამინისტრო დასახელდა.

საინტერესოა, რომ პროკურატურამ და შსს-მ არაფერი გააკეთა მაშინ, როცა თენგიზ გუნავას ნარკოტიკები და იარაღი ჩაუდეს. ოპერაციას, გუნავას განმარტებით, ტაბატაძე ხელმძღვანელობდა, თუმცა, ის დღემდე მოადგილის პოზიციებზეა. ძალოვნებს არც ხვედელიძის საკითხი გამოუძიებიათ. ის რამდენიმე საათით დააპატიმრეს და საზოგადოების მხრიდან აპლოდისმენტების შემდეგ გაუშვეს. გიგი უგულავას განცხადებით, ხვედელიძე ქვეყნიდანაც კი გაიყვანეს.

რაც შეეხება დაკავებულ ყოფილ პოლიციელებს, პროკურატურის განმარტებით: „მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის, განზრახ უკანონო დაკავებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაკავებულები არიან: შსს-ს ყოფილი თანამშრომლები – გოჩა ბალათრიშვილი, გოჩა ჩიტაია, ზაზა ჭაია, გრიგოლ კვინიკაძე, ვლადიმერ გამრეკლიშვილი და გივი გრავჩენკო. გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წლის 11 ოქტომბერს ზემოაღნიშნულმა პირებმა თბილისში, კოსტავას გამზირზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ჩხრეკისა და დაკავების კანონიერი საფუძვლების არარსებობის მიუხედავად, ფალსიფიცირებული მტკიცებულების საფუძველზე, პირადი ღირსების შეურაცხყოფით უკანონოდ დააკავეს პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი“.

დანაშაული ითვალისწინებს სასჯელის სახით 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

საინტერესოა, რომ დაკავებამდე პოლიციელებმა პროკურატურის წინ პრესკონფერენცია გამართეს, სკანდალური განცხადება გააკეთეს და პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულეს. მათი განმარტებით, პროკურატურის გამომძიებლებმა მათ თამაზ თამაზაშვილის პოლიტიკური მოტივით დაკავების აღიარება სთხოვეს.

ვარაუდობენ, რომ დაპატიმრებების სერია გაგრძელდება, დაკავებულებს შორის რამდენიმე პოლიტიკოსიც იქნება, რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობიდან“.

„ნაციონალური მოძრაობა“ მომხდარს შერჩევით სამართალს, პოლიტიკურ დევნასა და პრობლემების გადაფარვას უწოდებს. ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ საქმეში ომბუდსმენის ჩართვა მოითხოვა: გამოფხიზლდეს ომბუდსმენი და გაერკვეს ვითარებაში, დაკავებამდე პოლიციელები პროკურატურის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობდნენო.



გია ლორთქიფანიძე





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა საქმეებით დაუმძიმებენ



**ზურაბ ჟვანიას საქმე**



**7 ნოემბრის, 6 მაისის და 26 მაისის აქციების დარბევა**



**გიორგი გამცემლიძის მკვლელობა**




**კორტების საქმე**



**ქუჩაში დახვრეტილი ბიჭები**



**კერძო საკუთრებების წართმევა**



## „პროკურატურას ძალიან უჭირს ამის გაკეთება, რატომ? - ვერ გეტყვით... თუ არ გახსნიან ამ ყველა საქმეს, ამას არავინ აპატიებს დღევანდელ ხელისუფლებას“

მარიამ ნადირაძე

**როდესაც ნაციონალური რეჟიმის პირველი „დამნაშავე“, ბაჩანა ახალაია გისოსებს მიღმა აღმოჩნდა, უკმაყოფილება გამოითქვა იმის თაობაზე, რომ მანამდე ქვეყნის #1 ჯალათად ცნობილ პირს წარმოდგენებთან შედარებით წარმოუდგენლად მსუბუქი ბრალის გამო მოუწევდა პასუხისგება...**

როგორც ჩანს, ეს გაითვალისწინა ხელისუფლებამ და ვანო მერაბიშვილს გამოცხადებულ და დადასტურებულ ორ ბრალთან ერთად წინსწრებით დაუდასტურა ორი დანარჩენიც – გირგვლიანის მკვლელობის და 26 მაისის აქციის სასტიკად დარბევის ორგანიზება.

მაშ ასე, ვანო მერაბიშვილს ოფიციალურად ბრალი ედება შემდეგი დანაშაულებისთვის:

თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა, თანხის გაფლანგვა და სხვისი საკუთრების მითვისება. თუმცა მოლოდინი დიდია და ვარაუდობენ, რომ მას ბრალი კიდევ სხვა უამრავი საქმის გამოძიების მსვლელობისას დაუმძიმდება. რა საქმეები შეიძლება იყოს ეს და რამდენად დიდხანს მოუწევს ყოფილ შინაგან საქმეთა და პრემიერ-მინისტრს გისოსებს მიღმა ყოფნა?

**რაკი „ნაციონალური მოძრაობა“ მერაბიშვილის დაკავებას სპორტის სასახლეში პოლიტპატიმართა შეკრებას უკავშირებს, ჩვენც ამ თემაზე სასაუბროდ რესპონდენტად ყოფილი პოლიტპატიმარი, ლევან გოგიჩაიშვილი შევურჩიეთ მკითხველს:**

**– რაკი პროკურატურამ მერაბიშვილისთვის წარსადგენი კიდევ ორი ბრალი გამოკვეთა, მოდით, ჯერ მათ გარშემო ვისაუბროთ. კონკრეტულად რაში შეიძლება მდგომარეობდეს მისი მონაწილეობა გირგვლიანის მკვლელობის და 26 მაისის აქციის დარბევის საქმეში?**

– მან ხელი დააფარა დათა ახალაიას, ვასილ სანოძეს და თავის მეუღლეს.

**– და ეს როგორ გააკეთა?**

– იმ ადამიანებმა, ვანოსთან შეთანხმებით, საკუთარ თავზე აიღეს დანაშაული და ამისთვის მისგან ციხეში კომფორტულად ყოფნის, შემდგომ კი შეწყალების გარანტია



მიიღეს. ამას გარდა, მათ ამისთვის აიღეს გარკვეული ანაზღაურება. ამას ასაბუთებს ის, რომ მათ შეიძინეს საცხოვრებელი ბინები. ეს ადამიანები ისეთ პირობებში იყვნენ ციხეში, როგორც არავინ. თავის დროზე კანონიერ ქურდებსაც კი არ ჰქონდათ ასეთი კომფორტი. ისინი გარეთაც გამოჰყავდათ, ჰქონდათ ტელეფონი, შესდიოდათ ის საჭმელი, რასაც მოისურვებდნენ. რაც შეეხება 26 მაისის საქმეს, მართალია, უშუალოდ ვანო მერაბიშვილს არ დაუხოცია ის ადამიანები და არ დაუყრია სადღაც სახლის სახურავზე, მაგრამ მან გასცა ბრძანება აქციის მთელი სისასტიკით დარბევაზე. იქ პოლიციას კორიდორები რომ დაეტოვებინა, იმისთვის, რომ ადამიანებს შანსი ჰქონოდათ გაეღწიათ, შესაძლებელი იყო ჩაგეთვალა, რომ იყო ჩვეულებრივი აქციის დაშლის ოპერაცია, სადაც მოხდა შეხლა-შემოხლა და ადამიანები დაზარალდნენ. მაგრამ, როდესაც პოლიციამ შეგნებულად დაარტყა ალყა აქციას და ხალხს მიზანმიმართულად ჩეხავდნენ, კლავდნენ და აუბედურებდნენ, ბუნებრივია, ამ ყველაფრის პასუხისმგებლობა ეკისრება ვანო მერაბიშვილს, რადგან უშუალოდ მას ექვემდებარებოდნენ ეს სპეცდანიშნულების რაზმები და შესაბამისად, მან გასცა უკანონო ბრძანება.

**– თქვენ უკვე გამოსცადეთ გისოსებს მიღმა ცხოვრება... როგორ ფიქრობთ, როგორ დახვდება ციხე ვანო მერაბიშვილს?**

– მე ვიჯექი იმ დაწესებულებაში, სადაც ჩვეულებრივი პატიმრები იხდიან სასჯელს. ვანო კი იქ არის, სადაც პატიმრები ყოფილი თანამშრომლები არიან. შესაბამისად, მე არ ვიცნობ იმ ციხის სპეციფიკას. მაგრამ ვიცი, რომ იქ ყოფნა არის ძალიან მძიმე, უფრო ნაკლებად სცემენ ერთმანეთს პატივს პატიმრები, უფრო მეტად შეუძლიათ ერთმანეთის გაწირვა და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ერთმანეთი გააუბედურონ. ვფიქრობ, რომ მერაბიშვილს არ უნდა მიეცეს განსაკუთრებული პირობები. მან უნდა იცხოვროს ისე, როგორც გათვალისწინებულია კანონით. უნდა მიიღოს ზუსტად ის საკვები, რომელსაც იღებენ სხვები. სხვებივით უნდა ისარგებლოს „ლარიოკით“... ვფიქრობ, რომ მერაბიშვილი ამ ყველაფერს ვერ გაუძლებს, რადგან ზოგადად ასეა: როდესაც ადამიანი იმყოფება დიდ სიმაღლეზე, მისთვის დაცემა გაცილებით მტკივნეულია, ვიდრე იმისთვის, ვინც ასეთ სიმაღლეებს არ იკავებდა.

**– ვერ გაუძლებს და რას იზამს?**

– ის აუცილებლად ალაპარაკდება. ისე, როგორც დათა ახალია ალაპარაკდა. ძალიან საინტერესო იქნება მისი პოზიცია ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით.

**– მერაბიშვილი აღწერს ამ საქმის დეტალებს?**

– მგონია, რომ მერაბიშვილი დაიწყებს ლაპარაკს. ის აუცილებლად იტყვის, რომ ამ ბოროტებაში არ იყო მარტო და მას ჰყავდა თანამონაწილეები. თანამონაწილეები კი იყვნენ ის ადამიანები, ვისაც ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ.

**– ვინ?**

– მინიმუმ საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი. არ ვფიქრობ, რომ ამ ქვეყანაში პრობლემა მხოლოდ დათა ახალაია, ბაჩანა ახალაია და ვანო მერაბიშვილი იყვნენ. ამ ქვეყანაში პრობლემა სხვებიც იყვნენ, რომლებმაც ერთად შექმნეს სისტემა, რომელსაც ადამიანების განადგურება უნდოდათ.

**– ჟვანიას საქმის გარდა, კიდევ რით შეიძლება მას ბრალი დაუმძიმონ?**

– ზოგადად, თუ შევაფასებთ მის მოღვაწეობას, მთელი მისი გონება მიდრეკილი იყო, როგორმე გაემყარებინა პირადი ძალაუფლება და გაეტარებინა პარტიის ინტერესები. ბუნებრივია, ჩვენც ვაღიარებთ მის რაღაც მიღწევებს, თუნდაც პოლიციის რეფორმის სახით, მაგრამ მისი უფრო ბნელი საქმიანობა ყოველთვის იყო დანაშაულებრივი, რადგან ამ ადამიანმა თავისი ქონება და ძალაუფლება დააგროვა დანაშაულის ჩადენის ხარჯზე.

**„ვანო მერაბიშვილი პატიმრობას ვერ გაუძლებს და ჟვანიას საქმეზე ალაპარაკდება“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბრალს ვანო მერაბიშვილს?

**– რა ქონება?**

– მისი ქონება, რა თქმა უნდა, არ დამითვლია. სავარაუდოდ, ის შეადგენს რამდენიმე ათეულ მილიონს. მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილი ჩამოშორდა ძალაუფლებას, მერაბიშვილის ხელში გადავიდა ფინანსების კონტროლი. ის იყო მთავარი გამკონტროლებელი მსხვილი ბიზნესისა. თქვენ გახსოვთ, ალბათ, მხოლოდ ის აწყობდა ბიზნესმენებთან შეხვედრებს, როდესაც პატარკაციშვილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ფაქტობრივად, მის გარეშე არ წყდებოდა არაფერი. სააკაშვილმა ის დაასახელა ინვესტიციების გარანტად, მაშინ, როცა ის იყო უშიშროების საბჭოს მდივანი. ანუ, ყველა თანხა, რომელიც 50 ათას დოლარს აღემატებოდა, გადიოდა სახელმწიფო კონტროლს, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად. ასე რომ, ეს ადამიანი ფლობდა ყველა ინფორმაციას ყველა ბიზნესზე. ყველგან იყო დაცვის პოლიცია. ის იყო ინფორმაციის მთავარი მომტანი. ისინი იგებდნენ ამას – სად რა ფული კეთდებოდა. ამ ვითარებაში, ოპოზიცია მთლიანად დაბლოკილი იყო, რომ რამე თანხაზე მიეწვდინა ხელი.

**– სხვა ბრალდებები?..**

– ძალიან ბევრი თემაა. იმდენად ბევრი, რომ ჩამოსათვლელად შეიძლება ერთბაშად ვერც კი გაიხსენო საიდან დაიწყო. პირველ რიგში, 7 ნოემბრის მოვლენებია მერაბიშვილის სინდისზე. ასევე კონკრეტული საქმეები. თუნდაც გიორგი გამცემლიძის საქმე. მაშინ ყველაფერი გააკეთა ვანო მერაბიშვილმა, რომ პატრულის იმ თანამშრომლის ქმედებას, რომელმაც განზრახ ესროლა ამ ბიჭს, გაუფრთხილებლობის კვალიფიკაცია მისცემოდა. ასევე კორტების ცნობილი საქმე, სადაც ვანო მერაბიშვილმა უშუალოდ დააფარა ხელი მკვლელებს და დღემდე არ არის გამოძიება დამთავრებული. ყველა ის გახმაურებული, საქმე, რომელზეც გამოძიება საუბრობდა და ადანაშაულებდა კონკრეტულ თანამდებობის პირებს, შსს-დან და ამასთან დაკავშირებით ყველა ამ საქმეზე უნდა მოეთხოვოს პასუხი, რადგან ბუნებრივია, დანაშაულის დაფარვა, გამოძიებისთვის ხელის შეშლა, ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

**– მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის საჭიროა გამოიკვეთოს პირის დანაშაულებრივი ქმედება, ან უმოქმედობა...**

– მერაბიშვილის მთავარი დანაშაული მარტო ის კი არ არის, რომ მას კონკრეტულ ეპიზოდებში აქვს მონაწილეობა მიღებული, მან შექმნა სისტემა, რომელიც თავიდან ბოლომდე იქცა დანაშაულებრივად. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს მართლმსაჯულების დიდი გამოცდილება, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები იცნობენ ასეთ დანაშაულებს. მერაბიშვილის პირობებში პოლიციას ფორმალურად ერქვა ეს სახელი, თორემ შინაარსით ეს იყო სისტემა, რომელიც მან დაქოქა და მთლიანად კრიმინალური გახადა. ეს იყო სადამსჯელო სისტემა, რომელსაც ადამიანი კი არ უნდა დაეცვა, არამედ დაეღუპა. მისი შემოქმედია ვანო მერაბიშვილი. უამრავმა ადამიანმა ათასი სიმწარე გადავიტანეთ მისგან და მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენი ცხოვრება დანგრეულიყო და გაუბედურებულიყო. ასე რომ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამ ქვეყანაში არის კანონი და ყველას მოუწევს მისი დარღვევისთვის პასუხისგება. ეს აღსრულდა ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში. შარშან ამ დროს, არავინ დაიჯერებდა, რომ ის ერთი წლის შემდეგ ციხეში იქნებოდა.

**„მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილი ჩამოშორდა ძალაუფლებას, მერაბიშვილის ხელში გადავიდა ფინანსების კონტროლი. ის იყო მსხვილი ბიზნესის მთავარი გამკონტროლებელი“**

„პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე მიიჩნევს, რომ ვანო მერაბიშვილმა პასუხი უნდა აგოს ყველა იმ ქუჩაში დახვრეტილი ბიჭის გამო, რომელთა დახვრეტაზე ბრძანება მან გასცა. „პრაიმტაიმი“კიდევ ერთხელ გაახსენებს იმ ადამიანების ვინაობას, რომელთა გარდაცვალებისთვის, თუ კაკაბაძის პოზიციას გაიზიარებს პროკურატურა, შესაძლოა, პასუხი ვანო მერაბიშვილს მოეთხოვოს:

***ვლადიმერ ხოშტარია – დაკავებისას მოკლეს;***

***აკაკი კორკოტაშვილი – სპეცოპერაციისას მოკლეს;***

***ავთო და ვახო გუმაშვილები – სპეცოპერაციისას მოკლეს;***

***ალექსანდრე თაბაგარი – ლანჩხუთის რაიონში, სოფელ ჩონჩხათში მოკლეს;***

***ხვიჩა მელაძე, გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი მანჯავიძე – თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მოკლეს;***

***ლევან გულუა – დაკავებისას მოკლეს;***

***რეზო სარჯველაძეც – დაკავებისას მოკლეს, 14 დეკემბერს;***

***ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა – დაკავებისას მოკლეს;***

***თამაზ კურკუმული – სპეცოპერაციისას მოკლეს.***

***რევაზ ცალანი – სპეცრაზმელებმა სასტიკად სცემეს, რის შემდეგაც ლოგინს მიეჯაჭვა;***

***მურად გორგაძე, რომან სურმანიძე და მარად ართმელაძე – სპეცოპერაციის დროს მოკლეს;***

***გია თელია – სპეცოპერაციისას მოკლეს;***

***ჯემალ ჩაფიძე – პოლიციამ დაკავებისას მოკლა;***

***ზვიად ბაბუხადია, ბუთხუზ კიზირია და ვალერი ბენდელიანი – სპეცოპერაციის დროს მოკლეს.***

***ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი – სპეცოპერაციის დროს მანქანაში ჩაცხრილეს;***

***მიხეილ ბერძენიშვილი – დაკავებისას მოკლეს;***

***გელა ცინდელიანი – სპეცოპერაციის დროს მოკლეს;***

***ხვიჩა კოკაია – სპეცოპერაციისას მოკლეს;***

***ვალერი ფხაკაძე – დაკავებისას მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა, რადგან პოლიციელებმა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დახმარება არ აღმოუჩინეს.***

***მიხეილ კირაკოსიანი – საპატრულოს თანამშრომელმა მოკლა;***

***ალექსანდრე ხოსიტაშვილი – პოლიციელების ცემის შემდეგ გარდაიცვალა;***

***ოლეგ მესხიძე – სპეცოპერაციისას მოკლეს;***

***თენგიზ გოგია – სპეცოპერაციისას საკუთარ სახლში ჩაცხრილეს;***

***გიორგი გამცემლიძე – მეტროსადგურ „რუსთაველთან“ პატრულინსპექტორმა მოკლა;***

***როინ შავაძე – წამებით მოკლეს;***

***გია კრიალაშვილი – სპეცოპერაციის დროს მოკლეს;***

***ჯიმი მეგრელიძე – დაკავებისას მოკლეს;***

ეს მხოლოდ გარდაცვალებით დასრულებული შემთხვევებია. ბრალის დამძიმება მერაბიშვილისთვის პროკურატურას ნებისმიერი ამ საქმისთვის შეუძლია. ამას თუ დაშავებულთა, ნაწამებთა და გაძარცვულთა ისტორიებიც დაემატება, რომელთა საქმეებიც მრავლად დევს პროკურატურაში, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ადგილას ყოფნას ნამდვილად არავინ ისურვებდა.

**მაგრამ საზოგადოება მაინც ეჭვის თვალით უყურებს პროკურატურის ნებას, ყველაფერს მოეფინოს დღის სინათლე. ნანა კაკაბაძეც იგივე პოზიციაზეა:**

– პროკურატურას ძალიან უჭირს ამის გაკეთება, რატომ? – ვერ გეტყვით... თუ არ გახსნიან ყველა ამ საქმეს, ამას არავინ აპატიებს დღევანდელ ხელისუფლებას. ეს არ არის ის საქმეები, რომელიც შეიძლება ერთი პირის პრობლემა იყოს. ეს ქვეყნის პრობლემაა. მერაბიშვილმა ქვეყანას მიაყენა ზიანი. ასეთი საქმეებით, მან შიში დათესა ქვეყანაში. ხალხი ხმას ვერ იღებდა, როდესაც აწამებდნენ, სცემდნენ, იჭერდნენ, ქონებას ართმევდნენ. შეიძლება, რომ დღესაც ისეთივე დუმილი იყოს და დღესაც არ მისცენ ხალხს ხმის ამოღების საშუალება?!


SOCAR | სოკარ გაზი

## სოკარი აგრძელებს გაზგასამართი სადგურების ქსელის განვითარებას

მიმდინარე წლის მაისის თვეში სოკარის ავტოგასამართ ქსელს დაემატა 5 ახალი ავტოგაზგასამართი სადგური შემდეგ მისამართებზე: ქ.თბილისი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩის ბოლოს; თბილისი, სოფ. დიღომი (დ. აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარედ); ქ.ზესტაფონი, სტაროსელსკის ქ. №15; ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირის მიმდებარედ; ქ.თბილისი, თბილისის ზღვის ტერიტორია.

სოკარის ავტოგაზგასამართი სადგურების რაოდენობამ 9-ს, ხოლო მთლიანი ქსელის ავტოგასამართი სადგურების რიცხვმა კი უკვე 109-ს მიაღწია.

სოკარის ავტოგაზგასამართი სადგურები აღჭურვილია არგენტინული ბრენდი - ,,Galileo''-ს, ბოლო თაობის გაზ-საკომპრესორო დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ, დასაშვებ დონეზე მაქსიმალურად მაღალი წნევით და რაც ყველაზე მთავარია, გაზის უსაფრთხოდ ჩაჭირხვნას მომხმარებლის ავტომობილში.

სოკარის ავტოგაზგასამართ სადგურებზე ავტომობილების მფლობელებს შეეძლებათ გამოიყენონ სპეციალური სერვის-ბლოკები, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ საბურავების წნევის რეგულირებას, წყლის დამატებას, სალონის ამოწმენდასა და სხვა.

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი-ს მისამართზე (დ. აღმაშენებლის ძეგლის მიმდებარედ) მდებარე ახალ ავტოგაზგასამართ სადგურზე მომხმარებელს, 24 საათის განმავლობაში მოემსახურება კაფე-მარკეტი.

სოკარის ავტოგაზგასამართ სადგურებზე მაისის თვეში დასაქმებულთა რიცხვია 47 ადამიანი.

WWW.SOCAR.GE

*0001









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გირგვლიანის მკვლელობის ს

მარიამ ნადირაძე

ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირებამ მასშტაბებიც შეიცვალა და მდებარეობაც. ახლა ისინი „მატროსოვზე“ თუ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თუმცა, ამჯერად ბაჩანა ახალაიას უფრო ძლიერი დამრტყმელი ძალა რჩება გარეთ, ძმის სახით, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, სულ არ უხუმრია ერთი თვის წინ გაკეთებულ განცხადებაში, როცა მერაბიშვილზე ბოლმა ბოლომდე გადმოანთხია და „ნაციონალური ხელისუფლების“ დასამარება სწორედ მას აჰკიდა ზურგზე.

ამ დაპირისპირებამ ორივე – ბაჩანაც და ვანოც ციხის კედლებს შიგნით შეახედა, თუმცა ამჯერად სულ სხვა ამპლუაში. უნდა ითქვას, რომ უკვე ღიად გამოცხადებული ომის შედეგები თავდაცვის ყოფილი მინისტრისთვის უფრო პერსპექტიულად ისახება, ვიდრე ყოფილი პრემიერისთვის.

თუმცა, სანამ პროგნოზებზე ვისაუბრებთ, მოდით, თვალი გადავავლოთ, როგორ დაიწყო მათი ურთიერთობა და სად გაგორდა განხეთქილების ვაშლი...



„კადრში აღბეჭდილია ყველა პირი და ქმედება, რომელიც ოქროყანაში სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ განხორციელდა, ყველა ის ძალადობა, რომელიც აჩვენებს, როგორ გადააგდეს ხევში დანით დაჭრილი ბიჭი“

EXCLUSIVE

## ერთ დროს მეგობრები...

ისინი ნაციონალურმა იდეამ გააერთიანა. მანამდე კი მერაბიშვილი აგროპროექტებით იყო დაკავებული, ხოლო ბაჩანა ახალაია „თავისუფლების ინსტიტუტის“ პროექტების წერითა და შიგადაშიგ როინ მეტრეველისა და ნუგზარ ფოფხაძის წინააღმდეგ უნივერსიტეტთან გამართული მიტინგებით. თუმცა, მოგვიანებით ორივე ფლანგს გაცილებით სერიოზული ფუნქციები მიეცა. ვანო პარლამენტარი გახდა და შიგნიდან დაიწყო შევარდნაძის ხელისუფლების რღვევაზე ზრუნვა, ბაჩანა ახალაია კი, როგორც ვალერი გელბახიანი იხსენებს, რეგიონების ზონდერჯგუფებს უწევდა ორგანიზებას, მაშინ როცა სააკაშვილმა საპრეზიდენტო კამპანია წამოიწყო და თბილისური ზონდერჯგუფი დავით კეზერაშვილს ჩააბარა.

მერე იყო ვარდების მხიარულება და თანამდებობების გადანაწილება. ვანო უკვე მინისტრია. მართალია, ბაჩანა ახალაია ჯერ სახალხო დამცველის ოფისში ფუსფუსებს, მაგრამ სამაგიეროდ, მისი ძმა სამინისტროში ვანოს მარჯვენა ხელი და ყველაზე მსხვილი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხდება. ახალაიებთან შეთამაშებული და შემეგობრებული ვანო უკვე ბაჩანა ახალაიას უბიძგებს ძალოვან სფეროში გადაადგილებას. აკი შედეგსაც იღებს...

თუმცა შედეგამდე ახალაიებისადმი კეთილგანწყობის მოპოვება მაინც დათას დამსახურება გახდა, როდესაც გირგვლიანის საქმის გახმაურებისთანავე მან გადადგომაზე განცხადება გააკეთა და მერაბიშვილს ამბრაზურასავით გადაეფარა. ამისთვის, ბუნებრივია, ხარკის გადახდაც მოითხოვა. ის არაოფიციალურად მაინც რჩებოდა სამინისტროში, საკუთარ კაბინეტში და ვანოს „თავისი ბიჭების“, გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული ოთხეულის პატრონობასაც აიძულებდა. ამ დეტალის შესახებ „პრაიმტაიმს“ უფრო დაწვრილებით მაშინ პატიმარი, ახლა კი უფლებადამცველი **თამაზ ბაკურიძე** უამბობს:

– როდესაც სასჯელს ავჭალის დაწესებულებაში ვიხდიდი, ჩემ გვერდით საკანში გირგვლიანის საქმეზე გასამართლებულები ისხდნენ. ეს იყო ყაზარმული ტიპის ერთი მთლიანი კორპუსი. იმ ოთხ ადამიანს დაკავებული ჰქონდა ნახევარი კორპუსის პირველი სართული, რომელიც დაყოფილი იყო 4 ოთახად. თითოეულს ცალკე ოთახი ჰქონდა საკუთარი სველი წერტილებით, ინტერნეტითა და ა.შ. მათ შეზღუდვები მისვლა-მოსვლაშიც არ ჰქონდათ. უბრალოდ, ჩვენ ვიყავით გვერდით და გამყოფი კედელი იყო ხის. შესაბამისად, მათი ყველა მოძრაობა და საუბარი კარგად ისმოდა. როდესაც სასჯელის გარკვეული ნაწილი მოიხადეს, ჩათვალეს, რომ მთავრობას მათ განთავისუფლებაზე უნდა ეზრუნა. საქმის კურსში ვარ, რომ ისინი ახალაიას მეშვეობით ზეწოლას ახდენდნენ მერაბიშვილზე. ისინი სულ ამბობდნენ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი სააკაშვილია, მინისტრი – მერაბიშვილი და დეპარტამენტის თავმჯდომარე – ახალაია, რატომ უნდა გაჭირდეს ჩვენი განთავისუფლებაო. ერთი პერიოდი ულტიმატუმიც კი წაუყენეს, რომ პირს დააღებდნენ. ამაში რა იგულისხმებოდა, მე ვერ გეტყვით. 2008 წლის შემოდგომაზე ისინი განთავისუფლებას ელოდნენ. პატიმრებს დაემშვიდობნენ კიდეც. მაგრამ მოხდა ისე, რომ არ გაათავისუფლეს.

**– ადეიშვილმა დაბლოკა, არა?**

– როგორც ჩანს. შემდეგ მერაბიშვილმა ვიღაც მიუგზავნა, შეატყობინა, რომ პრეზიდენტისგან მათ შეწყალებაზე თანხმობა მიღებული ჰქონდა, მაგრამ ადეიშვილმა ეს პროცესი შეაჩერა, ვინაიდან საზოგადოების რეაქცია მწვავე იქნებოდა. საბოლოოდ მათ სასჯელი მაინც გაუნახევრეს და ამ აქტით მოხერხდა, რომ ისინი პირობით ვადამდე ავტომატურად განთავისუფლდნენ, ე.წ. უდოთი. ასე რომ, პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ სასჯელი მოიხადეს და მერე ამნისტიით გამოვიდნენ, იყო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. „უდო“ შეეხოთ პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, რომელიც აღასრულა სასჯელაღსრულების მინისტრმა. ეს იმ ფონზე, როდესაც „უდო“ ეკუთვნოდა 7000 პატიმარს და თვეში მხოლოდ 2-3 კაცს უშვებდნენ. მე არ დამინახავს, მაგრამ დანარჩენი პატიმრებისგან ვიცი, რომ მათთან მერაბიშვილი მხოლოდ ერთხელ მივიდა. დანარჩენი ყველა პირობა მათ ციხეში ახალაიამ შეუქმნა.

ზოგიერთი ინფორმაციით, ახალაია-მერაბიშვილის დაპირისპირება სწორედ გირგვლიანის საქმიდან დაიწყო და ამის საფუძველი პირადი წყენა გახდა. მერაბიშვილს არ მოსწონდა, რომ ამ სკანდალში დათამ მისი მეუღლის სახელი გახვია. თუმცა წყენიდან ანგარიშსწორებამდე დიდი დრო არ ყოფილა დარჩენილი.

ის. ვინ უნდა ყოფილიყო ხელისუფლების სათავეში? ყველაზე გავლენიანი ჯგუფი იყო ახალაიების. მერე მოდიოდა მერაბიშვილის ჯგუფი. ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ დროებით ისევ შეკრა მოძრაობა, მაგრამ პოზიციების ისე გადანაწილება, როგორც მათ ეს სააკაშვილმა მოგვიანებით შესთავაზათ, ვერც ახალაიამ აიტანა და ვერც მერაბიშვილმა. შესაბამისად, ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გამწვავდა. ივანიშვილი რომც არ გამოჩენილიყო პოლიტიკაში, ეს დაპირისპირება მაინც გასაჯაროვდებოდა. სააკაშვილის წასვლის მერე ახალაია ვერ დაუშვებდა, რომ მერაბიშვილი გაძლიერებულიყო და – პირიქით... ამიტომ საარჩევნო პროცესში უნდა გამტყდარიყო ეს ნავსი. ეს ნავსი გატეხა მერაბიშვილმა. შემდგომმა პროცესებმა ეს აშკარად აჩვენა.

**ელისო კილაძე:**

– ვფიქრობ, დაპირისპირების მიზეზი გახდა გავლენის სფეროების განაწილება სააკაშვილის კარზე, რადგან მუდმივი

„პოლიციელები, რომლებიც ახალაიას წინააღმდეგ იძლეოდნენ ჩვენებას, მერაბიშვილის მოადგილის, ჯანაშვილის გადაბირებულები იყვნენ“


Reuters

## 4 წლის შემდეგ...

**ვალერი გელბახიანი:**

– მე ვიცი, რომ 2010 წელს „ნაცმოძრაობის“ შიგნით უკვე სამი ჯგუფი გამოიკვეთა. ეს იყო უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას ჯგუფები. ეს კულუარული ინფორმაციები იმ ქვეყანაშიც კი ჩამოდიოდა, სადაც მე იმ დროისთვის ვიმყოფებოდი. „ნაციონალური მოძრაობა“ ღიად არ აღიარებდა, რომ ასეთი პრობლემები არსებობდა მოძრაობის შიგნით. უკვე ყველამ იცოდა, რომ სააკაშვილი მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას დარჩენის სურვილი ჰქონდა, ამ ჯგუფებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა და ისინი უკვე ემზადებოდნენ მომავალი ხელისუფლებისთვის. ბრძოლა მიდიოდა ადგილისთვის. ამას სერიოზულად ახერხებდნენ ახალაიები და კარგად ახერხებდა მერაბიშვილი. ამ დაპირისპირებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც გაჩნდა ეჭვები ვანო მერაბიშვილის მონაწილეობაზე „ქართულ ოცნებასთან“ ალიანსში. ახალაიებმა ამაში სააკაშვილის დარწმუნება მოახერხეს. ის ჩამოაშორეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

## კულმინაცია

როდესაც ბაჩანა ახალაია სააკაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დაასახელა, მან ხაზი გაუსვა, რომ ეს ვანოს კანდიდატურა იყო. ბუნებრივია, მას ეს გულუბრყვილოდ არ გაუკეთებია... სინამდვილეში კი ამ გადაწყ-

„მე ვიცი, რომ 2010 წელს „ნაცმოძრაობის“ შიგნით უკვე სამი ჯგუფი გამოიკვეთა. ეს იყო უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას ჯგუფები“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალური ვიდეო გამოჩნდა

# დაპატიმრების წინ ვანო მერაბიშვილს როლანდ ახალაია შეხვდა





ვეტილებამ „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხებამდე მიიყვანა.

**ვალერი გელბახიანი:**

– ახალაია რომ შს მინისტრი გახდებოდა, ამის გათვლა ადვილი იყო. ის არანაკლებ მსხვილი სამინისტროს ხელმძღვანელი გახლდა. სამეგრელოს რეგიონი ახალაიას მეშვეობით კონტროლდებოდა და საარჩევნო გარემოსაც და საბოლოო შედეგებსაც ახალაიას მინისტრობა უფრო შეუწყობდა ხელს. გათვლა სწორი იყო. ახალაიას რეგიონების კონტროლის მეტი რესურსი ჰქონდა. შესაბამისად, მერაბიშვილს სხვა გეგმის ამუშავება სჭირდებოდა: წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ციხის ცნობილი კადრების გავრცელებას ბაჩო ახალაიას გადადგომა მოჰყვა მინისტრობიდან, მაშინვე გაჩნდა ეჭვები, რომ ეს გარკვეულწილად მერაბიშვილის ანგარიშსწორება იყო ძმები ახალაიების ხელისუფლებიდან მოსაშორებლად. თუ გახსოვთ ქუჩის აქციები, რომლებიც სტუდენტებმა მოაწყვეს. სწორედ ამ აქციების შედეგად გადადგა ახალაია. ამ აქციების უკან მაშინვე მოიაზრებოდა პრემიერ-მინისტრი მერაბიშვილი. სტუდენტურ ორგანიზაციებს ხშირ შემთხვევაში მერაბიშვილი მართავდა.

**– ამით „ნაციონალური ხელისუფლება“ მისავე დასასრულს თხრიდა?**

– საბოლოოდ ასე აღმოჩნდა. თბილისის შედეგებმა გადატეხა სიტუაცია და ეს ვერ გათვალეს.

**– სააკაშვილის ზურგს უკან ხდებოდა ეს ყველაფერი?**

– არა. სააკაშვილი საბოლოოდ იძულებული გახდა, ამას დათანხმებულიყო. მას წინასაარჩევნოდ სჭირდებოდა ასეთი ოდიოზური ფიგურისგან გამიჯვნა.

**ელისო კილაძე:**

– მოხდა საინტერესო კონფიგურაცია. შს მინისტრად მოგვევლინა ბაჩანა ახალაია. სამინისტროდან მოხდა მერაბიშვილის კადრების გადინება. ძირითადად ყველა წამყვანი თანამდებობის პირი, მათ შორის ამირან მესხელი რომელიღაც სამინისტროში აღმოჩნდა მინისტრის მოადგილედ, უტიაშვილი და ხიზანიშვილი მერაბიშვილის აპარატში გადავიდნენ. თავდაცვის სამინისტროში მერაბიშვილის კადრი, შაშკინი დაინიშნა, მაგრამ მას მაკონტროლებლად დაუნიშნეს დათა ახალაია. ამას გარდა, იქ გადავიდა სოსო თოფურიძეც. ანუ ძალოვან უწყებაში მთელი ძალაუფლება გადავიდა ახალაიების ხელში. ისინი პირად საუბრებში დასცინოდნენ ვანო მერაბიშვილს, თეთრი ხალათი ჩააცვეს და ფერმებსა და ორლობეებში დადის ქუჩაქუჩაო. აქვე დაიწყო შურისძიება მერაბიშვილის მოყვანილ კადრებზე. როგორც ვიცი, ისეთი ელიტური დანაყოფი, როგორიც კონტრდაზვერვაა, საერთოდ გამოაგდეს მოდულის შენობიდან და ორთაჭალის შენობაში გადაიყვანეს, ხოლო მოდულის შენობა მთლიანად გაწმინდეს მერაბიშვილის კადრებიდან და ის გაივსო ბაჩანა ახალაიას პირადი მეგობრებით. მაპატიონ მეგრელებმა, მაგრამ იმ შენობაში ქართულად, ფაქტობრივად, აღარც ლაპარაკობდნენ. ამავე პერიოში არნახულად გაიზარდა მოსასმენი ადამიანების რიცხვი. მეტიც, ერთი დარბაზი მოსასმენი აპარატურით იყო სავსე და უსმენდნენ ძალიან ბევრ ადამიანს. ამიტომ გამოვრიცხავ ფაქტს, რომ თითქოს მერაბიშვილი ივანიშვილის მხარეს თამაშობდა. უბრალოდ, დეზორიენტაცია ნამდვილად შემოიტანა ციხის კადრების გავრცელების დროს ნათქვამმა ფრაზამ, რომ მინისტრის მოადგილე მონაწილეობდა ამ საქმეში და მაშინვე გაჩნდა ეჭვი ამირან მესხელზე და ეს გახდა დაპირისპირების კულმინაცია.

## გარიგება

ამ დაპირისპირებამ შედეგი ნამდვილად გამოიღო. მერაბიშვილი ხელისუფლებას გამოემშვიდობა, ახალაია – ქვეყანას.

**„გამოვრიცხავ, რომ ის პირადად შეხვედროდა ძებნილ პიროვნებას. შესაძლოა, ეს ყოფილიყო საშუამავლო ჯგუფი...“**

**ვალერი გელბახიანი:**

– როდესაც ახალაია დაბრუნდა და ახალ ხელისუფლებას თავი დააჭერინა, როგორც ჩანს, რაღაც პირობა იყო ხელისუფლებასთან, ან პირიქით, სააკაშვილი დაჰპირდა რაღაცას. ვთქვათ, დაჰპირდა შეწყალებით განთავისუფლებას. სააკაშვილს დღესაც აქვს ამის უფლება. როგორც კი განაჩენს გამოუტანს სასამართლო, მაშინვე შეუძლია შეიწყალოს, თუ ამას მოინდომებს. მაგრამ დღეს, როგორც ჩანს, ეს აღარ მოხდება. დღეს უკვე ახალაიასთან ერთად მერაბიშვილიც დაჭერილია და რაკი ახალაიამ საპირისპირო სვლები გააკეთა, ცხადია, სააკაშვილი მას აღარ შეიწყალებს. კულუარული ინფორმაციით, ახალაიამ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

**ელისო კილაძე:**

– ახალაიები ძალიან ნაწყენები იყვნენ, რადგან მერაბიშვილი არც ერთ პროცესზე არ მისულა, სრული იგნორი გაუკეთა მისი დაკავების ფაქტს. პირველი მესიჯი თეა თუთბერიძისგან წამოვიდა ციხის კადრებთან დაკავშირებით, რომ ისინი დამოუკიდებელ გამოძიებას აწარმოებენ, სადაც უნდა გამოიკვეთოს, რა იყო მერაბიშვილის როლი ამ საქმეში. სხვათა შორის, დღეს ვნახე დათა ახალაიას ახალი განცხადება. ის აღარ ახსენებს სკანდალური კადრების ტრანსპორტირებას და კონკრეტდება მხოლოდ მის შექმნაში ვანო მერაბიშვილის მონაწილეობაზე, რომლის დროსაც მას თავის ძმაზე შურისძიება ამოძრავებს. ცხადია, ვესაუბრე ბედუკაძეს ამასთან დაკავშირებით, რომელიც კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს. ასე რომ, ველოდებით დათა ახალაიას მტკიცებულებებს.

## მამის როლი

დათა ახალაიას სკანდალურ განცხადებას მერაბიშვილის წინააღმდეგ, როგორც ამას უკვე ინტენსიურად ყვებიან, წინ როლანდ ახალაიას შეხვედრა უძღოდა ვანო მერაბიშვილთან, საიდანაც ძმების მამა შეურაცხყოფილი დაბრუნებულა. სწორედ ეს მესიჯი მიიღო დათა ახალაიამ ძმისგან და ამის ლოგიკური გაგრძელება გახლდათ ცნობილი სკანდალური განცხადება კუდ-ის ყოფილი უფროსის „ფეისბუკის“ გვერდზე. სწორედ აქ დაიწყო გამოცხადებული ომის ქრონიკა, რომელიც ჯერაც განვითარების ფაზაშია.

## საქმე ივანიშვილის ხელისუფლებასთან

როგორც ამბობენ, მერაბიშვილის დაკავებას წინ ახალი ხელისუფლების საზღვარგარეთული ვოიაჟები უსწრებდა, როცა, სავარაუდოდ, დათა ახალაიამ მათთვის სკანდალური მასალების გადაცემა მოახერხა. თუმცა გადაცემის პროცესზე სხვადასხვა ინფორმაციები ვრცელდება.

**თამაზ ბაკურიძე:**

**– თქვენგან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ქართულ უშიშროებას დათა ახალაიამ პირადად გადასცა კეისი თურქეთში.**

– ეს განცხადება მერაბიშვილის დაკავებამდე რამდენიმე დღით ადრე გავაკეთე. ეს ამბავი იმ ადამიანმა მომიყვა, რომელმაც ეს შეხვედრა საკუთარი თვალით ნახა. იმ ქალაქში, სადაც ეს შეხვედრა მოხდა, დათა ახალაია ამჟამად აღარ ცხოვრობს. ეს შეხვედრა კი დაკავებამდე ერთი კვირით ადრე მოხდა.

**ვალერი გელბახიანი:**

**– ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაციები, რომ თითქოს შეხვედრა თურქეთში შედგა, სხვა ვერსიით კი ეს ბაქოში მოხდა...**

– ჩემთვის მისაღებია ის ფაქტი, რომ კომპრომატების გადაცემა ნამდვილად მოხდა...

**– ღარიბაშვილს ეს ქულებს დაუწერს?**

– გამოვრიცხავ, რომ ის პირადად შეხვედროდა ძებნილ პიროვნებას. ასეთი რამ არსად ხდება. შესაძლოა, ეს ყოფილიყო რაღაც საშუამავლო ჯგუფი, რომელსაც ინფორმაციების გაცვლა ჰქონდა დავალებული.

**ელისო კილაძე:**

– დათა ახალაიამ, მას შემდეგ, რაც მოლაპარაკების პირველი ეტაპი, ფაქტობრივად, ჩაიშალა, რომელშიც მონაწილეობდნენ ლაშა ნაცვლიშვილი და იუსტიციის მინისტრი, თურქეთი დატოვა. ის სხვა ქვეყანაში გაემგზავრა. ეს იყო ჩემს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაცია. რამდენადაც თითქმის პირველწყარო მყავს დათა ახალაიასთან, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნება დაიწყოს. ერთ-ერთი ასეთი მთავარი მტკიცებულება იქნება გირგვლიანის საქმეში მისი წვლილი. რამდენადაც ვიცი, შს მინისტრის ბაქოში ვიზიტისას, არა დათა ახალაიასი, არამედ ერთ-ერთი პირის მეშვეობით ხელისუფლებამ მიიღო ვიდეომასალა გირგვლიანის მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით. ეს ვიდეომასალა გადაღებულია, როგორც ოპერატიული მასალა, მასში აღბეჭდილია ყველა პირი და ქმედება, რომელიც ოქროყანაში სანდრო გირგვლიანის წინააღმდეგ განხორციელდა, ყველა ის ძალადობა, რომელიც აჩვენებს, როგორ გადააგდეს ხევში დანით დაჭრილი ბიჭი. სხვა დეტალებზე, ცხადია, არ ვილაპარაკებ, რადგან ეს ძალიან მძიმეა მისი ოჯახის წევრებისთვის. ეს მასალა, როგორც ჩანს, დათა ახალაიასთან ინახებოდა. ამ საქმეში, როგორც ვიცი, პირდაპირ იკვეთებოდა მერაბიშვილის ბრალეულობა. ვიდეომასალების გარდა, არსებობს აუდიომასალებიც და ისიც დათა ახალაიას მეშვეობით მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ.

# მძიმე საუბარი მერაბიშვილის დაკავებით დასრულდა

## ჯანაშვილის ფაქტორი

ამასობაში კი ახალაიები პოზიციებს იმყარებენ და უკვე სასამართლო პროცესზე დასტურდება, რომ ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი პოლიციელების შემდგომი დასვენება მერაბიშვილის ყოფილმა მოადგილემ, შალვა ჯანაშვილმა დააფინანსა.

**ელისო კილაძე:**

– მაოცებს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის გადაწყვეტილება ჯანაშვილის სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბაშვილი ჩემი ფავორიტია ახალ მთავრობაში, ჯანაშვილი იყო სპეცრაზმების ხელმძღვანელი და ის აქტიურად მონაწილეობდა ყველა სახის აქციის დარბევაში. ამიტომ, მისი დღევანდელი პოსტი, როცა ვამბობთ, რომ 26 მაისის და 7 ნოემბრის აქციები მისი დარბეულია, ჩემთვის გაუგებარია. თუმცა, ოდნავი სიცხადე შემოიტანა ბოლოდროინდელმა ფაქტმა, რაც ბოლო პროცესზე გახდა საჯარო, რომ პოლიციელები, რომლებიც ახალაიას წინააღმდეგ იძლეოდნენ ჩვენებას, სინამდვილეში ჯანაშვილის გადაბირებულები იყვნენ და მისი დაფინანსებით რეაბილიტაციის კურსს კი არ გადიოდნენ, არამედ მეუღლეებთან ერთად ისვენებდნენ.

**– ჯანაშვილი ამას საკუთარი ინიციატივით გააკეთებდა?**

– მან პოსტის შენარჩუნება, როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ მოახერხა, რომ ის წლების განმავლობაში აკონტროლებდა სპეცრაზმებს და მათზე გავლენა ჰქონდა. თუ დღევანდელი ხელისუფლების ამოცანაა, რომ ის სპეცრაზმელები გადაარჩინოს, რომლებიც ქუჩაში დაგვდევდნენ, რეზინის ტყვიებს გვესროდნენ და ხელკეტებს გვირტყამდნენ, ჩემთვის ეს მიუღებელია.

## მოსალოდნელი სკანდალები

როგორც ვარაუდობენ, ეს მხოლოდ დასაწყისია. ახალაიების კლანის არქივში უამრავი კომპრომატი ინახება „ნაცმოძრაობის“ თავკაცებსა და პრეზიდენტზეც კი. წყაროები ირწმუნებიან, რომ ახალაიებმა გადაწყვიტეს, ვანო მერაბიშვილისა და სხვა ბობოლა ნაციონალთა ჩაძირვით თავად დაალაგონ ურთიერთობა ივანიშვილის მთავრობასთან და თუ ადრე მეგის ქარდავას ხელით „მეოცნებეების“ კომპრომეტირებას აპირებდნენ, ახლა პირიქით – თავის თანაგუნდელებს დაარტყამენ და მათ ისეთ კომპრომატებს დაუდებენ, საქართველოდან გასაქცევად ექნებათ საქმე.

ელისო კილაძე კი ვარაუდობს, რომ მერაბიშვილის შემდეგ გიგი უგულავას ჯერი დგება. ვალერი გელბახიანი კი მიიჩნევს, რომ სააკაშვილამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სააკაშვილამდე გზა

**my View**
თამარ გორთამაშვილი









**„სპეცოპერაციისას შს სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ძალების გამოყვანა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია“**

**ყოფილი შს მინისტრის და პრემიერის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს, რის გამოც მას სასამართლომ წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა, პროკურატურის ანონსის მიხედვით, მალე კიდევ ორი ეპიზოდი დაემატება – სანდრო გირგვლიანის საქმე და 26 მაისის აქციის დაშლა. დასავლური მედია უკვე აკეთებს პროგნოზს, რომ მერაბიშვილის დაკავება შესაძლოა, სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი გახდეს. ის, რომ მერაბიშვილის დაკავების შემდეგ სააკაშვილთან კითხვები გაჩნდება, პრემიერმა ივანიშვილმაც არაერთხელ განაცხადა. შესაძლოა, ეს არ იყოს სანდრო გირგვლიანის საქმე, თუმცა პოლიტიკური ოპონენტების განცხადებით, პრეზიდენტს 26 მაისთან დაკავშირებით პასუხის გაცემა მაინც მოუწევს. შეეძლო თუ არა მერაბიშვილს სააკაშვილის ნებართვის გარეშე აქციის დარბევის ბრძანება გაეცა, რამაც 2 მომიტინგის სიკვდილიც გამოიწვია, რომლებიც შემდეგ მაღაზიის სახურავზე აღმოაჩინეს. იმ შემთხვევაში თუ პროკურატურა მერაბიშვილს ამ ბრალდებას დაუმატებს, სწორედ მის პასუხზე იქნება დამოკიდებული პრეზიდენტ სააკაშვილის ბედი.**

2011 წლის სექტემბერში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გაზეთ „სეგოდნიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ 26 მაისს მიტინგის დარბევის ბრძანების გაცემა, სწორი გადაწყვეტილება იყო. ჟურნალისტის კითხვაზე ხომ არ ნანობს პრეზიდენტი იმას, რომ მიტინგის დარბევის ბრძანება გაიცა, მიხეილ სააკაშვილი პასუხობს:

„არა, რა თქმა უნდა, მე სულ არ მსიამოვნებს ტელევიზიით ვუყურო სიუჟეტებს იმაზე, თუ როგორ იყენებს ხელისუფლება ძალას ხალხის მიმართ. ეს სრულიად არ ზის ჩემში, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. და, მე მიმაჩნია, რომ ჩვენ


# ბარათის უსაფრთხოების სერვისი თიბისი ბანკისგან

**მათ, ვისაც გსურთ, 100%-ით დაიცვათ თქვენი პლასტიკური ბარათი არალეგალური გამოყენებისგან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, თიბისი ბანკი გთავაზობთ, ჩართოთ ბარათის უსაფრთხოების სერვისი.**

ამ სერვისის ჩართვის შედეგად თქვენ დაიბრუნებთ თქვენს ბარათზე არსებულ თანხას, იმ შემთხვევაში, თუ მას არალეგალურად გამოიყენებს მესამე პირი - ინტერნეტში, პოს-ტერმინალსა თუ ბანკომატში. ეს სერვისი გაძლევთ საშუალებას, იყოთ მშვიდად და აინაზღაუროთ თქვენი თანხა ბარათის დაკარგვის ან მისი უკანონოდ გამოყენების შემთხვევაში.

სერვისი ვრცელდება თიბისი ბანკის ნებისმიერი ტიპის ბარათზე. მისი ჩართვა შესაძლებელია, როგორც ახალ, ისე არსებულ პლასტიკურ ბარათზე. აირჩიეთ ბარათის უსაფრთხოების თქვენთვის სასურველი - სტანდარტ ან პრემიუმ პაკეტი და დაიცავით თქვენი ბარათი არალეგალური გამოყენებისგან!

ბარათის უსაფრთხოების სერვისის ჩასართავად ეწვიეთ თიბისი ბანკის ნებისმიერ ფილიალს ან დარეკეთ სატელეფონო ცენტრში 2 27 27 27;

**თიბისი ბანკი ზრუნავს თქვენს დაცულობაზე!**

Ⓐ







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მერაბიშვილზე გადის





„შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილს ეს ნაბიჯი საკმაოდ ძვირი დაუჯდეს“



„ჩვენ ხომ დარწმუნებული ვართ, რომ 26 მაისს მან გასცა ბრძანება, მაგრამ ფორმალურად ეს იქნება დასამტკიცებელი. რაც შეეხება აფრასიძის საქმეს, აქ არსებობს მისი აღიარებითი ჩვენება“

## რა ბრალდებებს წაუყენებენ პრეზიდენტს მერაბიშვილის დაკითხვის შემდეგ

სწორად მოვიქეცით“, - აცხადებდა 2 წლის წინ მიხეილ სააკაშვილი.

2 წლის წინ ვერც სააკაშვილი და ვერც მერაბიშვილი, ალბათ, ვერ იფიქრებდნენ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ისე რადიკალურად შეიცვლებოდა, რომ გამოძიებას მათ მიმართ 26 მაისის დარბევის საქმეზე, თუნდაც კითხვები გაუჩნდებოდა.

მერაბიშვილის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს კობა დავითაშვილი 7 ნოემბრის აქციის დარბევის საქმეზეც, რომელზეც, სხვათა შორის, არსებობს უცხოელი ექსპერტების დასკვნა, რომ აკძალული იარაღი, „დუმ-დუმი“ იქნა გამოყენებული. გარდა ამისა, იმ დროისთვის კანონით აკრძალული იყო რეზინის ტყვიების გამოყენებაც, რაც 7 ნოემბრის შემდეგ საკანონმდებლო ცვლილებით შესაძლებელი გახდა.

დავითაშვილის განცხადებით, ქვეყანაში არასათანადო სისხლის სამართლის დევნა ხორციელდება.

**კობა დავითაშვილი:** „ქვეყანაში არასათანადო სისხლის სამართლის დევნა ხორციელდება, მე მაინტერესებს, რატომ არ ახსენებს მთავარი პროკურატურა 7 ნოემბერს? მერაბიშვილის ბრძანებით პოლიციამ გამოიყენა რეზინის ტყვიები. ეს არის დანაშაული, რომელსაც დიდი გამოძიებაც არ სჭირდება, ამიტომაც მივმართავ პროკურატურას, გვითხრას, რატომ არ შედის ამ ბრალეულობებში 7 ნოემბრის საქმე? მოვითხოვ განმარტებებს ამ ყველაფერთან დაკავშირებით“, - აცხადებს დავითაშვილი.

მერაბიშვილთან ერთად 7 ნოემბრის დარბევაზე პასუხისმგებლობა რომ სააკაშვილსაც შეეხება, ამის შესახებ იურისტი ლია მუხაშავრია საუბრობს:

**ლია მუხაშავრია:** „ეს არის მნიშვნელოვანი საქმე, სადაც თავმოყრილია სერიოზული დარღვევები. პირველ რიგში, საქართველოს მთავრობამ სერიოზულ საფრთხეში ჩააგდო ამ ადამიანების სიცოცხლე. მათ მიმართ გამოიყენეს საბრძოლო ტყვია - „დუმ-დუმი“, რომელიც გაეროს კონვენციის მიერ აკრძალულია და რომლითაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს უმძიმესი დაზიანებები მიაყენეს. უცხოელმა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ საქმე გვაქვს აკრძალულ იარაღთან, რომელიც ჩვენს ქვეყანაში, წესით, არ უნდა ყოფილიყო... აქ ლაპარაკია მათზე, ვინც დაგეგმა ოპერაცია და გასცა დარბევის ბრძანება, ანუ ხელისუფლების პირველ პირებზე. სპეცოპერაციისას შს სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული ძალების გამოყვანა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. ასე რომ, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილს ეს ნაბიჯი საკმაოდ ძვირი დაუჯდეს“.

2005 წელს განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე სააკაშვილის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა ბიზნესმენმა ვალერი გელაშვილმაც, თუმცა ამ თემაზე პროკურატურა ჯერჯერობით დუმს. არ არის გამორიცხული, მერაბიშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს, გელაშვილის ცემის ეპიზოდიც დაემატოს, რადგან ბიზნესმენის მტკიცებით, მასზე თავდასხმა პრეზიდენტის კაბინეტში დაიგეგმა და ამ პროცესს, მის გარდა, ორ სხვა პიროვნებასთან ერთად, ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი ესწრებოდნენ.

ჟვანიას საქმე, 7 ნოემბერი, „იმედის“ დარბევა და მიტაცება, 26 მაისი, ოქრუაშვილის დაპატიმრება, აფრასიძეების და გელაშვილის საქმეები, აგვისტოს ომი და ლაფანყურის სისხლიანი ოპერაცია – ეს ის ბრალდებებია, რომლებზეც შესაძლოა, პრეზიდენტს პასუხის გაცემა მოუწიოს, თუ ახალ ხელისუფლებაში ამ საქმეების რეალური გამოძიების ნება არსებობს – ასე ფიქრობენ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტები, თუმცა მეორე საკითხია, რამდენაც შეძლებენ ამ ბრალდებების იურიდიულ დასაბუთებას. კახა კუკავა პრეზიდენტის დაკითხვას, პირველ რიგში, აფრასიძეების საქმეზე მოითხოვს.

**კახა კუკავა:** „მე, მაგალითად, პროკურორი რომ ვიყო, მას აფრასიძეების საქმეზე დავკითხავდი, სადაც სააკაშვილის ბრალი ყველაზე უფრო გამოკვეთილი, რადგან არსებობს მისი აღიარება. მას ერთ-ერთ შეხვედრაზე, თუ არ ვცდები „რედისონის“ პრეზენტაციაზე, წამოსცდა, რომ პირადად მან გასცა ბრძანება და მიუთითა, რომ უნდა მომხდარიყო ლიკვიდაცია და არა დაკავება. დღესდღეობით ამ საქმეზე ყველაზე მეტად სააკაშვილის ბრალეულობა იკვეთება. გარდა ამისა, უნდა ესმოდეს პროკურორს და, ალბათ, იცის, რომ მიუხედავად ჩვენი შინაგანი რწმენისა, მთელ რიგ დანაშაულობებთან მიმართებაში, უნდა იყოს პირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ უშუალოდ სააკაშვილის მიერ იქნა განხორციელებული ესა თუ ის ქმედება, მაგალითად, ჩვენ ხომ დარწმუნებული ვართ, რომ 26 მაისს მან გასცა ბრძანება, მაგრამ ფორმალურად ეს იქნება დასამტკიცებელი. რაც შეეხება აფრასიძის საქმეს, აქ არსებობს მისი აღიარებითი ჩვენება.

**თეა წულუკიანი:** „პრეზიდენტმა თავად თქვა, რომ ბრძანება გავეციო. მისი სიტყვების ზუსტი ფორმულირება არ მახსოვს, მაგრამ თქვა, რომ ოპერაციის შესახებ ბრძანება პირადად გასცა. კონკრეტულად რისი ბრძანება გასცა, ვერ გეტყვით, მაგრამ ოპერაციის ჩატარების ბრძანება გავეციო, რომ ამბობს, ეს ცხადია, რაც ქმნის უპირობოდ იმის საფუძველს, რომ ამ გამონათქვამთან დაკავშირებით საზოგადოებამ პრეზიდენტს დაუსვას რამდენიმე შეკითხვა: რა ტიპის ბრძანება გასცა? რა პირობებში გაიცა ეს ბრძანება და რა დაავალა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს? ამ ტიპის ბრძანება კანონდარღვევად ვერ ჩაითვლება ბრმად და გამოუძიებლად. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ პრეზიდენტი ამბობს, ბრძანება მე გავეციო. აფრასიძეების საქმეზე მთავარია, გაირკვეს ის, ჰქონდა თუ არა სიცოცხლისთვის საშიშ გადამეტებას ადგილი. ამის მიხედვით ფასდება ხოლმე, დაირღვა თუ არა სიცოცხლის უფლება. თუ წარმოვიდგენთ, რომ აფრასიძეები საბრძოლველად გამოვიდნენ და მძიმედ შეიარაღებულ შინაგან საქმეთა მინისტრს შეიარაღებულები დაუპირისპირდნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, სიტუაცია სხვაგვარ შეფერილობას იძენს, მაგრამ, თუ დამტკიცდა ის, რაც საყოველთაოდ მუსირებს, რომ ევგენი აფრასიძე (რომელიც, ვეთანხმები პრეზიდენტს, არ იყო ანგელოზი) შვილიშვილთან ერთად ხელებაწეული გამოვიდა და მას დაუშინეს ტყვიების ჯერი და ჩაცხრილეს, ეს დანაშაულის შემცველი ქმედებაა“.

ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად პოლიტიკური ოპონენტები მიხეილ სააკაშვილს პრემიერ ჟვანიას გარდაცვალების საქმეს უყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ საქმის გახსნა რამდენჯერმე დაანონსდა, გამოძიება ჯერჯერობით დუმს, ისევე, როგორც ჟვანიას ოჯახის წევრები, რომლებმაც სასამართლოს არაობიექტურობის მიზეზით, საქმის დროებით გადადება გადაწყვიტეს. თუმცა არაა გამორიცხული, ჟვანიას თემა უახლოეს მომავალში ამოტივტივდეს, მით უმეტეს, რომ არჩილ კბილაშვილის მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთდა განცხადება, რომ საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთა. რამდენად უკავშირდება ეს გარემოებები ჟვანიას გარდაცვალების საქმეში სააკაშვილის მონაწილეობას, ამას პასუხი მას შემდეგ გაეცემა, რაც საქმე გახსნილად გამოცხადდება.

სააკაშვილის და ძველი ხელისუფლების ოპონენტები ბოლო რამდენიმე თვეა აქტიურად მსჯელობენ აგვისტოს ომის მოვლენების შესწავლასა და გამოძიებაზე. დღევანდელი ხელისუფლება აგვისტოს ომის შედეგებზე პასუხისმგებლობას სწორედ სააკაშვილს და მაშინდელ სახელისუფლებო ვერტიკალს აკისრებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ვანო მერაბიშვილიც არის, ამიტომაც გამორიცხული არ არის, გამოძიებამ მერაბიშვილი-სააკაშვილის წინააღმდეგ ეს თემაც გააჟღეროს.

**ბიძინა ივანიშვილი:** „უნდა გამოვიძიოთ და დავადგინოთ სიმართლე, რაც, დარწმუნებული ვარ, არავითარ შემთხვევაში არ დააზარალებს ჩვენი ქვეყნის იმიჯს და ვერაფერი შეეხება მის ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან, რაც არ უნდა ემოქმედა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, ეს არ ამართლებს რუსეთის აგრესიას. სიმართლის დადგენა აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის, მიუკერძოებელი გამოძიება დაასრულებს ომის თემით სპეკულაციებს, სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრება აამაღლებს საქართველოს ავტორიტეტს, მის სანდოობას. საჭიროა, პასუხი გაეცეს ბევრ კითხვას, რომელიც ომის თემაზე წინა ხელისუფლების მიმართ არსებობს - რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა, რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რამაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია, რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია, როგორ დარჩნენ მეთაურის გარეშე ჩვენი რეზერვისტები, რომლებიც შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს“, - ნათქვამია განცხადებაში. ბიძინა ივანიშვილის თქმით, დამთავრდა ის დრო, როდესაც სააკაშვილი თავად საზღვრავდა, ვის უნდა ეპასუხა ხალხისთვის მტკივნეულ კითხვებზე და ვის - არა.

და ბოლოს, ლაფანყურის ოპერაცია, რომელზეც ერთი თვის წინ პრემიერ-მინისტრმა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაშიც ისაუბრა. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციაზე მიმდინარე გამოძიების შედეგები შესაძლოა „შოკის მომგვრელი“ იყოს, თუმცა პერსონების დასახელებისგან თავი შეიკავა.

2012 წლის აგვისტოში ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებას ქართული სპეცსამსახურების 3 თანამშრომელი და შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი ემსხვერპლა. სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა თავის ანგარიშში ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებულ გარემოებებზე მიუთითა და განაცხადა, რომ ინციდენტის შესწავლისას გამოვლინდა ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ, რომ საქართველოს შსს-ის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა, აღჭურვა და გაწვრთნა შეტაკებაში მონაწილე შეიარაღებული დაჯგუფება.

ჟურნალისტის კითხვაზე – „ფიქრობთ, რომ შესაძლოა, მართლა იქამდე მივიდეს გამოძიება, რომ აღმოჩნდეს, საქართველოში, ფაქტობრივად, ტერორისტები გადიოდნენ რაიმე სახის მომზადებას?“, ივანიშვილის პასუხი ასეთი იყო: „მე მგონი, რომ შესაძლოა“.

„ომბუდსმენის გამონათქვამები მე შემიძლია მივიღო ძალიან რეალურად, მაგრამ არა დასტურად... დაველოდოთ გამოძიებას, გამოძიება დაწყებულია. რა თქმა უნდა, მეც დიდი ეჭვი მაქვს იმ საკითხებზე, რაც გამოითქვა ომბუდსმენის მიერ, მე ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ხდებოდა რეალობაში, მაგრამ თავს შევიკავებ. ალბათ, უახლოეს დროში გამოძიება დასრულდება და ჩვენ ძალიან ბევრ სიახლეს გავიგებთ. ძალიან ბევრს, მე მგონი, შოკისმომგვრელსაც კი, რომ ხელისუფლების მხრიდან თანამშრომლობა - ამაზე ეჭვებია - იგივე ბოევიკებთან და ტერორისტებთან იყო და ეს შოკისმომგვრელი იქნება, ჩემთვის პირადად, თუ ეს დადასტურდა... მთელი მსოფლიოსთვის“, - განაცხადა ერთი თვის წინ პრემიერმა.

„რატომ ვერ შეძლო სააკაშვილმა აშკარა პროვოკაციის თავიდან აცილება, როგორ მოქმედებდა მთავარსარდალი და მთავრობა, რატომ ერეოდნენ ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები სამხედრო ოპერაციის მართვაში, რამაც ქაოსი და არეულობა გამოიწვია, რატომ მოჰყვა ამხელა მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში, რატომ ვერ შეძლო მთავრობამ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა პრობლემები აქვს პოლ

# ნანა კაკაბაძე:

## „პრობლემები გვაქვს, მოვა დრო და ამაზე ვილაპარაკებ“



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან გამოშვებული მელორ ვაჩნაძე აქტიურობას წყვეტს და ჩრდილში გადადის. ის ამბობს, რომ მისი სახელით ხშირად სპეკულირებენ და, ნანა კაკაბაძესთან ერთად, არეულობების მოწყობაში სდებენ ბრალს.**

**„ჩემი მხრიდან არავითარი ჩართულობა არ იქნება, არც ერთ საპროტესტო აქციაში არ მივიღებ მონაწილეობას, გადავდივარ ჩრდილში, დამკვირვებლის რანგში შეიძლება მხოლოდ ინტერესის გამო მივიდე ნებისმიერ აქციაზე. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ინტერესის დაკმაყოფილება... მოვუწოდებ ხელისუფლებას, დამთავრდეს ჩემი მოხსენიება კრიმინალად და მოხდეს ნასამართლობის მოხსნა. თუ საქმის გამოძიების შემდეგ ჩემი ბრალეულობა აღმოჩნდა, მზად ვარ, თავიდან მოვიხადო ის სასჯელი, რასაც ვიხდიდი“, – აცხადებს ვაჩნაძე.**

როგორც ჩანს, ვაჩნაძე სამართალდამცველებთან პრობლემებს მოერიდა და სიტუაციას გაერიდა, თუმცა რეჟიმის გასამართლების ავანგარდში რჩება მისი თანამოაზრე ნანა კაკაბაძე. გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებას კაკაბაძის გადაჭარბებული აქტიურობა უკვე აღიზიანებს, რადგან პოლიცია მუდმივად მის მიერ ორგანიზებული აქციების დაშოშმინებას რეჟიმშია. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ნანა კაკაბაძე ადასტურებს, რომ მელორ ვაჩნაძეს სამართალდამცველებთან პრობლემები ნამდვილად ჰქონდა, თუმცა მის ტაიმ-აუტს გადაღლილობას უკავშირებს. პოლიტპატიმრების მთავარი დიასახლისი ამბობს, რომ მელორ ვაჩნაძეს პოლიცია სისტემატურად აჩერებდა და უმიზეზოდ აჯარიმებდა.

**– ქალბატონო ნანა, რატომ გაგემიჯნათ მელორ ვაჩნაძე?**

– მე ვიცი, რომ მელორი გადაღლილი იყო ამ პროცესებით. ყველა დაძაბული ვითარება მის სახელს ეწერებოდა. მაგალითად, 8 თებერვალს ის მხოლოდ გაშველებით იყო დაკავებული, ამის კადრებიც არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ იმას გაიძახოდა, რომ მელორი იყო შს მინისტრი და ის აძლევდა პოლიციას მითითებებს. ამას მოჰყვა სხვა უსიამოვნებები, პოლიცია მუდმივად აჩერებდა და აჯარიმებდა. ერთი სიტყვით, სასწაულები გადაიტანა. ათასობით ლარი ჯარიმა გვაქვს გადასახდელი. შემდეგ იყო კიდევ სხვა ღონისძიება, რომელიც, ასევე, მის სახელს დაუკავშირეს. ქუთაისში ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზეც კი მელორი რეალურად აბსოლუტურად განყენებულად წავიდა. საბოლოოდ, ამ აქციის ორგანიზატორადაც ის დაასახელეს. სამოქალაქო საზოგადოების მიზანი არის ის, რომ ხელისუფლება აიძულოს, სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღოს. რატომღაც ეს აღიქმება, როგორც რაიმე ტიპის ზეწოლა. სამართლიანობის აღდგენა არის ქართველი ხალხის დაკვეთა, თუ ჩვენ ამას ვაიძულებთ ხელისუფლებას, მხოლოდ მივესალმები, თუმცა მე ეს არ მიმიწერია საკუთარ თავზე და მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლებას ისედაც დაწყებული ჰქონდა პროცესები. უბრალოდ, ხდებოდა ამის გაჭიანურება.

**„ცდილობენ, რომ სხვა მიმართულებით გადაიტანონ ვექტორი და იძახონ, – „კაკაბაძე თავისი კრიმინალებით“**

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს ამ აქტიურობას შესაძლოა, მოჰყვეს რაიმე ტიპის რეაგირება, ან თუნდაც პროვოკაცია?**

– როგორ არ ვფიქრობ. ნაციონალები მუდმივად უკიჟინებენ ხელისუფლებას, – აი, შენ კაკაბაძე გმართავს! ეს ხდება იმიტომ, რომ ხელისუფლებას გაუჩინონ კომპლექსი, რათა დამიპირისპირდეს. ეს რთული არ იქნება, რადგან ხელისუფლებაში მოვიდა პოლიტიკურად აბსოლუტურად გამოუცდელი ხალხი. მათაც უჩნდებათ კომპლექსი, – ვაიმე, მართლა კაკაბაძე ხომ არ გვმართავსო. რა თქმა უნდა, პრობლემები შეიძლება შემექმნას და ეს პრობლემები უკვე მაქვს. ამ მომენტში ამაზე ლაპარაკის დრო არ არის, უბრალოდ. პრობლემები გვაქვს და მოვა დრო, ამაზე ვილაპარაკებ.



**„წარმოგიდგენიათ, რა დონემდე მიიყვანეს ხალხი მერაბიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა, რომ დღეს მათი დაკავებით ყველა ბედნიერია!“**

**– კარგით... ვანო მერაბიშვილის დაკავებას როგორ აფასებთ? კმაყოფილი ხართ სასამართლოს გადაწყვეტილებით?**

– მე საერთოდ არ მიხარია ადამიანების ციხეში ყოფნა, მაგრამ, თუ ქვეყანაში არსებობს სამართლიანობა, მიდგომა უნდა იყოს ერთნაირი. თუ ციხეები არსებობს და იქ უნდა იჯდნენ დამნაშავეები, მაშინ ვანო მერაბიშვილი და მისნაირები უნდა ისხდნენ ციხეში. თუ დანაშაული უნდა ეპატიოს ვინმეს, მაშინ რას ვერჩით იმ ადამიანებს, რომლებიც სასჯელს იხდიან? რა ჩაიდინეს იმ ადამიანებმა ვანო მერაბიშვილზე უარესი? როდესაც დანაშაულს სჩადის ხელისუფლება, ის ათმაგად მეტად არის პასუხისმგებელი. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მეტ-ნაკლებად სამართლიანია. ერთი მხრივ, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ვანო მერაბიშვილს, მაგრამ, მეორე მხრივ, ჭიაბერაშვილის წინასწარ პატიმრობაზე თქვა უარი. თქვენ ნახეთ, როგორ გაუჭირდა სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მიღება, რადგან ის ვერ გამოდის იმ ზეწოლიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან.

**– სასამართლოზე ზეწოლაში საზოგადოების ნაწილი, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ თქვენ გადანაშაულებთ... ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენ მიერ სასამართლო პროცესის პარალელურად ორგანიზებული საპროტესტო აქცია, იყო მოსამართლეზე ზეწოლის მცდელობა?**

– ერთი მხრივ, სასამართლოს წინ საზოგადოება პროტესტს აფიქსირებს, იქნება ეს ნაციონალების მხარდამჭერი თუ მოწინააღმდეგე, ეს არის





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## იციასთან ნანა კაკაბაძეს?

# მელორ ვაჩნაძე სიტუაციას გაერიდა




**მელორ ვაჩნაძე: „მოვუწოდებ ხელისუფლებას, დამთავრდეს ჩემი მოხსენიება კრიმინალად და მოხდეს ნასამართლობის მოხსნა“**

ნორმალური. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ქუთაისის სასამართლოსთან, პოლიტპატიმრების გარდა, იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, სხვადასხვა პრობლემებით დაზარალებულნი. საქართველოში ყოველთვის იყო მიმხრობა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც დაკავებულია, ან მის მიმართ სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს, მაგრამ გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ხალხი ასეთ სიტუაციაში მყოფი ვანო მერაბიშვილის ნახვამ გაახარა. ჩემს პრაქტიკაში არ მახსოვს ასეთი შემთხვევა. წარმოგიდგენიათ, რა დონემდე მიიყვანეს ხალხი მერაბიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა, რომ დღეს მათი დაკავებით ყველა ბედნიერია?! ეს კარგად უნდა გაიაზროს „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ქუთაისში მთელმა საქართველომ ვერ შეძლო მოსვლა, თორემ ინფორმაცია უფრო მეტი რომ ყოფილიყო, ზღვა ხალხი შეიკრიბებოდა. როდესაც ისინი ცდილობენ, რომ სხვა მიმართულებით გადაიტანონ ვექტორი და იძახონ, – „კაკაბაძე თავისი კრიმინალებით“, ამას საზოგადოება უკვე აღარ იჯერებს. ასეთი განცხადებები შეიძლება გათვლილი იყოს უცხოეთისთვის, სადაც მათ გაურკვეველი წარმომავლობის მფარველები კვლავაც ჰყავთ. დღეს ქვეყანაში მათ მხარდამჭერებად დარჩნენ მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც მათთან ერთად რაიმე ტიპის უკანონობაში მიუძღვით წვლილი.

**– იყო გამოთქმული მოსაზრებაც, რომ ნანა კაკაბაძე და მელორ ვაჩნაძე უდგენენ ხელისუფლებას დღის წესრიგს... რამდენად საფუძვლიანია ეს შეფასება, მით უმეტეს, სწორედ თქვენ მიერ სპორტის სასახლეში ორგანიზებული შეკრების შემდეგ, სადაც რეჟიმის გასამართლებას ითხოვდით, მოხდა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავება...**

– ნებისმიერი ორგანიზაციის სურვილი იქნებოდა, რომ ეს დაკავება საკუთარ თავზე მიეწერა, მაგრამ მე არ განვეკუთვნები ამ კატეგორიას. კარგა ხანია საუბრობენ ვანო მერაბიშვილის დაკავებაზე. შესაძლოა, ჩვენ მიერ ორგანიზებულმა ღონისძიებამ მერაბიშვილის დაკავება, უბრალოდ, დააჩქარა, რადგან დაინახეს საზოგადოების აზვირთება. როდესაც ნაციონალები საუბრობენ ჩემს გავლენებზე, ეს შემთხვევით არ ხდება. რეალობა ისაა, რომ არანაირი გავლენის მოხდენა არც კი მიცდია ხელისუფლებაზე. ერთადერთი თხოვნა მქონდა ის, რომ ჩვენი პოლიტპატიმრებისთვის დაებრუნებინათ მართვის მოწმობები, რომლებიც თავის დროზე უკანონოდ ჩამოართვეს. მაგრამ ესეც არ გააკეთეს. აგრეთვე, ვითხოვთ გრიფ „საიდუმლოს“ ახსნას მათ საქმეებზე, რასაც, ასევე, ვერ მივაღწიეთ. რომელ გავლენებზეა საუბარი? რაც შეეხება სპორტის სასახლეში გამართულ ღონისძიებას, ჩვენ არათუ მხარდაჭერა გვქონია, არამედ პირიქით. მე არ ვისაუბრებ ახლა, რა პრობლემებსა და რა წინააღმდეგობებს წავაწყდით ხელისუფლების მხრიდან, ამის შესახებ ინფორმაცია თქვენც, ჟურნალისტებსაც, გაქვთ. დადგება დრო, რომ ამაზე ღიად ვილაპარაკებ. 11 ათასზე მეტმა ადამიანმა გაიარა ამ ღონისძიებაზე რეგისტრაცია, იმათ აღარ ვთვლი, ვინც მოვიდა და წავიდა რეგისტრაციის გარეშე. „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ მთელი საქართველო გახდა კრიმინალი და წევრიანდებიან კრიმინალურ ორგანიზაციაში. ეს ხალხი ითხოვს ელემენტარულს – აღდგეს სამართლიანობა და გასამართლდეს რეჟიმი. გაიაროს საყვარელიძემ ქუჩაში და გავივლი მეც, ნახოს, რა მოხდება და ვის როგორ შეხვდება ხალხი. აი, ასეთი მასობრივი სიძულვილი დათესეს მათ. ვნახოთ რეაქციები, მე ხომ კრიმინალური ბანდა მყავს და მაგათ ანგელოზებით დაკომპლექტებული პარტია.

**– მასე თენგიზ კიტოვანიც დადის დღეს ქუჩაში და შეიძლება აგრესია არც მის მიმართ გამოხატოს ვინმემ... სხვათა შორის, ის სპორტის სასახლეში თქვენს ღონისძიებასაც ესწრებოდა და ასევე ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას... როდესაც რეჟიმის გასამართლებაზე საუბრობთ, არ გიფიქრიათ, რომ ჯერ თენგიზ კიტოვანით დაგეწყოთ?**

– ჩემთვის ძალიან ბევრი პერიოდია, რომელიც გასამართლებას იმსახურებს. პირადად შემეხო საბჭოთა პერიოდი, როდესაც პოლიტპატიმარი ვიყავი, მაგრამ დღეს იმ პერიოდის გასამართლება რომ მოვითხოვო, ცოტა არასერიოზულია. ამიტომ ეს არც კი მიფიქრია. ჯერ ერთი, ყველაფერს აქვს თავისი ხანგრძლივობა. თუ კომუნისტური რეჟიმი გასასამართლებელი იყო, ეს უნდა ექნა გამსახურდიას მმართველობას; თუ გამსახურდიას ხელისუფლება იყო გასასამართლებელი, შევარდნაძეს უნდა გაესამართლებინა. თუ შევარდნაძის რეჟიმი იყო გასასამართლებელი, როდესაც სააკაშვილი მოვიდა და იძახდა, უნდა დავამხო და დავასრულოო, გაესამართლებინა მაშინ. მაგრამ მან ეს არ ჩათვალა საჭიროდ. დღეს ამ ყველა რეჟიმისგან საზოგადოებას ყველაზე აგრესიული დამოკიდებულება აქვს სააკაშვილის რეჟიმის მიმართ. ამათი მტკიცებულებები ხელისუფლებას პირდაპირ წინ უდევს.

**– უკაცრავად, მაგრამ კიტოვანთან დაკავშირებით არ არის მტკიცებულებები? მაშინ პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ ხალხს...**

– და მერე რატომ არ გაასამართლა ის სააკაშვილმა.

**– მოგეთხოვათ მაშინაც, როგორც დღეს ითხოვთ...**

– მე სააკაშვილის რეჟიმთან არასდროს მითანამშრომლია. მას არ ჰქონია დაპირება, სამართლიანობას აღვადგენო, ამ ხელისუფლებას ჰქონდა ეს დაპირება და ვალდებულია, შეასრულოს.

**„არანაირი გავლენის მოხდენა არც კი მიცდია ხელისუფლებაზე“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „პუტინმა ბურჯანაძე იმიტომ მიიღო, რომ ის არის პოლიტიკოსი და საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან კარგი სახელი აქვს“

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ნინო ბურჯანაძე მზად არის, ნაციონალებთან ბრძოლაში ჩაებას. მართალია, ორივე ძალა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, მაგრამ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ზუსტად იცის, რომ ივანიშვილს ვერ მოუგებს. შესაბამისად, ის მეორე ადგილის დასაკავებლად ყველაფერს გააკეთებს. ამ გზაზე კი თვლის, რომ ხელს სწორედ ნაციონალები შეუშლიან. „სახალხო კრების“ წევრებმა დაახლოებით იციან, რა ტიპის შავი კამპანია აგორდება პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის წინააღმდეგ. ნონა გაფრინდაშვილის განცხადებით, კრების რჩეულს ყველაფერზე მზად აქვს პასუხი და თავდაცვისთვის მზად არის. ბურჯანაძის მთავარი „კოზირი“ მაინც 26 მაისი იქნება. ისე, ეს დღე, დიდი წარმატებით, თვით ნანა კაკაბაძემაც კი გამოიყენა და რეალურმა ავტორმა რომ გამოიყენოს, არც იქნება გასაკვირი. თანაც „კრებაში“ უკვე აკეთებენ მინიშნებას, რომ გავრცელებულ კადრებზე ბევრად უფრო მძიმე კადრები თავად აქვთ...**



## სხვათა შორის, დღევანდელ ხელისუფლებაში ქალბატონი ნინოს ძალიან ბევრი კადრია

EXCLUSIVE

## ნონა გაფრინდაშვილი: „ვადამდელ არჩევნებს მეც მივესალმები, მაგრამ ჩვენ ამის გამო პრობლემას არ შევქმნით“

**ნონა გაფრინდაშვილი, „სახალხო კრების“ ლიდერი:**

– გაცილებით მძიმე კადრები გვაქვს ჩვენ, ბევრად სასწაული კოლაჟი გვქონდა. ამ კადრებს გამოძიებაც კი არ სჭირდება, მტკიცებულებებია პირდაპირ.

**– თქვენი მთავარი მოთხოვნა, როგორც ვხვდები, სწორედ 26 მაისის გამოძიება და კონკრეტული პირების დასჯაა...**

– ყველას დასჯა, ვინც გასცა ბრძანება, ვინც შეასრულა და ვინც ასრულებინებდა ამ დავალებას. ასევე, ვინც ყველაზე სასტიკი იყო აღსრულებაში – ყველამ უნდა აგოს პასუხი. სხვა საკითხია, მაგრამ, როდესაც 17 მაისს უმცირესობამ აქცია მოაწყო, უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მართალია, უმრავლესობის ზოგიერთმა წევრმა ისეთი განცხადება გააკეთა, რომელსაც პირადად მე არ ვეთანხმები და არ მომეწონა (საერთოდ, ძალადობის წინააღმდეგი ვარ), მაგრამ, როცა საზოგადოების ორი ნაწილი ერთმანეთს უპირისპირდება, პატარა დენთიც კი საკმარისია და ადამიანი ველარ თოკავს საკუთარ ემოციებს. კი ბატონო, შეარჩიონ კანონდამრღვევები და დასაჯონ, მაგრამ რატომ მოხდა ისე, რომ ეს საკითხი ორი კვირა არ ჩამოვიდა ახალი ამბებიდან, უამრავი სამართალდამცავი გამოჩნდა... 26 მაისს ჩვენ რაც გაგვიკეთეს, ქვეყნის მტრად და რუსეთის აგენტებად გამოგვაცხადეს. რა, მე ვარ რუსეთის აგენტი?

**– კითხვები ჩნდებოდა ნინო ბურჯანაძის მიმართ...**

– რატომ? იმიტომ რომ ჩავიდა და პუტინს დაელაპარაკა? ძალიანაც კარგი ქნა, რომ ჩავიდა და დაელაპარაკა. რომ არ ელაპარაკებოდნენ წინა ხელისუფლების წევრები, იმიტომ მიიღეს ისეთი შედეგი. ესეც რომ არა, სააკაშვილმა რამდენჯერ განაცხადა, მზად ვარ, პუტინს უპირობოდ შევხვდეო. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მუდამ რუსეთის საქმეს აკეთებდნენ, მაგრამ პუტინმა სააკაშვილი არ მიიღო, ბურჯანაძისგან განსხვავებით. პუტინმა ბურჯანაძე იმიტომ მიიღო, რომ ის არის პოლიტიკოსი და მართალია, მაშინ ბურჯანაძეს ძალაუფლება არ ჰქონდა, მაგრამ მიიწვიეს, რადგან ნინოს საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან კარგი სახელი აქვს, პროტოკოლი იცის, იცის, როგორ მოიქცეს, როგორ წარმართოს შეხვედრა.

**– იქნებ იმიტომ მიიღო, რომ პუტინისთვის ნინო ბურჯანაძე ადვილი დასაყოლიებელი იყო... შემსრულებელი?**

– ბოდიშს გიხდით, რა შეასრულა? პირიქით, ძალიან ბევრი საქმე გააკეთა ქვეყნისთვის. როცა ერთ-ერთ ეკლესიაზე იყო საუბარი და ბურჯანაძე რუსეთის პატრიარქს შეხვდა, მან უთხრა, მომწეროს თქვენმა შესაბამისმა უწყებამ და მივხედავთ ამ ეკლესიასო. საგარეო საქმეთა სამინისტრომ წერილი არ გაგზავნა იმისთვის, რომ ეკლესიას დახმარებოდნენ. გარდა ამისა, პუტინი შეხვედრამდე სხვანაირად საუბრობდა. ამბობდა, რომ შეხვედრას არანაირი აზრი არ ჰქონდა, თუმცა უკვე შეხვედრის შემდეგ სხვანაირად ალაპარაკდა. თუ კონტაქტები არ იქნება, არაფერი მოგვარდება. გიგა ბოკერია და სხვა ლიდერები, გგონიათ, არ დაძვრებოდნენ და არ ხვდებოდნენ რუსეთის ლიდერებს? ამიტომ წყნარად იყვნენ, სჯობია... ახლა რომ გამოდიან ნაციონალების წარმომადგენლები და აცხადებენ, 17 მაისს მომხდარ ძალადობაზე ყველამ პასუხი უნდა აგოსო, რომელმა მათგანმა დაგვიცვა ჩვენ 26 მაისს? სინანულიც კი არ გამოუხატავთ. 26 მაისი საქართველოს ისტორიაში შევა არა როგორც ლაქა, არამედ როგორც შავი დღე, რადგან ხელისუფლებამ სასაკლაო მოაწყო. მაშინ როცა ჩვენ უკვე სანთლები გვქონდა ანთებული და „უცნობი“ კონცერტისთვის ემზადებოდა, დამოუკიდებლობის დღე უნდა გვეზეიმა... რაც მაშინ ნაციონალებმა გააკეთეს, რუსეთს არ გაუკეთებია 9 აპრილს.

**– თუ ხელისუფლება არ გამოიძიებს...**

– ხელისუფლებასა და პირადად ბიძინა ივანიშვილზე დიდია საერთაშორისო ზეწოლა. ეს კოჰაბიტაცია არის იძულებითი პროცესი, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება აძალებს ივანიშვილს. ჩემი ნდობა ბატონი ბიძინასადმი ყოველთვის დარჩება ისეთივე, როგორიც ახლაა. თუ არ მოხდება გამოძიება, მაშინ ხალხი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ხალხი დასჯის ნაციონალებს. მაგრამ მიკვირს, უგულავა გაუშვეს, მით უმეტეს უკაპიკოდ... მაშინ როცა ჩვენი აქტივისტები მხოლოდ აქტივისტობის გამო დააკავეს. ბრალეულობა კი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ჩაუწერეს. თუმცა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ უნდა გაუწიოს წინააღმდეგობა ცარიელი ხელებით, მაშინ როცა ადამიანი სახლში მიდის. 4-დან 12-წლამდე ჰქონდათ მისჯილი. მაგრამ მჯერა, რომ ეს ხელისუფლება დამნაშავეებს დასჯის. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილზე დიდი ადამიანი თუ არსებობს. ახალმა ხელისუფლებამ თავისივე მინისტრის მოადგილე დააკავა, როცა დანაშაული ჩაიდინა. ამიტომ მჯერა. თანაც ახალ ხელისუფლებას მოუწევს, გაითვალისწინოს ხალხის მოთხოვნა.

**– ფიქრობთ, რომ პოლიტპატიმრები ნინო ბურჯანაძეს დაუჭერენ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებში?**

– მე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას ამაზე. იგივე პოლიტპატიმრები უჭერდნენ მხარს არჩევნებში ბიძინა ივანიშვილს. მხოლოდ ივანიშვილის მხარდაჭერით გავიდა კოალიცია, თორემ პარტიებს ძალიან უჭირდათ. განსაკუთრებით ძნელი იყო მაჟორიტარების შემთხვევაში. „ქართულ ოცნებას“ ჩვენ ვაიგივებთ ივანიშვილთან. ჩვენთვის „ქართული ოცნება“ არ არის დანარჩენი კოალიცია, ცალკეული ადამიანების გარდა. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვაყენებთ ბურჯანაძის კანდიდატურას, რომ გვჯერა, ეს იქნება ქვეყნისთვის ძალიან კარგი. მესმის, რომ ბიძინა ივანიშვილის კანდიდატი ნორმალურია და ასე შემდეგ, მაგრამ ვფიქრობ, რომ კარგი იქნება ნინო ბურჯანაძის გამარჯვება. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არ იქნება დაპირისპირება. უშუალოდ ბატონი ბიძინას ინტერესში უნდა შედიოდეს, რომ საქართველოს ჰყავდეს პრეზიდენტი, რომელიც განსაკუთრებით საერთაშორისო ასპარეზზე იქნება წარმატებული.

**– თქვენ ამბობთ, რომ ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო კანდიდატობა შეავსებს და დააბალანსებს „ოცნებას“... ოპონენტები ერთმანეთს როგორ შეავსებენ?**

– ნამდვილად ასე იქნება. ვისაც პრეზიდენტად აირჩევენ, იმას ეცოდინება, რომ პირველი პირი პრემიერია. პრეზიდენტი პრემიერის საქმიანობაში ვერ ჩაერევა. მოსაზრებებს ერთმანეთს გაუზიარებენ, მაგრამ ჩარევით ვერ ჩაერევა.

**– თქვენ ამბობთ, რომ ნინო ბურჯანაძე „ოცნების“ კანდიდატს ხმებს არ წაართმევს საპრეზიდენტო არჩევნებში?**

– მუდმივი არაფერია და თან ჩვენ არც მოვიაზრებით სხვა მხარედ. ნინო ბურჯანაძე კოალიციაში რომ არ არის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის სხვაგან არის. ჩვენ კოალიციაში არ ვართ იმიტომ, რომ იქ არიან ადამიანები, რომლებსაც კონკურენციის ეშინოდათ და ყველაფერი გააკეთეს, რომ ბურჯანაძე იქ არ აღმოჩენილიყო. „ქართული ოცნების“ ელექტორატი ვიყავით ჩვენც, ამიტომ ძალიან ძნელია ამაზე საუბარი. ფაქტია, რომ ნაციონალები ბრძოლას დაიწყებენ ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ. მათი მიზანი ახლა არის მეორე ადგილის აღება არჩევნებში.

**– რომ არა რესპუბლიკელები, ბურჯანაძე იქნებოდა კოალიციაში?**

– არ დავაკონკრეტებ, რადგან იქ, რესპუბლიკელების გარდა, სხვებიც იყვნენ.

**– ბურჯანაძემ შესთავაზა საკუთარი კანდიდატურა ივანიშვილს?**

– არა, არ შეუთავაზებია. ივანიშვილმა დაასახელა თავისი რჩეული. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მარგველაშვილი განსაკუთრებით საერთაშორისო საკითხებში... ბურჯანაძე, რა თქმა უნდა, სხვა წონაა. ამ წონას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ივანიშვილმა ალიანსი ვისთანაც შექმნა, ვინც გამოარჩია, პატივს სცემს, ერთგულებაც არის... ეს ბატონი ბიძინასთვის მნიშვნელოვანია.

**– ივანიშვილმა რომ სთხოვოს ბურჯანაძეს, კანდიდატურას მოხსნის?**

– ივანიშვილი ამას არ გააკეთებს. ეს არ არის საპარლამენტო არჩევნები. გარკვეულ ეტაპზე იყო მოსაზრება, რომ ნინო ბურჯანაძე თავისი პარტიით მიეღოთ, შემდგარიყო ალიანსი და სწორედ ნაციონალების საპირწონედ წარმოდგენილიყო, მაგრამ ბატონი ბიძინას ხედვა იყო, რომ ამას შეიძლებოდა ხმები გაეყო... ჩვენ არც რესურსი გვქონდა, ხმებსაც თავისი დაცვა უნდა. ეს მოსაზრება ჩვენთვის გასაგები გახდა, ავწონ-დავწონეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ერთმანეთს ხელს არ შევუშლიდით. სხვათა შორის, დღევანდელ ხელისუფლებაში ქალბატონი ნინოს ძალიან ბევრი კადრია.

**– ვადამდელი არჩევნები პოლიტპატიმრების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, ეთანხმებით მათ მოთხოვნას?**

– ვადამდელ არჩევნებს მეც მივესალმები, მაგრამ ჩვენ ამის გამო პრობლემას არ შევქმნით. მივესალმებით იმიტომ, რომ, როცა ყველაფერი ჩაწყნარდება და არჩევნები ჩატარდება, ის მართლაც დემოკრატიული არჩევნები იქნება. არსებობს აბსოლუტური გარანტია, რომ ახალი ხელისუფლება არ ჩართავს არჩევნებში ძალოვან სტრუქტურებს. მე ამის მწამს. მაგრამ საქართველოში არ წავა დემოკრატიული პროცესები, თუ ვიღაცები არ დაისჯებიან.

**– როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძეს აქვს შანსი გამარჯვების?**

– ვფიქრობ, ბურჯანაძეს ძალიან სერიოზული შანსები ექნება, თუ მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის ფაქტორმა არ გადაწონა. მაგრამ ყველამ იცის, რომ მთავარი პირი ივანიშვილია, მუსიკას მაინც ის შეუკვეთს. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი შანსი მაინც ბატონ ბიძინას აქვს.

**„ქართულ ოცნებას“ ჩვენ ვაიგივებთ ივანიშვილთან. ჩვენთვის „ქართული ოცნება“ არ არის დანარჩენი კოალიცია“**

**„თუ არ მოხდება გამოძიება, მაშინ ხალხი მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას. ხალხი დასჯის ნაციონალებს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კახა კუკავამ ბურჯანაძეს ერთობა ჩაუშალა?



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

არასაპარლამენტო ოპოზიცია ყოველთვის წარუმატებელი იყო და დიდი შანსია, ახლაც იგივე გზას დაადგეს. არც ერთ ეტაპზე, არასდროს, არც ერთ ერთობას რეალური წინააღმდეგობა არ გაუწევია ხელისუფლებისთვის. სერიოზული პრობლემებიც კი არ შეუქმნია. არა იმიტომ, რომ ამის უნარი არ ჰქონდა, უბრალოდ, ვერასოდეს ახერხებდა კონსოლიდირებას. ზუსტად იმდენჯერ დამარცხდნენ, რამდენჯერაც ხელისუფლების დამარცხება სცადეს, და დამარცხდნენ ერთადერთი მიზეზის გამო – ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ. ეჭვიანობის გარდა, იყო შურის მომენტიც. არც ერთს არ სურდა, რომელიმე მათგანს წინ წაეწია. წინ, ანუ წარმატებისკენ. როგორც კი რომელიმეს რეიტინგი მაჩანჩალას სტატუსს ასცდებოდა, მაშინვე იწყებოდა მის წინააღმდეგ ბრძოლა. ხელისუფლებაში მყოფი ძალა ამ დროს ყოველთვის მაყურებლის როლში იყო. რამდენად მოახერხებს დღევანდელი ხელისუფლება მხოლოდ მაყურებლის როლის შესრულებას, ამის პროგნოზირება ძნელია, თუმცა ფაქტია, რომ რადიკალებად წოდებულ ძალას იგივე პრობლემები აქვს: ისინი ისევ ვერ ახერხებენ შეთანხმებას. კონსულტაციები მათთვის კვლავაც გადარჩენის ერთადერთი გზაა, რომელსაც დაუსრულებლად აანონსებენ. რეალურად კი ვაჭრობა მიდის. ზუსტად ისე, როგორც ეს ადრე ხდებოდა. უკვე ხელისუფლებაში მყოფმა ძველმა რადიკალმა ერთხელ გულწრფელად აღიარა: როცა ვამბობთ, რომ კონსულტაციები მიმდინარეობს, ხშირად ერთმანეთს არც კი ვხვდებითო...

დღეს რადიკალებიდან ყველაზე მეტად ჯონდი ბაღათურია და კახა კუკავა აქტიურობენ. ორივე ადასტურებს, რომ გაერთიანების თემაზე კონსულტაციობენ, თუმცა დამოუკიდებლად. ანუ ჯონდი სხვა ნაწილის დათანხმებას ცდილობს, კახა კი აბსოლუტურად სხვას ითანხმებს. არც ერთი მათგანი არ აკონკრეტებს, რომელ ძალას ელაპარაკება.



„კონსულტაციების პროცესი გრძელდება, რადგან კანდიდატმა, რომლის მიმართაც არსებობდა საზოგადოების ნდობა, უარი განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე“

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:**

– მთავარი პრინციპი არის ახალი ალტერნატიული ძალის შექმნა. მე ძალიან დაბალ ალბათობას ვხედავ, რომ ამ ორიდან ერთ ძალასთან არ შედგეს შეთანხმება. პირადად მეც და კახა კუკავაც მზად ვართ მაქსიმალურ კომპრომისებზე იმის ფასად, რომ ქვეყანაში გაჩნდეს ალტერნატიული ძალა. თუ ერთობა ვერ შედგება რომელიმე კონკრეტული ძალის მხრიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძალა დღევანდელ მოცემულობაში ბრძოლისთვის მზად არ არის. ჩვენ ძალიან გვჭირდება აპოლიტიკური სივრციდან ერის ღირსეული შვილების ჩაბმა პოლიტიკაში.

**– ნინო ბურჯანაძესთან აწარმოებთ კონსულტაციებს?**

– ბურჯანაძე არის პოლიტიკაში. ჩვენ ბურჯანაძესთან გვაქვს პირადი ურთიერთობები, ვფიქრობ, რომ ის საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია და აქვს სერიოზულ პროცესებში მონაწილეობის მიღების სურვილი.

**– ფიქრობთ, რომ ბურჯანაძე შეძლებს მესამე ძალად ჩამოყალიბებას?**

– საქართველოში დღეს არიან ძალები, რომლებსაც შესწევთ უნარი, შექმნან მესამე ძალა და გააკონტროლონ და დააბალანსონ „ქართული ოცნება“. ამიტომ ეს ძალები ვალდებულები არიან, გაერთიანდნენ.

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად მოახერხებთ ერთი კანდიდატის, ერთი ლიდერის ირგვლივ გაერთიანებას?**

– ვვარაუდობ, რომ ოპოზიციის ძირითადი, სერიოზული ნაწილი შეძლებს, გაერთიანდეს და საპრეზიდენტო არჩევნებზე გამოკვეთოს ისეთ ლიდერი, რომელიც გამარჯვებაზე იქნება ორიენტირებული.

ამ ძალის საოცნებო საპრეზიდენტო კანდიდატი ლევან ვასაძეა. მართალია, ვასაძემ განაცხადა, რომ პოლიტიკაში ჩართვას არ აპირებს, მაგრამ ამ ლოგიკით შორს ვერ წავალთ. ზუსტად ასეთივე ისტორია მოყვა ივანიშვილმა თავის პირველ პოლიტიკურ წერილში... ყველას გვახსოვს, როგორ ემზადებოდა მისი თვითმფრინავი საქართველოდან გასაფრენად, რომელშიც თავად ბიზნესმენი იჯდა და როგორ დაამუხრუჭა ის ერთმა ზარმა. უტა ივანიშვილმა მამას კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს გადასარჩენად ბრძოლის დაწყება... მერე უკვე ყველამ ვიცით, როგორც განვითარდა მოვლენები. შესაბამისად, არასწორი იქნება, გამოვრიცხოთ შანსი, რომ ლევან ვასაძესაც გაუჩნდეს ისტორია, რომლითაც ის პოლიტიკაში ჩართვის სურვილს აგვიხსნის...

**ლევან ვასაძის პოლიტიკაში ჩართვას კახა კუკავაც ელოდება:**

– თუ ლევან ვასაძე მიიღებს გადაწყვეტილებას, შემიძლია განვაცხადო არა მარტო ჩემი, არამედ 5-6 არასაპარლამენტო ძალის სახელით, რომ ის მიიღებს მყისიერ თანხმობას ჩვენი მხრიდან. დარწმუნებული ვარ, ასეთივე თანხმობას მიიღებს ქართული მოსახლეობის 50%-ს პლუს ერთი ამომრჩევლისგან. გაერთიანებაზე კონსულტაციები დასრულებული არ არის, ის მიმდინარეობს. ჩვენი თვითმიზანი არ არის, გვყავდეს საპრეზიდენტო კანდიდატი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა შევარჩიოთ ისეთი კანდიდატი, რომელიც მისაღები იქნება არა ერთი, არამედ რამდენიმე პოლიტიკური ძალისთვის. ვფიქრობ, დღეს ჩვენი საზოგადოება ითხოვს ეროვნული ფასეულობების დაცვას და სოციალურ თანასწორობას. ამიტომ კანდიდატი, რომელსაც არასაპარლამენტო ოპოზიცია წარადგენს, სწორედ ამ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ის უნდა ასოცირდებოდეს ეროვნული ღირებულებების დაცვასთან და უნდა შეძლოს შევარდნაძისა და სააკაშვილის პერიოდში შექმნილი მონოპოლიების დანგრევა. კონსულტაციების პროცესი გრძელდება, რადგან კანდიდატმა, რომლის მიმართაც არსებობდა საზოგადოების ნდობა, უარი განაცხადა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე.

ზოგი ჯერ მოლოდინშია, ზოგიც უკვე ჩამოყალიბდა. „სახალხო კრებამ“ ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა უკვე წამოაყენა, თუმცა, პოლიტიკური პარტიებიდან მისი კანდიდატურისთვის მხარი ჯერ არავის დაუჭერია.

**ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრების“ ლიდერი:**

– ვფიქრობ, რომ დღეს ყველაზე სერიოზულ საპრეზიდენტო კანდიდატს სწორედ ნინო ბურჯანაძე წარმოადგენს. დღევანდელ სპექტრში უფრო ძლიერ კანდიდატს ვერ ვხედავ.

**– მარგველაშვილსაც გულისხმობთ ამ სპექტრში?**

– მარგველაშვილს დიდი ხანია ვიცნობ, ძალიან კარგი და განათლებული პიროვნებაა. მაგრამ მარგველაშვილი, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, ძლიერია იმდენად, რამდენადაც ის არის ბიძინა ივანიშვილის მიერ დაყენებული. ვაღიაროთ სიმართლე, ეს არის რეალობა. სიძლიერის მიხედვით ყველაზე ძლიერი სწორედ ბურჯანაძეა. მას კონკურენციას ვერავინ გაუწევდა, ამიტომ ვფიქრობ, მთავარი ბრძოლა იქნება სწორედ ნინო ბურჯანაძესა და გიორგი მარგველაშვილს შორის. ქვეყანას დღეს სწორედ ბურჯანაძის მსგავსი პრეზიდენტი სჭირდება. ბურჯანაძეს სურს, დაეხმაროს ივანიშვილის მთავრობას ქვეყნის გარეთაც და შიგნითაც.

როგორც ირკვევა, გარკვეული ძალები ნინო ბურჯანაძის ირგვლივ ერთი დიდი ერთობის ჩასაშლელად პოლიტიკურ ხრიკებსაც მიმართავენ. გავრცელებული ინფორმაციით, ბურჯანაძეს მოლაპარაკებები ჰქონდა ქრისტიან-დემოკრატებთან და ლეიბორისტებთან. შეხვედრების სერიებს ესწრებოდა კახა კუკავაც, რომელმაც ძლივს დაძრულ პროცესს ერთი ნაბიჯით მოუღო ბოლო. მან კონსულტაციების მორიგ რაუნდზე გაერთიანების კიდევ ერთი მსურველი ძალა მიიყვანა – სოსო შატბერაშვილი. შატბერაშვილი ნათელაშვილისთვის მოღალატესთან ასოცირდება. შესაბამისად, მის დანახვაზე შალვას ადეკვატური რეაქცია ჰქონდა და ერთობაზე საუბარი იქვე დასრულდა. ამით კუკავამ საკუთარი პოზიციაც დააფიქსირა და ნინო ბურჯანაძის ყველანაირ ოცნებასაც ბოლო მოუღო. კუკავამ აღნიშნული ინციდენტი უარყო და განაცხადა, რომ ამ ძალებთან არათუ შეხვედრა, კონსულტაციებიც კი არ ჰქონია... რატომ არ უჭერს კუკავა ბურჯანაძის კანდიდატურას მხარს? წესით, მათ პოლიტიკურ შეხედულებებში დიდი სხვაობა არ უნდა იყოს. ორივე ძალა რუსული ინტერესებისკენ იხრება. ერთი მხრივ, ცნობილია ბურჯანაძის მოსკოვური ვოიაჟები და მეორე მხრივ, კუკავას ურთიერთობები ონიშჩენკოსთან. ერთადერთი მიზეზი შეიძლება სხვა ლიდერი იყოს. როგორც ჩანს, არასაპარლამენტო ოპოზიციის მიმართ, ბურჯანაძის გარდა, სხვასაც აქვს ინტერესი და ის შესაძლოა, სალომე ზურაბიშვილიც კი გახდეს. „იმედთან“ საუბარში ზურაბიშვილმა საკუთარი მზაობა უკვე დააფიქსირა: ვნახოთ, როგორი იქნება საზოგადოების შეთავაზებაო. ასე რომ, ნინო ბურჯანაძეს უალტერნატივოს სტატუსი შესაძლოა, სწორედ სალომემ ჩამოართვას.

„ქვეყანას დღეს სწორედ ბურჯანაძის მსგავსი პრეზიდენტი სჭირდება...“





სალომე ზურაბიშვილმა უკვე ღიად დაარტყა კოალიციის ლიდერს და მისი მთავარი მინუსი, უკვე როგორც ყოფილმა პარტნიორმა, გაზეთ „ვერსიასთან“ დააფიქსირა.

**სალომე ზურაბიშვილი:**

– ის თვისებები, რაზეც მარგველაშვილმა საკუთარი თავის შეფასებისას ისაუბრა, მომავალი პრეზიდენტისთვის ყველაზე პრობლემატურად მეჩვენება. ქვეყანას დღეს არ სჭირდება ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვებს, რომ მმართველ გუნდს წარმოადგენს და სხვა კრიტერიუმები, გარდა პრემიერის ფავორიტობისა, არ გააჩნია. მაინტერესებს, პიროვნებამ, რომელსაც კონცეფცია, ძალა, კომპეტენცია არა აქვს, საკუთარი ლეგიტიმურობა რაზე უნდა დააყრდნოს? კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება პრემიერის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის ფორმა, ანუ ხაზგასმა მეგობრულ ურთიერთობებზე, ხელის გადახვევა... მიუხედავად იმისა, რომ მომავალ პრეზიდენტს სააკაშვილთან შედარებით შეზღუდული უფლებები ექნება, ის მაინც ხალხის მიერ არჩეულ ფიგურად რჩება. მთავარი პრემიერის სიმპათია და გუნდის წევრობაა. სხვა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანია. რაც, ფაქტობრივად, იმაზე მიუთითებს, რომ ამომრჩევლის აზრს მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. ნუთუ, იმისთვის ვიბრძოდით ამდენი წელი, რომ მნიშვნელობაწართმეული, გამოფიტული არჩევნები დაგვებრუნებინა?

სალომე ზურაბიშვილი საკუთარი განცხადებებით საბოლოოდ გაემიჯნა „ქართულ ოცნებას“. როგორც ამბობენ, ის დარწმუნებული იყო, რომ ივანიშვილის რჩეული სწორედ თავად გახდებოდა. ამიტომ კოალიციის კარი საკმაოდ გაღიზიანებულმა გამოიხურა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დუშეთის ხევის ნაგავსაყრელმა შესაძლოა,

**my View**
თამარ გორთამაშვილი

# დუშეთი ანტისანიტარიას ველარ ებრძვის



## გამგებელი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს

**ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, პრობლემა, რომელიც დუშეთის რაიონის მოსახლეობის წინაშე წლებია, დგას, კიდევ უფრო მწვავდება. დუშეთის ხევში არსებული ნაგავსაყრელი სულ უფრო დიდ ტერიტორიას იკავებს და მდინარეს, რომელიც არაგვში ჩაედინება, დაბინძნურების საფრთხეს უქმნის. ნაგვის ლპობისგან გამოჟონილი წყალი ნიადაგში ხვდება, საიდანაც ადვილი შესაძლებელია, მდინარის წყალს შეერიოს. გარდა ამისა, ტერიტორია სავსეა მღრღნელებით, ქვეწარმავლებითა და მწერებით, რომლებიც სხვადასხვა დაავადებების გადამტანია, მით უფრო ზაფხულში, როცა ტემპერატურა მაღლა იწევს და დაყრილი ნარჩენები მზის გულზე ლპება. პრობლემას მთელი სიმწვავით, გარემოს დამცველების გარდა, დუშეთის გამგებელიც აყენებს და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს, ნაგავსაყრელისთვის ალტერნატიული ფართის მოძიებისა და სპეციალური ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის.**

„პრაიმტაიმი" დუშეთის ხევში არსებულ ამ მრავალწლიან პრობლემას ადგილზე გაეცნო, სადაც საკმაოდ მძიმე სურათი დაგვხვდა. ფერდობის ძირში, სადაც რამდენიმე რაიონული ცენტრის ნაგავი იყრება, პატარა მდინარე ჩამოედინება, რომელიც არაგვს უერთდება. მიუხედავად იმისა, რომ წყლის სპეციალისტები სასმელი წყლის დაბინძურების საფრთხეს ამ ეტაპზე ვერ ხედავენ, დუშეთის გამგებელიც და უფლებადამცველებიც თვლიან, რომ მდინარის დაბიძნურების საშიშროება არსებობს.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე, რომელიც ამ საკითხზე წლებია, მუშაობს, აცხადებს, რომ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის დანაშაულთან.







„ეს პრობლემა აქ ძალიან დიდი ხანია არსებობს, ნამდვილად საშინელებაა. კილომეტრობით არის გაწელილი ეს ნაგავი"

**ნიკა მჟავანაძე:**

– ჩვენ შევისწავლეთ ეს საკითხი და გარემოს დაცვის სამსახურსაც გადავუგზავნეთ წერილი. მოსახლეობის მხრიდანაც უნდა იყოს აღკვეთილი ეს ფაქტი. მსგავსი ტიპის ნაგავსაყრელების გაკეთება მდინარესთან ყოვლად დაუშვებელია. სახელმწიფოს მხრიდანაც არის ჩადენილი გარკვეული დანაშაული და პასუხი უნდა აგონ ამაზე. დუშეთის ხევის ყოველი ადიდების შემდგომ მდინარეში ჩადის ნაგავი, ეს არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დარღვევა, არის წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა (მუხლი 58), ასევე სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევა (მუხლი 292) – წყლის ობიექტის დანაგვიანება, დაბინძურება ან ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება. მან შეიძლება გააუარესოს წყალმომარაგების პირობები, წყლის ბიოლოგიური თვისებები. ასევე, დარღვეულია საქართველოს კონსტიტუცია, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელ და უვნებელ გარემოში. როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, მსგავსი ქმედებები აღარ უნდა განხორციელდეს. თბილისის წყლის მდგომარეობა უნდა შემოწმდეს ექსპერტების მიერ. რეალურად ეს წყალი არის დაბინძურებული, რადგან ეს წყალი სასმელ წყალთან კავშირშია. თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტი თუ ვერ აფინანსებს ნაგავსაყრელს, მაშინ ცენტრალური ბიუჯეტიდან უნდა მოეთხოვათ, რათა უფრო მაღალი დონის ნაგავსაყრელი გაეკეთებინათ და ასეთ მდგომარეობაში არ ჩაეგდოთ იქაური მოსახლეობა.

**– თუ გაქვთ კონკრეტული კვლევა ჩატარებული, სასმელ წყალს საფრთხე ექმნება?**

– ამას გამოკვლევა სჭირდება. სიკვდილს, რა თქმა უნდა, არ იწვევს, მაგრამ გავლენას მოახდენს აუცილებლად. აქ მარტო წყლის კი არა, გარემოს დაბინძურებაც ხდება, რაც იწვევს გარკვეულ დაავადებებს, რომლებიც ჯანმრთელობის მხრივ საშიშია. განსაკუთრებით ზაფხულში მწერებს გადააქვთ ეს დაავადებები და ვფიქრობთ, ეს სიტუაცია საგანგაშოა ამ რეგიონისთვისაც და თბილისისთვისაც.

ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაციით, ეს ნაგავი მუნიციპალიტეტში შემავალი რაიონებიდან იკრიბება. როგორც ჩვენთან იღებენ ნაგავს, ისევე იკრიბება დუშეთში ნაგავი და ყრიან იქ. ის კომპანიაც, რომელიც ამ ნაგავსაყრელზე მუშაობს, ამბობს, რომ ეს არის დროებითი ნაგავსაყრელი. ეს უნდა იყოს დახურული ნაგავსაყრელი, მიწაში. ფაქტობრივად, ნაგავი პირდაპირ ჩადის არაგვში. ამაზე პროკურატურასაც მივმართავთ და გარემოს დაცვის სამსახურსაც. ვფიქრობ, რეაგირება უნდა მოჰყვეს. მსგავსი ტიპის ნაგავსაყრელები არა მარტო მანდ, სხვაგანაც არის, კასპში, ბათუმში და სხვაგან. ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს ნარჩენების გადამუშავების კუთხით მიდგომა. პირველ რიგში, ამაზე უნდა ვიმუშაოთ, თუ ამას არ მივხედავთ, ქვეყანაში პრობლემები გვექნება როგორც გარემოს დაცვის კუთხით, ასევე ჯანმრთელობის კუთხითაც.

სასმელი წყლის დაბინძურების საფრთხეზე საუბრობენ წყლის სპეციალისტებიც და ამბობენ, რომ ხელისუფლება ამ პრობლემას მეტი სერიოზულობით უნდა მოეკიდოს.

**ოთარ ტყემალაძე, წყლის სპეციალისტი:**

– მდინარეში ბაქტერიული დაბინძურება ხდება, მით უმეტეს ახლა ზაფხული მოდის, ბავშვები ბანაობენ შიგნით. ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ღონისძიება გაატაროს.

**– სასმელ წყალს უქმნის პრობლემას?**

– საერთოდ, მიზანშეწონილი არ არის ამ ადგილას ასეთი ნაგავსაყრელი. ახლა არა მგონია, მაგრამ მომავალში დიდი შანსია, რომ საფრთხე შეუქმნას. ნაგავსაყრელი მაგ ტერიტორიაზე არაფრით არ შეიძლება. ეს მდინარე ხომ წყალსაცავში ჩადის ბოლოს. თუმცა არ მინდა, ეს პანიკის საფუძველი გახდეს. დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ წყალი, რომელსაც თბილისში ვსვამთ, რა თქმა უნდა, სუფთაა. თბილისის სასმელ წყალში რომ მოხვდეს კიდეც, ისე წმენდენ, აბსოლუტურად არანაირი საფრთხე არ არსებობს.

**სასმელი წყლის არა, თუმცა გარემოს დაბიძნურების პრობლემაზე საუბრობს გარემოს დამცველი ნინო ჩხობაძე:**

**ნინო ჩხობაძე:**

– რა თქმა უნდა, მოსახლეობისთვის არასასიამოვნოა იქ ნაგავსაყრელი, თუმცა იმ თვალსაზრისით, რომ იქ მაცხოვრებელს წყალთან დაკავშირებულ პრობლემას უქმნიდეს – ასე არაა. მდინარეს არანაირი კავშირი არ აქვს სასმელ წყალთან. ამიტომ წყალს, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, დუშეთის ხევი არ აბინძურებს. როგორც წესი, მოსახლეობა სასმელს ჭიდან იღებს. ეს პრობლემა აქ ძალიან დიდი ხანია არსებობს, ნამდვილად საშინელებაა. კილომეტრობით არის გაწელილი ეს ნაგავი. ჩვენ ამის შესახებ ანგარიშიც გვაქვს გაკეთებული, რომელიც წარდგენილი იყო გარემოს დაცვის სამინისტროში. ეს საკითხი დაისვა და თან არაერთხელ, ოღონდ არა მარტო დუშეთის თემაზე, არამედ ბევრ რეგიონთან მიმართებაში. თქვენ იცით, რომ შექმნილია ნარჩენების მართვის კომპანია და მათ აქვთ გეგმა, მაგრამ, მგონი, დუშეთი შიგნით არ არის მოქცეული, რადგან მოცულობით უფრო მცირეა, ვიდრე დანარჩენი სხვა ნაგავსაყრელი. ამის იდენტიფიცირება ჩვენ გავაკეთეთ.




**– როგორ ფიქრობთ, რატომ არავინ მიხედა ამ დრომდე ამ პრობლემას?**

– ვერ მიხედავენ. ამას სჭირდება დიდი თანხა. სამუშაო ძალიან ბევრია. მუნიცი-

**„დუშეთის ხევის ყოველი ადიდების შემდგომ მდინარეში ჩადის ნაგავი, ეს არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დარღვევა, არის წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა (მუხლი 58), ასევე სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევა (მუხლი 292) – წყლის ობიექტის დანაგვიანება, დაბინძურება ან ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება"**


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არაგვში ჩამავალი მდინარე დააბინძუროს




## ჟინვალსა და ფასანაურში საკანალიზაციო კოლექტორი და გამწმენდი ნაგებობა აღარ არსებობს

# ფეკალური მასა პირდაპირ არაგვში ჩადის

პალიტეტმა ამაზე უნდა იფიქროს, სხვანაირად ამას ვერ მოევლება. უნდა შეირჩეს ტერიტორიები, სადაც შეიძლება იყოს ნაგავსაყრელი. ჯერჯერობით ეს პრობლემა მოუწესრიგებელი იქნება, მანამ, სანამ არ შემუშავდება კანონი ნარჩენების მართვის შესახებ. დუშეთის ხევი გასუფთავდება, თუ ისინი იზრუნებენ იმაზე, რომ ახალი ტერიტორია შეირჩეს, ეს ტერიტორია დაიკეტოს და დამატებით არ ემატებოდეს ნარჩენები და რაღა თქმა უნდა, მოსახლეობაც შეგნებით უნდა მოეკიდოს ამ საქმეს და ხევებში არ უნდა ჩაყარონ ნაგავი.

როგორც აღმოჩნდა, დუშეთის ხევის დაბინძურების საკითხით დაინტერესებულია ახალი გამგებელიც, რომელიც თავადაც დუშეთში ცხოვრობს და უკვე წლებია, იცის ამ პრობლემის შესახებ და მიმართა კიდეც ეკონომიკის სამინისტროს ალტერნატიული ფართის გამოყოფის მოთხოვნით. როგორც ვაჟა ჩოხელმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, საქმის კურსშია არა მარტო ეკონომიკის, არამედ ფინანსთა სამინისტროც. ნოდარ ხადურს დუშეთის ხევი მან პირადად დაათვალიერებინა.

**ვაჟა ჩოხელი:**

– ეს ნაგავსაყრელი ამ ტერიტორიაზე უკვე წლებია არის. პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს ნაგავსაყრელი აქ არ უნდა იყოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა ალტერნატიული ტერიტორიის გამოყოფა. ჩვენ მივწერეთ ეკონომიკის სამინისტროს წერილი სათანადო ტერიტორიის გამოყოფაზე. დუშეთის ხევი ჩაედინება არაგვში, ამაზეც არაერთხელ მივწერეთ, რადგან ჩვენი სახსრებით ვერ გავწვდებით, რომ ეს გაიწმინდოს. ალტერნატიული ფართის გამოყოფაზე ორი ვარიანტი გვქონდა. ჩვენ ამ საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობთ, ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად, მაგრამ გამოსავალი არის ერთი – თუ ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნები არ აშენდა, ჩათვალეთ, რომ ეს ანტისანიტარია, რომელიც არის, არ მოისპობა. მინდა გითხრათ, რომ ფასანაურიდან დაწყებული, დუშეთით დამთავრებული, მთელი ეს ნაგავი მოდის და იყრება აქ, დუშეთის ხევში. დაახლოებით 10 დღის წინ ფინანსთა მინისტრიც იყო მოსული ჩვენთან, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები განვიხილეთ. ნაგავსაყრელთანაც გავაჩერეთ და




ვაჩვენეთ, რა სიტუაციაა შექმნილი და რა შეიძლება მოვუხერხოთ ამ ყველაფერს.

**– რა საფრთხეს უქმნის ეს ნაგავსაყრელი მდინარეს, რომელიც შემდეგ არაგვში ჩაედინება?**

– კი არის დაცული ნორმები, რა მანძილითაც უნდა იყოს ნაგავსაყრელი წყლიდან დაშორებული, მაგრამ მიმაჩნია, რომ იქ არ უნდა იყოს, არ შეიძლება. მე დუშელი ვარ და ბავშვობიდან მახსოვს ეს ნაგავსაყრელი აქ.

**– რამდენად არის საშიშროება იმისა, რომ ნაგვის ლპობის შედეგად გამოჟონილი წყალი მდინარეში მოხვდეს, რადგან სწორედ ამ ნაგავსაყრელის ქვემოთ, ფერდობის ძირზე გადის დუშეთის ხევი, რომელიც არაგვს უერთდება?**

– რა თქმა უნდა, არის მდინარის დაბინძურების საშიშროება. თუმცა არამარტო ესაა პრობლემა, მთლიანად მოშლილია, ამოღებულია და გაყიდულია ჟინვალის კანალიზაციის კოლექტორი. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს, ბატონი ხადური რომ იყო ჩამოსული, იქაც ჩავედით და ადგილზე ვაჩვენეთ სიტუაცია. ესეც სასწრაფოდაა გასაკეთებელი, რადგან ჟინვალში აღარ არსებობს საკანალიზაციო კოლექტორი და ფეკალური მასა ჩამოდის პირდაპირ ტრასაზე. ასეთივე მდგომარეობაა ფასანაურში, არ არსებობს გამწმენდი ნაგებობა და ფეკალიები მდინარე არაგვში ჩადის. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა და სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ჟინვალსა და ფასანაურში შექმნილ სიტუაციას „პრაიმტაიმი“ ადგილზე გაეცნობა და უფრო ვრცლად ამის შესახებ მომავალ ნომერში ვისაუბრებთ. მანამდე კი იმედი გვაქვს, რომ ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფლება დუშეთის ხევში არსებული ნაგავსაყრელის პრობლემის გადაჭრას დააჩქარებს, რადგან ზაფხულში ეს მოსახლეობის მდგომარეობას, რომელსაც ნაგავსაყრელთან არცთუ დიდი მანძილი აშორებს, კიდევ უფრო დაამძიმებს.











© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წულუკიანი კბილაშვ

**მარიამ ნადირაძე**

**წერილის შინაარსი, რომელსაც 13 მარტს ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ადრესატი ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოა, ასეთია: „გეგზავნებათ ქ-ნ ქეთევან გიგაურის 2012 წლის 27 ნოემბრის განცხადება, რომელშიც აღწერილია 2006 წლის მარტში ორთაჭალის ციხეში „ბუნტის“ სახელით ცნობილი მოვლენების მსხვერპლის, დავით გაიხარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა...“**






ჩემი შვილების მკვლელებს ვერასდროს მივანდობ პროკურატურას. ამას მათ საფლავებზე ყოველი მისვლის დროს ვიფიცები. მე მარტო ამისთვის დავრჩი ცოცხალი. პირდაპირ ვაცხადებ, შურისძიება მამოძრავებს. აუცილებლად წარვდგები სასამართლოს წინაშე და იქ ყველაფერი გაირკვევა

იუსტიციის მინისტრი 40 წლის დავით გაიხარაშვილს, რომელიც 2006 წლის შემდეგ დამოუკიდებლად ველარ გადაადგილდება, „მსხვერპლად“ მოიხსენიებს. ეს იმ დროს, როდესაც გაიხარაშვილის ადვოკატს პროკურორ გიორგი ნოზაძისგან მოსდის წერილი იმის თაობაზე, რომ ბუნტის საქმეზე მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაზარალებულად ცნობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

რამ გამოიწვია აზრთა ასეთი რადიკალური სხვადასხვაობა მინისტრისა და მისი დაქვემდებარებული პირის შეხედულებებში ერთი და იგივე ადამიანთან დაკავშირებით?

ეს არ არის ერთადერთი კითხვა, რომელიც ქვემოთ შემოთავაზებულ პუბლიკაციაში დაისმება. დავით გაიხარაშვილი „პრაიმტაიმს“ სკანდალურ ინტერვიუს აძლევს ცნობილი მოვლენებისა და მაღალი თანამდებობის პირების სისასტიკის შესახებ. თუმცა, სანამ მისი მონათხრობის ამ ნაწილზე გადავალთ, მცირე პრეისტორიასაც გაგიმხელთ.

გაიხარაშვილების ოჯახში სამი ძმა იზრდებოდა. დათო ყველაზე უმცროსი იყო. 1999 წელს, როდესაც ის პატიმრობაში ყაჩაღობის მუხლით იმყოფებოდა (ის დღემდე უარყოფს ამ კვალიფიკაციას და „პრაიმტაიმს“ მომავალში სკანდალური ამბების გაჟღერებას ჰპირდება ამასთან დაკავშირებით. – მ.ნ.), მას ძმა მოუკლეს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი მეორე ძმა მოუწამლეს. ამ დროისთვის ის უკვე თავისუფლებაზე გახლდათ. დათო იხსენებს, როგორ მოაწყვეს თავდასხმა მასზეც, თანაც არაერთგზის, ესროლეს მის დედასაც, ქალბატონ ქეთევან გიგაურს. ჩვენთან საუბარში ის აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია მკვლელების ვინაობა, მაგრამ მათთან ანგარიშსწორება პირადად მისი „წმინდა ვალია“. ქალბატონი ქეთევანიც იგივეს ადასტურებს: „ჩემი შვილების მკვლელებს ვერასდროს მივანდობ პროკურატურას. ამას მათ საფლავებზე ყოველი მისვლის დროს ვიფიცები. მე მარტო ამისთვის დავრჩი ცოცხალი. პირდაპირ ვაცხადებ, შურისძიება მამოძრავებს. აუცილებლად წარვდგები სასამართლოს წინაშე და იქ ყველაფერი გაირკვევა“. საქმე იქამდე მივიდა, რომ დათო გაიხარაშვილი საქართველოდან უნდა წასულიყო, რადგან არსებობდა ინფორმაცია, რომ ძმების მკვლელები მის ლიკვიდაციასაც გეგმავდნენ. ამიტომაც ოჯახის ცოცხლად დარჩენილმა წევრმა მანქანის გაყიდვა გადაწყვიტა. სწორედ იმ დღიდან იწყება ისტორია, რომლის შესახებაც ჩვენს მკითხველს უფრო დაწვრილებით უნდა ვუამბოთ.

**ქეთევან გიგაური, დავით გაიხარაშვილის დედა:**

– იმ დროს, როდესაც თითქოსდა მანქანის ქურდობა მოხდა, რომელსაც დათოს აბრალებდნენ, მე და ჩემი შვილი დილომში დილის რვა საათიდან საღამოს 7 საათამდე ვიყავით. ის ქურდობა კი დღის პირველ საათზე მოხდა. მოსამართლემ ეს არ გაითვალისწინა და დათო ჩასვეს. 26 მარტს, ღამით, ციხიდან დამირეკა, თეთრეულის შეგზავნა უნდოდა. სახლში გვიან დავბრუნდი, ტელევიზორი ჩავრთე, თურმე ორთაჭალის ამბებს გადმოსცემდნენ. ამის შესახებ მდგმურმა შემატყობინა. ცხადია, მაშინვე გავიქეცი იქ სახლის „ჩუსტებით“. ეზოში მობილიზებული ჰყავდათ „ბეტეერები“, „სპეცნაზი“. ციხის კედლები გუგუნებდა. როდესაც ციხიდან სროლის ხმა მომესმა, აბსოლუტურად უმართავი გავხდი.

**დავით გაიხარაშვილი:**

– ციხეში წინა დღეს მიმიყვანეს. იმ დღეს კარანტინში ვიყავი და 26 მარტს უკვე კორპუსზე ამიყვანეს. ღამით ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან ყვირილი შემოგვესმა, გვცემენო.

**– გაიგეთ, რომ ქურდებს სცემდნენ?**

– არა და ამას არც ჰქონდა მნიშვნელობა. წესია: როდესაც პატიმარს სცემენ, ციხე პროტესტს გამოთქვამს ჯამებითა და კოვზებით. ასეც მოვიქეცით. კამერებიდან გამოსვლა მოვინდომეთ და კარები ღია იყო. „კლუჩნიკს“ ჩუმად დაუტოვებია ღია და გაპარულა. როგორც წესი, სროლის უფლება „ვიშკიორს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ პატიმარი ადმინისტრაციის ეზოში დადგამს ფეხს. მაშინაც ფეხებში უნდა ესროლოს. ჩვენს შემთხვევაში კი კამერის კარი გაიღო თუ არა, პირველი ტყვია ერთ-ერთ პატიმარს, კახა კვალიაშვილს მოხვდა. სნაიპერები ისროდნენ.

**– სნაიპერებს ხედავდით?**

– სნაიპერები იყვნენ ყველგან – კოშკურაზე, ადმინისტრაციის სახურავზე, ფანჯრებში... მათ შავი ფორმები ეცვათ. ჩემი კამერა მეორე კორპუსზე (ანუ მეორე სართულზე. – მ.ნ.) იყო. „სპეცნაზმა“ კარების შემონგრევა რომ დაიწყო, მეოთხეზე ავედით. ვინც ვერ მოასწრო, პირდაპირ კიბეებზე ვნახე მერე დახოცილები.

**– ბევრი იყო გარდაცვლილი? ამბობენ, 7 კაცი დაიღუპაო...**

– გარდაცვლილი გაცილებით ბევრი იყო, 50-ჯერ მეტი. მათი ოჯახის წევრები ამას არ ამხელენ, რადგან ვიცი, რომ მათ, გამხელის შემთხვევაში, სხვა შვილებით დაემუქრნენ. ისინიც გაჩერდნენ. გარდაცვლილების გარდაცვალების მიზეზად კი ძირითადად გულის უკმარისობებს აფორმებდნენ. მეოთხე კორპუსზე რომ ავედით, კარებს საწოლები მივაყარეთ, „სპეცნაზის“ შემოსვლა რომ გასჭირვებოდა. ვუყვიროდით, თავი დაენებებინათ ჩვენთვის.

**– „კარმუშკიდან“ მართლა ისროდნენ?**

– უარესს გეტყვით: პატიმრებს იარაღს თავზე ადებდნენ და პირდაპირ ასე კლავდნენ. დახოცილებზე ფეხებით გადადიოდნენ და ზედ აფურთხებდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს კორპუსშიც შემოაღწიეს. „ლიმონკა“ ააფეთქეს კართან. კამერებში შევცვივდით და იატაკზე დავწექით. საკნებში ორ-ორი „სპეცნაზელი“ ასე ნაწილდებოდა: ერთი საპირფარეშოსთან იდგა, მეორე – კართან. ბოლომდე შეიარაღებულები იყვნენ ავტომატებით და „ლიმონკებით“. ჩვენს კამერაში ტელევიზორი იყო ჩართული. მას ესროლეს და „ასკოლკა“ მომხვდა თავში. მეგონა, დამჭრეს და „სპეცნაზელისკენ“ წამოვიმართე, რომ უცებ მომესმა, ბავშვი დაიჭრაო. 20 წლის ბიჭი იყო, ბერდია. სისხლი მუცლიდან ფანტანივით ასხამდა. ყურადღება მისკენ გადავიტანე და „სპეცნაზელს“ ვუთხარი, – გამაყვანინე-მეთქი. დამთანხმდა. გარეთ სპეცრაზმელებს კორიდორი ჰქონდათ გაკეთებული. გავედი თუ არა, თავში რაღაც მომხვდა. მივხვდი, რომ წავქცეულიყავი, მეც უსათუოდ მომკლავდნენ. მერე ფეხში ჩამარტყეს, „ჩაშკა“ ახლაც ჩამტვრეული მაქვს. ფეხი ავითრიე და სასწრაფომდე მიღწევა მაინც მოვახერხე. ბავშვი იქ დავაწვინე და მერე აღარ მახსოვს, – დამესივნენ და ყველა ერთად მირტყამდა. გონება დავკარგე. პატიმრები მერე მეუბნებოდნენ, ბაჩანა ახალაიაც იქ იყო, „სპეცნაზთან“ ერთად ისიც გირტყამდაო. გონზე რომ მოვედი, რაღაც მანქანაში ვიყავი, „ვარონკაც“ არ ეთქმოდა... ჩემთან ერთად 30-მდე დაჭრილი იყო და კიდევ დაახლოებით ათი გარდაცვლილი. ბოლოს ცოცხლები გადმოგვიყვანეს და აღმოვაჩინეთ, რომ მეექვსე, დაუმთავრებელ დაწესებულებაში მივუყვანივართ. მე ბიჭებს მივყავდი. ერთ-ერთი სოზარ სუბარის ბიძაშვილი იყო, თეოდორე სუბელიანი. შესასვლელში ისევ დაგვხვდა „სპეცნაზი“ და ერთიც სამოქალაქო ტანსაცმელში. სულ არ ვიცოდი, ვინ იყო ბაჩანა ახალაია. თურმე ის ყოფილა. რომ მივუახლოვდი, შემაგინა. კონტროლი დავკარგე. სხვებსაც აგინებდა. სხვებიც გამოეპასუხნენ. მე ხელი მოვუქნიე და ისევ მაბურთავა „სპეცნაზმა“. მერე მისი მოადგილეები გვაწამებდნენ. შემოვიდოდა ხუხუა. მკითხავდა, – გახსოვარო? და მომიქსევდა „სპეცნაზს“.

**– საიდან უნდა გხსომებოდა?**

– წარმოდგენა არ მაქვს. დაახლოებით თვე-ნახევრის განმავლობაში არც საჭმელს გვაძლევდნენ და არც წყალს. ერთ ბოთლს დაგვიდგამდნენ და 12 კაცს უნდა გვყოფნოდა. წარმოიდგინეთ, ერთი ჭიქით პირიც უნდა დამებანა, წვერიც გამეპარსა და დღის განმავლობაში დასალევადაც მყოფნოდა. ამას ემატებოდა აუტანელი ტკივილები. უკვე ზღაპარი იყო წამალზე ოცნება. მაშინდელი სახალხო დამცველი, სოზარ სუბარი თითქმის ყოველდღე შემოდიოდა თავის ბიძაშვილთან და ძალიან კარგად იცოდა ყველაფერი, რაც მოხდა და რა პირობებშიც ვიყავით. მაგრამ გარეთ რომ გადიოდა, ამბობდა, პატიმრები კარგად არიან, არაფერი უჭირთო. ის ბაჩანა ახალაიას მარჯვენა ხელი იყო. იცით, იქ რა მოხდა? უკვე ხომ წყალი აღარ გაუვა, რომ ეს ე.წ. ბუნტი მაშინდელი ხელისუფლების დაგეგმილი იყო. ბოლო ერთ კვირაში მათ დაიჭირეს ყველა, ვისი ლიკვიდაციაც უნდოდათ და ციხეში შეყარეს იმისთვის, რომ შემდეგ მათი სიკვდილი „ბუნტის“ ჩასახშობად გატარებული ღონისძიებებისთვის დაებრალებინათ.

**– მაგრამ თქვენ ცოცხალი დარჩით...**

– მე ღმერთმა და დედაჩემის აქტიურობამ გადამარჩინა.



დავით გაიხარაშვილი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ილს დაუპირისპირდა



იუსტიციის მინისტრი 40 წლის დავით გაიხარაშვილს, რომელიც 2006 წლის შემდეგ დამოუკიდებლად ველარ გადაადგილდება, „მსხვერპლად“ მოიხსენიებს

# ციხის „ბუნტის“ საქმის ახალი დეტალები

## „სოზარ სუბარმა ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდა და რა პირობებშიც ვიყავით. მაგრამ გარეთ რომ გადიოდა, ამბობდა, პატიმრები კარგად არიანო. ის ბაჩანა ახალაიას მარჯვენა ხელი იყო“

**ქეთევან გიგაური:**

– როდესაც ციხეზე შტურმი მიიტანეს, აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი. მე ხომ მარტო დათოღა დამრჩა. მის გარდა, აღარავინ მყავდა. ინფორმაციები გამოვიდა, რომ დაჭრილები და გარდაცვლილები ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეც იქით გავქანდი და ზუსტად მაშინ მივედი, როდესაც დიდი ჭიშკარი ღია იყო და მანქანა შედიოდა. ასე აღმოვჩნდი საავადმყოფოს ეზოში, სადაც უამრავი დაჭრილი და გარდაცვლილი ეყარა. იქიდან ვერ გამომიყვანეს. სიას ვითხოვდი. ბოლოს და ბოლოს, მომცეს და პირველი სია მე გამოვიტანე. ვნახე, რომ იქ ჩემი შვილის სახელი და გვარი არ იყო. გადავწყვიტე, სხვების ოჯახის წევრებისთვის მეჩვენებინა და ისევ საპყრობილესთან დავბრუნდი. ეტყობა, ჩემი აქტიურობა არ მოეწონათ და დამაკავეს. სამინისტროში რომ წამიყვანეს, საპყრობილესთან შეკრებილი ადამიანები მე გამომყვნენ. ჩემს დაკავებას აპროტესტებდნენ. ბოლოს და ბოლოს, გამთენიისას გამათავისუფლეს. ერთ-ერთი თანამშრომლისგან შევიტყვე, რომ დაჭრილი დათო მეექვსე დაწესებულებაში გადაიყვანეს. მანქანას გადავუდექი და წაყვანა ვთხოვე. თბილისი-რუსთავის გზიდან ციხემდე ფეხით ვიარე. იქ რომ მივედი, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო. დათოზე ინფორმაცია ვერ შევიტყვე. უკვე შუადღისთვის, როდესაც ხალხი შეგვემატა, გამაგებინეს, რომ მართალია, მძიმედ, მაგრამ მაინც ცოცხალი იყო. როგორღაც უნდა მეშველა მისთვის. მე ხო ვიცოდი, რომ მისი მოკვლა უნდოდათ... ამიტომ „წითელ ჯვარში“ წავედი და მათ ვთხოვე დაწესებულებაში შესვლა. შევიდნენ კიდეც. ზუსტად ამან გადაარჩინა დათო. 4 თვის შემდეგ ძლივს მივაღწიე იმას, რომ ჩემი შვილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოვაყვანინე, მაგრამ ერთი პირობით: უნდა გამეხმაურებინა, რომ დათო ბავშვობიდან ასე იყო და მას გადაადგილება არ შეეძლო.

**– ვინ წაგიყენათ ეს პირობა?**

– ბაჩანა ახალაიამ.

**– მას შეხვდით?**

– კი. სხვისი საშვით შევიპარე დეპარტამენტში. კარს რომ აღებდა, მის კაბინეტში გავჩნდი. მან კაბინეტის დატოვება მიბრძანა და მითხრა, რომ დაცვას დაუძახებდა. არ ვნებდებოდი. ვუთხარი კიდეც, რომ იქიდან მკვდარს თუ გამიტანდნენ. მერე პირობა წამომიყენა, თუ ვიტყოდი, დათო ბავშვობიდან ავად იყო, მხოლოდ მაშინ გადაიყვანდნენ მას „რეზბალნიცაზე“. ვუთხარი, ახლავე მოიყვანე შენი ჟურნალისტები და ვეტყვი-მეთქი. მიპასუხა, – შენ ვაჟკაცი ქალი ხარ და ვიცი, სიტყვას არ უღალატებო. ეს რომ არ გამეკეთებინა, დათო დღეს ცოცხალი არ იქნებოდა.

**– სადმე გააკეთეთ ასეთი განცხადება?**

– არა, რას ამბობთ? მაგრამ იცით, რა გააკეთეს? ეს ვერსია სოზარ სუბარის ანგარიშში გამოჩნდა. მე მაქვს ერთი კითხვა: თუ დათოს გადაადგილება ბავშვობიდან არ შეეძლო, მაშინ როგორ დადიოდა ჭიდაობაზე? მისი შეჯიბრებების ვიდეომასალა ხომ არსებობს? ან როგორ მოიპარა მანქანა, რაზეც ბრალი დასდეს? ბოლოს და ბოლოს, საქმის მასალებში ისიც ჩაუწერეს, რომ აყვანისას პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ეს როგორ მოახერხა, თუ დღევანდელივით დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებოდა?

**დათო გაიხარაშვილი:**

**– წინააღმდეგობა მართლა გაუწიე?**

– ჩემს ასაყვანად პოლიციელები რომ მოვიდნენ, ძაღლმა ატეხა ერთი ამბავი. სნაიპერებითა და „სპეცნაზით“ გაივსო ეზო. ხელბორკილებით რომ გამომიყვანეს, ძაღლი პოლიციელებს ეცა. მგელთან ნაჯვარი ნაგაზი იყო. მივხვდი, რომ მოკვლას უპირებდნენ. ფიზიკურად ძლიერი ვიყავი, შებორკილი ხელებით მოვიშორე პოლიციელები და ძაღლს ჩავეხუტე. სახლში ასე შევძელი მისი შეყვანა და გადარჩენა.

**– ბოლოს და ბოლოს, რამ გამოიწვია შენი ასეთი მდგომარეობა?**

– რა თქმა უნდა, იმ ტრავმებმა, რაც სპეცოპერაციის დროს მომაყენეს. მუხლზე „ჩაშკა“ აღარ მაქვს, მენჯები დამიმტვრიეს, თავი გამიხეთქეს, მკლავებიც მოტეხილი მქონდა. მაგრამ სულ ეს არ არის. როდესაც „რეზბალნიცაზე“ გადამიყვანეს, ტკივილების გასაყუჩებლად და დასაძინებლად გიჟების წამლებს მაძლევდნენ ცხენის დოზებით. მაინც ვერ ვიძინებდი. სწორედ მაშინ ინფიცირებული ნემსი გამიკეთეს და როგორც პატიმართა თითქმის 90 პროცენტს, მეც შემყარეს ათაშანგი. ასე გაუკეთეს ცოტნე გამსახურდიასაც და კიდევ სხვა უამრავ ადამიანს.

**ქეთევან გიგაური:**

– „რეზბალნიცის“ მთავარ ექიმთან სამი თვე ხელჩართული ომი მქონდა. ბოლოს მივაღწიე იმას, რომ სპეციალისტები გარედან შემეყვანა, რადგან იქ გრიპიანს ვერ არჩენდნენ. 24 საათში გავყიდე სახლი. უცხოელი ექიმებიც შემყავდა. ყველამ დაასკვნა, რომ სასწრაფო ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო. ასათიანმა შემომთავაზა, რომ ეს ოპერაცია „მიხაილოვში“ ჩატარებულიყო. ეს სულაც არ ყოფილა მისი კეთილი ნება. უბრალოდ, დათო რომ მოკვდებოდა, შარს თავიდან ასე აირიდებდნენ. მისი მკვლელობა კი ისევ დღის წესრიგში იდგა. ეს დადასტურდა კიდეც. მეორე ოპერაციის დროს ანესთეზია, ჩვენი დაქირავებული ანესთეზიოლოგის ნაცვლად, სხვამ გაუკეთა, ამჯერად მისი დასახელებისგან თავს ვიკავებთ, გარკვეული მოსაზრებების გამო. დათოს გული ოპერაციის მსვლელობის დროს გაუჩერდა. სასწაულად გადარჩა.

**დავით გაიხარაშვილი:**

– ქირურგმა რაკი წინასწარ იცოდა, რომ უნდა მოვმკვდარიყავი, რკინები ისე ჩამიდგა, რომ, თუ ვინმე გარდაცვლილს გადამიღებდა სურათს, ის კარგად გამოჩნდებოდა, რადგან გარდაცვლილის სხეული მკვრივდება. მე კი ორივე ოპერაციის შემდეგ რკინები მომძვრა და ბოლტი მუცლისკენ წავიდა. ქირურგმა ვერ დაუშვა, რომ შეიძლებოდა გადავრჩენილიყავი. მეტიც, როდესაც ორ დღეში ციხის საავადმყოფოში დამაბრუნეს, ბიჭები გაკვირვებული შემხვდნენ, აქ შენზე თქვეს, მოკვდაო. ასე იმიტომ თქვეს, რომ ჩაფიქრებული ჰქონდათ ასე.

დავით გაიხარაშვილი და დედამისი დღემდე იბრძვიან იმის დასამტკიცებლად, რომ ტრავმები მან სპეცოპერაციის დროს მიიღო. სამწუხაროდ, მის დაცვას სახელმწიფო არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ ცდილობს, შესაბამისად, არც დაზარალებულად აღიარებენ. მის საქმეში შესაძლებელია უამრავი დარღვევის ნახვა, რომლითაც „პრაიმტაიმი“ დაინტერესდება და მკითხველს ინფორმაციას, ცხადია, არა ცალმხრივად, მომავალშიც მივაწვდით. მანამდე კი დათოს ჯერ კიდევ ასეთი განწყობით უწევს ცხოვრება:

„მე ისეთი რამ გამიკეთეს, რომ მთელი ცხოვრება წამართვეს. ღირსების მეტი არაფერი დამრჩა. მეც მინდა სიცოცხლე. იცი, რა ძნელია ასე ცხოვრება? არავის ციხეში ჩასმის ინტერესი არ მაქვს, მაგრამ ამათ როგორ უნდა მაჯობონ? ჩემი სიმართლე როგორ უნდა დაიკარგოს?“

**„პატიმრებს იარაღს თავზე ადებდნენ და პირდაპირ ასე კლავდნენ. დახოცილებზე ფეხებით გადადიოდნენ და ზედ აფურთხებდნენ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# წამების შედეგად გარდაცვლილი პატიმრის ოჯახი მკვლელების დასჯას ითხოვს

ნანა შონია

**24 წლის გარდაცვლილი პატიმრის ლევან კორტავას ოჯახი, სოზარ სუბარის უწყებას პატიმრის გარდაცვალების მიზეზთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს და მინისტრისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს. კორტავას ოჯახი მხოლოდ დამოუკიდებელ ექსპერტიზას ენდობა და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს. ციხის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის და დამნაშავეთა უმკაცრესად დასჯის საკითხს აყენებს დეპუტატი ეკა ბესელია. ლევან კორტავას მამა იმუქრება, რომ სანამ სიმართლე არ გაირკვევა და მკვლელები არ დაისჯებიან, გარდაცვლილ შვილს არ დაკრძალავს. „პრაიმტაიმისთვის“ კორტავას ოჯახის წევრებისგან ცნობილი ხდება, რომ გეგუთის ციხის პატიმრები, რომლებსაც კორტავას წამებას აბრალებენ, ბუნტით იმუქრებიან.**

ლევან კორტავა რუსთავის N6 კოლონიიდან გეგუთის ციხეში 12 მაისს გადაიყვანეს. 13 მაისს კი პატიმარი სასიკვდილო დაზიანებებით ქუთაისის ცხაკაიას სახელობის კლინიკაში მოხვდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

**მანანა ლორჩოშვილი (გარდაცვლილის ნათესავი):** „სასჯელაღსრულების სამინისტრო ავრცელებს არასწორ ინფორმაციას. პატიმრებმა დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ რასაც მათ აბრალებენ, ეს არ არის სიმართლე და არ უნდა დავიჯეროთ. თუ ამას ჩვენ დაგვაბრალებენ შიმშილობას გამოვაცხადებთ, ბუნტს დავიწყებთ და აუცილებლად დავამტკიცებთ სიმართლესო. პატიმრების მხრიდან ამ ბავშვის ცემის ფაქტის ჩვენ არ გვჯერა. მაინც, ყველა სიტუაციაში, თვითონ ადმინისტრაციაა დამნაშავე, როგორ შეიძლება ამ დონეზე ცემო პატიმარი? ეს ბავშვი ერთი დღის გადმოყვანილია იმ ციხეში. ეტყობა შეურაცხყოფა მიაყენეს. ის სხვანაირი, თავმოყვარე, სამართლიანი ბავშვი იყო, იუკადრისა და ამიტომაც აწამეს და ცემეს სასიკვდილოდ. ციხის ადმინისტრაციის გაკეთებულია ეს ყველაფერი. მანამდე რუსთავის N6 კოლონიაში იხდიდა სასჯელს. როგორც პატიმრები ამბობენ, 12 მაისს გადმოუყვანიათ და 13-ში ღამე უკვე შეყვანილი იყო ქუთაისის ცხაკაიას სახელობის კლინიკაში.

**- რის გამო იხდიდა სასჯელს?**

- რამდენიმე წლის წინ, ქუჩაში, ნასვამ მდგომარეობაში პოლიციისთვის გაწეული წინააღმდეგობის გამო დააკავეს. ხუთი წელი მიუსაჯეს, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი ვიწვალეთ და ორ წელიწადზე დაუყვანეს ეს სასჯელი. ოთხი თვე ჰქონდა დარჩენილი, ხონის საპატიმროში იხდიდა სასჯელს. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს 150 პატიმარს ციხის კარები გაუხსნეს და გააქციეს, ამაში მოჰყვა ეს ბავშვიც, რის შემდეგაც კვლავ მიუსაჯეს 17 წელი. 18 წლის ბავშვი შევიდა ციხეში და 24 წლის ასაკში სასტიკად ნაწამები გამოვასვენეთ იქიდან... სხეულის არც ერთი ნაწილი არა აქვს მთელი... წამებაში აქვს სული ამოხდილი. კისერი გადატეხილი აქვს, ელექტროშოკშია გატარებული და ეს პატიმრებმა გააკეთეს? ფეხის თითიდან დაწყებული, თმის ღერამდე ყველაფერი დაზიანებული აქვს. ჩვენ დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას ვითხოვთ. ოჯახი სოციალურად დაუცველია, ამიტომაც არ გვაქვს ამის ფინანსური საშუალება და ვითხოვთ დახმარებას, რომ ეს ექსპერტიზა ჩაუტარონ, რათა ის, რასაც ზედაპირულად ვხედავთ, დოკუმენტურად დამტკიცდეს.

**- თუ ჩაუტარდა მას პირველადი ექსპერტიზა?**

- არაფერი არ ვიცით, ვინ მიგვაკარა საერთოდ. 13 დღე საავადმყოფოში ვიყავით და მასთან მიახლოების საშუალებასაც არ გვაძლევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დეპუტატი ეკა ბესელია საქმის კურსში იყო და სულ მოდიოდა. მოდიოდა ასევე მისი წარმომადგენელიც. ბესელიამ სთხოვა, რომ შევეშვით, შეპირდნენ და რომ წავიდა არ შეგვიშვეს. ციხის უფროსი არ გვრთავდა ნებას. საშინელი დაზიანება ჰქონია ბავშვს და ვინ მოითმენდა ამ ყველაფერს? ბესელიას გამოგზავნილი მღვდელი 40 წუთი არ შეუშვეს პალატაში. ფანჯრიდან ნახვას ვთხოვდით და ამის ნებაც არ დაგვრთეს.

**- თუ გაქვთ რამე ინფორმაცია, რამე მუქარა ხომ არ ხორციელდებოდა პატიმარზე?**

- არა, რა მუქარაზეა საუბარი, იმ ციხეში იმ დღეს გადაიყვანეს. ვერ წარმოვიდგენდი ციხის ამბების შემდეგ წამება თუ ისევ გრძელდებოდა. ციხეებში სადისტები მუშაობენ, ამ ხალხს ადამიანის წამება სიამოვნებთ. ხმა ამოიღეთ, თორემ ისინი ყველას დახოცავენ, ისინი იზოლირებული უნდა იყვნენ. წამებით არის ეს ბავშვი მოკლული. ჩვენ არ ვიცით უშუალოდ ვინ მიიღო ამაში მონაწილეობა. თავის დროზე, ფოთის სასამართლომ მიიღო ამ საქმეზე გადაწყვეტილება. ადრე ყველამ ვიცოდით, რომ უსამართლობის ზეიმი იყო, მაგრამ დღეს რატომ მეორდება იგივე?! ამ ყველაფერში, პირველ რიგში, ციხის ადმინისტრაციას და მის ხელმძღვანელს ვადანაშაულებთ. მოვითხოვთ, იმ დღის ყველა მორიგე იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული. ლევანი არ დაიმარხება მანამ, სანამ კონკრეტული ნაბიჯები არ იქნება მთავრობისგან გადადგმული“.

**ბადრი კორტავა (ლევან კორტავას მამა):** „რამდენადაც ვიცი, ბადრაგთან მოუვიდა კონფლიქტი, უპატრონოდ გარდაიცვალა... ბოთლით არის ნაცემი, ადგილი არ არის დარჩენილი სადაც დაზიანება არ აქვს... 12 მაისს მოხდა ეს და ჩვენ შემთხვევით გავიგეთ. უპატრონოდ იყო მიგდებული, არავის შეუტყობინებია ჩვენთვის. არ დავასაფლავებთ სანამ არ დადგინდება სიმართლე და არ გაირკვევა ვინ მოკლა და რატომ. დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას ვითხოვთ, ჩვენ ამის ფინანსები არ გაგვაჩნია და გვინდა სახელმწიფო ამაში დაგვეხმაროს. სოზარ სუბარმა თავისი სიტყვები უკან წაიღოს. თითქოსდა პატიმრებმა მოკლეს ჩემი შვილი. ერთი თვეც რომ გავიდეს, არ დავმარხავთ“.



მანანა ლორჩოშვილი

„ადრე ყველამ ვიცოდით, რომ უსამართლობის ზეიმი იყო, მაგრამ დღეს რატომ მეორდება იგივე?! ამ ყველაფერში, პირველ რიგში, ციხის ადმინისტრაციას და მის ხელმძღვანელს ვადანაშაულებთ... ლევანი არ დაიმარხება მანამ, სანამ კონკრეტული ნაბიჯები არ იქნება მთავრობისგან გადადგმული“



„სოზარ სუბარმა თავისი სიტყვები უკან წაიღოს. თითქოსდა პატიმრებმა მოკლეს ჩემი შვილი. ერთი თვეც რომ გავიდეს, არ დავმარხავთ“

ბადრი კორტავა

„პატიმრებმა დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ რასაც მათ აბრალებენ, ეს არ არის სიმართლე და არ უნდა დავიჯეროთ. თუ ამას ჩვენ დაგვაბრალებენ შიმშილობას გამოვაცხადებთ, ბუნტს დავიწყებთ და აუცილებლად დავამტკიცებთ სიმართლესო“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იგ სკანდალში ეხვევა



# გეგუთის ციხის პატიმრები ბუნტით იმუქრებიან

EXCLUSIVE

**„18 წლის ბავშვი შევიდა ციხეში და 24 წლის ასაკში სასტიკად ნაწამები გამოვასვენეთ იქიდან... სხეულის არც ერთი ნაწილი არა აქვს მთელი... წამებაში აქვს სული ამოხდილი. კისერი გადატეხილი აქვს, ელექტროშოკშია გატარებული და ეს პატიმრებმა გააკეთეს? ფეხის თითიდან დაწყებული, თმის ღერამდე ყველაფერი დაზიანებული აქვს“**

ლევან კორტავა



## „ციხეებში სადისტები მუშაობენ, ამ ხალხს ადამიანის წამება სიამოვნებთ. ხმა ამოიღეთ, თორემ ისინი ყველას დახოცავენ “

**ეკა ბესელია:** - ეს ძალიან მძიმე და შემაძრწუნებელი ფაქტია. 24 წლის ბიჭი ისეთ ვითარებაში დაიღუპა, რომელიც ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს. ლევან კორტავას მიმართ ჩვენ ორი შუამდგომლობა გვქონდა გაგზავნილი. მეორე შუამდგომლობით ის ასაჩივრებდა მის განაჩენს და ითხოვდა გადახედვას. რუსთავიდან გეგუთის კოლონიაში გადმოიყვანეს ეს ბიჭი და იმ დღესვე მოხდა ეს ამბავი. ექიმები ამბობდნენ, რომ მისი გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგანაც ტვინი ჰქონდა გათიშული და ჰქონდა მძიმე დაზიანებები. პირველი ვერსია გავრცელდა, რომ ის კიბეზე დაგორდა. მეორე ვერსია იყო ის, რომ პატიმრებს შორის მოხდა ჩხუბი.

**- თავის დროზე, ჩვენ გვახსოვს, რომ თქვენ იგივე პრეტენზიებს აყენებდით, როდესაც ხაშურში მოხდა მსგავსი შემთხვევა...**

- რასაკვირველია, მე დღეს იგივე პრეტენზია მაქვს. კოლონიის უფროსს ვესაუბრე, პირადად შევხვდი. პატიმარი ვინახულე საავადმყოფოში, შიგნით, რეანიმაციაში ვერ შევედი, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობდი მის დახმარებას თუ კი იყო შესაძლებლობა, რომ ის გადაგვერჩინა. ახლაც არ ვიზიარებ იმ ვერსიას, რომ კიბეზე დაცემის შედეგად ჰქონდა მიღებული ეს ტრავმები. პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას და მე მიმაჩნია, რომ ძალიან პრინციპულია ამ საქმის გამოძიება. თუ პატიმრებს შორის ჩხუბი მოხდა, რატომ არავინ არ გააშველა ისინი? რატომ დროულად არ ჩაერიენ ის ადამიანები, ვისაც ევალებოდა მსგავსი რამ და რატომ დაუშვეს, რომ ასეთი მძიმე დაზიანებები მიეღო პატიმარს? ეს ძალიან რთული თემაა და ამიტომაც მე ვფიქრობ, რომ პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ყველამ, რეალობა უნდა იქნას გამოძიებული. დაწყებული იმ ადამიანებისგან ვინც მონაწილეობდა უშუალოდ ლევან კორტავს წამებაში. ასევე პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, მათ შორის დაწესებულების ხელმძღვანელს, რომელიც ვალდებულია და პასუხს აგებს პატიმრების სიცოხცლეზე.

**- დირექტორი ახალი ხელმძღვანელობის პირობებში არის დანიშნული თუ ძველი?**

- როგორც მან მითხრა, 6 თვეა რაც დანიშნულია.

**- ეს ხომ არ არის იმის შედეგი, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ერთი უკიდურესობა შეიცვალა მეორე უკიდურესობით და პატიმრებს მიეცათ ძალიან ბევრი უფლებები?**

- ყოველ შემთხვევაში, უნდა გაანალიზდეს ეს ყველაფერი და უნდა დავინახოთ თუ რამე ისეთი პრობლემაა. მე ვფიქრობ, რომ ეს ის შემთხვევაა, რომელიც მრავალმხრივ გამოსაკვლევია. ჩვენი კომიტეტი პარალელურად სწავლობს ამ საქმეს. ჩვენ გამოვითხოვეთ ყველა ინფორმაცია. გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას ელოდება და ჩვენც ვითხოვთ ამ დასკვნას. გამოძიებამ დანაშაულზე თვალი არ უნდა დახუჭოს.

**- გამოძიების დასრულებამდე ხომ არ არის მოსალოდნელი დირექტორის გათავისუფლება?**

- არ ვიცი, ეს არის სასჯელაღსრულების გადასაწყვეტი. მე ველაპარაკე სოზარ სუბარს, რამდენჯერმე მის მოადგილეს. ეს მისი გადასაწყვეტია, მაგრამ ის, რომ დაწესებულების ხელმძღვანელს პასუხისმგებლობა ეკისრება, ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წერია. მე მაინტერესებს, თუ მართლა ჩხუბი მოხდა პატიმრებს შორის, რატომ არ აღკვეთეს ის დროულად? ამიტომაც აქ საჭიროა საქმის დეტალური გამოძიება.

**ირაკლი კორძაია ( სასჯელაღსრულების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი):** - გამოძიების სრულფასოვნად ჩატარება არის ჩვენს ინტერესში, რათა, თუ კი ვინმეს დანაშაული იკვეთება გამოვავლინოთ. სავარაუდოდ, მომდევნო კვირას გამოძიება დასრულებული იქნება და ყველაფერი გვეცოდინება.

**- პატიმრის ოჯახი დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს და აცხადებს, რომ ეს ხარჯები სახელმწიფომ უნდა დაფაროს, რადგანაც მათ ამის საშუალება არა აქვთ.**

- ეს მათი უფლებაა, მათ შეუძლიათ ჩაატარონ დამოუკიდებელი ექსპერტიზა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ გამოძიება სრულფასოვანი იქნება. ჩვენ, მას შემდეგ რაც სამინისტროში მოვედით, ყველაფერზე სწრაფ რეაგირებას ვახდენთ. თუ სისტემაში ვინმე არის რამეში დამნაშავე, გენერალური ინსპექცია მიხედავს მას. გარდაცვლილს ექსპერტიზა ჩაუტარდა და ყველა კომპონენტი დაცული იქნება.

**- პატიმრის გარდაცვალების მიზეზებზე სამინისტროს ვერსიებს ოჯახი კატეგორიულად ემიჯნება და ბოდიშის მოხდას ითხოვს.**

- გამოძიების მხრიდან იყო პირველადი ინფორმაცია, პატიმრები აცხადებდნენ, ადგილი ჰქონდა თავად პატიმრებს შორის კონფლიქტს და კიბიდან ჩამოვარდნას. გამოძიება იმის გამოძიებაა, რომ ყველას ახსნა-განმარტება მოისმინოს და ანალიზის შედეგად გამოიტანოს დასკვნა. ეს არის ვერსიები და ჭეშმარიტება დადგინდება. რაც შეეხება მიზეზებს, სანამ გამოძიება არ დასრულდება, ეს ჩვენთვის არ არის ცნობილი.



**„ძალიან პრინციპულია ამ საქმის გამოძიება. თუ პატიმრებს შორის ჩხუბი მოხდა, რატომ არავინ არ გააშველა ისინი? რატომ დროულად არ ჩაერიენ ის ადამიანები, ვისაც ევალებოდა მსგავსი რამ და რატომ დაუშვეს, რომ ასეთი მძიმე დაზიანებები მიეღო პატიმარს?“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ვერ წარმოედგინა პოლიციას, რომ ღვთისმსახური ასეთ ნაბიჯს გადადგამდა“

**my View**
ხათუნა მგალობლიშვილი

**თუ ევროკავშირს სურს, რომ საქართველო მისი პარტნიორი და შემდგომ მისი წევრი სახელმწიფო გახდეს, უნდა აღიაროს ქართული ტრადიციები, ადათ-წესები, დადოს მათი ხელშეუხებლობის პირობა და მხოლოდ ამის შემდეგ დავფიქრდებით, გვინდა თუ არა, საერთოდ, დასავლეთი... მსგავსი მოსაზრება ბევრ პოლიტიკოსს აქვს. ისინი მიიჩნევენ, რომ ტრადიციების დაცვა უმთავრესია, თუნდაც ეს კონსტიტუციის დარღვევის ხარჯზე მოხდეს.**

**უმრავლესობის წევრის, გოგი თოფაძის განცხადებით, ბევრი კანონი უნდა გადაიხედოს, მათ შორის უმცირესობების უფლებებიც.**




## გოგი თოფაძე: „ეკლესიას თავისი ადგილი აქვს, სახელმწიფოს – თავისი. არ უნდა მოხდეს აღრევა. გადაწყვეტილებას სახელმწიფო იღებს, ჩარევა არ შეიძლება“

**„ქართულ ოცნებას“ ისეთი ავტორიტეტი აქვს, არა მგონია, ნინო ბურჯანაძეს გამარჯვების შანსი ჰქონდეს“**

**„არ არის კარგი სანახავი, როგორ დარბის მამაო ტაბურეტით“**

**გოგი თოფაძე, „მრეწველების“ ლიდერი:**

– კანონი უნდა იყოს ყველასთვის, ჩვენ ამას უნდა შევეგუოთ. სასულიერო პირი, პირიქით, მიმტევებელი, მომფერებელი უნდა იყოს და არ უნდა დარბოდეს ტაბურეტით... არ შეიძლება, ეს არ არის ცივილიზებული საქციელი. მას აქვს თავისი პრივილეგიები, მაგრამ არ არის კარგი სანახავი, როგორ დარბის მამაო ტაბურეტით.

**– როგორ ფიქრობთ, მათი პასუხისგებაში მიცემა არ გამოიწვევს დაპირისპირებას ეკლესიასთან?**

– ის, რომ ეკლესიაში, გინდათ სინოდში, ყველა პატიოსანი არ არის, უკვე გამოჩნდა. მართალია, 17 მაისი პროვოცირებული იყო და მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ალყა დაარტყა მათ, რაიმე რომ არ მომხდარიყო, აგრესიის აღკვეთა მაინც ვერ შეძლო. როცა ამდენ ადამიანს უბიძგებ, მოდით, უმცირესობის წარმომადგენლები გავყაროთო... პოლიციამ კიდევ კარგად შეძლო მათი დაცვა. საყვედურობენ, ვერ უზრუნველყო სიმშვიდეო, მაგრამ ეს ზღვა ხალხი ხომ შეაკავა?

**– ვისგან იყო პროვოცირებული?**

– როცა ეკლესიის მსახური გარბის ტაბურეტით, ის ხომ უკვე აგრესიას გამოხატავს? თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპაზე, ნატოზე, მსგავსი რამ არ უნდა ხდებოდეს. ამაზე რომ რეაგირება არ მოხდეს, ხვალ უარესი იქნება. ძველ ხელისუფლებას რომ გავლენა ჰქონდა ეკლესიაზე, ეს ფაქტია. იქნებ სწორედ ამ ძველი გავლენების შედეგია? იქ შეიძლება შეპარულები არიან ადამიანები, რომლებზეც წინა ხელისუფლებას ჯერ კიდევ აქვს დიდი გავლენა. ივანიშვილმა ძალიან განიცადა 17 მაისის მოვლენა. საზოგადოებაში არ არის იდეალური ხალხი, პროვოკატორი ყველგან შეიძლება იყოს. ჯერ ერთი, პოლიციამ, თუ დააკვირდებით, პირველ რიგში, მამაო გაატარა, მათ გაუხსნა გზა და სწორედ მათ დაიწყეს ხალხის მისამართით მოწოდება, მოდითო... ვერ წარმოედგინა პოლიციას, რომ ღვთისმსახური ასეთ ნაბიჯს გადადგამდა. პოლიციელები ამბობენ, რომ ბერი გაატარეს ხალხის დასამშვიდებლად, დასაწყნარებლად. ვფიქრობ, ეკლესიას თავისი ადგილი აქვს, სახელმწიფოს – თავისი. არ უნდა მოხდეს აღრევა. გადაწყვეტილებას სახელმწიფო იღებს, ჩარევა არ შეიძლება.

**– ლევან ვასაძის მოსაზრებით, ტრადიციები უნდა იქნას დაცული, თუნდაც კონსტიტუციის დარღვევით...**

– ლევან ვასაძე ძალიან პატივსაცემი კაცია, ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული. ვეთანხმები მის მოსაზრებებს. ტრადიციები ზომიერად უნდა შევინარჩუნოთ. ვასაძე გულისხმობდა ჰომოსექსუალიზმს და ამაში მართალიც იყო. ჩვენ, ქართველები, ვერასოდეს მივიღებთ ამას, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, ვერ შევეგუებით. ჩვენ კი არა, ევროპის ბევრ ქვეყანაში არ უნდათ, დემონსტრაციებს მართავენ. ასე იმასაც მოვესწრებით, რომ ქორწინების სახლიდან ორი ახალგაზრდა ბიჭი გამოვა... არ არის მთლად ასეც, ტრადიციაც მნიშვნელოვანია.

**– ვასაძე მომხრეა, რომ კანონით აიკრძალოს მათი ქუჩაში გამოსვლა...**

– მე რომ მკითხო, შეიძლება არ უნდა ვიხმაურო ამ თემაზე, მაგრამ, წესით, უნდა აიკრძალოს.

**– თუმცა ეს ეწინააღმდეგება დასავლურ კურსს...**

– კი, ასეა. მე იმასაც გკითხავთ, ყველაფერი, რასაც დასავლეთი, ევროკავშირი გვთავაზობს, უნდა მივიღოთ? ყველა ქვეყანას თავისი ტრადიციები აქვს, ცხოვრების წესი და არ უნდა ჩაერიონ ასე ღრმად, არ უნდა იყოს ულტიმატუმი: არ მიგიღებ, თუ ჩემს წესზე არ გადმოხვალ. არ არის ასე. სხვათა შორის, ძალიან ბევრი ქვეყნის შემთხვევებში იყო მომენტები, როცა ევროკავშირი დათმობაზე წავიდა. ლევან ვასაძეს, პრინციპში, ვეთანხმები.

**– ხომ არ დააყენებთ საკითხს პარლამენტში აკრძალვის მოთხოვნით?**

– კანონზე დავაც იყო, მაგრამ ევროპას ჯერ არ უნდა გავექცეთ. მერე რა მოხდება და როგორ გადანაწილდება ეს, არავინ იცის. სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს და რაღაც-რაღაცები ჩვენ ჩვენი უნდა დავიტოვოთ, ყველაფრის წაშლა არ შეიძლება. ჩვენ ხომ არ ვართ გუშინდელი შექმნილი ერი? რატომ უნდა ავეწყო მე ვიღაცაზე? დაგვიტოვონ ჩვენი სახე.

**– შეიძლება კანონმდებლობა გამკაცრდეს?**

– ალბათ, რაღაც უნდა გადაიხედოს. ზოგადად, ბევრი კანონია გადასახედი, იგივე ეკონომიკური კანონები. კანონი კი გადაიხედება, მაგრამ ხალხი უნდა მივაჩვიოთ სწორ ქმედებას. უნდა გვესმოდეს, რომ არ გადავიდეთ კანონის იქით. საერთოდ, ქართველების სენია კანონდაუმორჩილებლობა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან გამოჰყვათ ქართველებს, რომ დაშავება შეიძლება. კანონები უნდა მივიღოთ ხალხთან ერთად და შემდეგ ის კანონები უნდა შევასრულოთ. ვალდებულებების გრძნობაც უნდა არსებობდეს. მაგალითად, როცა ადამიანი ცდილობს, სოფლის მეურნეობა გააუმჯობესოს, მოგცემს თანხას და შენ წახვალ და იმ თანხით მანქანას იყიდი, ეს უმადურობაც არის და უპატივცემლობაც თვითონ ხელისუფლების მიმართ. იგივე შემიძლია ვთქვა სეტყვაზე. უამრავი თანხა დაიხარჯა სეტყვაზე, ახლა კი ერთ პატარა წვიმაზე დელეგაცია მოვიდა დახმარების სათხოვნელად. რამდენი პატარა სეტყვა მოვა, სულ დახმარების თხოვნა არ არის სწორი...

**– თქვენ ადრეც ამბობდით, რომ ბევრი ცნობილი ბიზნესმენი დაინტერესებულია საქართველოში არსებული სიტუაციით. ფიქრობთ, რომ ლევან ვასაძე პოლიტიკაში შემოვა?**

– არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლას არაფერი დაუდგება წინ. მას ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული.

**– შესაძლებელია, მარგველაშვილის მთავარი ოპონენტი სწორედ ვასაძე გახდეს?**

– ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი და ლევან ვასაძე მეგობრები არიან, ვასაძე ღირსეული კაცია, მოვილაპარაკებთ.

**– ლევან ვასაძემ საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა „რესპუბლიკური პარტია“...**

– თავად რესპუბლიკელები გასცემენ პასუხს, თუმცა ჩვენ ერთი კოალიციის წევრები ვართ. რა თქმა უნდა, ჩვენ დავიცავთ ჩვენი კოალიციის ღირსებას.

**– ბურჯანაძის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მისი გაპრეზიდენტება იდეალური ვარიანტი იქნება ქვეყნისთვის. თქვენ როგორ ფიქრობთ, აქვს შანსები ბურჯანაძეს?**

– მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ნინოს, მეგობრებიც ვართ, ვეთანხმებით, რომ ნინო ძალიან კარგი წარმომადგენელი იქნება უმაღლეს ხელისუფლებაში, სადაც არ უნდა დანიშნო. მაგრამ „ქართულ ოცნებას“ დღეს ისეთი ავტორიტეტი აქვს, არა მგონია, ნინო ბურჯანაძეს გამარჯვების შანსი ჰქონდეს. მას ურჩევნია, თავისი ავტორიტეტი და პოტენციალი მომავლისთვის შეინახოს, რადგან ის ძალიან განათლებული ქალია. ახლა „ოცნებასთან“ ბრძოლა არა მგონია, სწორი იყოს. ბევრი კანდიდატი იქნება სხვაც, არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდება, მათაც თავისი კანდიდატი ეყოლებათ. მაგრამ ნინო ბურჯანაძე მათზე ბევრად მაღლა დგას, თუმცა რა ვქნა... მე „ოცნების“ წარმომადგენელი ვარ და ჩემს კანდიდატს უნდა დავუჭირო მხარი.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შეუკვეთა თუ დაფარა მკვლელობა ვანო მერაბიშვილმა?

**my View**

მირიან ბოქოლიშვილი

**სანდრო გირგვლიანის საქმე პრაქტიკულად გახსნილია და როგორც ცნობილია, ეს იქნება ერთ-ერთი ბრალდება, რითაც ვანო მერაბიშვილს გაასამართლებენ. შესაბამისად, ცხარე სამართლებრივი დისკუსიები და დამნაშავეების ძიების პროცესი მალე სასამართლო დარბაზში გადაინაცვლებს. კონკრეტულად რას ედავებიან ვანო მერაბიშვილს გირგვლიანის მკვლელობაში? ცნობილია, რომ ის ამ დანაშაულის ჩადენის დროს საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის მისამართით კითხვები დანაშაულის დაფარვის კუთხით ისმის. როგორც მთავარი პროკურორი აცხადებს, ამ მკვლელობისთვის უკვე გასამართლებულ პირებს მეორედ ვერ გაასამართლებენ, შესაბამისად, საქმეში ახალი ფიგურანტები იკვეთებიან. ცნობილია ისიც, რომ ამ თემაზე პროკურატურის წარმომადგენლებმა უკრაინაში დაკითხეს შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი. რა ინფორმაცია მიაწოდა გამოძიებას მელნიკოვმა, საგამოძიებო ორგანოები არ ახმაურებენ, თუმცა ცნობილია შსს-ს იმ ყოფილ ჩინოსანთა მოსაზრებები, რომლებმაც გირგვლიანის მკვლელობისთვის უკვე მოიხადეს სასჯელი.**

**რა უამბეს თეა თუთბერიძეს გერონტი ალანიამ, ავთანდილ აფციაურმა, ალექსანდრე ღაჭავამ და მიხეილ ბიბილურმა? რა კავშირი აქვს სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ვასილ სანოძის თვითმკვლელობის მცდელობასთან და რა შეუთვალეს გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებულებმა სოზარ სუბარს? „პრაიმტაიმი“ ამ საკითხზე „თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის“ აღმასრულებელ დირექტორს, თეა თუთბერიძეს დაუკავშირდა, რომელიც გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებულებს ჯერ კიდევ პატიმრობაში ყოფნის დროს ესაუბრა.**



## რა კავშირი აქვს სანდრო გირგვლიანის მკვლელობას ვასილ სანოძის თვითმკვლელობის მცდელობასთან?

**თეა თუთბერიძე:**

– გირგვლიანის თემა საკმაოდ დიდი პრობლემა გახლავთ „ნაციონალური მოძრაობისთვის“. თუ ადამიანი ვინმეს აყენებს შეურაცხყოფას, ამისთვის არსებობდა და არსებობს საგამოძიებო ორგანოები და არა ოქროყანის ტყე, სადაც ეს ადამიანი წაიყვანეს. ვერ გეტყვით, ამ საქმის გახსნის, ან არგახსნის საქმეში რა წვლილი მიუძღვის ვანო მერაბიშვილს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ დათა ახალაიასა და ვასილ სანოძეს, სამწუხაროდ, ხელი შეაწმინდეს. ეს ადამიანები აღმოჩნდნენ ამ საქმეს შეწირულები. მოგეხსენებათ, ამ ტრაგედიით ოპოზიცია სამარცხვინოდ სპეკულირებდა და საარჩევნო კლიპებშიც კი იყენებდა სასაფლაოზე გადაღებულ გირგვლიანის დედას. შესაბამისად, ეს იყო საზოგადოებისთვის ემოციური თემა, ამიტომ ხელისუფლებას რაღაც ნაბიჯი უნდა გადაედგა. ეს ნაბიჯი კი აღმოჩნდა ის, რომ ხელი შეაწმინდეს დათა ახალაიასა და ვასილ სანოძეს, რომლებიც რეალურად არაფერ შუაში იყვნენ. ხელისუფლებამ თავის დროზე დაუშვა შეცდომა, როდესაც იმთავითვე არ განაცხადა, რომ ყველა პირი, ვისაც კი ამ დანაშაულში წვლილი მიუძღოდა, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა.

**– თავის დროზე რამდენად ობიექტურად ჩატარდა გამოძიება? მუდმივად იყო საუბარი იმაზე, რომ არასათანადოდ გამოიძიეს ეს საქმე და ისინიც კი, ვინც გირგვლიანის თემაზე დააკავეს, სასჯელს განსაკუთრებულ პირობებში იხდიდნენ...**

– ეს რომ არ იყო შეკვეთილი მკვლელობა, ჩემთვის ცნობილია. ცხადია, ყველა უნდა დასჯილიყო, ვინც ოქროყანაში გირგვლიანის აყვანაში მონაწილეობდა, რასაც შემდეგ მოჰყვა მისი გარდაცვალება. მომავალშიც, თუ ვინმეს პასუხისმგებლობა გამოიკვეთება, ისიც უნდა დაისაჯოს, თუმცა მიმაჩნია, რომ გირგვლიანის თემის გამოძიება მხოლოდ იმ მიმართულებით არ უნდა წასულიყო, რა მიმართულებითაც წავიდა. სამწუხაროდ, მაშინ ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ეს ისევ მათთვის იყო არამომგებიანი ვერსია, ამიტომ თავი შეიკავა ყველა შესაძლო ვერსიის განხილვაზე.

**– რა ვერსიაზე საუბრობ?**

– გირგვლიანის გარდაცვალება პირადად ჩემთვის დღესაც ძალიან ბუნდოვანია. იმ ადამიანების ბრალეულობას



ეჭვქვეშ არ ვაყენებ, რომლებმაც ის ოქროყანაში აიყვანეს, მაგრამ აქ ასევე მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორი. ციხეში ყოფნის პერიოდში ვესაუბრე იმ ადამიანებს, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს ამ მკვლელობისთვის, ოთხივე მათგანთან ინდივიდუალურად ვარ საკანში შესული. ძალიან ბევრი კითხვა მაქვს მათთვის დასმული, მათ შორის ისეთიც, რომელიც არც გამოძიების ეტაპზე და არც სასამართლო სხდომებზე არ გაჟღერებულა. ისინი დეტალურად მომიყვნენ, გირგვლიანისა და ბუხაიძის წაყვანას ოქროყანაში. ისინი ყვებოდნენ შემდეგს: ვასილ სანოძის დაბადების დღეზე, რომელსაც შარდენის #12-ში აღნიშნავდნენ და სადაც უნდა შესულიყვნენ, იქიდან გამოდიოდა ორი ადამიანი გინებით. ალანიამ და სხვებმა ჩათვალეს, რომ ეს ორი ადამიანი ვასილ სანოძისა და მისი სტუმრების მისამართით იგინებოდა, ამიტომ აღარ შესულან ბარში, უკან გაჰყვნენ მათ და ლესელიძის ქუჩაზე ჩაისვეს მანქანაში. წაიყვანეს ისინი ოქროყანისკენ, გირგვლიანი გზაში თითქმის არაფერს ამბობდა, ძირითადად ბუხაიძე „ბუინობდაო“, ზუსტად ასე ყვებიან ისინი. როდესაც მანქანიდან გადმოვიდნენ, ბუხაიძემ ახსენა რაღაც გვარები და დანარჩენებს ეუბნებოდა, – ვიცი თქვენ ვინც ხართ და ვინც გამოგგზავნათო. მის მიერ ნახსენები გვარები ალანიასა და თანმხლებ პირებს არ ეცნოთ, ამიტომ ჩათვალეს, რომ შეეშალათ და შარდენ-ბართან ეს ადამიანები სხვას აგინებდნენ. „ბიჭებს ვუთხარი, წავიდეთ-მეთქი. უკან დაბრუნებას ვაპირებდით, რომ ბუხაიძე გაქანდა და დამარტყაო“, – ყვებოდა ჩემთან ალანია. ამის შემდეგ დაიწყო ხელჩართული ჩხუბი, რა დროსაც ბუხაიძეს საკმაოდ სერიოზულად მოხვდა, გირგვლიანისგან განსხვავებით, რადგან ის მალევე გაიქცაო. ნაცემი ბუხაიძე დატოვეს ადგილზე და წამოვიდნენ. ამის შემდეგ ბუხაიძე არც პოლიციაში რეკავს და არც ახლობლებთან. მოგვიანებით ირკვევა, რომ სანდრო გირგვლიანი არის გარდაცვლილი.

**– როცა შენ ესაუბრე ალანიასა და მასთან ერთად დაკავებულ პირებს, მაშინ ისინი არ აღიარებდნენ დანაშაულს?**

– ისინი ამბობდნენ, ჩვენ მზად ვართ, პასუხი ვაგოთ ჩვენი ქმედებისთვისო. ანუ ის შედეგი, რაც დადგა, ჩვენმა ქმედებამ გამოიწვიაო, ოქროყანაში რომ არ აგვეყვანა ისინი, ეს არ მოხდებოდაო. სხვათა შორის, იმ პერიოდში სახალხო დამცველი გახლდათ სოზარ სუბარი, რომელიც თავიდანვე პირდაპირ მკვლელებად აცხადებდა ამ ადამიანებს. როდესაც მე ისინი საკანში მოვინახულე, ერთ-ერთმა მითხრა: „ჩვენ გირგვლიანი ნამდვილად არ მოგვიკლავს, მაგრამ აქედან რომ გავალთ, სოზარ სუბარს მოვკლავო“.

**– ეს ადამიანები, ვისაც შენ ესაუბრე, გაკვრით მაინც თუ ახსენებდნენ ამ დანაშაულთან მერაბიშვილის, ან მისი მეუღლის კავშირს?**

– არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. მკვლელობის შეკვეთაზე აქ საუბარი ზედმეტია, ეს არის მაშინდელი უპასუხისმგებლო ოპოზიციის მიერ აგორებული თემა. სხვა საკითხია, თუ მერაბიშვილმა ვინმეს ხელი დააფარა დანაშაულის გახსნის პროცესში. თუ მსგავსი რამ დადასტურდა, რა თქმა უნდა, დაუსჯელი არავინ არ უნდა დარჩეს, იქნება ეს მერაბიშვილი თუ სხვა.

**– შენ თქვი, რომ დათა ახალაიასა და ვასილ სანოძეს ხელი შეაწმინდეს. რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს? რატომ ხარ მათ უდანაშაულობაში დარწმუნებული?**

– იმიტომ რომ ქვეყანაში მაშინ ეს თემა ძალიან სენსიტიური იყო, ხელისუფლება ვერ ახერხებდა სიტუაციის ჩაწყნარებას, ამიტომ იმ პერიოდში საჭირო გახდა განტევების ვაცის ძიება, რომლებიც აღმოჩნდნენ დათა ახალაია და ვასილ სანოძე. ისინი თანამდებობიდან გადააყენეს.

**– გირგვლიანის მკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ ვასილ სანოძემ თვითმკვლელობა სცადა... ამბობენ, რომ მას სწორედ ამ ამბის შემდეგ ჰქონდა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობა...**

– როდესაც გაბრალებენ იმას, რაც არ გაგიკეთებია, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ისეთ მძიმე დანაშაულს, როგორიცაა ადამიანის მკვლელობა... ძალიან მძიმეა ყველასთვის. თუკი შენ ეს არ გაქვს გაკეთებული და, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, გიწევს, ამაზე პასუხი აგო, თუნდაც მორალურად, ეს ძალიან რთულია. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, მისი ეს მცდელობა სწორედ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ მისადმი შექმნილ საზოგადოებრივ აზრს უკავშირდებოდეს. იმ მომენტში შეიძლება არაფერი მოიმოქმედოს ადამიანმა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი მის ფსიქოლოგიაზე გავლენას ახდენს. ვასილ სანოძეს კარგად ვიცნობ, ის არ ყოფილა გაუწონასწორებელი და ფსიქოლოგიური პრობლემები არასდროს ჰქონია. ამ გადაწყვეტილებამდე ადამიანები ასე მარტივად არ მიდიან.

ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი პირველი გახლდათ, ვინც მაყურებელს გირგვლიანის მკვლელობის შესახებ ამცნო. მისი აზრით, ამ საქმეში ვანო მერაბიშვილის ბრალეულობა იკვეთება, თუმცა არა როგორც მკვლელობის შემკვეთის, არამედ დანაშაულის დაფარვის მოტივით.

**ნათია მიქიაშვილი, ჟურნალისტი:**

– ამ საქმეში ვანო მერაბიშვილის პასუხისმგებლობა იკვეთება დანაშაულის დაფარვაში. მე არ ვიცი პროკურატურის მასალები, მაგრამ ვიცი, რომ იმ მომენტში მერაბიშვილი საქართველოში საერთოდ არ იმყოფებოდა. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ მან იცოდა ამ დანაშაულის შესახებ და დაფარა, რადგან მისი ოჯახის წევრის ბრალეულობა იკვეთებოდა.

**– ანუ შენ უშუალოდ თაკო სალაყაიას ბრალეულობაზე საუბრობ?**

– ფაქტია, რომ სუფრაზე, სადაც სანდროს დასჯა გადაწყდა, იმყოფებოდა თაკო სალაყაია. შესაძლოა, იქ მკვლელობაზე არ ყოფილა საუბარი, მაგრამ დასჯის გადაწყვეტილება იმ სუფრასთან მიიღეს. მე არ ვიცი მელნიკოვის დაკითხვის შედეგები, ან რატომ ჭიანურდება მისი ექსტრადირება, მაგრამ ამ პიროვნებამ იცის ძალიან ბევრი რამ. არ გამოვრიცხავ, რომ მისმა დაკითხვამ საბოლოოდ ნათელი მოჰფინა გირგვლიანის საქმეს. იმ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრი მინიმუმ უნდა გადამდგარიყო. მე შეგახსენებთ, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში პოლიციამ საზღვარზე დააკავა გოგონა, რომელიც ჩავარდა კომაში, რის გამოც საავადმყოფოში მოხვდა. ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გადამდგარიყო. როგორ მოიქცა ვანო მერაბიშვილი? ის არათუ გადადგა თანამდებობიდან, არამედ ამ საქმის ფიგურანტები – დათა ახალაია და ვასილ სანოძე ფორმალურად გაათავისუფლა, რეალურად კი ისინი ძველებურად აგრძელებდნენ საქმიანობას. გარდა ამისა, ისინიც კი, ვინც დააკავეს, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებდნენ. მე მქონდა რეპორტაჟი, სადაც კარგად ჩანდა, რომ ეს ადამიანები გამოჰყავთ ციხიდან, ციხეში მათთან შედიოდნენ მაღალჩინოსნები და ა.შ. თუმცა ამ ყველაფერში მთავარი იყო ის, რომ მომხდარიყო სუფრის წევრებისა და ოქროყანაში მომხდარი ტრაგედიის დაკავშირება. ოლეგ მელნიკოვი იყო ახალაიას მარჯვენა ხელი. შესაბამისად, ის ფლობს ძალიან ბევრ ინფორმაციას, მათ შორის ამ საქმეზეც.

„პრაიმტაიმი“ შარდენის სუფრის ერთ-ერთ ფიგურანტს, გურამ დონაძესაც დაუკავშირდა, რომელიც გამოძიებამ გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე უკვე დაკითხა. დონაძე ამტკიცებს, რომ უშუალოდ მისი თანდასწრებით არანაირი ინციდენტი არ მომხდარა და მისი თანდასწრებით გირგვლიანის დასჯის ბრძანება არავის გაუცია.

**გურამ დონაძე, შსს-ს პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი:**

– ჩემი ჩვენება დევს საქმეში და ის სრულიად საჯაროა. მე მეორედ მივეცი ამ საქმეზე ჩვენება მოწმის სტატუსით. მეორე ჩვენება თითქმის იდენტურია იმისა, რაც წინა გამოძიების დროს ვისაუბრე. შარდენზე არანაირი ინციდენტი არ მომხდარა, ჩემი მისამართით იქ არავის არაფერი უთქვამს და არავის არანაირი ბრძანება არ გაუცია. მე ვიყავი ავად და სულ რამდენიმე წუთით მივედი სუფრაზე მისალოცად. ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოა, რა შუაშია ვანო მერაბიშვილი? ეს ჩემი, როგორც მოქალაქის, აზრია.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „დემოკრატიას ხელს უშლის არა რე

ქეთი ხატიაშვილი

**პოლიტიკური დაპატიმრებები დაიწყო, მეუფე იაკობი ქუჩაში გამოდის, ლევან ვასაძე მუქარანარევ განცხადებებს აკეთებს, საზოგადოებაში სახიფათო დაპირისპირების მუხტი ჩნდება. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები და რა პერსპექტივები აქვს ნაციონალურ მოძრაობას? ამ და სხვა თემებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრება პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი:**

**– ხელისუფლებაში ყოფნის დროს „ნაციონალურმა მოძრაობამ“, შეიძლება ითქვას, კრიზისებში მართვის სოლიდური გამოცდილება მიიღო. ახლა ის ოპოზიციაშია და კრიზისები, როგორც ჩანს, გრძელდება. პოლიტიკური დაპატიმრებები უკვე დაიწყო. თქვენი აზრით, რა რესურსები აქვს პარტიას იმისთვის, რომ კრიზისი დაძლიოს და შეინარჩუნოს ძლიერი ოპოზიციური პარტიის ნიშა.**

– ჩვენ, როგორც საზოგადოება და სახელმწიფო, მძიმე წარსულიდან მოვდივართ. საუკუნეების განმავლობაში არ გვქონდა დამოუკიდებლობა და ამიტომ, საზოგადოება გადაჩვეულია პოლიტიკური კატეგორიებით აზროვნებას. მეტიც, ჩვენი თვითგადარჩენის ინსტინქტი ასწლეულების მანძილზე სახელმწიფოს უარყოფა იყო, რადგან ეს უცხო სახელმწიფო გახლდათ და ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ვერ გადარჩებოდა ამ უარყოფის გარეშე. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ საზოგადოებამ წინ წამოსწია არაფორმალური ინსტიტუტების მნიშვნელობა, როგორიცაა ოჯახი, სამეგობრო, სამეზობლო, სუფრა, რელიგია და ა.შ. ეს ინსტიტუტები ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი არაფორმალური კულტურის ნაწილებია. იმისთვის, რომ სახელმწიფო შედგეს, ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსია საჭირო სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ჯერ კიდევ არ გვაქვს. იმდენად ბევრი გვაკლია ამ მხრივ, რომ ისეთი ცხადი საკითხიც კი, როგორიც სახელმწიფოს დამოუკიდებლობაა, გარკვეულ ჯგუფებში სადავო ხდება, ან სრული ინდიფერენტიზმის საგანია. რასაკვირველია, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის ეს ძალიან მძიმე რეალობაა.

2003 წლის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ შეეცადა, სახელმწიფოებრიობის ატრიბუტების სწრაფი და ენერგიული დამკვიდრება დაეწყო. ეს ხდებოდა სწორედ ამ რეალობაში, სადაც საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი ცვლილებებისთვის მზად არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ პარტიას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მხარს უჭერდა, საზოგადოების ცალკეულმა სეგმენტებმა მალევე გააცნობიერეს, რომ თანამედროვე სახელმწიფოში ადგილის მოპოვებას ახალი უნარები სჭირდებოდა. ამიტომ, მარგინალიზაციის შიშმა მათ გაუცხოებისკენ უბიძგა.

დღეს ბევრს შეუძლია ილაპარაკოს „ნაციონალური მოძრაობის“ სტრატეგიულ შეცდომებზე და თქვას, რომ პარტია ნაკლებად ენერგიული უნდა ყოფილიყო ცვლილებების გატარებისას. მაგრამ ეს არც ისე ადვილი სათქმელია. ჯერ ერთი, ცვლილებები და მოდერნიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი იდენტობაა; მეორეც, სწრაფი ცვლილებები ეროვნული უსაფრთხოების საკითხი იყო. „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის იმ ტიპის ძალა, რომელსაც მხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნის სურვილი ამოძრავებს, სახელმწიფოებრიობა პარტიის ძირითადი მიზანი და ამოცანაა. ამიტომ, ამ საკითხში კომპრომისები არც კი განიხილებოდა. გასაგებია, რომ, საბოლოო ჯამში, საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანების საფუძველიც სწორედ ეს უკომპრომისობა გახდა, მაგრამ სამაგიეროდ დღეს გვაქვს რეალობა, სადაც სახელმწიფო ნამდვილად არსებობს, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ ამ წარსულისა და იდენტობის გამო, ერთადერთი ნამდვილი პოლიტიკური ძალაა საქართველოში.

ნამდვილად არ მინდა იმის თქმა, რომ მეტი მოქნილობა შეუძლებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, ძალიან ბევრი ტაქტიკური შეცდომაც იქნა დაშვებული, მაგრამ, საერთო ჯამში, პარტია შედგა როგორც ნამდვილი სახელმწიფოებრივი ძალა და ამიტომ მას დიდი მომავალი აქვს საქართველოს პოლიტიკაში.

ამ შეცდომებზე საუბრისას უნდა გავიხსენოთ, რომ საუკეთესო საკადრო რესურსის მიზიდვის მიუხედავად, საკადრო პრობლემები „ნაციონალურ მოძრაობასაც“ საკმარისად ჰქონდა. ესეც ჩვენი საერთო რეალობის ნაწილია. ზოგადად, ჭირს არა მარტო პროფესიონალიზმი ყველა სფეროში, არამედ ღირებულებებიც და განსაკუთრებით სოციალურ და პოლიტიკურ სფეროშია ეს მართალი, რადგან აქ ჯერ კიდევ ძალიან პატარა გამოცდილება გვაქვს.

**– რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება ქართულ პოლიტიკაში? ჩვენ ყველამ ვიხილეთ ლევან ვასაძის პოლიტიკური ხასიათის განცხადებები „მაესტროს“ ეთერში. მან გარკვეულწილად ერთმანეთს დაუპირისპირა ქართული ტრადიციები და კონსტიტუცია და კანონები. შეიძლება ეს განვიხილოთ, როგორც ეკლესიის ხელისუფლებასთან დაპირისპირების მცდელობა?**

– ტენდენციები, სამწუხაროდ, არ არის იმედისმომცემი. რამდენადაც იდეური იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა, იმდენად უიდეოა „ქართული ოცნება“. არც თვითონ მალავენ, რომ ეს მხოლოდ გაღიზიანებული ადამიანების ხელისუფლებაა. პრობლემა აქ ისაა, რომ ეს არ არის რაციონალური გაღიზიანება, ესაა გაღიზიანება სახელმწიფოს, როგორც ასეთის, ფაქტის მიმართ. საზოგადოების ნაწილისთვის არაკომფორტული აღმოჩნდა სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებლობას ითხოვს თითოეული მოქალაქისგან, არაკომფორტული აღმოჩნდა საერთო წესებზე შეთანხმების აუცილებლობა, ასევე ის უკომპრომისობა, რომელსაც სახელმწიფო იჩენდა ამ წესებიდან გადახვევის შემთხვევაში. არაკომფორტული აღმოჩნდა, ასევე, მსხვერპლის აუცილებლობის გაცნობიერება, რადგან ის, რისთვისაც ეს მსხვერპლი უნდა გაღებულიყო, ანუ დამოუკიდებლი სახელმწიფო, ზოგიერთისთვის დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

სიმბოლურია და ამ სიტყვების მტკიცებულებაა ისიც, რომ ადამიანები, ვის მიმართაც საზოგადოებას ყველაზე დიდი გაღიზიანება ჰქონდა, თვეების განმავლობაში ისე იმყოფებიან ციხეში, რომ მათ მიმართ სამართლებრივი დევნა წარმატებით ვერ სრულდება. ეს იმიტომ ხდება, რომ ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა დანაშაულთან, სამართლებრივი გაგებით, არამედ არარაციონალურ გაღიზიანებასთან ლეგიტიმური ძალადობის მიმართ, რომელიც, როგორც იცით, სახელმწიფოს პრეროგატივაა.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ამ ყველაფრის უარყოფით მოვიდა და მათი პოლიტიკაც შესაბამისია. თავისთავად კოალიციის დასახელებაც კი – „ქართული ოცნება“ – არარაციონალური და არაფრისმთქმელია. ამ ხალხს არა აქვს პოლიტიკური მიზანი, გარდა იმისა, რომ დასაჯოს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც საქართველოში ნაციის, ანუ სახელმწიფოს შექმნა სცადა და გამოუვიდა. ამიტომ დღეს ჩვენ ვაკვირდებით ბრძოლას სახელმწიფოებრიობის მოსურნე და სახელმწიფოებრიობის მოძულე ძალებს შორის. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ასეა.

ალბათ, გამოჩნდებიან ოპონენტები და ამ სიტყვების საწინააღმდეგოდ რამდენიმე კონკრეტულ დანაშაულს დაასახელებენ, მაგრამ რაც არ უნდა დაასახელონ, საერთო სურათი სწორედ ასეთია და მისი შეცვლის უნარი „ქართული ოცნების“ ძალებს აღემატება. მათი პოლიტიკური იდენტობა თავიდანვე განისაზღვრა როგორც არა აღმშენებლობა, არამედ – ნგრევა, არა გაერთიანება, არამედ – შურისძიება და ძალადობა. თუ „ნაციონალურ მოძრაობას“ ლეგიტიმურ ძალადობას ედავებოდნენ, დღეს ძალადობას ქუჩაში უხსნიან გზას და ამას საზოგადოების დაკვეთას ეძახიან. თუ თავად საზოგადოება სწრაფად არ გამოფხიზლდა, ეს ყველაფერი გარდაუვლად მიგვიყვანს სახელმწიფოებრიობის დასუსტებასა და გაუქმებამდე.

რაც შეეხება ტრადიციების კონსტიტუციასთან დაპირისპირებას, ბოდიში უნდა მოვითხოვო ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ეს სრული სისულელეა. თქვენს წინა კითხვაზეც ვახსენე არაფორმალური ინსტიტუტები. ტრადიციები სწორედ არაფორმალურ ინსტიტუტებს მიეკუთვნება და სახელმწიფოსთან არანაირი შეხება არ აქვს. ფორმალური ინსტიტუტები კანონით ფიქსირდება, ამიტომ, როდესაც ტრადიციებს კონსტიტუციას ვუპირისპირებთ, გამოგვდის იმის მტკიცება, რომ ვთქვათ, კანონი კრძალავს ქეიფს, მეგობრობას და ა.შ. ფორმალური სფერო საერთო საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი შეთანხმების სფეროა და მას არაფერი ესაქმება სიყვარულთან, რწმენასთან, მეგობრობასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან და ა.შ. ეს პირადი და კერძო საკითხებია და მათი საერთო-ეროვნულ დონეზე განხილვა სახელმწიფოებრიობისათვის პირდაპირი საფრთხეა. სუბიექტური შეხედულებების განზოგადება და ყველასთვის თავსმოხვევის მცდელობა იდეოლოგიური დიქტატურის გამოვლინებებია. ეს პირდაპირ ემუქრება როგორც პიროვნულ, ასევე ეროვნულ თავისუფლებას. ჩვენ სახელმწიფო სწორედ იმისთვის გვჭირდება, რომ პიროვნული თავისუფლებები გარანტირებული იყოს. ოღონდ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არსებობს პიროვნული თავისუფლება თემის, საზოგადოების თავისუფლების გარეშე. ამიტომ საზოგადოებრივი თანხმობა აუცილებელია არა სუბიექტური შეხედულებების შესახებ, არამედ ისეთი თემების შესახებ, რომლებიც საზოგადოების დაცულობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.




„საუკეთესო საკადრო რესურსის მიზიდვის მიუხედავად, საკადრო პრობლემები „ნაციონალურ მოძრაობასაც“ საკმარისად ჰქონდა“

## ანდრო ბარნოვი: „სწრაფი ცვლილებები ეროვნული უსაფრთხოების საკითხი იყო“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლიგია, არამედ ფუნდამენტალიზმი“

**– სააკაშვილის მმართველობის მთავარი პოლიტიკური ბრენდი რეფორმებია. სხვა საქმეა, რა ხარვეზები იყო დაშვებული, ან ვის როგორ მოსწონდა ეს ცვლილებები, თუმცა ეკლესია მაინც დარჩა საერთო რეფორმებსმიღმა. შეიძლება ეს ფაქტორი „ნაციონალური მოძრაობის“ არჩევნებში მარცხადაც ჩაითვალოს?**

– საქმე ისაა, რომ, როდესაც საზოგადოების ნაწილმა სახელმწიფოებრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებს ფეხი ვერ აუწყო, ეკლესიამ ბუნებრივად ისარგებლა ამით და ეს მარგინალიზებული ადამიანები გულში ჩაიხუტა. მე არ ვფიქრობ, რომ ეს სპეციალურად, ვინმეს გათვლით მოხდა ასე. უფრო მგონია, რომ ეს იყო ობიექტური პროცესი და ადამიანებმა, უბრალოდ, ეკლესიაში იპოვეს ის ადგილი, სადაც მათი ადვილი რეალიზების საშუალება იყო.

სახელმწიფოებრიობისთვის უარყოფითი როლი იმან კი არ შეასრულა, რომ ადამიანებმა გამოსავლის ძებნა ეკლესიაში დაიწყეს, არამედ იმან, რომ თავად ეკლესიის ბევრი მსახურიც არაფრით განსხვავებული აღმოჩნდა მრევლისგან. იმის მაგივრად, რომ ეკლესია გვერდში დასდგომოდა სახელმწიფოს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში, სინამდვილეში ძალიან ჭრელი სურათი მივიღეთ. ეკლესიის ცალკეულ მსახურებზე ნამდვილად ვერ ვიტყვი აუგს, მაგრამ მთლიანობაში ეკლესიაშიც იგივე მდგომარეობა გვაქვს, რაც, ზოგადად, საზოგადოებაში. ძალიან დიდი პრობლემაა გაუნათლებლობა. სამწუხაროდ, ისეთი მღვდლებიც ვიცი, ბიბლია და სახარება ჩემზე გაცილებით ცუდად რომ იციან. აღარაფერს ვამბობ სხვა კანონიკურ ტექსტებზე. ბევრს ქრისტიანობის ძირითადი არსიც კი არ ესმის. ამიტომ, საზოგადოების ეს ნაწილი, ფაქტობრივად, გაუნათლებელ ე.წ. ღვთისმსახურთა მძევლის როლში აღმოჩნდა, რომლებსაც რთული თემების ირგვლივ მსჯელობა არ შეუძლიათ, გაურბიან ამ თემებს და ადვილ გამოსავალს სახელმწიფოსთან დაპირისპირებაში ხედავენ. რა თქმა უნდა, ძალიან საშიში და სამწუხარო რეალობაა, იმიტომ რომ, საბოლოო ჯამში, ეკლესიაც სოციალური ინსტიტუტია და მისი მიზანიც ადამიანის კეთილდღეობაა. არ შეიძლება, სიყვარულსა და მორჩილებაზე დაფუძნებული რელიგია ძალადობასა და სიძულვილს ქადაგებდეს.

ერთი სიტყვით, შედეგად მივიღეთ ის, რომ საზოგადოების ამ ნაწილის მარგინალიზაცია სახელმწიფოებრივი სივრციდან კიდევ უფრო გაღრმავდა. ეს არის რეალობა, რომელიც არც ეკლესიას უქადის კარგს არაფერს. თუ რეალური ინტერესი ვერ ნახეს, ერთ მშვენიერ დღეს ხალხი დაიღლება ეკლესიით. უნდა გვახსოვდეს, რომ გლობალიზაციის ეპოქაში ვართ და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ძალიან გაზრდილია. ამიტომ, ჩემი აზრით, ეკლესიის მსახურნი კარგად უნდა დაფიქრდნენ ამაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნონ. საზოგადოებას ეკლესიაში სიმშვიდე და სულიერება აინტერესებს. თუ ეკლესიამ ეს ვერ უზრუნველყო, საერო ხელისუფლებასთან დაპირისპირების მოკლევადიანი სტრატეგიით ფონს ვერ გავა და სოციალურ ფუნქციას დაკარგავს. ეს კი ნამდვილად არ არის ის, რაც მე შეიძლება, ვისურვო.

**– არსებობს ვარაუდი, რომ მუსლიმანური რელიგია შეუთავსებელია დემოკრატიულ ფასეულობებთან, იმიტომ რომ ღმერთი მორჩილებას ითხოვს და არა თავისუფლებას. 17 მაისის შემდეგ ისეთი განცდა გაჩნდა, რომ გარკვეულ ძალებს საქართველოშიც სურთ, რელიგია პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ და გვითხრან: ქრისტე – ეს შეზღუდვებია და არა ფასეულობები.**

– პირველ რიგში, დიდი პატივისცემა მინდა დავაფიქსირო ჩვენი მუსლიმანი თანამოქალაქეებისა და, საერთოდ, ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენლის მიმართ. აღმსარებლობის თავისუფლება ერთ-ერთი ძირითადი საკითხია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ტყუილია, რომ რომელიმე რელიგია ხელს უშლის დემოკრატიას. დემოკრატიას ხელს უშლის არა რელიგია, არამედ ფუნდამენტალიზმი, რაზეც ზემოთაც ვთქვი. რელიგია, პირველ რიგში, პიროვნული თავისუფლებაა. რელიგია და ზოგადად რწმენა ის ფენომენებია, რაც თავისებურად ასაზრდოებს პიროვნულ თავისუფლებას და თავისუფლებას დოგმის ხასიათს კი არ აძლევს, არამედ, ასე ვთქვათ, ცოცხლად ინახავს. ყველა ძირითადი რელიგია იმისთვის არსებობს, რომ ადამიანს რაღაც უფრო მაღალთან და მარადიულთან მიახლოების საშუალება მისცეს. ამიტომ, მორჩილებაზე აქცენტის გაკეთება არასწორია. არც ერთი რელიგია არ ქადაგებს, რომ რწმენის საწინააღმდეგოდ რაიმეს დამორჩილდე. პირიქით, შიში, ფარისევლობა თუ შეუწყნარებლობა ყველაზე დიდ ცოდვებად ითვლება და ეს ლოგიკურიცაა.

პოლიტიკური მიზნებისთვის რელიგიას ის იყენებს, ვისაც არაფრის სწამს და ფარისევლობითაა მხოლოდ დაკავებული. მე ვფიქრობ, სწორედ ეს, ფარისევლობაა ძირითადი პრობლემა და სრულიად აუცილებელია, რომ ეს ჩვენ მაქსიმალურად აღმოვფხვრათ როგორც ეკლესიაში, ასევე პოლიტიკაში და მთლიანად საზოგადოებაში.

> „ამ პოლიტიკური ძალის ერთადერთი მიზანია ხელისუფლებაში დარჩენა. ეს კი ნიშნავს კორუფციის დაბრუნებას, განვითარების შეწყვეტას, სიღარიბესა და ქაოსს“

**– 90-იან წლებში პოლიტიკური კრიზისი შეიქმნა იმიტომ, რომ პოლიტიკოსებმა – ზვიად გამსახურდიამ და გია ჭანტურიამ საერთო ენა ვერ გამონახეს. შედეგად გამოჩნდა კიტოვანი საკუთარი გვარდიით, იოსელიანი „მხედრიონით“, ამას სამოქალაქო ომი მოჰყვა... რამდენად ვდგავართ ასეთივე საფრთხის წინაშე ახლა? რამდენად შესაძლებელია, რომ, თუ მთავარი პოლიტიკური ძალები – „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ვერ მოილაპარაკებენ, გამოჩნდეს მესამე, რომელიც სახიფათო იქნება ორივე მათგანისთვის და 90-იან წლებში დაგვაბრუნებს?**

– არა, არ ვფიქრობ, რომ ჩვენ დღეს იგივე რეალობის წინაშე ვდგავართ. სტრუქტურულად მოვლენები რაღაცით ჰგავს 90-იან წლებს, მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი სიახლე: საზოგადოება ძალიან გაიზარდა ამ პერიოდში და, ვფიქრობ, ნამდვილად გაჩნდა კრიტიკული მასა საზოგადოებაში, რომელიც ახალ არეულობას მხარს არ დაუჭერს. ახალი რეალობაა ისიც, რომ პირველად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დღეს საქართველოში არსებობს რეალური ოპოზიცია. „ნაციონალური მოძრაობა“ ამაშიც პირველი აღმოჩნდა და ამ პარტიის დიდ პოლიტიკურ და ისტორიულ მნიშვნელობას ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

**– მესამე უკვე გამოჩნდა. მათი მოთხოვნებია: სამართლიანობის აღდგენა, ვადამდელი არჩევნები და მოლოდინი, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკას დატოვებს... წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აგრესიული მეთოდების გამოყენებით იმუქრებიან. ამ აგრესიამ უკვე გააჩინა „მხედრიონისა“ და გვარდიის ასოციაციები...**

– თქვენ, ალბათ, კუკავას, ბურჯანაძეს, ვასაძეს, ხაზურძანიას გულისხმობთ. ჩემი აზრით, ეს მარგინალური ჯგუფია, რომელიც, ვფიქრობ, პირდაპირ იმართება რუსეთიდან და კაპიტალიზაციას აგრესიასა და არეულობაზე აკეთებს. დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოების 2-3%-ზე მეტი მათ პოლიტიკას არასოდეს დაუჭერს მხარს.

**– თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს საუკეთესო გამოსავალი ქვეყნისთვის? რა არის ის, რაც პოლიტიკური კრიზისის საფრთხეს აგვაშორებს?**

– დღევანდელი მმართველი ძალის პირობებში ძნელია, დარწმუნებით ისაუბრო იმაზე, რომ პოლიტიკური კრიზისი არ დადგება. პირადად მე ყველაზე ძალიან მეშინია არა მათი სრული არაკომპეტენტურობის, რაც ასევე ფაქტია, არამედ – ულირებულებობის, რაც თითქმის ტოტალურად ემუქრება ჩვენს სახელმწიფოებრიობას. მეშინია, ასევე, უკიდეგანო პოპულიზმის, რაც ასევე დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს სახელმწიფოს, და მეშინია მათი უმიზნობისა და უიდეობის, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ პოლიტიკური ძალის ერთადერთი მიზანი ხელისუფლებაში დარჩენა იქნება, ეს კი ნიშნავს კორუფციის დაბრუნებას, განვითარების შეწყვეტას, სიღარიბეს, ქაოსსა და ყველა იმ უკეთურებას, რაც ბოლო წლებში თითქმის დაგვავიწყდა.

გამოსავალი, ცხადია, ისაა, რომ საზოგადოებამ მხარი დაუჭიროს ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესს. ეს დევნა, რაც პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ მიმდინარეობს, სწორედ საზოგადოების ზეწოლით უნდა დამთავრდეს და ოპოზიციას უნდა მიეცეს საშუალება, ხელისუფლებაზე ეფექტური ზეწოლა განახორციელოს მაშინ, როცა ეს რეალურად საზოგადოების ინტერესებშია. ეს მოგვცემს საშუალებას, რეალურად დავლაგდეთ, როგორც ქვეყანა და საზოგადოება, და განვაგრძოთ წინსვლა.

**– დაბოლოს, მინდა გკითხოთ, რატომ შეხვედით „ნაციონალურ მოძრაობაში“ ახლა, როცა პარტიას მძიმე მდგომარეობა აქვს და ბევრი მას დაშლასა და გაქრობასაც კი უწინასწარმეტყველებს. რა იყო თქვენი მიზანი და როგორ ხედავთ საკუთარ როლსა და ადგილს პოლიტიკაში?**

– რა არის, იცით? მე არ მგონია პოლიტიკა და საჯარო სივრცე ისეთი სფერო, სადაც რაიმე მოგებისთვის უნდა წახვიდე. საერთოდ მეკარგება ხოლმე საჯარო სივრცის მიმართ ინტერესი, როდესაც ვხედავ, რომ ყველაფერი კარგად მიდის. მაგალითად, 2004-2008 წლებში საერთოდ არ ვიყავი ჩართული ამ სფეროში და არც მიცდია ჩართვა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე უკვე საკმარისი გამოცდილება მქონდა დაგროვილი. არსებობს სხვა ბევრი სფერო ცხოვრებაში, სადაც ადამიანმა საკუთარი თავის რეალიზაცია შეიძლება მოახერხოს და პოლიტიკაში ყოფნა ნამდვილად არ არის ყველაზე სასიამოვნო ცხოვრება.

თუმცა მგონია, რომ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დაგროვილი მაქვს, როგორც პასუხისმგებლობით აღჭურვილ მოქალაქეს, არ მაძლევს უფლებას, მშვიდად ვიჯდე და თბილი ადგილი ვეძებო მაშინ, როდესაც ვხედავ, რომ საზოგადო ინტერესი სხვა რამეს მოითხოვს. ეს, უბრალოდ, ვერ ჯდება ჩემს ბუნებაში. ეს იყო იმის მიზეზი, რომ თავის დროზე საერთოდ დავიწყე საჯარო სამსახური და ნებაყოფლობით წავედი ჯარში, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ვმუშაობდი და დიდი გეგმებიც მქონდა; ეს პასუხისმგებლობა იყო იმის მიზეზიც, რომ 2008 წლის ომის შემდეგ ექსპერტის რანგში დავიწყე აქტიურობა; იმის მიზეზი, რომ 2009 წლის პოლიტიკური კრიზისისას, სრულიად დამოუკიდებლად, ძალიან ბევრი ვიშრომე იმისთვის, რომ კრიზისი ჩამცხრალიყო; იმის მიზეზი, რომ 2010 წელს თავდაცვის აკადემიის რექტორობას დავთანხმდი და ძალიან რთული პასუხისმგებლობა ავიღე ჩემს თავზე; შემდეგ მინისტრის მოადგილის რანგში, ასევე, ძალიან ბევრი რთული პროექტი წამოვიწყე და, პრაქტიკულად, ისე გაიარა ამ წლებმა, რომ პირად ცხოვრებასა და რაიმე მოგებაზე არც კი მიფიქრია. მე ასეთი ცხოვრებით ვარ ბედნიერი, როცა ვიცი, რომ ვიხარჯები რაღაც უფრო დიდისთვის, ვიდრე ჩემი ვიწრო ინტერესი შეიძლება იყოს.

> „საზოგადოებას ეკლესიაში სიმშვიდე და სულიერება აინტერესებს. თუ ეკლესიამ ეს ვერ უზრუნველყო, საერო ხელისუფლებასთან დაპირისპირებით სოციალურ ფუნქციას დაკარგავს“

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდთან შეერთებას, მე მგონი, ამისი ბევრი მიზეზი ზემოთ უკვე დავასახელე. მე სრული იდენტიფიკაცია მაქვს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ და მიმაჩნია, რომ ეს სწორედ ის პოლიტიკური ძალაა, რომელსაც აქვს უნარი, პასუხისმგებლობა და გამოცდილება, ქვეყნის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულოს.

თუმცა იყო სხვა არგუმენტებიც, რის გამოც კიდევ ერთხელ დავანებე თავი უნივერსიტეტს და პოლიტიკურ სივრცეში გადავინაცვლე. გაგახსენებთ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ჯერ არ გვქონია სიტუაცია, რომ ხელისუფლება შეიცვალოს და ოპოზიციური ძალა გადარჩეს. ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩვენ მივიღეთ უნიკალური შესაძლებლობა, რომ დემოკრატიული პროცესი წინ წავიდეს და საზოგადოება სწრაფი ტემპით განვითარდეს. ძალიან სამწუხაროა, რომ ახალი ხელისუფლება არ ცდილობს, ეს შანსი გამოიყენოს და მეც სრულიად აშკარად ვხედავდი, რომ დაწყებული იყო პირდაპირი დევნა არა პარტიის ცალკეული წევრების, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ. ხელისუფლების მიერ ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სრულიად გაენადგურებინათ. ამიტომ, როდესაც პრეზიდენტისგან მივიღე შემოთავაზება, რომ შიდა ქართლში, ჩემს მშობლიურ რეგიონში, წავსულიყავი გუბერნატორად, მე ეს მივიღე, როგორც დიდი პატივი და გამოწვევა და, ცხადია, დავთანხმდი ბევრი ფიქრის გარეშე. სირთულეების მიუხედავად, ბედნიერი ვარ, რომ რამდენიმე თვე რეგიონში ვიმუშავე და ბედნიერი ვარ ახლაც, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას ვხელმძღვანელობ. ძალიან მნიშვნელოვანია იმის განცდა, რომ საერთო საქმისთვის რაღაცას აკეთებ და რაც შეგიძლია, მაქსიმალურად იხარჯები ამაში. ყველას ვუსურვებ, ეს განცდა ყველა საქმეში თან სდევდეს.




> „ყველაზე ძალიან მეშინია არა მათი სრული არაკომპეტენტურობის, არამედ – ულირებულებობის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 26 მაისის მოვლენების შემდეგ შსს-დან გათავისუფლებული თანამშრომლები ღარიბაშვილს სამსახურში აღდგენას სთხოვენ



# „ჩემთვის, დღემდე აუხსნელია რატომ ვითვლები პერსონა ნონ-გრატად“

EXCLUSIVE

## „ჩემი ძმა, ირაკლი ფირცხალავა, იმყოფებოდა მიტინგზე და მხარს უჭერდა ბურჯანაძეს“

მირიან ბოქოლიშვილი

**ერთ-ერთი საქმე, რასაც წინასწარ პატიმრობაში მყოფ ვანო მერაბიშვილს ედავებიან, 26 მაისის მოვლენებს უკავშირდება. ბურჯანაძის მიტინგის დაშლისას გადამეტებული ძალის გამოყენების გარდა, 26 მაისის კონტექსტში შესაძლოა, მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებები გაჩნდეს. საუბარია სამართალდამცველი სტრუქტურებიდან იმ თანამშრომლების უკანონო გათავისუფლებაზე, რომელთა ახლობლებიც რაიმე სახის კავშირში იყვნენ ოპოზიციურ მოძრაობასთან. 26 მაისის მოვლენების შემდეგ შსს-დან ამ კატეგორიის თანამშრომელთა მასიურ გათავისუფლებაზე საჯაროდ ბევრი არ საუბრობს, თუმცა ერთ-ერთი გამომძიებელი, რომელიც სწორედ ამ მიზეზით დაითხოვეს, ინტერვიუზე დაგვთანხმდა. ირინა ფირცხალავა ამტკიცებს, პოლიციიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ 26 მაისის აქციაზე მისი ძმა, ირაკლი ფირცხალავა მონაწილეობდა. ის ამბობს, რომ ანალოგიური მოტივით შსს-დან არაერთი ადამიანი გაუშვეს, თუმცა მათ სამსახურებში აღდგენა ვერც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მოახერხეს.**

**ირინა ფირცხალვა, ისანი-სამგორის მე-10 განყოფილების ყოფილი გამომძიებელი:**

– ვმუშაობდი ისანი-სამგორის მე-10 განყოფილებაში. გამათავისუფლეს განყოფილების უფროსის პატაკის საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ თითქოს სისტემატურად ვაცდენდი სამსახურს, ვიგვიანებდი და ვარღვევდი ფორმის ტარების წესს. მაშინ, როცა ფორმის ტარება საერთოდ არ მევალებოდა. ეს ყველაფერი არის აბსოლუტური სიცრუე. სინამდვილეში ერთი დღეც კი არ გამიცდენია სამსახური, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ საგამოძიებო მოქმედებების დროს მიწევდა განყოფილებიდან გასვლა. ჩემთვის არ არსებობდა პირადი საქმე, მთლიანად ვიყავი გადართული ჩემს სამსახურზე. ჩემს ფუნქციებში შედიოდა საგამოძიებო საქმიანობა და ძალიან მიყვარდა ჩემი საქმე. ოპერატიულ თათბირზეც კი არასდროს დამიგვიანია. გარდა ამისა, ეს იყო ჩემთვის ერთადერთი შემოსავლის წყარო. საკმაოდ ხელმოკლე ოჯახში გავიზარდე და მიზნად მქონდა დასახული, ჩემით შემექმნა ელემენტარული საარსებო საშუალება.

**– თუკი პატაკში მითითებული მოტივი არ შეესაბამება სიმართლეს, მაშინ რა გახდა თქვენი გათავისუფლების რეალური მიზეზი?**

– ეს უკავშირდება ნინო ბურჯანაძისა და სახალხო კრების მიერ გამართულ აქციებს. 26 მაისს, ჩემი ძმა, ირაკლი ფირცხალავა იმყოფებოდა მიტინგზე და მხარს უჭერდა ბურჯანაძეს. მოყვა დარბევაში. მანამდე ვთხოვე, რომ ირაკლი არ წასულიყო, რადგან შეიძლება პრობლემები მე შემექმნას სამსახურშიმეთქი. არ დამიჯერა და მაინც წასულა.

**– რატომ შეიძლებოდა პრობლემები შეგქმნოდათ... გაფრთხილება იყო წინასწარ?**

– ძალიან ბევრი ადამიანი გაუშვეს უწყებიდან იმის გამო, რომ მათი ახლობელი მხარს უჭერდა რომელიმე ოპოზიციურ პარტიას. ეს ყველაფერი ვიცოდი და ამიტომ ვაფრთხილებდი ჩემს ძმას არ წასულიყო. 26 მაისს, სადღაც პირველი საათისკენ, მეზობელმა დამირეკა, შენი ძმა საავადმყოფოშია, გონება აქვს დაკარგული და მოხედეო. ორ ცეცხლს შუა ჩავვარდი – საკუთარი ძმის მდგომარეობა და ჩემი სამსახური. დაველოდე განყოფილებაში საღამოს თათბირის დასრულებას და წავედი ჩემს ძმასთან საავადმყოფოში. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ვერც კი მიცნო. გეგმაში მქონდა, რომ ჩუმად გამომეყვანა საავადმყოფოდან, რომ არ დაეჭირათ. იმაზე უკვე აღარ ვფიქრობდი მომხსნიდნენ თუ არა. ირაკლი რომ დავინახე, უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ სამსახური აღარ მექნებოდა. ჩემი მიზანი იყო თავისუფლებაზე დამეტოვებინა ძმა. მაგრამ ვერ წამოვიყვანე, რადგან ფეხზე ვერ დგებოდა, ისეთი ნაცემი იყო. იმ ღამეს მომიწია საავადმყოფოში მისი დატოვება. მეორე დღეს გამოვიყვანე, დიდუბეში მივიყვანე სადგურზე, ჩავსვი „მარშრუტკაში“ და რაიონში გავუშვი. ამ დღიდან მოყოლებული, ყოველდღე ველოდებოდი ჩემს დაბარებას გენერალურ ინსპექციაში. ამიტომ ვცდილობდი რაიმე დამატებითი საბაბი არ მიმეცა ხელმძღვანელობისთვის. არ მინდოდა სამსახურის დაკარგვა, რადგან საკმაოდ სოლიდური ბანკის ვალები მქონდა, თან, როგორც გითხარით, შეყვარებული ვიყავი ჩემს საქმეზე. ერთადერთხელ ზაფხულში მოგვივიდა მე და ჩემს უფროსს ბესიკ შეფერს შელაპარაკება, ძაღლის ქურდობასთან დაკავშირებით. მას არ სურდა, რომ ქურდობის სტატისტიკა გაზრდილიყო, მე კი პროკურორისგან მქონდა პირდაპირი დავალება, რომ საქმე ქურდობის მუხლით მეწარმოებინა. ამის შემდეგ შეფერმა მომცა ორკვირიანი ვადა, რომ ჩემი ნებით წავსულიყავი სამსახურიდან. მე, პოლიციის რიგებში, გამოცდების საშუალებით მოვხვდი, გავიარე კონკურსი და ასე მარტივად ვერ წავიდოდი. წასასვლელიც არსად მქონდა. მეორე დღეს, ჩვეულებრივ გამოვცხადდი სამსახურში და ვუთხარი, თუ ძალიან გინდა, შენ თვითონ მომხსენი-მეთქი. ამის შემდეგ მიბარებენ გენერალურ ინსპექციაში და მეკითხებიან, თუ რითი ვიყავი უკმაყოფილო.

**– თქვენი ძმა გიხსენეს გენინსპექციაში?**

– არა, ასე პირდაპირ ამაზე საუბარი არ ყოფილა, მაგრამ ყველამ ძალიან კარგად იცის რეალურად რისთვის მედავებოდნენ. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვიყავი სამსახურით, ამიტომ პასუხი ვერ გავეცი. მეუბნებოდნენ შენ არ ხარ სანდო, საშიში ხარო. იძულებული გავხდი მე თვითონ დამეწერა პატაკი, ერთი ვანო მერაბიშვილის სახელზე, ერთი თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის, გიორგი ხიზანიშვილის სახელზე. როდესაც პატაკის დაწერა დავასრულე, ოთახში შემოვიდა ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, რომელმაც იკითხა, რას ვაკეთებდი? პასუხი გასცეს, პატაკს წერს და მიდისო. ეს კაცი ძალიან აღშფოთდა, ვის უშვებს პატაკით, ასე ხომ ორ თვეში უკან დაბრუნდებაო, ეგ დასკვნით უნდა გავუშვათ, რომ ცხოვრებაში უკან ვერ მობრუნდესო. მართლაც, რამდენიმე დღეში, უკვე ჩემდა გასაოცრად, ჩემი განყოფილების უფროსი ბესიკ შეფერი აგზავნის პატაკს, რომ თითქოს მე ვაგვიანებდი სამსახურში, ვაცდენდი და ათასი სისულელე... შესაბამისად, გაიცა დასკვნა, რომ ადმინისტრაციული დარღვევების გამო მე სამსახურიდან მომხსნეს. ბესიკ შეფერმა თავის უფლებამოსილებას გადაამეტა, როდესაც ასეთი აბსურდული პატაკი გაგზავნა. მან თავიდან უარყო, რომ ეს პატაკი მისი გაგზავნილი იყო, მაგრამ მერე გამოტყდა, რომ ასეთი დავალება ჰქონდა. პირდაპირ თქვა, რომ ჩემი მოშორება ჰქონდა დავალებული.

**– რატომ?**

– მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა. 26 მაისს ჩემი ძმა აქციაზე იყო, 7 ნოემბერს დაჭერილიც გახლდათ. ჩემი ოჯახის წევრი ოპოზიციასთან თანამშრომლობაში იყო შემჩნეული, ამიტომ ასე გადამიხადეს სამაგიერო. გენინსპექციაში მე იმ პატაკს ხელი არ მოვაწერე, ჩაწერეს, რომ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარს აცხადებსო.

**– ხელისუფლების შეცვლის შემდეგ არ გქონიათ სამსახურში აღდგენის მცდელობა?**

– ოქტომბრიდან მოყოლებული რატომღაც იმედი გამიჩნდა, რომ ჩემს სიმართლეს დავამტკიცებდი, თუმცა აღმოჩნდა, რომ მე მიუღებელი ვარ, როგორც წინა ხელისუფლებისთვის, ასევე მოქმედისთვის. მივმართავ შს მინისტრს, გამოიძიოს ჩემი და უკანონოდ გათავისუფლებული სხვა თანამშრომლების საქმე და მოგვეცეს ჩვენ სტრუქტურაში დაბრუნების საშუალება. სახალხო დამცველთანაც დავწერე საჩივარი და იმედს ვიტოვებ, რომ რეაგირება მოჰყვება. ჩემთვის დღემდე აუხსნელია რატომ ვითვლები პერსონა ნონ-გრატად. სამწუხაროდ, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, პრიორიტეტი ენიჭება პატიმრებს, რომლებსაც პოლიტიკური სტატუსი მიანიჭეს და არავის გახსენებია ის ხალხი, ვინც უკანონოდ გაათავისუფლეს ნაციონალების პერიოდში პოლიტიკური ნიშნით თუ რომელიმე თანამდებობის პირის პირად კაპრიზზე. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო, როდესაც ირმა ნადირაშვილი იმ ხალხის დამცველად გამოვიდა, ვინც ამ ხელისუფლების მიერ იქნა გათავისუფლებული სხვადასხვა მიზნით. რადგანაც ეს ქმედება არ იყო უცხო მისი პარტიისთვის და მას, იმის გამო, რომ უკანონოდ, პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებდნენ თანამშრომლებს საჯარო სამსახურებიდან, მაშინ სიტყვა არ დასცდენია ამ გაუბედურებული ხალხის დასაცავად. მანანა კობახიძემ ირმა ნადირაშვილს პასუხი გასცა – სამართლებრივად იდავონ და დაამტკიცონ გათავისუფლების ნამდვილი მიზეზიო. პირადად ვცადე საკუთარი უფლებების დაცვა და დამტკიცება იმისა, რომ 2011 წელს უკანონოდ გამათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. მივმართე ღარიბაშვილს, მაგრამ პასუხად მივიღე, რომ შეუძლებელი იყო ჩემი აღდგენა, იმის გამო, რომ დისციპლინური გადაცდომით ვიყავი გადავისუფლებული. ამის შემდეგ მივმართე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიას, სადაც ვადები მქონდა დარღვეული, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ გაცდენილ დროს ჩამითვლიდნენ საპატიოდ, მაგრამ არ ჩამითვალეს. ამის შემდეგ მე მივმართე გენერალური ინსპექციის უფროსს ბატონ ზვიად ჯანყარაშვილს, სადაც კონკრეტულად დავუწერე, რომ ბესიკ შეფერმა ჩემს მიმართ ჩაიდინა უკანონობა ანუ სიცრუეზე აგებული პატაკის საფუძველზე გამათავისუფლეს სამსახურიდან. ამის მიუხედავად ჯანყარაშვილის უწყებამ მიპასუხა, რომ არ იყო საფუძველი ჩემი საქმის ხელახლა გადახედვისა. ეს პასუხი ჩემთვის ძალიან გაუგებარია. მე, მარტის თვიდან ვითხოვ მასთან შეხვედრას, მაგრამ მან ჩემთვის დრო ვერ გამონახა. სიმართლის ძებნაში ნამდვილად არ დავიღლები. გარდა ამისა, მინდა, რომ ჩემი სიმართლე დავამტკიცო და პასუხი აგოს ბესიკ შეფერმა, რომელმაც, როგორც თავად განაცხადა ჩემთან საუბარში, სხვისი დავალებით გამწირა, თორემ ჩემი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და უფრო მეტიც, ჩემი მუშაობით სრულიად კმაყოფილი იყო.

**– ანუ გამოდის, რომ სტრუქტურაში დაბრუნების შესაძლებლობა არ გეძლევათ?**

– ერთადერთი ასეთი შესაძლებლობა იყო, რაზეც უარი განვაცხადე. წინასაარჩევნოდ, შემხვდა სტრუქტურის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც შემომთავაზა – „ოცნებაში“ შედი და იქიდან ინფორმაციები გამოგვიტანეო. სახელს და გვარს ვერ გეტყვით, მაგრამ იცოდნენ, რომ ყოფილი პილიციელი ვიყავი და ძალიან მინდოდა სტრუქტურაში დაბრუნება. ამიტომ შემომთავაზეს დავერბოვკება. მითხრეს, თუ ჩვენთან დაბრუნება გინდა, უნდა ითანამშრომლოო, რაზეც კატეგორიული უარი ვთქვი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კობა დავითაშვილი: „ბრძოლაში ისევ ვასაძისგან ნაგინებ რესპუბლიკელებს ვარჩევ, რადგან ვიცი, რომ თუ გვერდით დამიდგებიან, ბოლომდე ერთად დავრჩებით“

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

მიუხედავად შიდა დაპირისპირებებისა, რესპუბლიკელებს კოალიციის წევრები მაინც იცავენ. მით უფრო ისეთი ადამიანებისგან, როგორიც ლევან ვასაძეა. ბიზნესმენი, რომელიც, დავითაშვილის განცხადებით, ბრძოლის ზურგში იდგა, მაშინ როცა ყველა დანარჩენი წინა რიგებს იკავებდნენ...

დავითაშვილი გულწრფელად აღიარებს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად არც მარგველაშვილი მოსწონს და მით უფრო წინააღმდეგია ნინო ბურჯანაძის ან ლევან ვასაძის პერსონის. შესაბამისად, ის არც ერთ მათგანს არ უცხადებს მხარდაჭერას და არჩევანის თავისუფლებას, დანარჩენი წევრებისგან განსხვავებით, იმით ინარჩუნებს, რომ ის კოალიციის წევრი არ არის...

**კობა დავითაშვილი, „ხალხის პარტიის“ ლიდერი:**

– თავის დროზე ასე გადაწყდა, რომ ჩემი პარტია არ უნდა შესულიყო კოალიციაში. შესაბამისად, ჩემი ავტომატური მხარდაჭერა გიორგი მარგველაშვილს არ აქვს, იმ მიზეზის გამო, რომ მე არ ვარ კოალიციაში, არც პოლიტსაბჭოში და არც გადაწყვეტილების მიღებაში არ მიმიღია მონაწილეობა. მე მხარს მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებს ვუჭერ, რომლის განხილვაშიც ვმონაწილეობ.

**– ანუ სხვა კანდიდატს მისცემთ ხმას?**

– სავარაუდოდ, არავის არ მივცემ, რადგან ახლა რომელი კანდიდატებიც არიან ცნობილი, არც ერთი არ მაკმაყოფილებს, არც საპარლამენტო და არაც არასაპარლამენტო ძალებში.

**– პოლიტიკაში რა არის თქვენი მიზანი, ამაში ბევრი ვერ გაერკვია...**

– მე დიდი ხანია პოლიტიკაში ჩემი ადგილი მაქვს ნაპოვნი – სიმართლის თქმა მაშინაც კი, როცა ამას ვერავინ ბედავს.

**– შეიძლება, რომ თქვენ მალე სწორედ ის ოპოზიცია გახდეთ, რომელზეც ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა?**

– არც იქ მგულისხმობდა ივანიშვილი, ისევ და ისევ იმ მიზეზის გამო, რომ მე კოალიციის წევრი არ ვარ.

**– საუბარია, რომ პოლიტიკური ძალების გარკვეული ნაწილი სწორედ ბურჯანაძის ირგვლივ შემოიკრიბება საპრეზიდენტო არჩევნებისას, თქვენც მას ხომ არ დაუჭერთ მხარს?**

– გამორიცხულია, რადგან მე არ მომწონს ქალბატონი ნინო, როგორც პოლიტიკოსი მისი განვლილი პოლიტიკური ცხოვრების გამო.

**– ორიენტაციის გამო?**

– არა, ორიენტაცია არაფერ შუაშია. ის ქვეყნის პრეზიდენტი იყო ორჯერ, თუ არ ვცდები. პირველ შემთხვევაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, როდესაც მეორეჯერ, 7 ნოემბრის შემდეგ გახდა პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, სწორედ მაშინ მოხდა ყველაზე უხეშად არჩევნების გაყალბება. ბურჯანაძეს შეეძლო ეთქვა, რომ ეს იყო უკანონობა და გაეჩერებინა ის არასწორი პროცესები. შედეგად არც 2008 წლის ომი მოხდებოდა. მახსოვს მისი პოზიცია, მისი ტექსტები, და მინდა ვთქვა, რომ გიგა ბოკერიას ტექსტებისგან არსებითად არ განსხვავდებოდა. ნინო ბურჯანაძე ოპოზიციაში გადავიდა არა იმის გამო, რომ ნაციონალების პოლიტიკა დაგმო, არამედ იმის გამო, რომ საპარლამენტო სიაში არ ჩაუსვეს სათანადო რაოდენობის მომხრეები. ეს ნიშნავს, რომ მისთვის სულერთია, რა პოლიტიკა ტარდება ქვეყანაში, მთავარია, მისი გუნდი იყოს გადანაწილებული პოსტებზე. მე ერთხელ ვუთხარი ბურჯანაძეს: ქალბატონო ნინო, ძლიერი პარლამენტის რიგითი წევრობა გერჩივნოთ, სუსტი პარლამენტის თავმჯდომარეობას-მეთქი. მან მაშინ საპირისპირო არჩევანი გააკეთა. ამიტომ მე მას დღეს ველარ ვენდობი. თუ კიდევ დადგება ქვეყანაში კრიზისული მომენტი და ბურჯანაძე არჩევანის წინაშე დადგება, მის თანამდებობასა და დემოკრატიას ან ქვეყნის ინტერესებს შორის, არ ვარ დარწმუნებული, რომ ის სწორ არჩევანს გააკეთებს. ორ შემთხვევაში მან არასწორი არჩევანი გააკეთა.

**– თუმცა მისი გუნდის წევრები ამის საპირწონედ აცხადებენ, რომ ბურჯანაძე ერთადერთია, ვინც შეცდომები აღიარა და ბოდიშიც მოიხადა.**

– მართალი გითხრათ, არ მახსოვს მისი ბოდიში. ასე რომ ყოფილიყო, დამიჯერეთ, მემახსოვრებოდა. ბურჯანაძის ბოდიშის მოხდა არ მომისმენია, პირიქით, ძალიან ხშირად საპირისპირო მომისმენია.

**– თუმცა თქვენი აზრები ემთხვევა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაში...**

– ის, რომ მე არ ვუჭერ მხარს ბურჯანაძეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას არ აქვს უფლება, მოითხოვოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ვიღაცას მიაჩნია, რომ ნაციონალების ოპოზიციონერობა „ოცნებისთვის“ კარგია, რადგან, როცა მოუნდება, თავში წამოარტყამს ჩადენილი დანაშაულების გამო, ან მიუთითებს, რომ მას არ აქვს კრიტიკის მორალური უფლება. ეს არ არის ასე, რადგან სრულიად არანორმალური ვითარებაა. მიმაჩნია, რომ პარლამენტში ადეკვატური ინტერესი რომ იყოს ასახული, უნდა ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ამ საკითხში ჩემი და ნინო ბურჯანაძის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა. მე ამ იდეას ჯერ კიდევ იანვრიდან ვუჭერ მხარს. მახსოვს, გარკვეულ ეტაპზე თავად ბიძინა ივანიშვილიც უჭერდა მხარს. მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების შემდეგ, რატომღაც უარი ითქვა. ვფიქრობ, ეს საკითხი სწორედ უმცირესობას უფრო აშინებდა, ვიდრე საპარლამენტო უმრავლესობას. მგონი, უმცირესობის კულუარული მოთხოვნაც კი იყო, კონსტიტუციიდან ამოეღოთ მუხლი, რომლის თანახმადაც, სააკაშვილს აღარ ექნებოდა პარლამენტის დათხოვნის უფლება.

**– პრეზიდენტი, რომელსაც თქვენ მხარს დაუჭერთ, უნდა ემხრობოდეს და ითხოვდეს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს?**

– არა, ეს არ არის მოთხოვნა. მე არ ვასახელებ არც კრიტერიუმებს და არც აღვწერ, როგორი უნდა იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი. მე ვიტოვებ თავისუფლებას და შემდეგ გადავწყვეტ.

**– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარდეს, როგორ ფიქრობთ, მოხვდებით პარლამენტში?**

– „ჩორტ ივო ზნაეტ“... ერთი ნაწილი ჩემი არსებისა მეუბნება, რომ მოვხვდები, მეორე ნაწილი სკეპტიკურად უყურებს ამ შანსს. თუმცა ეს არ მიშლის ხელს, რომ მხარი დავუჭირო ვადამდელ არჩევნებს.

**– ივანიშვილმა განაცხადა, რომ კობა დავითაშვილს ბევრ პოსტს ვანდობ და მათ შორის რეგიონსაცო, იყო რაიმე შემოთავაზება?**

– მე მგონი, ეს იყო სინანულის გამოხატვის ნაწილი და არა რეალობა. ეს განცხადება ივანიშვილმა გააკეთა მას შემდეგ, როცა თქვა, რომ მე არაფრის გამკეთებელი არ ვარ... არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა.

**– ლევან ვასაძემ თავის საეთერო გამოსვლაში რესპუბლიკელები საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა, 17 მაისის აქციაში მონაწილე ხალხი კი 100 ათასი მოწამეს შეადარა...**

– მაპატიეთ, მაგრამ ვერაფერი გმირობაა, ასი ათასი კაცი 100 კაცს რომ მისდევს საცემრად და მოსაკლავად. ეს არც გმირობაა, არც ქართველობა და არც ვაჟკაცობა. არ მგონია, სასახელო ფურცელი იყოს 17 მაისი ნებისმიერი აქციის მონაწილის ცხოვრებაში. მე მზად ვარ, ლევან ვასაძესთან ერთად დავჯდე დებატებში, თუ ვინ სად იჯდა ბრძოლის დროს, ვინ – სანგარში და ვინ – ჩირგვში. მგონი, კონკრეტული მინიშნებაა. რესპუბლიკელებთან შეიძლება ძალიან ბევრი პრობლემა მქონდეს და მქონდა, მაგრამ 2 ნოემბერსაც, 7 ნოემბერსაც და კიდევ ბევრჯერ რესპუბლიკელები ჩვენ გვერდით იდგნენ. მათ არც თავები დაუზოგავთ და რაც შეეძლოთ, იმას აკეთებდნენ. მართალია, მათ ხშირად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, ვიდრე მე, მაგრამ, როცა ერთად გვიბრძოლია, მე ისინი ბრძოლიდან გაქცეულები არ მინახავს. რაც შეეხება ლევან ვასაძეს, მასთან ერთად ბრძოლის მომენტები არ გვქონია, ამიტომ არ ვიცი, როგორია ის ბრძოლაში. შესაბამისად, ბრძოლაში ისევ ვასაძისგან ნაგინებ რესპუბლიკელებს ვარჩევ, რადგან ვიცი, რომ, თუ გვერდით დამიდგებიან, ბოლომდე ერთად დავრჩებით ბრძოლაში. ვასაძისგან ბევრჯერ იყო იმედები, აი, მოვა პოლიტიკაში, აი, ახლა გადმოხტება და ჰოპლას დაიძახებს, მაგრამ... ეს არასდროს არ მოხდა, რადგან შეშინდა. მართალია, საკმაოდ საშიში იყო სააკაშვილის პერიოდში ოპოზიციაში ყოფნა და საკუთარი პოლიტიკური აზრების გამოხატვა... ლევან ვასაძეს ჰქონდა რამდენიმე მცდელობა, შანსი, გაბრძოლებაც კი, მაგრამ ბოლოს ყოველ ჯერზე გადაიფიქრა. მე მის ადგილზე მეტი მოწიწებით ვისაუბრებდი იმ ძალებზე, რომლებიც ბრძოლის წინა ხაზზე იდგნენ მაშინ, როცა ის ღრმა ზურგში იყო.

**– როდის ჰქონდა ეს მცდელობები?**

– ბევრჯერ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ის აპირებდა პოლიტიკაში ჩართვას, მაგრამ არასდროს მომხდარა. პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილება არც ივანიშვილისთვის იყო მარტივი, მასაც ჰქონდა ბევრი რამ დასაკარგი, მაგრამ მაინც მიიღო ეს გადაწყვეტილება. ეს დასაფასებელია.



> „მე არ მომწონს ქალბატონი ნინო, როგორც პოლიტიკოსი, მისი განვლილი პოლიტიკური ცხოვრების გამო“

> „ჩემი ავტომატური მხარდაჭერა გიორგი მარგველაშვილს არ აქვს, იმ მიზეზის გამო, რომ მე არ ვარ კოალიციაში“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ცუდი, კარგი და ბოროტ



„გამოთქმული მოსაზრება, თუნდაც ეს მოსაზრება ეკუთვნოდეს მის უწმინდესობას, მისი განსჯა, გარკვევა, ანალიზი, დათანხმება, არდათანხმება, ეს არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება და ჩვენი კონსტიტუციური მოვალეობა“

**„ივანიშვილის განცხადებაც, ისევე, როგორც სააკაშვილის, ძირითადად სწორი იყო, მაგრამ ორივეს ჰქონდა დეტალი, რომელსაც მე კეკლუცობის დეტალს დავარქმევდი...“**

ქეთი ხატიაშვილი

**ბიძინა ივანიშვილი თავისი შვიდი მილიარდით, „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლური ღირებულებებით და ლევან ვასაძე ეკლესიის მხარდაჭერით – უკვე ქართული პოლიტიკაა. ნაციონალები ერთადერთი პარტიაა, რომელიც დღეს პოლიტიკაში გუნდით გამოდის და დასავლური ღირებულებებით იბრძვის. დანარჩენ სეგმენტზე ჯერ ისევ კონკრეტული ფიგურები თამაშობენ, ისევე როგორც 90-იან წლებში ზვიად გამსახურდია ან ედუარდ შევარდნაძე. ჯერ ვერც „ქართული ოცნება“ იქცა პარტიად და ვერც ეკლესიამ შეძლო პოლიტიკურ კვადრატში გადმოსვლა. თუ პირველი პოლიტიკური ძალა პოლიტიკაში ფულის ფაქტორით მოქმედებს, მეორესთვის მთავარი პოლიტიკური ღირებულებებია, მესამეს არსენალში კი შავი პიარის აგორება რჩება. ეს ერთადერთია, რაც მას ახლა შეუძლია. პოლიტიკურ ველს სწორედ ისინი ნაღმავენ და ამ ნაღმმა უკვე იმსხვერპლა გელა ხვედელიძე. „ნაციონალური მოძრაობა“ მუდმივი სამიზნეა. 9-წლიანი შავი პიარი ისევ გრძელდება და კიდევ გაგრძელდება. ახლა მთავარია, ვინ ვისთან იპოვის საერთო ენას. ფული გაურიგდება შავ პიარს და პოლიტიკურ ღირებულებებს საერთოდ გააძევებენ პოლიტიკიდან, თუ პირიქით.**

## ფული და შავი პიარი

ბიძინა ივანიშვილისა და ლევან ვასაძის დაპირისპირება ღიად სწორედ 17 მაისის მოვლენების დროს მოხდა. შედეგი: პრემიერი პოლიტიკაში რჩება, ვასაძე – არა. არასაპარლამენტო პარტიების დასკვნა: ვასაძემ ისევ ვერ გაბედა.

ლევან ვასაძეც ისეთივე ლეგენდაა (ცხადია, ბევრად უფრო მცირე მასშტაბის), როგორიც ბიძინა ივანიშვილი. ღიად ის სწორედ 17 მაისს გამოჩნდა და სწორედ ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდა. პრემიერს სამართლიანობის აღდგენა შეახსენა და მოგვიანებით მშვიდი ტონით ისიც თქვა, რომ სასულიერო პირები არ უნდა დაისაჯონ. ეს მესიჯი მან „მაესტროს“ ეთერით გააჟღერა.

**ლევან ვასაძე:**

– მე პირადად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ რეალობა, რომელიც რუსთაველზე ვნახე, იყო ერთი და ის სურათი, რომელიც ქართულმა ტელევიზიებმა აჩვენა, იყო საკმაოდ განსხვავებული, ჩემთვის ძნელია ცალკეულ ტელევიზიებზე ვისაუბრო. მე იქ ვნახე საკმაოდ განსხვავებული სურათი

იქ ვნახე 200-მდე სასულიერო პირი და მათი ქმედება, რომლებიც ტელევიზიებმა აჩვენეს, როგორც წამქეზებლები და აგრესორები. რაც მე იქ ვნახე, იყო პირიქით. შეიძლება, ცალკეული შემთხვევა იყო და ვნახოთ ამ კონკრეტული შემთხვევების გამოძიება. მე იქ ვნახე, რომ სასულიერო პირები აშველებდნენ, სიმშვიდისკენ მოუწოდებდნენ. ეს არაფერი კადრში არ მოხვდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მიზანმიმართულად აუცილებელი იყო ჩვენი ეკლესიის ჩვენება, როგორც აგრესორისა. ასევე, დამსწრე საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მე ეკლესიაში არ მინახავს და დარწმუნებული ვარ, იქ რომ სასულიერო პირები არც ყოფილიყვნენ, ეს ხალხი იქ მაინც მივიდოდა და ვეჭვობ, იქ რომ ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლების ასეთი სიმრავლე არ ყოფილიყო, შეიძლება, ახლა უფრო მძიმე შედეგების წინაშე ვყოფილიყავით.

**ბიძინა ივანიშვილი თავის შეფასებებში უფრო მძაფრი და პირდაპირი იყო, ამ აქციას მან სირცხვილი უწოდა:**

– მოვლენები, რომლებიც 17 მაისს განვითარდა, ჩვენი საზოგადოების სირცხვილი იყო... ვინც დააშავა და კანონს გადააჭარბა, ძალადობისკენ მოუწოდებდა და ძალადობდა, ყველა დაისჯება. მთავრობასა და სამართალდამცავ სტრუქტურებს აქვთ მზადყოფნა, რომ კანონის დარღვევის ფაქტზე პასუხი ყველამ უნდა აგოს, მიუხედავად იმისა, ჩვეულებრივი მოქალაქე იქნება ის თუ სასულიერო პირი... არავის, მათ შორის სასულიერო პირებსაც საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობისგან არაფერი ათავისუფლებთ. თუ ეკლესიის რომელიმე მსახურმა ჩაიდინა რაიმე დანაშაული და განახორციელა ძალადობა, ისევე აგებს პასუხს, როგორც ყველა სხვა მოქალაქე.

და კიდევ ერთი პარალელი. ბიძინა ივანიშვილმა მინიშნება გააკეთა 17 მაისის აქციის დამფინანსებელზე, ლევან ვასაძემ კი „მაესტროში“ ეკლესიის დაფინანსება არ უარყო თუმცა, აღნიშნა, რომ ის ეკლესიას აფინანსებს, როგორც მრევლი.

**ბიძინა ივანიშვილი, პრემიერი:**

– ქართული საზოგადოება არ არის ექსტრემისტული. შს მინისტრს აქვს ეჭვი, რომ ეს გარედან იმართებოდა. იყვნენ ძალები, ვინც ამას ახალისებდნენ, აფინანსებდნენ. შს მინისტრს ეჭვი აქვს, რომ ის, რაც 17 მაისს მოხდა, ბუნებრივად არ მომხდარა. ეჭვის დონეზე მე ვიზიარებ მის პოზიციას. მაგრამ ვარწმუნებ საზოგადოებას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური პასუხი იქნება. რაღაც ეტაპზე თითქოს უფრო მკვეთრ ქმედებებს ელოდა საზოგადოება და შესაძლებელი იყო კიდეც პოლიციის მხრიდან ამის გაკეთება, მაგრამ, ვფიქრობ, პოლიცია აბსოლუტურად ადეკვატურად მოიქცა და ჩვენ მივიღეთ მინიმალური ზარალი. ახლა სჯობს, მოხდეს კანონდამრღვევების იდენტიფიცირება და სათითაოდ აგებინონ პასუხი, ვიდრე იმ აჟიტირებულ მასასთან შებმა...

**ლევან ვასაძე:**

– ეკლესიისადმი ჩემი მხარდაჭერა გამოიხატება იმ შემოწირულობებში, რომელსაც მრევლის ყველა წევრი იღებს ეკლესიის დასახმარებლად. რაც შეეხება აქციის ფინანსურ მხარდაჭერას, ესაა ისეთივე ცილისწამება, როგორც ჩემი პოლიტიკური ამბიციები, პრეზიდენტობის სურვილი, რუსეთთან შეკვრა და ა.შ. ეს ყველაფერი არის აბსოლუტური ტყუილი, საიდან გავეხვიე ამ შარში, არ ვიცი, მაგრამ ეს ჩემი ჯვარია და უნდა შევეგუო ამ ცილისწამებას, ლანძღვას და ამას ვიტან კიდეც უდრტვინველად, ისე რომ არავის ვპასუხობ.

ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიციას იცავდა და მას საქებარი სიტყვები პოლიციისთვის არ დაუკლია, ლევან ვასაძე კი იმ სასულიერო პირების დამცველად გამოვიდა, ვინც აქციაზე აგრესიულობით გამოირჩეოდა.

ვინ იგულისხმა პრემიერმა გარე ძალებში? ტრადიციულად ამ ტერმინის უკან რუსეთს გულისხმობენ ხოლმე. ლევან ვასაძე პრორუსული ორბიტის ერთ-ერთი წარმომადგენელია, ისევე როგორც ნანა კაკაბაძე. მათი მესიჯები ერთმანეთს ემთხვევა, შესაძლოა, ფინანსური წყაროებიც. ძნელი სათქმელია.

ლევან ვასაძე და ნანა კაკაბაძეც, სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, პოლიტიკაში სწორედ შავი პიარით იბრძვიან. ვასაძემ მაინც ყველა რეკორდი მოხსნა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფული, პოლიტიკა და შავი პიარი



ღმერთი სწამს, როგორც ამბობს, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ დასავლეთის ღირებულებები ერთსქესიანების ქორწინება და გეების პარადია. ღმერთი სწამს, როგორც ამბობს, პოლიტიკა კი – არა, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ რესპუბლიკელები მოღალატეები არიან და ბიძინას მათგან განთავისუფლებას ურჩევს. „მაესტროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან მშვიდი ტონით თქვა:

– მე არ ვიცი პოლიტიკა, მაგრამ მექმნება შთაბეჭდილება, რომ არის ხალხი, რომლებიც „ტროას ცხენის ჯაშუშებივით“ შეჰყვნენ ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში, ნულოვანი რეიტინგით. არ მინდა სახელების დასახელება, მაგრამ ნუ ეგონებათ მათ, რომ ისინი არიან ლეგიტიმური რეიტინგის მატარებელი უმრავლესობის წევრები. ისინი შევიდნენ ერთი კაცის რეიტინგით. ახლა გამოჩნდება, რისთვის შევიდნენ იქ და კარგად დაფიქრდნენ, რა უნდათ.

როგორც ჩანს, ახლა „რესპუბლიკურ პარტიას“ სერიოზულ პროვოკაციებს მოუწყობენ. შემთხვევით ხომ არ გამოჩნდნენ ვიღაცები, ვინც აპირებს, პარლამენტს LGBT-ების შეზღუდვის ინიციატივით მიმართოს? მართალია, პარლამენტში ბუსუსებიან პრეზერვატივებზე იმსჯელეს სერიოზულად და მისი აკრძალვაც სერიოზულად დაგეგმეს, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა. ქართული კანონმდებლობა ევროპული ხდება. შესაბამისად, რესპუბლიკელები არ მიიღებენ ისეთ ინიციატივას, რომელიც ჩვენ რუსულ სივრცეში შეგვიყვანს. LGBT-ების წინააღმდეგ ინიციტიავები, რუსეთის გარდა, ბელორუსმა და უკრიანამაც მიიღო.

მთელი შავი პიარიც ეს არის. ლევან ვასაძე იმ ძალების სათავეში გამოჩნდა, ვინც ცდილობს, დასავლეთის ღირებულებებისადმი ხალხის დამოკიდებულება მაქსიმალურად უარყოფითისკენ შეცვალოს.

## ნაციონალები

საინტერესოა, რომ პროდასავლურ ფლანგზე მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც LGBT-ების თემაზე ორაზროვანი განცხადება გააკეთა. დავით უსუფაშვილს ეყო ძალა და გამბედაობა, ეთქვა ის, რაც რეალურად მოხდა და იგივე კათოლიკოს-პატრიარქისთვის თავისი წილი პასუხისმგებლობა დაეკისრებინა, მაშინ როცა ილია მეორემ ხელისუფლებას მოუწოდა, LGBT-ების აქცია აღეკვეთა.

**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:**

– არა მგონია, ამ განცხადებამ პოზიტივი შეიტანა, იმიტომ რომ ძალიან მარტივად იყო ცხადი და გასაგები, რომ ამ მოწოდების შემდეგ ხელისუფლება ვერაფერს აკრძალავდა იქ; დემონსტრანტები, რომლებსაც დაგეგმილი ჰქონდათ ღონისძიება, ამ მოწოდების გამო უარს არ ამბობდნენ თავიანთი ღონისძიების ჩატარებაზე, ხოლო ის ხალხი, რომელიც ამ ღონისძიებას უყურებდა ეჭვის თვალით თუ აგრესიულად, მათთვის ეს იყო გარკვეულწილად რჩევა, მითითება, მათი პოზიციების გამყარება, რომ, თუ სახელმწიფო არ აკრძალავს, მაშინ ჩვენ თვითონ ავკრძალავთ მას... უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ, როდესაც სახელმწიფო ცხოვრების ასეთ კონკრეტულ საკითხებზე... გამოთქმული მოსაზრება, თუნდაც ეს მოსაზრება ეკუთვნოდეს მის უწმინდესობას, მისი განსჯა, გარკვევა, ანალიზი, დათანხმება, არდათანხმება, ეს არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება და ჩვენი კონსტიტუციური მოვალეობა; ეკლესიურ ცხოვრებაში რა და როგორ ხდება, ეს ჩვენი საქმე არ არის; მაგრამ, როდესაც საუბარია საერო ცხოვრების იმ ნაწილზე, მოქალაქეებმა სად გაიარონ, არ გაიარონ, შეიკრიბონ, არ შეიკრიბონ, ასეთ შემთხვევაში, პირველ რიგში, იმაზე უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ თემაზე კრიტიკული პოზიციის გამოთქმა, თუ არდათანხმება, ან ანალიზი, ეს არის სწორი და აუცილებელი და ამას ყველა უნდა შეეგუოს, ამ შემთხვევაში ეკლესიის წარმომადგენლებიც.

**ბიძინა ივანიშვილიც მკაცრი და პრინციპული იყო შეფასებებში და მხოლოდ პრეზიდენტმა დააყენა ეჭვქვეშ:**

– რამდენად გამართლებული იყო პატარა ჯგუფის მიერ რაღაც აქციის გამართვა იქ, სადაც მახლობლად წინა დღეს მიდიოდა ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ცერემონია...

ამ განცხადებით ის, როგორც ჩანს, შეეცადა ეკლესიის მხარდაჭერის შენარჩუნებას, მან ითამაშა პოლიტიკური ინსტინქტების დონეზე და ამოვარდა გუნდური თამაშიდან. ინსტინქტი თვითგადარჩენაზეა ორიენტირებული და არა გუნდზე. ის პოლიტიკაში დარჩენას აპირებს, შესაბამისად, მან, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ მომავალში ეკლესიას მხარდაჭერა დასჭირდება. სხვა თემაა, რამდენად სწორია ახლა მხოლოდ საკუთარ ინსტინქტზე ორიენტირება.

პრეზიდენტის ამ კომენტარმა, ბუნებრივია, დიდი ხმაური გამოიწვია, მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობაში“. ეს პარტია უკვე დიდი ხანია, ლუპის ქვეშ არის. ასე რომ, პატარა მოძრაობაც კი გარკვეული ხმების აგორებას იწვევს. რა თქმა უნდა, სააკაშვილის ეს ხმაურიანი გამონათქვამიც არ გახდა გამონაკლისი და ნაციონალების დაშლაზეც მაშინვე დაიწყო საუბარი.

თბილისის მერი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერია, სააკაშვილის შეფასებას არ იზიარებს, თუმცა, ეკა კვესიტაძესთან საუბარში ამბობს, რომ პარტიის დაშლაზე საუბრები ჭორებია და მეტი არაფერი.

**გიგი უგულავა, თბილისის მერი:**

– არც სააკაშვილის ადვოკატი ვარ და არც ივანიშვილის ბრალმდებელი. სააკაშვილის გამონათქვამი 17 მაისის მოვლენებზე ერთ ნაწილში არ მომეწონა და ამას ღიად ვამბობ. განცხადებაში ფაქტები არასწორად იყო დალაგებული, რადგან აქციის დღეს ქაშუეთში პანაშვიდი არ მიმდინარეობდა, პანაშვიდი წინა დღეს იყო. ამიტომ, ამ ფაქტებით მანიპულირება არასწორად მიმაჩნია და ასეთ საკითხებში ჩვენ უნდა ვიყოთ მკაფიოები. ივანიშვილის განცხადებაც, ისევე, როგორც სააკაშვილის, ძირითადად სწორი იყო, მაგრამ ორივეს ჰქონდა დეტალი, რომელსაც მე კეკლუცობის დეტალს დავარქმევდი. ივანიშვილის შემთხვევაში ეს იყო სიტყვები: „მე მომაწოდეს ინფორმაცია, რომ გარედან დაფინანსებული მესამე ძალის მიერ იმართებოდა პროცესი“. ეს ძალიან ჰგავს დამრბევებისა და მათი საყვარელი გაზეთის რიტორიკას...

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ყველა უარყოფს პარტიის დაშლის შესაძლებლობას. თუმცა, პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები და „ქართული ოცნებაც“ აცხადებენ, რომ ისინი უკვე აღარ არსებობენ და ჯერ მხოლოდ ინერციით მიდიან. გიგა ბოკერია სახელდება პირველი, ვინც შეიძლება პარტია დატოვოს და ცალკე გავიდეს. ამბობენ, რომ ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის გზებიც გაიყოფა, გიგი უგულავაც დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს.

ასეთი ხმების მიუხედავად, ნაციონალები აცხადებენ, რომ არსად წასვლას არ აპირებენ. ახალაიასა და მერაბიშვილს შორის აგორებულ თუ არსებულ დაპირისპირებაზეც ჯერჯერობით არ კეთდება პარტიაში სკანდალური და ხმაურიანი განცხადებები. არადა, მოლოდინი დიდია. თანაც იმდენად, რომ ერთ-ერთ ეთერში კობა დავითაშვილმა ნუგზარ წიკლაურს ჰკითხა: შენ მაინც ბაჩო ახალაიას გულშემატკივრობ ახლა თუ ვანო მერაბიშვილსო.

ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებამ ნაციონალების გეგმები შეცვალა. პრაიმერი შესაძლოა, აღარ ჩატარდეს. არ არის გამორიცხული, პარტიამ სწორედ ვანო მერაბიშვილი დააყენოს საპრეზიდენტო კანდიდატად. დასავლეთში მისი დაკავება უკვე შეაფასეს, როგორც პოლიტიკური. ნაციონალებში ამ თემაზე კონკრეტულად ჯერ არ საუბრობენ. ყველაფერი ამ კვირაში გადაწყდება, მაშინ როცა პრეზიდენტი თბილისში ჩამოვა.

**„არ არის გამორიცხული, პარტიამ სწორედ ვანო მერაბიშვილი დააყენოს საპრეზიდენტო კანდიდატად. დასავლეთში მისი დაკავება უკვე შეაფასეს, როგორც პოლიტიკური“**

სამი პოლიტიკური ცენტრიდან, რომელთა სიმბოლოებზეც უკვე ვისაუბრეთ (ბიძინას შემთხვევაში ეს ფულია, ნაციონალების – პოლიტიკური ღირებულებები და ლევან ვასაძის შემთხვევაში – შავი პიარი), რომელი გაიმარჯვებს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. კანონზომიერება გვკარნახობს, ვივარაუდოთ, რომ გამარჯვება პოლიტიკოსების მხარეს იქნება. და აქ შანსები, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილსაც აქვს, რადგანაც, სანამ მის გვერდით რესპუბლიკელები და ირაკლი ალასანია იქნებიან, ის პოლიტიკურ სეგმენტზეც ითამაშებს. რაც შეეხება შავი პიარის გვარდიას, მათ დიდი ხანია, გამარჯვება არ მოუპოვებიათ.

შავრაზმელებში ნანა კაკაბაძეც შედის, რომელიც სამართლიანობის აღდგენაზე საუბრობს და გვერდით თენგიზ კიტოვანი და ნინო ბურჯანაძე უზის. თუმცა, ეს მას დისკომფორტს სრულიად არ უქმნის.

შავრაზმელები ცდილობენ, ბიძინა ივანიშვილს რესპუბლიკელები ჩამოაშორონ, ნაციონალების ადგილი კი თავად დაიკავონ. ნაციონალები ცდილობენ, ივანიშვილი აიძულონ, პოლიტიკური წესებით ითამაშოს. ბიძინა ივანიშვილი კი ახლა, წესით, სტაბილურობით უნდა იყოს დაინტერესებული, რაც რევოლუციურ მოძრაობებს გამორიცხავს.

კი, ვანო მერაბიშვილი ამ მხრივ არის რევოლუციური ნაბიჯი. შემთხვევითი არ არის, რომ მისი დაკავება ივანიშვილმა სწორედ საპრეზიდენტო არჩევნებს დაამთხვია. ამ დაკავებით მან სამართლიანობის სახელით აგორებული შავი პიარის დროშა ჩამოართვა მესამე ძალებს, ნინო ბურჯანაძესა და მის გარშემო შეკრებილ პოლიტიკოსებსა თუ ფიგურებს.

ივანიშვილს შავრაზმელების შეეშინდა? შიშის ფაქტორი პოლიტიკაში მეორეხარისხოვანი არასოდეს ყოფილა და, ალბათ, არც ახლა იქნება. პირობები უკვე წაყენებულია. ახალაიების დაკავებით დაიწყო, ვანოს დაპატიმრებით გრძელდება და მალე სააკაშვილის თავსაც მოითხოვენ. შემდეგი რიგში უკვე რესპუბლიკელები იქნებიან. როგორც კობა დავითაშვილმა თქვა, ამ პარტიის დემონიზაცია მიმდინარეობს.

**„არც სააკაშვილის ადვოკატი ვარ და არც ივანიშვილის ბრალმდებელი“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აფხაზი გენერლის დაბრუნება

**my View**
თამარ გორთამაშვილი

**საქართველოს შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი, გენერალი გიორგი შერვაშიძე აფხაზეთის დევნილ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკოორდინაციო საბჭოში შექმნილმა „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფმა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის მეთაურის პოსტზე წარადგინა.**

30-წლიანი სამხედრო სამსახური, მრავალწლიანი ურთიერთობა აფხაზ ხალხთან და თავად გენერლის აფხაზური სისხლი – სწორედ ეს აძლევს შერვაშიძეს იმედს, რომ მას აფხაზების მხრიდან ნდობის მოპოვება არ გაუჭირდება. როგორც ამბობს, ნდობა მთავარია იმ ურთიერთობის დასამყარებლად, რომელიც 20 წლის წინათ გაწყდა და ურთიერთაგრესიაში გადაიზარდა.

გენერალი შერვაშიძე მიიჩნევს, რომ ახლა სწორედ ის დროა, როცა სახალხო დიპლომატიამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს აფხაზებთან დაახლოებაში და მთავარი პრობლემის გადაჭრაში. შერვაშიძე ამბობს, რომ აფხაზებს ქართველების გარეშე გადაგვარება უწერიათ და ეს სოხუმშიც კარგად ესმით. როგორ აპირებს დიალოგის დაწყებას აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტასთან და უხუცესებთან, ვინ უნდა გახდეს გარანტი მშვიდობიანი მოლაპარაკებების, რატომ უნდა აღდგეს სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთთან და რა მნიშვნელობა აქვს სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას? – ამ კითხვებს გიორგი შერვაშიძე „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში პასუხობს.



## EXCLUSIVE

## გენერალი შერვაშიძე აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზეა წარდგენილი

**„შორს ვარ იმ იდეისგან, რომ აფხაზები დაუპირისპირდებიან რუსებს. ისინი არ და ვერ დაუპირისპირდებიან მათ. ჩვენ ისეთი ფონი უნდა შევუქმნათ, რომ შევძლოთ დიალოგის წარმართვა“**

**გიორგი შერვაშიძე:**

– 30-წლიანი სამხედრო სამსახურის შემდეგ სამხრეების გარეშე აღმოვჩნდი. მას შემდეგ ვფიქრობდი, რომ შესაძლებელი იყო, გამეგრძელებინა ჩემი მოღვაწეობა აფხაზურ მხარესთან ურთიერთობის აღდგენისა და დარეგულირების კუთხით. მე მქონდა ამის პოტენციალი და მინდოდა, ეს გამომეყენებინა, მით უმეტეს მაშინ, როცა მუნდირი გავიხადე და აფხაზების წინაშე ჩინის გარეშე წარვდექი. მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი შინაგანი ჯარების სარდალი, იმ პერიოდში ჩვენ აფხაზურ მხარესთან გვქონდა ურთიერთობა. განსაკუთრებით 1998 წლის მაისში საკმაოდ ინტენსიურ ურთიერთობაში ვიყავი აფხაზურ ჯარებთან. ბევრი რამ ერთობლივად ავიცილეთ თავიდან და ბევრი პრობლემა დავძლიეთ. ჩემსა და მათ შორის ნდობა ჩაისახა. უკვე შემდგომ, როცა თანამდებობაზე აღარ ვიყავი, ჩავთვალე, რომ შემეძლო, ჩავსულიყავი და გარკვეული ნაბიჯები გადამედგა ურთიერთობის აღდგენისა და დალაგების მიზნით. ჩავედი კიდეც, 2005 წლის თებერვლიდან მოყოლებული, საკმაოდ ხშირად ჩავდიოდი აფხაზეთში. 2008 წელსაც ვიყავი.

**– შესვლის პრობლემა არ გქონდათ?**

– შესვლის პრობლემა არანაირად არ მქონია. როცა მივდიოდი, ხელისუფლებიდან ვინმე უნდა ჩამეყენებინა საქმის კურსში და მას შემდეგ უპრობლემოდ შევიდოდი.

**– ანუ თქვენ სოხუმის ადგილობრივ ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა გქონდათ.**

– დიახ.

**– როგორი ურთიერთობები გაქვთ მას შემდეგ, რაც აფხაზეთში სიტუაცია შეიცვალა?**

– ის მდგომარეობა, რა თქმა უნდა, საკმაოდ განსხვავდება დღევანდელი მდგომარეობისგან. თუნდაც იმით, რომ იმ დროს აფხაზეთი არც ერთი ქვეყნის მიერ არ იყო ცნობილი დამოუკიდებლად. ახლა უკვე რამდენიმე ქვეყანამ ცნო დამოუკიდებლად. რთულია ლაპარაკი, მაშინ ხელმძღვანელი სხვა იყო, დღეს სხვა არის. უფრო შინაურული ურთიერთობა მქონდა მის ოჯახთან. დღევანდელ პირთან ნაცნობობა მაკავშირებს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არის გარკვეული წრე ადამიანებისა, რომელთაც აქვთ დიალოგის დაწყების სურვილი. გააჩნია, შეხვედრისას როგორ დავიწყებთ საუბარს. შეიძლება ისეთ შედეგამდე მივიდეთ, რომ ბევრისთვის გასაკვირიც იყოს. მაგრამ ამ ყველაფერს დაწყება უნდა.

**– რა არის ის, რის გაკეთებასაც თქვენ შეძლებთ და ვერ შეძლო წინა ხელისუფლებამ?**

– მიმაჩნია, რომ ჩვენ, განსხვავებით ცენტრალური ხელისუფლებისგან, საერთოდ არ უნდა შევეხოთ აფხაზეთთან ურთიერთობაში პოლიტიკურ საკითხებს. პოლიტიკური საკითხები უნდა დავუთმოთ ცენტრალურ ხელისუფლებას. ვთვლი, რომ თბილისში არსებული აფხაზური სტრუქტურები უნდა მუშაობდნენ, წინაპირობას უქმნიდნენ პოლიტიკოსებს, რომ მათ გადაწყვეტილების მიღება გაუადვილონ. ჩვენთვის კი მთავარია დიალოგი. ჩემი აზრით, თუ დაველაპარაკებით, უნდა დაველაპარაკოთ ერთი პირობით, ჩვენი სლოგანი უნდა იყოს – ყველაფერი, პოლიტიკის გარდა, მეგობრობა პოლიტიკის გარეშე, ეს მინდა წარმოვაჩინო, როგორც სახალხო დიპლომატია. რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკასთან კავშირში არის, მაგრამ არ მინდა, ეს ისე წარიმართოს, ჩვენ ვეუბნებოდეთ ერთს, რომ არ იყვნენ დამოუკიდებლები და ისინი ამბობდნენ მეორეს, რომ უნდათ დამოუკიდებლობა, ასეთი ტონით ურთიერთობა ვერ შედგება. ჩვენი ძირითადი მიზანი უნდა იყოს ნდობის აღდგენა.

**– თქვენ ამბობთ, რომ „ყველაფერი, პოლიტიკის გარდა“, თუმცა პოლიტიკას ვერ გაექცევით, რადგან აქ არ დგას მხოლოდ ქართული და აფხაზური მხარე, აქ დგას რუსეთი, მთავარი მხარე ამ კონფლიქტში.**

– შორს ვარ იმ იდეისგან, რომ აფხაზები დაუპირისპირდებიან რუსებს. ისინი არ და ვერ დაუპირისპირდებიან მათ. ჩვენ ისეთი ფონი უნდა შევუქმნათ, რომ შევძლოთ დიალოგის წარმართვა. ჩვენ შეგვიძლია ისეთი ფონი შევქმნათ, რომ გავაადვილოთ დიალოგი.

**– ფიქრობთ, რომ ჯერ აფხაზებთან უნდა მოხდეს ურთიერთობის დალაგება და შემდგომ რუსეთთან?**

– რა თქმა უნდა. ჩვენ დღეს სტრატეგიულ ხედვას ვერ დავდებთ, განსაკუთრებულ კონცეფციასაც ვერ შევიმუშავებთ, სანამ არ შედგება სერიოზული დიალოგი, რომელიც დაალაგებს ჩვენ შორის ურთიერთობას.

**– დიალოგის თემა რა უნდა იყოს, რა უნდა შევთავაზოთ ჩვენ მათ?**

– მე შემიძლია გავიმეორო ის, რაც რამდენჯერმე გამიჟღერებია. თქვენ იცით, რომ დევნილთა აფხაზურ სამთავრობო სტრუქტურებში არსებობს მთელი ჩამონათვალი სამინისტროების. მე მაქვს პრეტენზია, რომ შევძლო სამინისტროების დაკავშირება სოხუმის სამინისტროებთან. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტროსი. დღეს აფხაზეთში დაახლოებით 65 000 ქართველი ცხოვრობს, ძირითადად დატვირთულია გალის რაიონი და ნაწილობრივ ოჩამჩირეც. შესაძლებელია, ერთობლივად ვიმუშაოთ გალისა და ოჩამჩირის რაიონის სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე, როგორც აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სტრუქტურებმა, ისე ცენტრალურმა. ეს, პირველ რიგში, ხალხს დააახლოებს. ჩვენ სულ ვეძებთ ქართველსა და აფხაზს შორის დამაკავშირებელს. როცა ამდენი ქართველი იქ გვყავს, იმის მაგივრად, რომ ხელი შევუწყოთ იქაურ ქართველებს, რატომღაც პირიქით ვაკეთებთ. იმ რიტორიკით, რომელიც ისმის, ერთმანეთს ვაპირისპირებთ და მეგობრობის ნაცვლად მტრობას ვაღვივებთ.

**– რა კომპრომისზე შეუძლია წავიდეს ქართულ მხარეს, თუ დგას აფხაზების მხრიდან ამის მოთხოვნა?**

– ბოლო დროს კომპრომისი იმ დონემდეც კი მიჰყავთ, რომ ჩვენ დავთმოთ ჩვენი დამოუკიდებლობა. რის ხარჯზე უნდა დავთმოთ დამოუკიდებლობა, დევნილების დაბრუნების ხარჯზე? არ მიმაჩნია ეს სწორად. მე წარმოშობით აფხაზი ვარ, მინდა თუ არ მინდა, ჩემში აფხაზური სისხლია და ძალიან მტკივა როგორც ქართული, ისე აფხაზური. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი დამოუკიდებლები იქნებიან თუ დამოკიდებულნი, ქართველების გარეშე აფხაზეთს ემუქრება დემოგრაფიული პრობლემები, იმდენად მცირეა დღეს მათი პროცენტული რაოდენობა.

**– რამდენად გააზრებული აქვთ ეს თვითონ?**

– გააზრებული აქვთ, თუმცა აქ სხვა ფაქტორია. სისხლი რომ არის დაღვრილი, იქ ძალიან ძნელია, ენდო შენს გუშინდელ მოწინააღმდეგეს. ნდობის ფაქტორია საჭირო. უკვე 20 წელი გავიდა. ამ 20 წლის განმავლობაში უკვე თაობის ის ნაწილი აღარ არის, რომელსაც თანატოლებთან საუბარი შეუძლია. თუმცა თაობიდან თაობას გადაეცემა აგრესია. ჩვენ არ ვართ აფხაზების მტრები. 12-15 წლის წინათ ხშირი იყო 7-10 წლის ბავშვებისგან შემდგარი აფხაზური ჯგუფები, რომლებიც ჩამოდიოდნენ და დადიოდნენ ბაკურიანში, გუდაურში... ესენი დღეს არიან 20-25 წლის ახალგაზრდები და მათ სულ სხვა შეგნება აქვთ ჩვენთან მიმართებაში. ისიც კი შენიშნეს, რომ ტრადიციები გვაქვს საერთო, თუმცა, სამწუხაროდ, იქ უფრო სცემენ პატივს, ვიდრე ჩვენთან. ერთმანეთთან ურთიერთობა არ გაგვიჭირდება, თუ ჩვენ შთამომავლობას სწორად ავუხსნით და შთავაგონებთ ყველაფერს. ისიც არაა გასაკვირი, რომ ბევრ შემთხვევაში დაეკითხონ მფარველებს. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს აფხაზებს იცავენ რუსები და ამიტომ აფხაზები ვალდებულები არიან, დაეკითხონ რუსებს. ჩემთვის ასეთი რამეც უკითხავთ: როგორ ფიქრობ შენ, როგორც შერვაშიძე, აფხაზი, გენერალი, როგორ შეიძლება გამოსწორდეს ურთიერთობა? ვამბობ, რომ უნდა აღდგეს ნდობა. უნდა იყოს თბილისში ისეთი პიროვნება , რომელიც დაიცავს აფხაზურ ინტერესებს და სოხუმში პიროვნება, რომელიც დაიცავს ქართულ ინტერესებს. ამის პოტენციალი ჩვენ გაგვაჩნია.

**– რაც შეეხება რკინიგზის გახსნას. როგორ უყურებთ ამ საკითხს?**

– ეს არ არის აღიარება, ეს არის კეთილი ურთიერთობისკენ ნაბიჯის გადადგმა. ეს არ არის პირველი ნაბიჯი სარკინიგზო ურთიერთობებში. მე მახსოვს, ჩვენ გვყავდა გარკვეული ჯგუფი, საიდანაც ერთი გერმანელი ბიზნესმენი ჩავიყვანეთ და პირდაპირ დაელაპარაკა აფხაზურ მხარეს, იმდროინდელ პრეზიდენტს და ჩამოუგდო ლაპარაკი რკინიგზაზეც, მაშინ არ იყო სიტუაცია ისე დამთბარი, როგორც ახლა, მაგრამ საერთო სიტუაცია არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ დასთანხმებოდა. საბოლოოდ აფხაზეთი უფრო მომზადებული აღმოჩნდა, ამ მხრივ, ვიდრე საქართველო. სანამ არ ჩატარდება სოჭში ოლიმპიადა, მანამ არაფერი გამოვა. სარკინიგზო მიმოსვლაში კი ცუდს ვერაფერს ვხედავ.

**– სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას როგორ აფასებთ?**

– ჩვენს მეზობლებს განვიხილავთ მტრად. ისტორიულად მოგვდგამს ის, რომ ყველას მოსწონს საქართველო და ყველას უნდა, თავისი იყოს. დიპლომატები უნდა ვიყოთ. მტერი მოყვრად უნდა გავიხადოთ. ჩვენმა სპორტსმენებმა ოლიმპიადაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიიღონ. ჩვენ როგორც აფხაზებს, ისე რუსებსაც უნდა დავუახლოვდეთ. როგორც ჩვენი მეზობლობაა გარდაუვალი ასევე ჩვენი მეგობრობაც გარდაუვალი იქნება.

2004-2012 წლებში გაყინული იყო ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. მანამდე კონფლიქტი 10 წლის დასრულებული იყო და ეს საკმაოდ პატარა პერიოდია, რომ ჭრილობა მოგირჩეს. მაშინ არ იყო აღფრთოვანება ჩვენს ურთიერთობაში. მახსოვს, 2003-ში რომ ჩავედით, ჩვენი დელეგაციის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება იგრძნობოდა. პრემიერ-მინისტრი დაგვხვდა და გავიარეთ უსაფრთხოების საკითხები. რაღაც პროგრესი კი იყო, მაგრამ აგრესია ჰქონდათ. ცდილობდნენ დაემალათ, მაგრამ ვერ მალავდნენ. შემდგომში უფრო შენელდა. ჩვენ ერთმანეთს არც სოხუმში ვხვდებოდით და არც თბილისში, რატომღაც საზღვარგარეთ ვხვდებოდით. უშუალო ლაპარაკი აფხაზეთთან არ გვიწევდა და ყოველთვის უკვირდათ, – ჩვენ გვინდა დავალაგოთ ერთმანეთთან ურთიერთობა და ჩვენ შორის დიალოგი რატომ არ არისო. ერთი ცნობილი გერმანელი ბიზნესმენი იყო ერთხელ ჩვენთან ერთად ჩასული. უშუალოდ ბატონ ბაღაფშთან შეხვედრისას იმ ბიზნესმენსაც გაუჩნდა ეს შეკითხვა. გადის დრო, ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგი არ იმართება. ახლა კი, თუ ჩემი ქართულ-აფხაზური ინტუიცია არ მღალატობს, მგონია, რომ ურთიერთობა მომწიფდა და დათმობისკენ წავიდა, რაც საომარი რიტორიკა აღარ ისმის. ხელისუფლებაც შეიცვალა. ყოველთვის არ იქნება ერთი მმართველი, მოვა სხვა, ვინც სხვანაირად იმოქმედებს. მოვა კარგი, მაგრამ, როცა ის კარგი წავა, რა გარანტიები აქვთ? დღეს მათი გარანტი რუსეთია. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ, რუსების გარდა, სხვებიც, ევროპელებიც ჩადგნენ გარანტად. ამ 20 წლის განმავლობაში ბევრი შეცდომა დავუშვით. კიდევ ერთხელ არასწორად აღარ უნდა მოვიქცეთ.

**– რაც შეეხება კოდორის ხეობას, იყო მისი შენარჩუნების შანსი?**

– შორს ვარ იმ აზრისგან, თუ ჩვენ ვერ შევძელით, შეგვენარჩუნებინა სამაჩაბლო, რომლისთვისაც დიდი ბრძოლები გადავიტანეთ და სისხლი დავღვარეთ, იქ შევძლებდით. მე არ ვიცი სიტუაცია, მაგრამ ფაქტია, რომ კოდორის ხეობა, რომელიც სერიოზულად იყო შეიარაღებული, დავკარგეთ. პასუხისმგებელი კოდორზეც და ყველა სხვა თემაზე, რომელსაც ქვეყნისთვის ცუდი შედეგი მოაქვს, ის ხელისუფლებაა, რომელიც იმჟამად იყო. სამაჩაბლო რომ აგვეცილებინა, არც კოდორის ხეობის საკითხი დადგებოდა.

**„ახლა კი, რაც საომარი რიტორიკა აღარ ისმის, თუ ჩემი ქართულ-აფხაზური ინტუიცია არ მღალატობს, მგონია, რომ ურთიერთობა მომწიფდა და დათმობისკენ წავიდა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



# ავერსის გათამაშება

ავერსის სააფთიაქო ქსელის დაგროვებითი “მტრედი ბარათი” უკვე 5 წლის გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბარათზე დაგროვილი თანხით მომხმარებელს სასაჩუქრე კატალოგიდან სასურველი პრიზის არჩევა შეუძლია, მას საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წამახალისებელ გათამაშებაშიც.

“ავერსი” მეოთხე გრანდიოზულ გათამაშებას გთავაზობთ:

- ავერსის აფთიაქებში ყოველ გადახდილ 20 ლარზე საჩუქრად მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს,ხოლო დახარჯული თანხის 10% -მდე კვლავ მტრედი ბარათზე დაგიბრუნდებათ.
- ბარათზე დაგროვილ 50 მტრედზე საჩუქრად მიიღებთ დამატებით გათამაშების 3 ბილეთს!
- 10 მტრედის სანაცვლოდ მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს.



გათამაშება შედგება 19 ივნისს, საღამოს 19:30-ზე

# თამაშდება:



## 5 x 5000 ლარი
## 5 x 10000 ლარი
## 20000 ლარი



ავერსი – ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე!

WWW.AVERSI.GE

☎ 2-967 227



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბათიაშვილი გიგა ბოკერიას დაპატიმრებას ითხოვს




„უშუალოდ ბოკერიას ზეწოლით მოხდა ყველა გადაწყვეტილების მიღება, დაწყებული ჩემი დაპატიმრებით, დამთავრებული განაჩენის გამოტანით“

„საქმის შესწავლა ციხის ბუნტით დაიწყონ. სწორედ ამ შემთხვევაში დადგება ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხიც“

## my View

ხათუნა მგალობლიშვილი

**ვისი ჯერი დადგება ვანო მერაბიშვილის შემდეგ? ეს არის ერთადერთი კითხვა, რომელიც სრულიად პოლიტიკურ სამყაროს აინტერესებს. პოლიტიკურ კულუარებში მსჯელობაც, ალბათ, უფრო მეტად ამ საკითხზე მიდის, ვიდრე თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნებზე, კანდიდატების შანსებსა და თვითონ კანდიდატებზე. ვერსია ბევრი და მრავალფეროვანია. „ქვეყნის ხერხემლის“ შემდეგ ბორკილები საკუთარ წარმოსახვაში უკვე ბევრმა დაადო ნაციონალების სხვადასხვა ლიდერებს. გიგი უგულავამ თავადვე განაცხადა, ზეგ შეიძლება ჩემი ჯერიც დადგესო. მერაბიშვილის ბედის გაზიარებას, პრინციპში, არც ერთი ნაციონალი არ გამორიცხავს. მათი შანსები, თავისუფლად შეიძლება ითქვას, 50/50-ზეა. დღეს ნებისმიერი გადაკრული სიტყვის უკან კონკრეტული ქვეტექსტი იკითხება. ოპონენტების გადაძახილები განსაკუთრებით მგრძნობიარე გახდა. ბუნებრივია, ფორმაშია ნინო ბურჯანაძეც. მით უფრო, რომ მან ზუსტად იცის, ვისი მისამართით უნდა იყოს განსაკუთრებით მიზანდასახული. ბურჯანაძის პირველი ქართული ოცნება სწორედ მერაბიშვილის ბორკილებდადებული კადრის ხილვით დაიწყო და გაგრძელების დიდი იმედიც აქვს. სამართლიანობის აღდგენის მომდევნო ლოგიკური ნაბიჯი, როგორც ჩანს, „სახალხო კრებისთვისაც“ და „დემოკრატიული მოძრაობისთვისაც“ გიგა ბოკერიას დაკავებაა.**

**ბრალდებები, სიმძიმის მიხედვით, ირაკლი ბათიაშვილმა ჩამოაყალიბა: 1. ნულოვანი ტოლერანტობა; 2. მასობრივი დაჭერები; 3. ციხის ბუნტი; 4. ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედება; 5. 17 მაისის ორგანიზატორობა. და ყველაზე მძიმე – პრემიერის ლიკვიდაციის გეგმის შედგენა. ბათიაშვილის განცხადებით, აღნიშნული საკითხი აქტიურად განიხილებოდა და მისივე დასკვნით, ეს იდეა მხოლოდ და მხოლოდ ბოკერიას ტვინში შეიძლებოდა დაბადებულიყო... ამ ყველაფერს ბუნებრივად ემატება კორუფციის ბრალდებაც. „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი ითხოვს ბოკერიას ფინანსური მდგომარეობის გამოძიებას „ვარდების რევოლუციამდე“ და მას შემდეგ...**

**ირაკლი ბათიაშვილი, „სახალხო კრების“ ლიდერი:**

– ვანო მერაბიშვილი ძველი რეჟიმის საკვანძო ფიგურა რომ იყო, ეს ყველასთვის ცნობილია. თუმცა არის კიდევ ერთი ფიგურა, რომელიც კვლავ მოქმედებაშია. ის არის ყოფილი რეჟიმის მანკიერი მხარე, რომლის მსხვერპლიც მთელი საქართველო იყო 9 წლის განმავლობაში. უშიშროების საბჭოს დღევანდელი მდივანი, გიგა ბოკერია იყო ერთ-ერთი მთავარი ავტორი და იდეოლოგი ნულოვანი ტოლერანტობის. სწორედ ამ ნულოვანი ტოლერანტობიდან გამომდინარეობდა მასობრივი დაჭერების აუცილებლობა. სწორედ გიგა ბოკერიას მოსაზრება იყო, რომ ქართველ ხალხში ჩამოყალიბდა კრიმინალური იდეოლოგია და ამის გასანადგურებლად საჭირო იყო დაჭერების არნახული მასშტაბურობა. ამ თეორიიდანვე გამოდიოდა, ასევე, პატიმრებისადმი არაადამიანური და სასტიკი მოპყრობის მეთოდები. ეს ყველაფერი მას პრაქტიკულად განხორციელებული აქვს. ვფიქრობ, ამის გამოძიების დროც დადგება. ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. ციხის ბუნტის საქმეს. არავითარ ბუნტს იქ ადგილი არ ჰქონია. მე ციხეში ვიყავი და ზუსტად ვიცი, რაც ხდებოდა. ასევე, ვიცი, როგორ ჩაახრჩვეს პატიმრები სისხლში ერთადერთი მიზნით – დაეთესათ შიში ადამიანებში. ამის ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი სწორედ გიგა ბოკერია იყო. უშუალოდ მისი შეგულიანებით მიიღო პატიმრების წინააღმდეგ განხორციელებულმა დარბევამ ასეთი სასტიკი ხასიათი.

**– მიგაჩნიათ, რომ გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

– რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა დადგეს გიგა ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხი. გიგა ბოკერია იყო ერთ-ერთი მთავარი ავტორი სააკაშვილისდროინდელი სასამართლოს სრული მარიონეტიზაციის. მონა-მოსამართლეებსაც კი უწოდებდნენ იმდროინდელ მოსამართლეებს, იმის გამო, რომ ისინი დაკვეთებს ასრულებდნენ. ერთ-ერთი მთავარი დამკვეთი სწორედ გიგა ბოკერია იყო. ეს მე პირადად ჩემს ტყავზე გამოვცადე. გიგა ბოკერიამ პირდაპირ დამადო ხელი, დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია. უშუალოდ ბოკერიას ზეწოლით მოხდა ყველა გადაწყვეტილების მიღება, დაწყებული ჩემი დაპატიმრებიდან, დამთავრებული განაჩენის გამოტანით.

გიგა ბოკერია იყო მთავარი ავტორი ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიის, თუ როგორ უნდა გატარებულიყო ფარული პოლიტიკა. ეს ისახავდა მიზნად ძირგამომთხრელ მუშაობას ეკლესიის წინააღმდეგ. ეს სამუშაოები განხორციელდა კიდეც. კუდ-ში იყო შექმნილი სპეციალური დანაყოფი, რომელიც არაფერს აკეთებდა სხვას და მხოლოდ სასულიერო პირებსა და თავად პატრიარქსაც აკონტროლებდა. თვითონ უწმინდესს არაერთხელ უგრძნობინებია ჩემთვის, იცოდე, გვისმენენო... მუდმივი თვალთვალი, მოსმენები გამუდმებით ხორციელდებოდა. მათი მიზანი იყო შანტაჟი, გადმობირებები და ამით სურდათ ეკლესიის დისკრედიტაცია. გიგა ბოკერია თვლიდა, რომ ერთ ინსტიტუტს არ უნდა ჰქონოდა ამხელა უპირატესობა და ძლიერი პოზიციები ქვეყანაში. „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგიაში თავიდანვე იყო ჩადებული მოსაზრება, რომ არ შეიძლება მართლმადიდებლური ეკლესია ფლობდეს ასეთ დიდ პოზიციებს და ის უნდა დასულიყო ერთ-ერთი კონფესიის დონეზე. სწორედ ამ იდეოლოგიის გაგრძელება გახლდათ 17 მაისი. ეს პროვოკაციული სცენარი სწორედ გიგა ბოკერიას დაგეგმილი იყო. სპეციალურად მოხდა პროვოცირება, რომ გამოეწვიათ ხალხის ის რეაქცია, რომელიც გამოიწვიეს. არ მახსენდება არც ერთი ფაქტი, საბჭოთა დროიდან მოყოლებული, რომ ვინმე გასწორებოდა სექსუალურ უმცირესობას. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ არანაირი საჭიროება მსგავსი აქციის ჩატარებისა არ არსებობდა. 17 მაისი ორ მიზანს ისახავდა: მის ორგანიზატორებს სურდათ, მოეხდინათ, პირველ რიგში, ხელისუფლების დისკრედიტაცია და მეორე მხრივ, დაეწყოთ ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანია.

დღეს გიგა ბოკერია არის იმ მასშტაბური საბოტაჟის კოორდინატორი, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარეობს. მინდა გითხრათ, რომ ბოკერია დავალებას, ასე თუ ისე, კარგად ასრულებს. იცით, რომ არ არის სახარბიელო სიტუაცია საგარეო ასპარეზზე. ჩვენი უცხოელი პარტნიორები შეცდომაში არიან შეყვანილები.

გარდა ამისა, მე ადრეც ვთქვი, რომ საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები მსჯელობდნენ საკითხზე, როგორ უნდა მომხდარიყო პრემიერის ლიკვიდაცია. ამის გამო დავიკითხე კიდეც.

**– ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა არსებობდა?**

– ივანიშვილის ლიკვიდაციის საკითხი საუბრის დონეზე განიხილებოდა. მსგავსი იდეა შეიძლება დაიბადოს ისეთ ექსტრემისტულ ტვინში, როგორიც გიგა ბოკერიას აქვს. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ჩემი ანალიზის შედეგია. ახალმა მთავრობამ მინდა, ყურადღება მიაქციოს ამ საფრთხეს, რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**– თქვენ ამბობთ, რომ საფრთხე დღესაც არსებობს?**

– დიახ, საფრთხე დღესაც არსებობს. არჩევნებამდე რომ მოხდეს ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია, ელემენტარულად, არსებული სიტუაცია 180 გრადუსით შეიცვლება. კონსტიტუციით სააკაშვილი ვალდებული გახდება, დანიშნოს ახალი პრემიერი, რომელიც, თავის მხრივ, ახალ მთავრობას დანიშნავს... ეს რასაც გამოიწვევს, ალბათ, ყველა ხვდება.

**– ეს ძალიან სერიოზული ბრალდებებია. აპირებთ, რომ გიგა ბოკერიას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოთ?**

– ბოკერია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, ამერიკელები დაარწმუნოს, რომ ივანიშვილს ხელისუფლება მიჰყავს დიქტატურისკენ, რუსეთისკენ, არადემოკრატიული პროცესებისკენ. ნაციონალებმა ძალიან კარგად იციან, რომ მალე აორთქლდებიან და ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ ასპარეზზე დარჩნენ. რაც შეეხება მის კონკრეტულ პასუხისმგებლობას, სჯობს, საქმის შესწავლა ციხის ბუნტით დაიწყონ. სწორედ ამ შემთხვევაში დადგება ბოკერიას პასუხისმგებლობის საკითხიც.

„დღეს გიგა ბოკერია არის მასშტაბური საბოტაჟის კოორდინატორი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 1990-იანი წლების ბანდიტური დაჯგუფების ხე



## 21 წლის წინათ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების მეორე დღეს სიკვდილმისჯილმა ციხიდან გაქცევა მოახერხა

## სისასტიკით ცნობილი დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელს სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეეცვლება

მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას სამართალდამცველებმა 56 წლის მამაკაცი დააკავეს, რომელიც წლების განმავლობაში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იძებნებოდა. ერთი შეხედვით, ამ დაკავებაში უცნაური არაფერია, რომ არა ის კრიმინალური ისტორიები, რომელიც ამ ადამიანის სახელს უკავშირდება. სანამ ამ საქმის დეტალებს გაგაცნობთ, გეტყვით, რომ 56 წლის თამაზ ცატავა შსს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველოსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად 23 მაისს ქუთაისში აიყვანეს. აღნიშნულ პიროვნებას სამართალდამცველები 21 წლის განმავლობაში განზრახ მკვლელობის, ყაჩაღობის, ქურდობისა და ბანდიტიზმის ბრალდებით ეძებდნენ. ამჟამად ის სასჯელაღსრულების #8 დაწესებულებაშია მოთავსებული და 21 წლის წინათ ჩადენილი დანაშაულისთვის სასამართლოს განაჩენს ელოდება, თუმცა მას სასამართლომ ერთხელ უკვე მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, მას ახალი სასჯელი განესაზღვრება.

როგორ დააღწია თავი სიკვდილით დასჯას 90-იანი წლების ერთ-ერთი სასტიკი ბანდიტური დაჯგუფების ხელმძღვანელმა?

„პრაიმტაიმმა" არქივში მოიძია ის განაჩენი, რომელიც ზემოხსენებული ბანდიტური ჯგუფის მიმართ 1992 წლის 5 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში, პოლიტიკურთან ერთად, კრიმინალური ქაოსი სუფევდა. იმ პერიოდში ქვეყანაში სისასტიკით ცნობილი არაერთი დანაშაულებრივი დაჯგუფება არსებობდა, მათ შორის ერთ-ერთი გახლდათ თამაზ ცატავას მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ძირითადად აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა (იმ დროს აფხაზეთში ჯერ კიდევ საქართველოს იურისდიქცია ვრცელდებოდა). სხვა რამდენიმე პირთან ერთად, დაჯგუფების წევრი გახლდათ ცატავას არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ზეინაბ ხაჩიძეც. იმდროინდელი გამოძიებით დადგინდა, რომ თამაზ ცატავამ, რომელიც წარსულშიც არაერთხელ იყო ნასამართლევი, ორგანიზება გაუწია შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელშიც ჩაითრია ზეინაბ ხაჩიძე, ანა იონოვა და კონდიკო ტაბაღუა. აღნიშნული მყარი ბანდიტური დაჯგუფება ცალკეულ პირებზე თავდასხმისა და მათი კუთვნილი ქონების დაუფლების მიზნით 1991 წლის 17 ივლისამდე მოქმედებდა.

შეიარაღებული ჯგუფი ძირითადად ავტომობილის მძღოლებს ესხმოდა თავს, სი-



თამაზ ცატავა

# მედიატური კომპანია „ასკანელ ძმებში"

**როგორ იქმნება ქართული ბრენდის პროდუქცია და რა ეტაპებს გადის, სანამ სამომხმარებლო დახლზე მოხვდება? ეს კითხვა ყოველთვის აქტუალურია, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე საკვებ პროდუქტებსა და ალკოჰოლურ თუ გამაგრილებელ სასმელს ეხება. რამდენიმე დღის წინ, ელიტარული ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანია „ასკანელი ძმები" ქარხანაში ჟურნალისტებს გვმასპინძლობდა. მედიატური ღვინისა და კონიაკის ჩამოსხმის პროცესის დათვალიერებით დაიწყო. ექსკურსიამძღოლობას თავად კომპანიის დამფუძნებლები გვიწევდნენ. აქ სანიტარიულ ნორმებსა და ჰიგიენას დიდ ყურადღებას აქცევენ, რომელიც საბოლოოდ პროდუქციის ხარისხზე აისახება. ამიტომაცაა, რომ ბრენდ „ასკანელი ძმებზე" ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდი მოთხოვნაა. მედიატურის დასრულების შემდეგ, სხვადასხვა წლოვანების ქართული ბრენდისა და ღვინის დაგემოვნების შემდეგ, ალკოჰოლური სასმელების წარმოების დეტალური ციკლი და საინვესტიციო გეგმები ჟურნალისტებს კომპანიის დამფუძნებელმა ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელმა, გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბექაურმა და ლაბორატორიის უფროსმა თეა ქიტუაშვილმა გაგვაცნეს. რაც შეეხება კომპანიის გეგმებს, იგეგმება საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა. ახალი საამქრო ამჟამად პროექტების ეტაპზეა. მშენებლობა, რომელშიც 3 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩაიდება, უახლოეს მომავალში დაიწყება და ISO სტანდარტების სრული დაცვით წარიმართება. ახალი საწარმოო ხაზი გათვლილი იქნება როგორც არსებული ბაზრების მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ასევე ახალი ბაზრების მოძიებაზე, ასორტიმენტის გაზრდასა და „ასკანელის" სავაჭრო ნიშნის ღირსეული სახელით დამკვიდრებაზე მსოფლიო ბაზარზე.**

**ჯიმშერ ჩხაიძე, ასკანელი, „აკანელი ძმების" დამფუძნებელი:** „მედიატური ქართველი ჟურნალისტებისთვის ჩვენთან პირველად მოეწყო. ყველა სტუმარი პოზიტიურ განწყობაზე იყო, რაც ძალიან გვახარებს. გპირდებით, რომ ასეთი ვიზიტები ჩვენს ქარხანაში ტრადიციად იქცევა. იგეგმება ახალი ინვესტიციები, ვაპირებთ საწარმოს გაზრდასა და ახალი ბაზრის ათვისებას უახლოეს პერიოდში".

ეს ქარხანა 2005 წელს აშენდა და მასში 5 მილიონი ლარი ინვესტიცია ჩაიდო. მისი წარმოება დღეში 25 000 ბოთლს შეადგენს.



ქარხანა აღჭურვილია Gavagnino&Gatti-სა და Fimer-ის იტალიური წარმოების უახლესი დანადგარებით და გერმანული ბრენდის ZEITZ-ის ფილტრაციის სისტემით. ქარხანას აქვს ბრენდისა და ჭაჭის სახდელი თანამედროვე აპარატურა. საკონიაკე სპირტები და სამარკო ღვინოები ინახება მუხის კასრებში. წარმოების პროცესის ყველა ეტაპის მკაცრი კონტროლი (მთელი ციკლი ყურძნის მიღებიდან ჩამოსხმამდე და საექსპორტო გაგზავნამდე), ასევე, სიცივით დამუშავება, მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის ღვინისა და კონიაკის წარმოების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქარხანაში დღემდე ფუნქციონირებს უნიკალური და უძველესი სახდელი, რომელშიც კონიაკის გამოხდა ფრანგული მეთოდებით მიმდინარეობს.

ასევე მოგვეცა საშუალება, გვენახა ლაბორატორია, სადაც თითოეული ალკოჰოლური სასმელი მკაცრ ლაბორატორიულ შემოწმებას გადის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი და განსაკუთრებით ხარისხის კონტროლი ევროპული სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს, რაც კომპანიის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. როგორც ქარხნის ლაბორატორიის უფროსი თეა ქიტუაშვილი აცხადებს, ხარისხის კონტროლი მუდმივად ხორციელდება და იწყება იმ ნიადაგის შესწავლით, სადაც ყურძენი იზრდება. ლაბორატორია იკვლევს, რა რეაქტივებით იწამლება ყურძენი ნაადრევ ეტაპზე, შემდეგ სისტემატურად, სიმწიფეში შესვლისას იღებს საერთო შაქრიანობის ანალიზს, დუღილის დროს მუდმივად ამოწმებს ქიმიურად გემოზე.

**თეა ქიტუაშვილი, „ასკანელი ძმების" ქარხნის ლაბორატორიის ხელმძღვანელი:** „შემოწმების მეთოდები გოსტირებულია და სასმელი გადის შემოწმებას არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ ვაგზავნით ნიმუშებს აკრედიტებულ ლაბორატორიაში, ვიღებთ სერტიფიკატებს, რათა ნებისმიერ ქვეყანაში გვქონდეს პროდუქციის გაგზავნის უფლება. რაც მთავარია, ვირჩევთ მხოლოდ მაღალხარისხიან წითელ და თეთრ ყურძენს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან. ალკოჰოლური დუღილის პროცესში ვიყენებთ სპეციალურ საფუარებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ალკოჰოლური ფერმენტაციის საიმედოობას და ამცირებენ ფერმენტაციის შედეგად არასასიამოვნო არომატების წარმოქმნას. ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ იმ პრეპარატებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალხარისხიანი სასმელების მიღებას. „ასკანელ ძმებთან" თანამშრომლობენ მსოფლიო სომელიეები, რომლებიც ხშირად ჩამოდიან, აგემოვნებენ ჩვენს პროდუქციას და ძალიან მოსწონთ".

უამრავ ჯილდოსა და მედალს, რომელიც „ასკანელ ძმებს" ხარისხთან დაკავშირებით აქვს მიღებული, რამდენიმე დღეში „Decanter 2013 World Wine Awards"-ის სამი ახალი აღიარება შეემატება. ლონდონში დეკანტერის 2013 წლის ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე დაჯილდოვდა ღვინოები „ცოლიკაური 2012 წლის მოსავალი", „როზე 2012 წლის მოსავალი" და „საფერავი 2011 წლის მოსავალი".

კომპანია „ასკანელ ძმებს" მუდმივად უწევენ კონსულტაციას უცხოელი სახელოვანი სპეციალისტები. მათ შორის: ივან პრიდა – პროფესორი, მოლდოვის დამსახურებული მეღვინე, მილოშ მიხალკოვსკი – ცნობილი ჩეხი პროფესორი, დეგუსტატორი და ფრანგი სომელიე, ღვინის სპეციალისტი – ჰიუგ ბო. როგორც საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა განაცხადა, „ასკანელი ძმების" პროდუქციის ხარისხი საერთაშორისო დონეს აკმაყოფილებს.

**შალვა ხეცურიანი:** „ასკანელი ძმების" ყველა პროდუქციის ხარისხი საერთაშორისო დონისაა. კომპანია პროდუქციას ყიდის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მალე უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს".

სტუმრებს შორის ცნობილი სახეებიც იყვნენ.

**დათო ევგენიძე:** „გასინჯული მაქვს „ასკანელი ძმების" ყველა პროდუქტი, ძალიან კარგი ჭაჭა, ღვინო და კონიაკი აქვთ. ძალიან მიხარია, რომ უკვე ამდენი წელია ეს კომპანია არსებობს და წარმატებით აგრძელებს მუშაობას. რაც ბევრი ქართული კომპანია გააკეთებს ისეთ ფასეულ სითხეს, რასაც ღვინო ჰქვია, კარგი იქნება".

რაც შეეხება მომსახურე პერსონალს, ისინი სისტემატურად იმაღლებენ კვალიფიკაციას და გადამზადებას გადიან ევროპაში. ტრენინგები მოწვეული ამერიკელი და გერმანელი ტექნოლოგებისა და სპეციალისტების მიერ მათთვის საქართველოშიც იმართება.

კომპანია იცავს უმაღლეს სტანდარტებს და აკმაყოფილებს სხვადასხვა ბაზრის მოთხოვნებსა და პარამეტრებს. „ასკანელი ძმების" მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში.

კომპანია „ასკანელი ძმები" 15 წლის წინათ დაარსდა და სადღეისოდ ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ალკოჰოლის მწარმოებელ ქართულ ელიტარულ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძებზის" პროდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და მიღებული აქვს 100-ზე მეტი ჯილდო სხვადასხვა გამოფენებსა და დეგუსტაციებზე.

**ცნობისთვის:** კომპანიის ისტორია სათავეს იღებს ბევრად უფრო ადრე, 1880 წელს გურიის სოფელ ასკანაში და ანთიმოზ ჩხაიძეს უკავშირდება, რომელმაც ასკანაში ღვინის მარანი დააარსა. მის მიერ დამზადებული ღვინოები მრავალფეროვნებითა და განსაკუთრებული არომატით გამოირჩეოდა. ანთიმოზ ჩხაიძის შთამომავლებმა გააგრძელეს წინაპრების ტრადიცია და დღეს საქართველოსა და მსოფლიოს საუკეთესო ღვინოსა და ბრენდს სთავაზობს.

Ⓐ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლმძღვანელი გასულ კვირას ქუთაისში დააკავეს



## რა სქემით ძარცვავდნენ ავტომობილის მძღოლებს და როგორ უსწორდებოდნენ თავდამსხმელები მსხვერპლს




**„ნოდარ სექანიას ქვებით თავის არეში კიდევ რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, ხოლო მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ მის გარდაცვალებაში, ცხედარი „ენგურჰესის“ არხში გადააგდეს“**

ცოცხლის მოსპობის მუქარითართმევდა ავტომობილს და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყიდდა. სისხლის სამართლის საქმეში არაერთი დაზარალებულის საქმე დევს, იყო შემთხვევები, როდესაც თავდასხმა მსხვერპლითაც სრულდებოდა. თავდასხმის ხელწერა თითქმის არ განსხვავდებოდა ქვეყანაში მოქმედი სხვა ბანდიტური დაჯგუფებების ხელწერისგან.

ერთ-ერთი ბოლო თავდასხმა მათ ოჩამჩირეში 1991 წლის 16 ივლისს ჩაიდინეს, რა დროსაც განსაკუთრებული სისასტიკით სიცოცხლეს გამოასალმეს ნოდარ სექანია. თამაზ ცატავა და ზეინაბ ხაჩიძე სოხუმის რკინიგზის სადგურში შეუთანხმდნენ „ვაზ 21061“ მარკის ავტომობილის მფლობელს ნოდარ სექანიას, რომელსაც ფულადი სარგებლის სანაცვლოდ უნდა ჩაეყვანა ისინი გალში. სექანია შეიტყუეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვას უკაცრიელ ადგილას, სადაც ცატავამ მას კისერზე თოკი ჩამოაცვა, მიადო სანადირო დანა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ამასობაში ზეინაბ ხაჩიძე მორიგი მსხვერპლის თოკებით გაკოჭვას ცდილობდა, თუმცა სექანიამ დასხლტომა მოახერხა და მანქანიდან გადახტა, რა დროსაც ცატავამ დანით გულ-მკერდის არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. თავდამსხმელებმა მსხვერპლს ჯიბეებიდან ამოაცალეს ფული და პირადი დოკუმენტები, რის შემდეგაც ნოდარ სექანიას ქვებით თავის არეში კიდევ რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს, ხოლო მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ მის გარდაცვალებაში, ცხედარი „ენგურჰესის“ არხში გადააგდეს. დამნაშავეებმა გატაცებული მანქანით თბილისის მიმართულებით გააგრძელეს გზა, თუმცა ისინი ხობში ავტოინსპექციამ დააკავა. სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ ჯგუფის გამოვლენა. დაკავებულებმა ჩადენილი დანაშაული იმთავითვე აღიარეს და მიუთითეს, რომ რამდენიმე საათის წინ მსხვერპლი „ენგურჰესის“ არხში გადააგდეს. სექანიას სასტიკად დაზიანებული ცხედრის არხიდან ამოყვანა წყლის გაშვების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ ეპიზოდის გარდა, დაკავებულებმა სხვა მსგავსი ხელწერით ჩადენილი არაერთი დანაშაული აღიარეს.

1992 წლის 13 იანვარს პატიმრობაში მყოფმა ცატავამ, თანამზრახველთან ერთად, დრანდის #9 საგამოძიებო იზოლატორიდან გაქცევა მოახერხა, თუმცა მალევე დააკავეს. 1992 წლის 5 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ თამაზ ცატავას განაჩენი გამოუტანა, რომლის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ:

„თამაზ ვალიკოს ძე ცატავა ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს რესპუბლიკის სსკ 78-ე მუხლით, 104-ე მუხლის 1-ლი, მე-6, მე-7 პუნქტებით და განესაზღვროს მას – სიკვდილით დასჯა, დახვრეტა, ქონების კონფისკაციით“.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენი სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგანაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების მეორე დღეს, 1992 წლის 16 აგვისტოს სიკვდილმისჯილმა, სხვა პატიმრებთან ერთად, კვლავ მოახერხა გაქცევა დრანდის #9 საგამოძიებო იზოლატორიდან და მიიმალა.

სისასტიკით ცნობილი დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი მხოლოდ 21 წლის შემდეგ დააპატიმრეს და 90-იანი წლების დასაწყისში ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის თავიდან გაასამართლებენ. სავარაუდოდ, მას სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით შეეცვლება.

# გიორგი გაბედავას მამა რუსეთის სპეცსამსახურთან ურთიერთობას უარყოფს

მარიან ნადირაძე

**გიორგი გაბუნია – პოლიტპატიმარი. ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ტელეკომპანია „კავკასიის“ ღია ეთერში შეიჭრა. პოლიტპატიმრის სტატუსი ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ მიანიჭა. მოგვიანებით მან მონაწილეობა მიიღო 17 მაისის აქციაში და LGBT-ების წინააღმდეგ გამოვიდა. შესაძლოა, თავისი აქტიური და აგრესიული ქცევით მიიქცია ყურადღება და სოციალურ ქსელებში გიორგის მამაზეც დაიწერა: „ზაზა გაბედავა რუსული სპეცსამსახურების მიერ იქნა ჩანერგილი ეროვნულ მოძრაობაში, რათა თვალ-ყური ედევნებინა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მოქმედებებისთვის, ზაზა გაბედავა გვევლინება „ქაქუცა ჩოლოყაშვილის“ საზოგადოების თვითმარქვია დამფუძნებლად, რის შედეგადაც ბევრი თანამემამულე შეიყვანა შეცდომაში, რათა იმ ორგანიზაციის საფარქვეშ უკეთ ემოქმედა რუსების მხარეს. 1992 წელს მან განახორციელა პროვოკაციული წარუმატებელი შეიარაღებული თავდასხმა ზუგდიდის პოლიციაზე, რათა გაეტაცა იქ შენახული იარაღი, 1992 წლიდან იძებნება საქართველოს პროკურატურის მიერ, რის გამოც აღარ ჩამოდის საქართველოში“...**

**„პრაიმტაიმი“ ზაზა გაბედავას მოსკოვში დაუკავშირდა. ის ბრალდებებს უარყოფს და ამბობს, რომ შვილი გიორგი გაბედავა ბოლოს მაშინ ნახა, როცა ის 7 წლის იყო:**

– მაგათ რომ ჰკითხოთ, ყველა FCB-ს აგენტია, ვინც მოსკოვში ცხოვრობს. მე ჯერ გროზნოში ვიყავი ბატონ ზვიადთან, მერე, სოსო ჯაჯანიძესთან ერთად, თბილისში წამოვედი და მაგის შემდეგ, 1992 წლიდან საქართველოში არ ვყოფილვარ. და ახლა, ვინც აქ არის, ყველა აგენტია? ეს „ნაცები რას იძახიან, არ ვიცი. მე მათ ნაცებს კი არა, გნაცებს ვეძახი. „ნაციონალური მოძრაობა“ ერის კეთილდღეობაზე უნდა ფიქრობდეს და არა მათ გახლეჩაზე, რაც ამათ გააკეთეს. ამათ უნდოდათ მასიური არეულობა. ეს არის აბსურდი და სისულელე. ვინც აქ ცხოვრობს, ყველა აგენტია.

**– ზვიად გამსახურდია დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, რაც რუსეთისგან დამოუკიდებლობას ნიშნავდა და „ეროვნული მოძრაობიდან“ ვისაც კი საქართველოდან გაქცევა მოუწია, ყველა რუსეთში რატომ წავიდა?..**

– მე რუსეთში წამოვედი, ბევრი ჰელსინკში წავიდა, ფინეთში წავიდა. ჯერ ერთი, რა, ამოსარჩევად გვქონდა, ვინ სად წავსულიყავით? და მეორეც, ძალიან თუ გაინტერესებთ, ვისთან ერთადაც მე დავიწყე მოღვაწეობა, ყველანი თბილისში არიან – ირაკლი ბათიაშვილი, ირაკლი წერეთელი. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ და გეტყვიან ერთ-ორ სიტყვას. მე კომკავშირელი არასდროს ვყოფილვარ. სადაც მეგობრები მყავდა, იქ წავედი. ამერიკაში უნდა წავსულიყავი მაინცდამაინც? ამერიკა ძალიან შორსაა, გადავედი რუსეთში აფხაზეთიდან, დამხვდნენ ჩემი აფხაზი მეგობრები და გამაცილეს. აფხაზებს ჩემს ძმებად ვთვლი, ბევრი აფხაზი მეგობარი მყავს.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი საქმეც უნდა გადაიხედოს, რის გამოც იძებნებით?**

– მე ადვოკატიც ჩავრთე, მანამდე კი ქალბატონ ეკა ბესელიას დაუკავშირდი და მან მითხრა, რომ ოფიციალური ხასიათი უნდა მიეცეს ყველაფერს. ადვოკატი მოქმედებს და იურიდიულად რაც საჭიროა, აკეთებს. 11 წელი მაქვს მოსჯილი. მე მყავს ადვოკატი და ის მოქმედებს საქართველოში. სააკაშვილის მთავრობა რომ მოვიდა, მაშინ მომისაჯეს.

**– ანუ რევოლუციამდე ბრალი არ გქონდათ წაყენებული?**

– არავითარი ბრალი არ მქონდა წაყენებული.

**– ნაციონალები 2003-ში მოვიდნენ, თქვენ კი 1992-დან ხართ წასული. რატომ წახვედით მაშინ საქართველოდან? შევარდნაძის რეჟიმის გამო?**

– დიახ.

**– თუმცა შევარდნაძის რეჟიმს თქვენთვის ბრალი არ წაუყენებია, არა?**

– არ წაუყენებია, მაგრამ ძებნა იყო გამოცხადებული. ძებნა რატომღაც 1997 წლიდან გამოცხადდა.




**ზაზა გაბედავა:**

**„ეკა ბესელიას უკვე დავუკავშირდი... 11 წელი მაქვს მისჯილი“**

**– ძებნის საფუძველი რა იყო?**

– საფუძველი იყო ზუგდიდის უშიშროების კომისიის სამმართველოზე თავდასხმა.

**– ანუ გამოდის, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის რეჟიმის დროს დაიწყო თქვენი სისხლის სამართლებრივი დევნა და ეს არ უკავშირდება 2003 წლის ხელისუფლების ცვლას?**

– დიახ, მაშინ დაიწყო, მაგრამ მომისაჯეს ამათ. ჩემს ამბებს არკვევდა და იძიებდა მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი. მე ბატონ სოზარს მივმართე ოფიციალურად წერილობით და მაშინ პროკურატურამ უარი თქვა ამ საქმის გამოძიებაზე.

**– ანუ რა რეკომენდაციას იძლეოდა სოზარ სუბარი? უსამართლოდ არის დევნილიო?**

– სოზარ სუბარი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ ჩემთვის ძებნა მოეხსნათ.

**– მაგრამ არ გაითვალისწინეს?**

– არა.

**– დღეს თქვენი ადვოკატი რას ითხოვს? ძებნის მოხსნას, სისხლის სამართლის საქმის გადახედვას თუ პოლიტდევნილის სტატუსის მონიჭებას?**

– ჯერ ამას ვერ გეტყვით. საქმე ზუგდიდის სასამართლოშია და ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მეორე არხი“ ახალ სეზონს ახალი გადაცემებით ხსნის

**„მეორე არხი“ ახალი პროგრამებითა და იდეებით, რა ცვლილებები იგეგმება არხზე და რამდენად კონკურენტუნარიანი გახდება ის; რა ამბიციები აქვს არხის პროდიუსერს და რა ტენდენციების დამკვიდრებას აპირებს მომავალში. ამ თემაზე საუბრობს „მეორე არხის“ პროდიუსერი დოდო შონავა:**

- „მეორე არხს“ ამჟერად ოცდათხუთმეტი თანამშრომელი ჰყავს, სადაც ჟურნალისტები და ასევე ტექნიკური მხარე შედის. ასე რომ, საკმაოდ მცირერიცხოვანი გუნდი ვართ, მაგრამ ძალიან კარგად არის უფლება-მოვალეობები გადანაწილებული.

სამომავლოდ თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას ვგეგმავთ. დავამატებთ, როგორც ჟურნალისტებს, ისე ტექნიკურ პერსონალს. მიმაჩნია, რომ „მეორე არხმა“ თავისი უნიკალური ფორმატით თავისი საქმე უკვე გააკეთა - ჩვენი ეთერის მეშვეობით ყველას მიეცა საშუალება საკუთარი აზრი დაეფიქსირებინა. ამით საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა იმ ცვლილებებში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა. ვისურვებდი, რომ ვიყოთ უფრო თანამედროვე. ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ მაყურებლის გემოვნება გამოვასწოროთ და სკანდალზე ორიენტირებული თოქ-შოუების მაგივრად შევთავაზოთ კომპეტენტური, კარგად მომზადებული, ტექნიკურად გამართული გადაცემები, რომელიც მთლიანობაში ხელს შეუწყობს პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებასა და ამაღლებას. პოლიტიკური კულტურა აკლია, როგორც ჩვენს პოლიტიკოსებს, ასევე საზოგადოებას. ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენი არხი უნდა გახდეს იმ სტანდარტების დამმკვიდრებელი, რომელიც მომავალში, ალბათ, ასეთი პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

რაც შემეხება მე, საზოგადოებრივ მაუწყებელში 30 წელზე მეტია ვმუშაობ. ძალიან ბევრი საფეხური გავიარე, ვიყავი უმცროსი რედაქტორი, შემდეგ გენერალური დირექტორის მოადგილე. საინფორმაციო სამსახურსაც ვხელმძღვანელობდი, რადიოს გენერალური დირექტორიც ვიყავი. თუ გადავხედავ ჩემს მუშაობას „საზოგადოებრივ მაუწყებელში“, „მეორე არხი“ იმის ტოლფასია, რაც მაშინ იყო „პიკის საათი“. ეს არის ახალი მიდგომა ინფორმაციის მიმართ, ვფიქრობ, რომ ბედმა გამიღიმა, რადგან ყოველთვის რაღაცა სიახლის სათავეში ვიდექი მეგობრებთან, თანამოაზრეებთან და თანამშრომლებთან ერთად. ვფიქრობ, რომ ჩემს ცხოვრებაში „მეორე არხი“ ის ეტაპია, როცა კვლავ რაღაცა თანამედროვე საქმის გაკეთება მიწევს, რომელიც მაყურებლის და საზოგადოების ინტერესშია.




**- არხზე ცვლილებების და ახალი პროგრამების გაშვებას გეგმავთ..**

- დიახ, 19 მაისიდან „მეორე არხზე“ ახალი სეზონი გაიხსნა. არხზე სამი ახალი ფორმატის გადაცემა გადის. გადაცემა „თავისუფალი ტრიბუნა“, რომელიც ადრეც გადიოდა და მისი წამყვანია ელენე ტრეხლებოვა. ეს გადაცემა ორი წლის განმავლობაში გადიოდა ჩვენს ეთერში, ეს არის იმ მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც გაფორმდა საქართველოს პარლამენტსა და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის. 20 მაისიდან ჩვენ ფორმატი შევცვალეთ, პროექტში მონაწილე პარტიებთან შეთანხმებით ჩვენ გადაცემაში წამყვანი შემოვიყვანეთ, რათა გადაცემა უფრო ყურებადი ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ ამან გაამართლა, რადგან პარტიის წარმომადგენლები უფრო ორგანიზებულები არიან, წამყვანი მათ ეხმარებათ უფრო კარგად ჩამოაყალიბონ სათქმელი. ეს გადაცემა მაყურებლისთვის უფრო დინამიკური გახდა.

**- რა სიხშირით გადის გადაცემა?**

- გადაცემა ყოველდღე გადის, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. შაბათობით გადის გადაცემა ეპიცენტრი, რომელსაც მე ვუძღვები. ერთსაათიანი პირდაპირი ეთერი მაქვს, ჩემი თანაწამყვანია ჟურნალისტი ნატალია ნანიტაშვილი. გადაცემის სტუმრები არიან აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები. გადაცემის პირველი სტუმარი იყო იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მეორე სტუმარი კი კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია. მაყურებელიც აქტიურად არის გადაცემის მსვლელობისას ჩართული, რადგან შეუძლია სოციალური ქსელით, იგივე facebooke -ის მეშვეობით გამოგვეხმაუროს.

ასევე, „მეორე არხზე“ კვირაში ორჯერ გადის „არგუმენტის დრო“. სამშაბათობით გადაცემა ეთმობა რომელიმე კონკრეტული კანონპროექტის განხილვას, რომელიც ინიცირებულია და ჯერ მიღებული არ არის. გადაცემაში მონაწილეობენ კანონპროექტის ინიციატორები და ისინიც, ვინც კანონპროექტს ოპონირებას უწევს. დარბაზში სხედან პარტიის წარმომადგენლები და ექსპერტები, რომლებიც აქტიურად მსჯელობენ კანონპროექტის შესახებ.

პარასკევს კი, ათიდან თერთმეტ საათამდე „არგუმენტის დრო“ განიხილავს, კვირის მნიშვნელოვან მოვლენას.

**- ვის მიჰყავს გადაცემა?**

- გადაცემა „არგუმენტის დრო“ მიჰყავს ზვიად ავალიანს. ჩვენ ასევე ვიწყებთ საპარლამენტო ქრონიკას, ეს იქნება ყოველდღიური, თხუთმეტწუთიანი გადაცემა, რომელიც პარლამენტში მიმდინარე პროცესებს ასახავს.

„მეორე არხზე“ კვლავ დაეთმობა საეთერო დრო ბრიფინგებს. ამ დროს გადაიცემა ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის პრესკონფერენცია, გაშუქდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები.

ასევე, ვგეგმავთ პოლიტიკური ნიუსების კოლაჟს. მაგრამ ეს ყველაფერი, ალბათ, ახალი სეზონიდან იქნება. რადგან ამ ორი ახალი გადაცემის დამატება საკმაოდ დიდი ძალისხმევა იყო, ვფიქრობ, სიახლეებმა ტელეგენურობა შესძინა არხს და ახალი ფორმატის დამკვიდრებას შეუწყო ხელი.

ჩვენ ასევე ვაპირებთ მექანიკური პროდუქციის შეძენას, ეს იქნება პოლიტიკური ტიპის დოკუმენტური ფილმები, ბიოგრაფიული პორტრეტები, ისეთი ტიპის სერიალები, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი იქნება.

**- ეს ყველაფერი ახალი სეზონიდან იგეგმება?**

- „მეორე არხი“ ახალ სეზონს სექტემბრიდან დაიწყებს. მოგეხსენებათ, სექტემბერი პოლიტიკურად აქტიურად იქნება დატვირთული.

**- საინფორმაციო გადაცემის ჩაშვებას ხომ არ გეგმავთ?**

- საინფორმაციო გადაცემას ჩვენ არ ვგეგმავთ, საკმაოდ ძვირადღირებულია. მიმაჩნია, რომ „პირველ არხს“ კარგი საინფორმაციო სამსახური ეყოლება, იმიტომ რომ ახალი ხელმძღვანელის ფაქტორი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ეს „მოამბეს“ უკვე დაეტყო. ჩვენ ისედაც საინფორმაციო არხი ვართ, ეს უწყვეტი ბრიფინგები, რომელიც ჩვენი არხის მეშვეობით გადის, ეს არის უწყვეტი ინფორმაცია, რომელიც დაუმონტაჟებელია. რაც შეეხება კლასიკურ საინფორმაციო გამოშვებებს, ეს რედაქტირებულია, და ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სხვა ფორმატებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

**- თოქ-შოუს გაკეთებას ხომ არ გეგმავთ?**

- თოქ-შოუს გაკეთება გვინდა, პირობითად ვიცით რაც შეიძლება ვუწოდოთ ამ გადაცემას. ალბათ, ერქმევა „პოლიტიკური მასტერკლასი“, მაგრამ ეს ახალი სეზონიდან იქნება. თუმცაალა მინდა აღვნიშნო, რომ ეს ორივე გადაცემა, რომელზეც ვისაუბრე, თოქ-შოუა. პირდაპირ ეთერში გადის, სტუმრებით არის წარმოდგენილი და მიმდინარეობს დისკუსია. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ დავამკვიდროთ ახალი ტიპის თოქ-შოუ, სადაც არ იქნება სკანდალი, არ იქნება ხმაური, რომელსაც ეყოლება კომპეტენტური წამყვანი, რომელიც აუდიტორიის მართვას შეძლებს და მოახერხებს, რომ ყველა მოწვეულმა სტუმარმა საკუთარი აზრი დააფიქსიროს. Ⓐ





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „თბილისი მოლი“ მომხმარებელს მაქსიმალურ კომფორტს სთავაზობს



**„თბილისი მოლი“ თბილისში ის ერთადერთი ადგილია, სადაც უამრავ ბრენდულ მაღაზიასთან ერთად, ხელმისაწვდომი ფასები, კომფორტული უფასო პარკინგი და რაც მთავარია, კარგი გარემოა. ერთი სიტყვით, ქალაქში პატარა ქალაქია, სადაც მომხმარებელს საკვები პროდუქტებიდან დაწყებული საყოფაცხოვრებო ნივთებით დამთავრებული, ყველაფრის შეძენა შეუძლია. ვისაც ჯერ კიდევ არ აღმოგიჩენიათ ცხოვრების ახალი სტილი, „თბილისი მოლს“ უნდა ესტუმროთ.**

ზუსტად ერთი წლის წინ, 7 აპრილს, 244 ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული მოლი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. გრანდიოზულ პრეზენტაციას თორმეტი ცნობილი ბრენდის მაღაზიის გახსნა მოჰყვა. ერთი წლის თავზე, ანუ ამჟამად, სამ სართულზე განლაგებულ 100-მდე მაღაზიას, უახლოეს მომავალში კიდევ არაერთი შეემატება.

სამი სწრაფი კვების ობიექტი, კაფე, ჰიპერმარკეტი და მთელ ტერიტორიაზე უფასო ინტერნეტი, სხვადასხვა ბრენდულ მაღაზიებთან ერთად, დამეთანხმებით, რომ უკვე ფუფუნებაა... მოკლედ, ერთ სივრცეში და ერთ ჭერქვეშ, აქ ყველაფერია. დღის განმავლობაში „თბილისი მოლს“, საშუალოდ 7-10 ათასი მომხმარებელი სტუმრობს, ხოლო შაბათ-კვირას მათი რაოდენობა 14 ათასამდე ადის.

## კომფორტული სკამები ჰოლანდიიდან

„თბილისი მოლის“ ადმინისტრაციის მთავარი ამოცანა მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნაა. რამდენიმე დღის წინ გრანდ ჰოლსა და კორიდორებში, ჰოლანდიიდან ჩამოტანილი კომფორტული სკამები დამონტაჟდა.



**მარიამ ქუთათელაძე, „თბილისი მოლის“ მარკეტინგის მენეჯერი:** „ჩვენ ყველა სეგმენტის მოთხოვნას ვითვალისწინებთ, რადგან „თბილისი მოლი“ გათვლილია, ყველა ტიპის მომხმარებელზე. ჩვენ ყველა ასაკის მოთხოვნისა და სურვილის გათვალისწინებით, მომავალში ბავშვთა გასართობი ცენტრის გახსნას ვგეგმავთ. ვფიქრობთ, რომ ყველა ბავშვისთვის საუკეთესო ადგილი იქნება. ასევე, უახლოეს მომავალში იგეგმება კინოთეატრის გახსნაც. ჩვენ ვზრუნავთ ჩვენს მომხმარებელზე და ვცდილობთ მაქსიმალური კომფორტი შევუქმნათ. იმ მომხმარებლისთვის, რომელიც ჩვენთან მოდის დილის 10 საათზე და საღამოს 10-ზე გადის (ასეთი შემთხვევები ხშირია, რადგან „თბილის მოლში“ ვინც მოდის, მთელ დღეს ატარებს, იმდენი მაღაზიაა), ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე წუთით ჩამოჯდეს სადმე და დაისვენოს.

# „აღმოაჩინე ცხოვრების ახალი სტილი“







სწორედ ამიტომ ახლახან ჩამოვიტანეთ ჰოლანდიიდან სკამები თავისი დეკორაციებით, რომლებიც ინგლისიდან ჩამოყვანილმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს პირველი და მეორე სართულის გრანდ ჰოლებსა და კორიდორებში. ვფიქრობთ, რომ სკამების დამონტაჟებით მაქსიმალური კომფორტი შეიქმნა „თბილისი მოლში“.

**– რამდენად ხშირი ურთიერთობა გაქვთ მომხმარებელთან?**

– მომხმარებელთან ყოველთვის გვაქვს კომუნიკაცია და კლიენტთა მომსახურების განყოფილებას ხშირად მიმართავენ. ეს ადამიანები კი მზად არიან ნებისმიერ კითხვაზე გასცენ პასუხი, მიიღონ მათი პრეტენზიები და ა.შ. თუნდაც ის, რომ გრანდ ჰოლსა და კორიდორებში გარკვეული პერიოდი სკამები არ იყო, ხშირად მოგვმართავდნენ პრეტენზიით, როგორც წერილობით, ისევე „ფეისბუქის“ გვერდზე და ეს პრობლემა დღეს უკვე მოგვარებულია. ნებისმიერი ჩვენი შემდგომი სიახლე, რასაც მომავალში ვგეგმავთ, ყველაფერი ჩვენი მომხმარებლისთვის კეთდება. გეტყვით, რომ ჩვენ უამრავ სიახლეს შევთავაზებთ მათ. ჩვენი დევიზია „აღმოაჩინე ცხოვრების ახალი სტილი“, რასაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი მომხმარებელიც გაიზიარებს.





**– საკმაოდ ბევრი მაღაზიაა, ვინც პირველად შემოდის მოლში, ალბათ, გაუჭირდება კონკრეტული ბრენდის პოვნა...**

– მართალი ხართ, სავაჭრო ცენტრის ვიზიტორები ამის გამო ხშირად მიმართავენ ჩვენს საინფორმაციო ცენტრს და კონკრეტული ბრენდის მიმართულებას კითხულობენ. ჩვენ ამ საკითხზეც ვმუშაობთ და ძალიან მალე გრანდ ჰოლში და კორიდორებში დამონტაჟდება მანიშნებლები, რაც ჩვენს მომხმარებელს გაუმარტივებს სასურველი მაღაზიისკენ მისასვლელი გზის მოძიებას.

**– კიდევ რა სიახლეს შესთავაზებთ ახლო მომავალში მომხმარებელს?**

– ახლო მომავალში არა ერთ ახალ კაფეს გავხსნით, ასევე სწრაფი კვების ობიექტები და კინოთეატრიც გაიხსნება.

**– სულ რამდენი თანამშრომელი გყავთ?**

– ახალწლამდე „თბილისი მოლს“ 1 500 -ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდა, დღეს მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ჩვენ ყველა ერთად ვზრუნავთ თქვენს კომფორტზე.





## პარკინგი

სამსართულიანი უფასო კომფორტული პარკინგი, სადაც დაახლოებით 2 000-ზე მეტი ავტომობილი ეტევა, ვიდეო კამერებითაა აღჭურვილი. თქვენი ავტომობილის საიმედო დაცვასთან ერთად, გამონაბოლქვის სუნიც არ შეგაწუხებთ. ულტრათანამედროვე ჰაერგამწოვების საშუალებით, პარკინგშიც ისეთივე სუფთა ჰაერია, როგორც მის გარეთ. მათთვის, ვისაც ავტომობილი არ ჰყავს, ქალაქის თითქმის ყველა უბნიდან ხუთი სამარშრუტო ტაქსი (44, 51, 87, 116, 117) და ერთი ავტობუსი (121) დადის. სურვილის შესაბამისად „თბილისი მოლის“ტაქსებითაც შეგიძლიათ ისარგებლოთ.

„თბილისი მოლის“ ფართის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ასათვისებელია და როგორც ადმინისტრაციაში აცხადებენ, მომავალში კიდევ ბევრ სიურპრიზს უმზადებს მომხმარებელს. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ცვლილებას ითხოვენ პარლამენტისგან



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**საზოგადოების ნაწილი ითხოვს კანონის მიღებას, რომელიც LGBT ადამიანებს შეკრების უფლებას არ მისცემს. ასეთი აკრძალვები უკვე დააწესა რუსეთმა და ბელორუსმა. უკრაინაში კი LGBT ადამიანების შეკრება სასამართლოს წესით აიკრძალა.**

**პირველი, ვინც კონსტიტუციაში ამგვარი ცვლილებების აუცილებლობა დააფიქსირა, ბიზნესმენი ლევან ვასაძე იყო. 17 აპრილის აქციიდან სულ რამდენიმე საათში მან განაცხადა, რომ ტრადიციები უნდა დავიცვათ კონსტიტუციის წინააღმდეგ. ასევე, მისი რჩევა იყო, რომ კონსტიტუცია ტრადიციებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ.**

**„ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბი“ ის ძალაა, რომელიც კანონპროექტზე უკვე მუშაობს. მათთვის მისაბაძი სწორედ ლევან ვასაძეა და საკუთარ მიზანსაც მარტივად განმარტავენ – ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიები ამხილონ.**

## დადგება თუ არა ივანიშვილი პუტინისა და ლუკაშენკოს გვერდით



**გიორგი მდივანი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წევრი:**

– პროპაგანდა აკრძალულია რუსეთში, უკრაინაში, მოლდოვაში, ლიტვაში. სხვადასხვა ქვეყნებში იყო მცდელობა, არა ქვეყნის მასშტაბით, არამედ ქალაქებში აკრძალულიყო მსგავსი შეკრებები. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ მსგავსი აკრძალვა არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც მოხდა.

**– თქვენც ამ ქვეყნების კანონის გათვალისწინებით ქმნით კანონპროექტს?**

– ჩვენ მიერ შემუშავებული კანონპროექტი არ იქნება ისეთივე მკაცრი, როგორიც ამ ქვეყნებშია. იქნება ბევრად შერბილებული. LGBT საზოგადოების წევრებს მიეცემათ შეკრების თავისუფლება, მაგრამ მათ აეკრძალებათ ნებისმიერი ატრიბუტიკის გამოყენება.

**– რა იგულისხმება?**

– დროშები, ბუშტები, სლოგანი... სწორედ ამ ატრიბუტიკას აქვს პროპაგანდის საშუალება.

**– კანონპროექტი რა ეტაპზეა?**

– უკვე შემუშავების პროცესშია, იურისტები მუშაობენ და რამდენიმე დღეში მზად იქნება. შემდეგ ჩვენ დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას და როცა 30 ათასი ხელმოწერა გვექნება, პარლამენტში შევიტანთ განსახილველად. ეს კანონპროექტი ქართულ ხასიათზე იქნება მორგებული, ჩვენ თავდაპირველად ყველა ქვეყნის კანონს გავეცანით და ამის შემდეგ დავიწყეთ ქართულ ვარიანტზე მუშაობა. ეს კანონპროექტი არ იქნება არც ერთი ქვეყნის ანალოგი.

**– ფიქრობთ, რომ პარლამენტი განიხილავს და მიიღებს თქვენ მიერ შეთავაზებულ კანონპროექტს?**

– პარლამენტი მიიღებს თუ არა, ეს უკვე ცალკე თემაა. ჩვენ შევაგროვებთ 30 ათას ხელმოწერას და პარლამენტი იძულებული გახდება, დოკუმენტი განიხილოს. თუ არ მიიღებს, კენჭისყრისას მოხდება ლუსტრირება იმ ადამიანებისა, ვინც მხარს უჭერს პროპაგანდას.

**– ისედაც ღიად დააფიქსირეს უმრავლესობის წევრებმა ადამიანის უფლებებისადმი საკუთარი პოზიცია...**

– მათ განაცხადეს, რომ არ უნდა მომხდარიყო დარბევა, თუმცა საკითხისადმი პირადი დამოკიდებულება სწორედ ამ კანონპროექტის კენჭისყრაზე გამოჩნდება. ჩვენი კანონპროექტის მიხედვით, LGBT ადამიანების უფლებები არ დაირღვევა და არ შეიზღუდება.

**– კონსულტაციები თუ გაქვთ არასამთავრობოებთან ან კონკრეტულ პოლიტიკოსებთან?**

– ჩვენ გვაქვს კონსულტაციები არასამთავრობოებთან და გვინდა პროექტზე მუშაობის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოს. სამწუხაროდ, პარლამენტის წევრებთან კონსულტაციები ჯერ არ გვქონია.

**– თქვენ დამოუკიდებლად მუშაობთ?**

– ჩვენ აბსოლუტურად დამოუკიდებლად ვმუშაობთ. დაახლოებით ორი თვის წინ გავაჟღერეთ ეს იდეა და გვინდა, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. მოსახლეობის აზრს რომ გადახედოთ, მიხვდებით, რომ ყველა სწორედ ამ კანონის მიღებას ითხოვს.

„ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წევრების განცხადებით, ისინი შეხვედრას აპირებენ უმრავლესობის იმ წევრებთან, რომლებიც კანონის შემოღების მომხრეთა გუნდში არიან. გიორგი მდივანის განცხადებით, კონსულტაციები შეიძლება გაიმართოს დავით საგანელიძესთან, მანანა კობახიძესთან, ზაქარია ქუცნაშვილთან და ბუნებრივია ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტთან.

**ეკა ბესელია, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი:**

– ჩვენ უნდა ამოვიდეთ საერთაშორისო კონვენციებიდან, იმ დოკუმენტებიდან, რომელთანაც მიერთებულია საქართველო. კონსტიტუცია იცავს საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი განსხვავებისა რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ნიშნისა. დისკრიმინაცია არის დაუშვებელი. ამ ფარგლებში თუ ვინმეს გამოხატვის უფლება, ან რაიმე პროპაგანდა არღვევს სხვა უფლებებს ან სხვა დაცულ სიკეთეს, ასეთ შემთხვევაში შეიძლება იყოს მსჯელობა ცვლილებაზე. ასე რომ, ვფიქრობ, ძალიან ყურადღებით და აუჩქარებლად უნდა შესწავლა ყველა საკითხს. კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებს ჩვენ და სახელმწიფომ პატივი უნდა ვცეთ.

უმრავლესობის საპარლამენტო ლიდერის, დავით საგანელიძის განცხადებით, საქართველოს სექსუმცირესობა კონკრეტული დაინტერესებული პირის ან ძალის მიერ იმართება. დავით საგანელიძემ მოითხოვა, გამოიძიონ, ვინ აფინანსებს ორგანიზაცია „იდენტობას“ და რა მიზნით ირიცხება მათ ანგარიშებზე საკმაოდ კოლოსალური თანხები. მოძრაობა „ერთსულოვნების“ ლიდერის განცხადებით კი, „იდენტობის“ უკან უშიშროების საბჭოს მდივანი, გიგა ბოკერია დგას.

**სანდრო ბრეგაძე:**

– „იდენტობა“ საქართველოს უშიშროების საბჭოს ფილიალია, რომელიც გიგა ბოკერიასა და მისი გარემოცვის მიერ კონტროლდება. ადრე ის პირდაპირ კუდ-თან იყო მიბმული, მისი საქმიანობა პირდაპირი ბრძოლაა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან და ეს ბრძოლა საგანგაშო ფორმას მიიღებს, სისხლისღვრამდეც შეიძლება, მივიდეთ, თუ არ შევაჩერეთ. გიგა ბოკერია კი ამ ყველაფერს კმაყოფილი ღიმილით გადახედავს.

ბრეგაძის განცხადებით, „იდენტობა“, ჩაშლილი აქციის სანაცვლოდ, შეკრებას 2 ივნისს აპირებს, თუმცა ინფორმაცია არ დასტურდება.






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.




## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.

**ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.

**ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.



**ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲝ!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

# ლევან ხუბულავა ქართველ

**my View**
**დეა თავბერიძე**

**მუსიკაში პროფესიული განათლება არა აქვს, მაგრამ მისთვის მუსიკა ყველაფერია. წერს, სხვადასხვა ინსტრუმენტზე უკრავს და ვენაში მცხოვრებ ქართველ მუსიკოსთან ერთად ახალ პროგრამაზე მუშაობს... ფესტივალისთვის ემზადებიან. ფესტივალამდე კი კონცერტს საქართველოში მართავს. ლევანი ქალაქ ვენაში მოღვაწეობს და სხვადასხვა ჟანრის მუსიკოსებთან თანამშრომლობს. სწორედ ვენაში ყოფნისას გადაწყვიტა საქართველოში კონცერტი მოეწყო. კლუბ „დივანში" შეკრებილებს ჟანრობრივად მრავალფეროვანი მუსიკა მოსწონთ. თავად მუსიკოსი უკმაყოფილოა, ეს ყველაფერი სულ რაღაც ერთ კვირაში გავაკეთეთ და დროის სიმცირის გამო ისეთი არ გამოვიდა, როგორიც მსურდაო. მიუხედავად მისი ამგვარი შეფასებისა, მსმენელს ბისზე მაინც გამოჰყავს. მუსიკოსებმა მსმენელისთვის 20 კომპოზიცია შეასრულეს. ალტერნატიული მუსიკა, პოპის, როკის და ეთნიკური მუსიკის ელემენტებით ლევან ხუბულავას სტილია...**




## „ვმუშაობ იმისთვის, რომ ეს ფული მუსიკისთვის გამოვიყენო. ჩემი სული და გული ჩემი პროფესია, მუსიკაა"

### ფირფიტების კოლექცია

„მუსიკა მამამ შემაყვარა, მას ფირფიტების ძალიან დიდი კოლექცია ჰქონდა, ფირფიტების საკრავი ჩვენს ოთახში იყო, მახსოვს, დადებდა რომელიმე ფირფიტას და მე და ჩემს ძმას ორ ხმაში გვამღერებდა. სიმღერა ბაბუასაც უყვარდა, მიუჯდებოდა პიანინოს, დამიძახებდა და ვმღეროდით „ჩიტი გვრიტი მოფრინავდა"... მაშინ დაახლოებით 5-6 წლის ვიქნებოდი... პიანინოზე დაკვრა მამასაც უყვარდა. წლების მერე, ბევრი მელოდია ჩემთვის მხოლოდ იმიტომ იყო ძალიან ნაცნობი, რომ მამას ჰქონდა დაკრული და ნამღერი... მერე რატომღაც ფირფიტები მეგობრებში გააჩუქა. როცა წამოვიზარდე, ამის გამო ვიჩხუბეთ კიდეც, მოგვიანებით კი მამას მეგობრებს მე და ჩემი ძმისთვის დაბადების დღეზე საჩუქრად სწორედ ის ფირფიტა მოჰქონდათ, რომელიც წაღებული ჰქონდათ. ასე დავიბრუნეთ რაღაც ნაწილი...

როცა წამოვიზარდე მუსიკალურ სკოლაში შემიყვანეს, ვერ შევეგუე და მამას ვთხოვე, გამომიყვანე-მეთქი, გამომიყვანეს. პარალელურად ვაჟთა კაპელაში დავდიოდი, აი, იქ მივიღე ძალიან კარგი გამოცდილება. რამდენიმე ხმაში რთული ქართული სიმღერების შესრულება არ იყო ადვილი. ამან ეტყობა თავისი კვალი დატოვა. ასევე დიდი გავლენა ჰქონდა იმ 60-იანი წლების მუსიკას. რომელიც ფირფიტებიდან მესმოდა. ყველაფერი ის, რაც მამას ძალიან უყვარდა, მერე მეც შემიყვარდა".

### ძმების ბენდი

„13 წლის ვიყავი როცა მუსიკის წერა დავიწყე, მერე მე და ჩემმა ძმამ ჩვენი პატარა ბენდი ჩამოვაყალიბეთ. ერთი გიტარა მამამ გვიყიდა, მეორეს რატომღაც მეზობელი აგდებდა, სიმები არ უვარგაო. შევაკეთეთ, ბასის სიმები გავუკეთეთ და ჩვენზე ბედნიერი არავინ იყო. ჰოდა, ვუკრავდით ამ გიტარებზე და ვწერდით სიმღერებს. მერე ლექსოს სხვა ინტერესები გაუჩნდა... მარტო უკვე შეუძლებელი იყო და მეც მალევე შევწყვიტე...

განათლებით ლინგვისტი ვარ, უცხო ენა დავამთავრე. დედის ნაკვალევს მივყევი. დედა ინგლისურის სპეციალისტია. 20 წლისამ გაეროში დავიწყე მუშაობა, ინგლისურის პრაქტიკა მინდოდა მიმეღო, მაგრამ მერე ძალიან მომეწონა და 9 წელი დავრჩი. მაგ პერიოდში მეგობრებთან ერთად ვუკრავდი ხოლმე. მერე თბილისში ჩამოვედი და მეგობარმა თავის სახლში მოწყობილ სტუდიაში ჩამწერა. ამ გადასახედიდან საშინელი ხარისხის იყო, მაგრამ თვითონ იმდენად კარგი ხმის ინჟინერი გახლდათ, რომ კარგი ჩანაწერი გამოიყვანა, მერე ჩემმა ავსტრიელმა მეგობარმა ამას კლიპი დაადო, ეს გავიდა ავსტრიის ტელევიზიით, მერე „რუსთავი 2"-ით და ახლა „ტაბულაზე" ტრიალებს... თბილისში როგორც კი გადმოვედი აქტიურად დავიწყე ჩაწერა, აპარატურა შევიძინე და სახლშივე ვიწერდი. 2003 წლიდან, ვენაში გამგზავრებამდე, 30 ტრეკი დამიგროვდა".

### ბუდჰუზა

„სანამ ჩამოვიდოდი აქ შევკრიბე ჯგუფი ავსტრიიდან. ბუდჰუზას სახელით გამოვედით. ეს არის პროექტი, რომელშიც ადამიანები სურვილისამებრ მიდიან და მოდიან, მაგრამ ეს შემადგენლობა იმდენად საინტერესოა, რომ ვფიქრობ, მომავალშიც ერთად ვიქნებით. „ბუდხუზა" ჩემი ზედმეტსახელია, ბავშვობაში ძალიან მსუქანი და დიდი ვიყავი და მოფერებით მეძახდნენ. მაგრამ იმიტომ დავარქვი, რომ მსოფლმხედველობით ბუდისტი ვარ. ბუდიზმი ჩემთვის რელიგია არ არის, ეს არის ესთეტიკა, მსოფლმხედველობა და ფილოსოფია. ბუდა და ბუდჰუზა ჰგავს ერთმანეთს... ინგლისურად ვმღერით, ქართულად ერთი ორჯერ ვცადე, მაგრამ არ გამომივიდა და მერე თავი დავანებე. ინგლისურად უფრო მიადვილდება. სანამ სიმღერების წერას დავიწყებდი, ლექსებს ვწერდი ინგლისურად.




რაც შეეხება სტილს, ცოტა ძნელი სათქმელია, მიყვარს შერევა და ყველა სიმღერის სხვადასხვანაირად გაკეთება, მთლიანობაში კი, ეს არის ალტერნატიული მუსიკა პოპის, როკის და ეთნიკური მუსიკის ელემენტებით. ელექტრონულსაც ვურევ ხოლმე. აქ იცნობენ ჩემს სიმღერებს, თუმცა იმ სიმღერების, რომლის ჩანაწერიც არსებობს და ბევრს მოსწონს ცოტა სხვანაირ ინტერპრეტაცია შევთავაზე მსმენელს"...

### „ვმუშაობ იმისთვის, რომ ეს ფული მუსიკისთვის გამოვიყენო"

„ძალიან კარგ მუსიკოსებს ვხვდები ხოლმე ვენაში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კარგი მუსიკოსები არიან, ძნელია, რომ მარტო მუსიკით კარგად იცხოვრო. ამიტომ გადავწყვიტე, ჯერ არ მიმეტოვებინა სამსახური. ვენაში გავემგზავრე, იმიტომ რომ ეუთოს სათაო ოფისში შემომთავაზეს სამსახური. საბედნიეროდ, ისეთი სამსახური მაქვს, რომელიც საშუალებას მაძლევს, რომ მუსიკა ვაკეთო. ვენაში ვმღერი ხოლმე ბარებში, კლუბებში... ვმუშაობ იმისთვის, რომ ეს ფული მუსიკისთვის გამოვიყენო. ჩემი სული და გული ჩემი პროფესია, მუსიკაა. ჩემთვის სამსახური არის შემოსავლის წყარო, კი საინტერესო სამსახურია, მაგრამ ჩემთვის მაინც უფრო საინტერესო მუსიკაა. ვენაში რამდენიმე პროექტში ვმონაწილეობ, რამდენიმე მუსიკოსთან ვთანამშრომლობ. ერთ-ერთი გიორგი გორგოძეა, ძალიან ნიჭიერი გიტარისტი. გიორგისთან ერთად ახალი პროექტი ჩამოვაყალიბე, ახლა ვწერთ ახალ პროგრამას. დებიუტი 8 ივნისს იქნება, გვინდა ფესტივალზე გავიტანოთ ის, რაზეც ახლა ვმუშაობთ და რასაც რამდენიმე თვეა ვქმნით"...

**- ბიჭებთან ერთად კონცერტი „დივანში" დიდი ხნის წინ დაგეგმე?**

- არა, უბრალოდ, ეს ჩემს არდადეგებს დავუკავშირე... წინა ქორწინებიდან მყავს შვილი, რომელიც ძალიან მიყვარს. 14 წლის კონსტანტინე. ჩემი შვილისა და მშობლების სანახავად წელიწადში ორჯერ ჩამოვდივარ ხოლმე, ამჯერადაც გადავწყვიტე მომეწყო უფრო ხანგრძლივი არდა-





**ლევანთან ერთად დაუკრეს: გიორგი სირაძემ (პერკუსიები), თორნიკე შარიამ (სოლო გიტარა და ვოკალი) და გია სურგულაძემ (ბას გიტარა).**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ი მუსიკოსი ავსტრალიიდან






**Buddhuza-ს გამოცემული აქვს ერთი ოფიციალური ალბომი, სახელად ZERO, ასევე, რამდენიმე არაოფიციალური ნაკრები, რომელთა მოსმენა მის საიტზევე არის შესაძლებელი**

დღეები, როცა ვაპირებდი ჩამოსვლას, ჩემმა მეგობარმა თორნიკემ, რომელიც ჩემთან ერთად უკრავდა „დივანში", მითხრა, იქნებ შევიკრიბოთ და დავუკრათო, ჰოდა, რაც ჩამოვედი, მთელი დღეები ვრეპეტიციობ... მოკლედ, ამიყოლიეს...

**- კონსტანტინეც ხომ არ უკრავს?**

- ჯერ არ უკრავს, მაგრამ მუსიკა უყვარს, ხატვის მუღამიც აქვს, ძალიან ნიჭიერია. მომავალ წელს ჩემთან ერთად იცხოვრებს და ძალიან მიხარია. სწავლა უნდა გააგრძელოს ვენაში. მეუბნებიან, დედას ჰგავსო, მაგრამ მე საკუთარ თავს უფრო ვამსგავსებ, თმა მქონდა ალოკილივით, მასაც ზუსტად ასე აქვს. ხასიათშიც ვიჭერ რაღაცებს ჩემს მსგავსს.

**- გატაცება თუ გაქვს?**

- ველოსიპედი, ტყე-ღრე ბოდიალი, ძალიან მიყვარს იოგა, მედიტირება და ახალი ინსტრუმენტები, ამას წინათ ვიყიდე ინდური ფლეიტა და ახლა ვსწავლობ დაკვრას.

**- იქ, ვენაში, ბევრად უკეთესია, ვიდრე აქ?**

- ასე ვერ ვიტყვი, მე ძირითადად სამსახურის გამო წავედი, როცა მეუბნებიან იქ ბევრად კარგიაო, არ ვეთანხმები, რადგან, როდესაც აქ ვიყავი, აქაც ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, არასოდეს მითქვამს რა მინდა საქართველოში და წასვლა მინდა-მეთქი.

**- აქ უჩივიან ხოლმე იმ თავისუფლებას, რაც უცხოეთში უფრო იგრძნობა.**

- კი, ეს მართალია. საყურის გამო იქ ქუჩაში არავინ შემოგხედავს, აქ კი, დღეს ქუჩაში რაღაც მომაძახეს. მე იშვიათად მიწევს ჩამოსვლა, მაგრამ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, რომ ეს მათ თრგუნავს... ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან მინდა გითხრათ, რომ არც აქ, არც ვენაში და არც ზუგდიდში არასდროს ცუდად არ ვყოფილვარ.




ეტყობა, როდესაც კარგი და ნათელი ადამიანების წრე გყავს, ნებისმიერ ადგილას კარგად ხარ, მაგრამ იქ ცოტა მეტი თავისუფლებაა, ამაში გეთანხმებით.

**- კიდევ რა არის იქ ცოტა მეტი? მგონი თვითრეალიზაცია იქ უფრო შესაძლებელია...**

- კი, ნიჭის რეალიზების საშუალებაც მეტად გაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ვენა არ არის ისეთი ქალაქი, სადაც ჩემნაირ მუსიკას დიდი გასაქანი აქვს, რადგან იქ, ბევრად უფრო პოპულარული ოპერის მომღერლობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბარებსა და კლუბებში მაინც ვუკრავ და ვაკეთებ ჩემს საქმეს, იმას, რაც ძალიან მიყვარს. თვითრეალიზაციითვის არაჩვეულებრივია.





ავსტრიიდან ჩამოსული ქართველი მუსიკოსი ლევან ხუბულავა სამეგრელოში დაიბადა და გაიზარდა, 30 წლამდე იქ ცხოვრობდა, 2003 წლიდან საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, მერე კი ავსტრიაში გაემგზავრა. სამ წელზე მეტია, რაც ვენაში ცხოვრობს...

**- მომავალი გეგმები?**

- ძალიან მაინტერესებს, თუ როგორი გამოვა ის ახალი პროექტი, რასაც მე და გიორგი ვაკეთებთ. ყველა მუსიკა, რომელიც აქამდე მქონია, ჩემი დაწერილია, ეს კი ერთობლივია და ამ მხრივ საინტერესოა. ეს უკვე „ბუდჰუზა" აღარ არის, სხვანაირია. ასეთ მუსიკას მარტო მე არ ვქმნი, აქამდე ყველა პარტიას მე თვითონ ვწერდი, ყველა ინსტრუმენტზე მე თვითონ ვუკრავდი დრამის გარდა. ბასი, გიტარა, ჰარმონიკა, სინთეზატორი... ახლა კი საინტერესოა, როდესაც ვიღაცასთან ერთად წერ...

**- რას მეტყვი საქართველოში მყოფ მუსიკოსებზე, უსმენ ალბათ...**

- სამწუხაროდ, იმდენ ყურადღებას ვერ ვაქცევ, მიწევს ამ ყურადღების გაყოფა იქაურ და აქაურ მუსიკას შორის, მაგრამ მესმის, ვთვლი, რომ ძალიან ნიჭიერი მუსიკოსები გვყავს. საერთოდ, ქართველები ძალიან ნიჭიერი ხალხი ვართ. მუსიკაში, სიმღერაში, ცეკვაში, დროსტარებაში, ჩხუბიც გვევასება, მაგრამ ეგ არაფერი. რა ვქნათ, სამხრეთელები ვართ და ცოტა აქტიური და ცოტა ტემპერამენტიანები... ძალიან კარგი მუსიკოსები გვყავს, სიამოვნებით ვითანამშრომლებდი მათთან, ამიტომ რამდენიმესთან გადავწყვიტე, რომ ინტერნეტით რაღაცები გავაკეთო...

**- ვენაში მყოფს ყველაზე მეტად რა გენატრება?**

- პირველ რიგში, ხალხი მენატრება, მშობლები, ჩემი შვილი, ძმა, ახლობლები, ნათესავები, თუმცა როდესაც ზუგდიდში ჩავდივარ და იმ სახლში შევდივარ, სადაც გავიზარდე, მაინც სხვა გრძნობაა.

**- ელარჯი და ღომი?**

- ეგ სულ მენატრება, ამიტომ ყოველთვის მიმაქვს ხოლმე: აჯიკა, სუნელი, სულგუნი, ღერღილი, რომელიც აუცილებელია... თუ ხილის სეზონია, ფეიხოა, იქ ყველაფერია, მაგრამ ფეიხოა ვერსად ვიშოვე, არადა, ძალიან მიყვარს. ზუგდიდში ეზოში ძალიან ბევრი ხეხილი გვაქვს, ჩემი ეზოს ხურმა მენატრება ძალიან, ლელვი და მუშმალა...



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაკა ძაგანია საყვარე

**my View**
თამარ გონგაძე

უკვე ორი წელია, რაც ქერა მაკა ძაგანია შავგვრემან თინა ბრეგვაძედ გარდაისახა. პოპულარობაც ამ პერსონაჟმა მოუტანა. დილას თინასავით ყავით იწყებს, თუმცა თავისი მომზადებულით. ჩემი გმირისგან განსხვავებით საჭმლის კეთებაც ვიცი და დალაგებაცო, ამბობს. 20 მაისს 33 წლის გახდა. „ვნახოთ, ალბათ, კარგი ასაკია. ჯერ იმ ასაკში არ ვარ, რომ ასაკის გამო განცდა დავიწყო. დაბადების დღეს ერთადერთი საჩუქარი მივიღე ჩემი რეჟისორისგან, ოთარ ეგაძისგან და ლიკა მასწავლებლისგან. ეს შარფი და ლამაზი ყელსაბამია. ჩემი შვილი ნუცა მეუბნება, ფული მაქვს მოგროვილი და საჩუქარი უნდა გიყიდოო“. 13 წლის ნუცა მსახიობს პირველი ქორწინებიდან ჰყავს. მაკას ხუთწლიანი რომანი მსახიობ ტატო ჩახუნაშვილთან გასული წლის ნოემბერში დასრულდა. თუმცა საჯაროდ ცნობილი ორი თვეა გახდა. მსახიობი კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს. ახლა თავს კარგად გრძნობს. თავის პერსონაჟს ბევრ რამეში ეთანხმება. ახლოს გაიცანით მაკა ძაგანია.



**„ჩემი გმირი 32 წლისაა და ორი მამაკაცი რომ ჰყავდა ცხოვრებაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელიდან წასულია“**

### „ვერც ერთი მათგანი ვერ მომხიბლავდა“

**- 16 წლის ასაკში ძველი ბიჭები მომწონდაო, თქვით. ვინ იფიქრებდა ერთ დროს „ვერსკის“ ტიპის ბიჭები თუ გხიბლავდათ.**

- იმ დროს ყველას მოსწონდა ძველი ბიჭები. მოდაშიც იყო. ოღონდ ცოტა პერიოდი ვიყავი ეგრე, სანამ გონში ჩავვარდი.

**- თუმცა ბაბულიკა დიტო დღევანდელ თინეიჯერ გოგონებს მოსწონთ.**

- ცუდია ის, რომ თავიდან დაიწყო ეგეთი ტიპების მოწონება. 90-ანი წლები ამ მხრივ კატასტროფა იყო. ვერ ვხდები რატომ მოსწონთ. ალბათ, ის მოსწონთ, რომ შემდგარი ადამიანია - ფული აქვს, პრობლემებს აგვარებს.

**- თინას სამი თაყვანისმცემლიდან რომელი უფრო მოგწონთ?**

- არც ერთი მამაკაცი არ მომწონს, რომელიც თინას გვედით იყო. არც ბოლო, ლაშა მომწონს. ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ მივხვდით როგორია.

**- დაშორდება?**

- მე მგონი ლაშასთან ურთიერთობას პერსპექტივა არ აქვს. ხელის თხოვაზეც უარი უთხრა. სცენარის კითხვისას ეს წინადადება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, არ ველოდი.

**- მამაკაცთან ურთიერთობით რამდენად ჰგავხართ თინას?**

**„ტატო ლოთი არასდროს ყოფილა. ჩვენი დაშორების ერთი მიზეზი არ არსებობს. არც მარტო ერთი ადამიანის ბრალია. როცა შორდებიან, ორივე მხარე რაღაცაშია დამნაშავე. ორივემ ბევრი რამ ვისწავლეთ ერთმანეთისგან“**





**„მე და თინას კაცების არჩევაში არაფერი საერთო არ გვაქვს. ვერც ერთი მათგანი ვერ მომხიბლავდა“**

- მე და თინას კაცების არჩევაში არაფერი საერთო არ გვაქვს. ვერც ერთი მათგანი ვერ მომხიბლავდა. სამივე ტიპაჟი აბსოლუტურად სხვადასხვა და დამახასიათებელია. ტიტე ხაზგასმულად პედანტია, დემნა ხაზგასმით შერეკილი.

### „მეც დამნაშავე ვიყავი“

**- თინა კატოს მოძღვრავს და ამასობაში თვითონ მესამე რომანი გააჩაღაო, ამბობენ.**

- ჩემი გმირი 32 წლისაა და ორი მამაკაცი რომ ჰყავდა ცხოვრებაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელიდან წასულია.

**- თქვენს პირადთან თუ გავავლებთ პარალელს, რეალურ ცხოვრებაშიც ორი მამაკაცი იყო თქვენს ცხოვრებაში?**

- კი, თუმცა არასდროს ვავლებ პარალელებს. ის როლია, ეს ჩემი ცხოვრებაა. არ ვუკავშირებ.

**- თებერვლამდე როგორ არ გახმაურდა თქვენი და ტატოს დაშორების ამბავი?**

- მე ჩემს პირადზე საუბარი არ მიყვარს, არასდროს ვსაუბრობ. შესაბამისად, თავისით როცა გაიგეს, მაშინ დაიწერა.

**- რთულია ამდენის ხნის ურთიერთობის ასე დასრულებაო თქვით. დეპრესიული ხართ?**

- არ ვარ დეპრესიული ადამიანი, არც ვიცი რა არის. ხშირად გაიგონებთ, დეპრესიაში ვარო, მოდურია. ცუდ განწყობას არქმევენ დეპრესიას. რა თქმა უნდა, განვიცადე. ყველა ადამიანი განიცდის. თუმცა ცივ გონებაზე მივიღე გადაწყვეტილება და გააზრებულად დავშორდით.

**- მას შემდეგ ტატოსთან არანაირი ურთიერთობა არ გქონიათ?**

- ასეთ შემთხვევაში ადამიანს ნორმალურად რომ მიესალმო, ამის კომპლექსი არ მაქვს, უბრალოდ, ნოემბრის შემდეგ ტატოსთვის ქუჩაშიც კი არ მომიკრავს თვალი.

**- ერთი ძველი ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ტატო ამბობს, მაკა დალევაზე მსაყვედურობსო. ეს ხომ არ იყო დაშორების ერთ-ერთი მიზეზი?**

- არა, ლოთი არასდროს ყოფილა. ერთი მიზეზი არ არსებობს. არც მარტო ერთი ადამიანის ბრალია. როცა შორდებიან, ორივე მხარე რაღაცაშია დამნაშავე.

**- საკუთარ თავს რაში ადანაშაულებთ?**



**„ნოემბრის შემდეგ ტატოსთვის ქუჩაშიც კი არ მომიკრავს თვალი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლ მამაკაცს დაშორდა






- ალბათ, რაღაცები სხვანაირად უნდა გამეკეთებინა. თუმცა არ იფიქროთ სხვანაირად რომ გამეკეთებინა, ერთად ვიქნებოდით. ასე მოხდა და კარგია, რომ ასე მოხდა. რაღაცებში მეც დამნაშავე ვიყავი, თუმცა უკან რომ დაბრუნდეს, ისევ იგივეს გავაკეთებდი.

**- ანუ მაინც განწირული იყო ეს ურთიერთობა...**

- განწირული ხმამაღალი ნათქვამია. თუმცა უკან რომ გადავხტეთ, ძველებურად მოვიქცევი.

**- ეს სიყვარული იყო?**

- ხუთი წელი რომ ადამიანთან იქნები, სიყვარულია, აბა, რა არის?

**- შეიძლება სიყვარული დამთავრდეს?**

- შეიძლება...

**- რა დაგიტოვათ?**

- ბევრი რამ დამიტოვა. არ ჩამოვთვლი. ორივემ ბევრი რამ ვისწავლეთ ერთმანეთისგან. ტატოსგან ძაღლი დამრჩა, პუდელისა და კოკერსპანიელის ნაჯვარი ბუბი. ოთხი წელია მყავს. წარსულზე ამდენი საუბარი რად გვინდა?!

**- სიახლე გაქვთ?**

- არა. ზოგჯერ ჟურნალისტებმა ჩვენზე ადრე იციან ჩვენი ცხოვრების სიახლეები. იქნებ გაგიგიათ რამე ჩემზე. მიხარია, ჩემზე ჭორი არ გამიგია და წყნარად ვარ.

**- არაფერი საჭორაო არ ხდება, თუ ყვითელი პრესისგან მალულად მოქმედებთ?**

- უბრალოდ, არაფერია. არც დრო მაქვს, სახლი და სამსახური...

**„ძირითადად გულს მივყვები“**

**- რამდენჯერაც დავთმე ცუდი ვიწვნიე, თქვენი სიტყვებია...**

- ჯობს არ დათმო თუ იცი, რომ არ არის დასათმობი და არც მოითმინო. თუ დათმობ, მერე აღარ უნდა ინანო. მე დათმობაც ვიცი და მოთმენაც, რომელიც მერე ტყუილად გამომდის.

**- პრაგმატული გახდით?**

- ამ ეტაპზე, ალბათ კი, მერე რა იქნება, არ ვიცი.

**- გულით უფრო მოქმედებთ თუ გონებით?**

- ძირითადად გულს მივყვები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უტვინოდ ვიქცევი. მე მგონი, რომ მაინც ჯობს ტვინს გაყვე.

**„გენდერული თანასწორობის მომხრე ვარ“**

**- ყველა კაცს ეშინია ჭკვიანი ქალისო, ამ აზრსაც ეთანხმებით.**







- ეს სტატისტიკაა. უმეტეს ნაწილს ეშინია. უფრო სწორად შემდგარ ქალთან ურთიერთობა უჭირთ. გამოცდილებით მივხვდი, ყველა ქართველ მამაკაცს, ეს იქნება ბიძაშვილი, ნათესავი თუ მეგობარი, ჰგონია, რომ ქალს შეცვლის და ისეთს გახდის, როგორიც თვითონ უნდა. ისეთს კი არ იღებს, როგორიც არის, ფიქრობს, რაღაცებს შეუცვლის. აი, მანდ უშვებენ შეცდომას. სტატისტიკურად ბევრი ოჯახიც ამიტომ ინგრევა. კაცი ცდილობს თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს. ხშირია, რომ ქალი თმობს ყველაფერს.

**- ეს წამგებიანი პოზიციაა?**

- არა, რატომ? არ ვთვლი ეგრე. შეიძლება ვიღაცისთვის მომგებიანია. ეს მისი არჩევანია, ეს გადაწყვეტილება მიიღო და სწორია. შვილებს გაზრდის. რა არის ამაში ცუდი? ყველა ბავშვს სჭირდება დედა და ყველას ეტყობა, ვინ ზრდის, ძიძა თუ ბებო... ყოველთვის ემჩნევა, როდის აკლია დედისგან ყურადღება.





**- სცენარისტმა, ქეთი დევდარიანმა თქვა, ჩემი მეგობრები თინას სიტყვებში მე ამომიცნობენ ხოლმეო.**

- ძალიან მიხარია თუ ეგრეა. ქეთის ასე კარგად არ ვიცნობ. მე თინასნაირი ქალები ძალიან მომწონს. რაც მეტნი იქნებიან, მით უკეთესი. ბევრ რამეში ისევე ვფიქრობ, როგორც თინა, ვეთანხმები ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებზე საუბრისას.

**- ფემინისტი ხართ?**

- რაღაც დოზით ვარ კიდეც, თუმცა უფრო არაფემინისტი ვარ. გარკვეულ საკითხებში ვეთანხმები საზოგადოების აზრზს, რაღაც საკითხებში არ ვეთანხმები. ქალების უფლებებს ხშირად ვიცავ და გენდერული თანასწორობის მომხრე ვარ. 21-ე საუკუნეში რატომ უნდა იყოს კაცი ოჯახში დომინანტი? ორივეს თავთავიანთი ფუნქციები აქვთ. თუ გინდა ურთიერთობა მყარად ააწყო, აუცილებლად ორივემ უნდა გადაწყვიტონ ყველაფერი.

**„ინტელექტუალი ნაშა“**

**- „ინტელექტუალი ნაშა“ - „ვერსკიმ“ შეგარქვათ.**

- ინტელექტუალი ნაშა უკვე საინტერესოა. ეს „ვერსკის“ გადმოსახედიდან არის თინა ასეთი. თინა ხომ არ თვლის, რომ ნაშაა. მე ძალიან მომწონს „ვერსკის“ და თინას ურთიერთობა, მიმაჩნია, რომ მართლა საინტერესო ურთიერთობები აქვთ. აბსოლუტურად სხვადასხვა ადამიანები არიან და თავიანთი მსოფლმხედველობით ეჯახებიან ერთმანეთს. მერე ორივე იჭრება. თინა „ვერსკის“ გაურბის. არ სურს მასთან ურთიერთობა. მათი დიალოგები ყოველთვის საინტერესოა ხოლმე.

**„როგორც ჩანს, თინა მოსწონთ“**

„ქუჩაში სიარულისას ჩემი მისამართით დიდიან-პატარიანად დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ, რაც ძალიან სასიამოვნოა. როგორც ჩანს, თინა მოსწონთ და ძალიან მიხარია. დადებითი ენერგიებით ვიმუხტები. ანთებული ბავშვების სახეები რომ გიყურებენ, საოცარი შეგრძნებაა. მადლობა ღმერთს ამისთვის. მინდა ასეთი სიყვარულისთვის ყველა ადამიანს მადლობა ვუთხრა“.

**„ყველას ეტყობა, როცა შეყვარებულია“**

„ახლა ჩემს პირად ცხოვრებაში დასვენების ეტაპია და მომწონს. მშვიდად და წყნარად ვარ. დროს ვახმარ შვილს, სახლსა და ძაღლს. ძალიან კარგად ვარ. არც იმას ვიტყვი, რომ ახალი ურთიერთობა მინდა და არც იმას, რომ იყოს, უარს ვიტყოდი-მეთქი. ცხოვრების დინებას მივყვები. ასე ყოველთვის ჯობს.

სიყვარული? ადამიანს აბედნიერებს. მეცოდება ადამიანი, ვისაც ამის ნიჭი არ აქვს. ამ დროს ბედნიერების ჰორმონებს იმუშავებ. ამიტომ გვიყვარდეს ერთმანეთი! ყველას ეტყობა, როცა შეყვარებულია, თვალები სხვანაირად უჟუჟუნებს, ვარსკვლავები უციმციმებს“.

**- თქვენთვის ბედნიერება რა არის?**

- ჩემი შვილია ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერება. ყველა დედა ამას გეტყვით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჟოლო NEWS

ინტერნეტსივრცეს ახალი ვებგვერდი შეემატა. „ჟოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემებზეა ორიენტირებული. გაზეთი „პრაიმტაიმი“ ამბების მცირე ნაწილს გთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.jolo.ge

## სალომე კორკოტაშვილმა BOLTON BROTHERS-ის მომღერალი გააოგნა

**რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში სალომე კორკოტაშვილის გვერდზე აღმოჩენილმა ვიდეო მასალამ ბევრი ქართველი გაახარა. ბოლოდროინდელი მოვლენებით დამძიმებულ დღეებს ეს დადებითი მუხტი ნამდვილად სჭირდებოდა. ნიჭიერმა მომღერალმა, NEW ORLEANS-ში ყოფნისას ფესტივალზე გოსპელის ცნობილი ჯგუფის BOLTON BROTHERS-ის ერთ-ერთი მომღერალი გააოგნა...**

**სალომე კორკოტაშვილი:** - NEW ORLEANS-ში ყოფნის დროს ძალიან ბევრი რამ მოხდა, ეს ერთ-ერთი ფრაგმენტია ფესტივალიდან, BOLTON BROTHERS-ის ერთ-ერთი მომღერალი სცენიდან ჩამოვიდა და დარბაზში დამსწრეებს ამღერებდა. ჩემთანაც მოვიდა, წამიმღერა და მთხოვა, რომ მეც მემღერა...

BOLTON BROTHERS-ის მომღერალმა სალომეს ხმა მოისმინა თუ არა, აღფრთოვანება ჯერ ტაშით გამოხატა, მერე კი სალომე გულში ჩაიკრა და იკითხა, საიდან ხარო? ბოლოს დუეტშიც იმღერეს... ამ ყველაფერს იქ მყოფთა ოვაციური შეძახილი ახლდა თან...












## მუსიკალური ფესტივალი „ოაზისი“ და „მუმი ტროლი“ საქართველოში

ცნობილი რუსული ჯგუფი „მუმი ტროლი“ საქართველოს ფესტივალისთვის ეწვია. საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ოაზისი“ 22-23 ივნისს ჩატარდება... ორი დღის განმავლობაში მცხეთის თეატრონის მიმდებარე ტერიტორიაზე კონცერტს ცნობილი ევროპელი, რუსი და ქართველი შემსრულებლები Jahcooz (გერმანია), WhoMadeWho (დანია), loudspeakers (საქართველო) გამართავენ... საერთაშორისო ფესტივალი კომპანიების „ემ ეს ივენთსისა“ და „ლაივ კონცერტის“ორგანიზებით ტარდება. ორგანიზატორების თქმით ფესტივალის განმავლობაში ადამიანებს გემოვნებით შერჩეულ მუსიკასთან ერთად, შესაძლებლობა მიეცემათ ოჯახთან ერთად დაუვიწყარი დრო გაეტარებინათო. ფესტივალის ფარგლებში სპორტული ღონისძიებები, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, კემპინგის ზონა, კვების ობიექტები განლაგდება.

ფესტივალის ბილეთების გაყიდვა 15 მაისიდან დაიწყო. გაყიდვაში მხოლოდ 8 000 ბილეთია. პირველ 1000 ბილეთს მსურველები 19 ლარად შეიძენენ... ბილეთების ყიდვა შესაძლებელია ინტერნეტით, ფესტივალის ოფიციალურ გვერდზე WWW.OASIS-FESTIVAL.GE, ასევე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში და „საქართველოს ბანკის“ სწრაფი გადახდის (EXPRESS PAY) აპარატებიდან.

## „ერგოლაინური“ მასაჟი თქვენი ჯანმრთელობის და წარმატების საწინდარია

**მასაჟის აღწერილობის ისტორია სათავეს ინდოეთიდან და ჩინეთიდან ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მესამე ათასწლეულში იღებს. თუმცა მანამდე მასაჟი ცნობილი იყო როგორც სამკურნალო საშუალება და მას პირველყოფილი ადამიანები საკუთარი განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზეც კი მიმართავდნენ. ძველ საბერძნეთში თვლიდნენ, რომ მასაჟი არა მხოლოდ მედიცინაში იყო საჭირო, არამედ ყოველდღიურობაში და სპორტში.**

XXI საუკუნეში მასაჟი ჯანსაღი ცხოვრების წესთან ერთად, სილამაზის და განტვირთვის საუკეთესო საშუალებად იქცა. მსოფლიოში აღიარებული გერმანული, ნომერ პირველი კომპანიის „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა „ერგოლაინ ლაიფ სთაილ სტუდიო“ სოლარიუმის მომსახურებასთან ერთად მომხმარებელს ჯანსაღი ცხოვრებისა და მეტი კომფორტის შესაქმნელად, მასაჟის მომსახურებას სთავაზობს.

იმისთვის, რომ თქვენი გარუჯული კანი, სექსუალურად, მიმზიდველად და, რაც მთავარია, ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, „ერგოლაინში“ სხვადასხვა სახის მასაჟის მომსახურებით შეგიძლიათ ისარგებლოთ.

საერთო საკორექციო ლიმფო-დრენაჟი და ანტიცელულიტური, საკორექციო და ზურგის მასაჟით, სარგებლობა მომხმარებელს ახალ მისამართზე, აბაშიძის 22-ში შეეძლება.

აქ სასიამოვნო და კომფორტულ მომსახურებასთან ერთად გამოცდილი სპეციალისტები სხვადასხვა პროცედურებს, თაფლის მასაჟს, შიაცუს, ლიმნისა და ყავის პილინგს შემოგთავაზებენ.

შიაცუ ეს არის იაპონური მასაჟი, რომელიც მიმართულია შინაგანი ენერგიის დაბალანსებაზე. ჩინური მედიცინის თვალსაზრისით, თუ ენერგია ადამიანის სხეულში თანაბრად მოძრაობს, ადამიანი ჯანმრთელია. შიაცუს ძირითადი მეთოდი არის ზემოქმედება ე.წ. მერიდიანებზე, რაც ენერგიის გამავალი არხია.

გარდა ამისა, „ერგოლაინის“ მასაჟის კაბინეტში შეგიძლიათ ზოგად საკორექციო და სარელაქსაციო მასაჟით სარგებლობა.










ზოგად საკორექციო მასაჟზე ძირითადი აქცენტი ხდება პრობლემურ ზონებზე. სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის გაუმჯობესების ხარჯზე ხდება ამ ზონების კორექცია.

ზურგის მასაჟი არის საუკეთესო საშუალება ოსტეოხონდროზის პროფილაქტიკისთვის. ძირითადად იმ ადამიანებისთვის ვისაც დიდი ხანი უწევს სავარძელში ყოფნა.

რაც შეეხება საერთო საკორექციო მასაჟს, ის საკმაოდ დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, ადამიანს ეხმარება ყოველდღიური სტრესის მოხსნაში. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც დადებითად მოქმედებს კუნთების ტონუსზე. „ერგოლაინის“ მასაჟის კაბინეტი მძიმე და დაღლილი სამუშაო დღის შემდეგ განტვირთვის საუკეთესო საშუალებას გაძლევთ.



### მომსახურება და ფასები

„ერგოლაინური“ გაზაფხულის სიახლეებით მომხმარებელს სარგებლობა ხელმისაწვდომ ფასებში შეუძლია. ამიტომაც მასაჟის მომსახურების მიღება სულ რაღაც 40 ლარშია შესაძლებელი.

იყავით ჯანმრთელი, „ერგოლაინური“ მასაჟი თქვენი წარმატების და ჯანმრთელობის საწინდარია.

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლაშა ონიანი: „ჩემი გათვლით შვიდეულში უნდა ყოფილიყვნენ“

www.jolo.ge






დეა თავბერიძე

**ბევრის თქმით საქართველო ევროვიზიის მასპინძლობისთვის მზად არ არის... მუდმივი დემონსტრაციები, მიტინგები, არეულობა და ხელჩართული ბრძოლები აშინებს ევროპას. ამბობენ, რომ შედეგებზე ლგბტ-თან დაკავშირებულმა ხმაურიანმა შეხლა-შემოხლამაც იმოქმედა. ფინალში საბერძნეთისა და ლიტვის გარდა არც ერთმა ევროპულმა ქვეყანამ არ გაიმეტა ჩვენთვის ქულა, მაშინ, როდესაც ქართველ კონკურსანტებს ნახევარფინალის შემდეგ სერიოზული პოზიცია ეკავათ, 16 მონაწილეს შორის ისინი მე-3 ადგილზე გავიდნენ, ფინალამდე რამდენიმე საათით ადრე კი პრესის პრიზიც მოიპოვეს... მაგრამ საბოლოოდ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით პოლიტიკა როგორ აისახება ევროპაში ქართულ იმიჯზე და რეალურად თუ როგორ გვიშლის ხელს თუნდაც ისეთ კონკურსში, როგორც ევროვიზიაა...**

„კიდევ გააგრძელეთ 17 მაისის მსგავსად ხალხის ჩაქოლვა და ველურობა და გარწმუნებთ, სრულიად ევროპას გააკვირვებთ დემოკრატიით“... „დროა საქართველო გონს მოეგოს, მოაწესრიგოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა“... „ამ სიმღერაში რამდენი ფული გადაიხადეს... ვითომ ქართველი კომპოზიტორი ამაზე უკეთესს ვერ დაწერდა“?... „70-იანი წლების საპატარძლო კაბა და ყვირილი მთელი ხმით“... „ეს თუ ჰგონია უცხოეთში მოღვაწე ლაშა ონიანს რეჟისურა და დადგმა, აღარ ღირს არაფერზე ლაპარაკი“

... ეს ის კომენტარებია, რომელიც ევროვიზიას მოჰყვა... პირველობის სურვილი ცუდი სულაც არ არის, მაგრამ საწყენია, როცა ამ სურვილს ქართველ მსმენელთა პრეტენზიული ტონი, კრიტიკა და ლანძღვა-გინებაც უხვად ახლავს... ამ კრიტიკის ქარცეცხლში პრესის ფავორიტობა სადღაც მიიჩქმალა... ქართველების ამბიციით თუ ვიმსჯელებთ 3 000 ჟურნალისტი ვალდებული იყო, რომ საქართველოსთვის პირველობა მიენიჭებინა. კრიტიკა არც გერმანიაში მოღვაწე ქართველ რეჟისორს ლაშა ონიანს დაჰკლებია...ზოგიერთმა წაგების ფაქტორად სცენოგრაფის დადგმა დაასახელა. ამ საკითხებთან დაკავშირებით „ჟოლო“ ლაშა ონიანს გერმანიაში დაუკავშირდა.

**- ლაშა, შენ თავად როგორ შეაფასებ ევროვიზიაზე საქართველოს გამოსვლას?**

- მე საერთოდ გადაჭარბება არც სცენაზე და არც სიტყვაში არ მჩვევია, რეალურად აღვიქვამ ყველაფერს, ევროვიზიას თავისებური განლაგება აქვს თუ 15 ქვეყანას შორის მოხვდები, ნიშნავს, რომ შემოქმედებითად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, 10 ქვეყანაში ძალიან კარგის ნიშანია, შვიდეულში საუკეთესოები ხვდებიან და ხუთეული ფავორიტულია, გამარჯვებული და სამეული სრული პოლიტიკაა, ამას ჩემი გამოცდილებიდან გესაუბრებით, ნახევარფინალში ფავორიტები იყვნენ ნოდი და სოფო ღირსეულად გადავიდნენ ფინალში, რასაც პრესცენტრის დაფაზე განლაგებაც მოწმობს, ფინალამდე ორი საათით ადრე 3 000 აკრედიტებული EU -ს ჟურნალისტების გადაწყვეტილებით ქართველებს მიანიჭეს და გადასცეს პრესს 2013, ფინალი შედგა და ვთვლი, რომ მაღალი კლასით წარსდგნენ, ჩემი გათვლით შვიდეულში უნდა ყოფილიყვნენ.

**ლაშა ონიანი: „რა ფინანსური შესაძლებლობაც ჰქონდა ჩვენ საზოგადოებრივ მაუწყებელს, იმის მიხედვით გაკეთდა ნომერი. ასე რომ, იდეას შესაძლებლობა განსაზღვრავს“**

**- როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ შენი გათვლები გამართლდეს?**

- ეს არის „eurovision song contest“, სახელწოდებაშივე ჩანს, რომ სიმღერის კონკურსია, ანუ პირველ რიგში კარგი სიმღერის, შემდეგ კარგი მომღერლის შესაბამისი სცენოგრაფიის ერთობლიობა, ყველაზე რთული პროცესი ამ ყველაფრის პიარი, ევროპის ყველა ქვეყანაში რამდენიმე თვით ადრე, ეს ყველაფერი დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებთან. წელს ეს ყველაფერი გაკეთდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე.

**- აქ წაგების ფაქტორად შენი დადგმაც დასახელდა, ამასთან დაკავშირებით რას იტყვი?**

- საქართველოში უამრავ ჟურნალისტთან ვმეგობრობ წლებია, საკმაოდ კარგი ურთიერთობით და საკმაოდ სერიოზულ გამოცდილ ჟურნალისტებთან, რომლებიც პარალელურად რეპეტიციებსაც ადევნებდნენ თვალ-ყურს ტელევიზიით, რომ ავთანდილი აცმევდა მომღერლებს, რომ მე ვაკეთებდი სცენოგრაფიას, დუეტი ნოდიკო და სოფო ნახევარფინალიდან ფინალში რომ გადავიდნენ ქართველი გულშემატკივრები და მათ შორის ჟურნალისტები სიხარულით და აღტაცებით შეხვდნენ, 3 000-მა აკრედიტებულმა ჟურნალისტმა დააფიქსირა, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო პერფორმანსი და პრიზი გადასცეს. ფინალში იგივე განმეორდა, შეცვლის უფლება არ გაქვს, თუ ნახევარფინალში კარგი იყო სიმღერა, ავთანდილის ჩაცმულობა, პერფორმანსი, ფინალში ცუდი გახდაა? )), მოკლედ, კრიტიკული სტატია, რომელიც ამასთან დაკავშირებით დაიწერა უცნობი ავტორისაა და ანონიმურ წერილს ჰგავს... საერთოდ კი შენიშვნებს მხოლოდ კოლეგებისგან ვიღებ)), ეს წერილი რაღაცით მაკავშირებს 2009 წლის მსგავს სიტუაციასთან და მეცინება. ვარ აბსოლუტურად თავისუფალი ხელოვანი, ჩემი დამოუკიდებელი გზა და მიმართულება მაქვს, ამიტომ ბევრს ნუ ინერვიულებენ, ჩემ შესაფერის ჰონორარს საქართველოში ვერ გადამიხდიან და არც ვითხოვ, სულ მცირე ხარჯები ამინაზღაურეს. ჩემი ქვეყნის თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის ყოველთვის მზად ვარ, ისიც მაშინ, თუ საორგანიზაციო გუნდი მომეწონება, ამ შემთხვევაში არსებული ევროვიზიის პროექტის შემსრულებლების მსგავსი )).

**- შენი დაკვირვებით რა ტენდენციაა ევროვიზიაზე, რა იგებს - ხმა, გაფორმება, ეფექტები?**

- პირველ რიგში იგებს კომპოზიტორის ნამუშევარი, ანუ სიმღერა, ევროვიზიის ტენდენციას ვერ განსაზღვრავ, მაქსიმალურად არაპროგნოზირებადი კონკურსია, ვინაიდან არ არის მითითებული მუსიკალური მიმართულება, რა თქმა უნდა, დიდ როლს თამაშობს პერფორმანსი, იმის მიხედვით თუ რა ბიუჯეტია ჩადებული. ევროვიზიაზე, წესისამებრ, ყველა სასცენო ეფექტს, დეკორაციასა და რეკვიზიტს აფინანსებს მონაწილე ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ანუ რა ფინანსური შესაძლებლობაც ჰქონდა ჩვენ საზოგადოებრივ მაუწყებელს, იმის მიხედვით გაკეთდა ნომერი. ასე რომ, იდეას შესაძლებლობა განსაზღვრავს.

**- ზოგადად, როცა კონკურსებისთვის ხდება დადგმა, მთავარი კრიტერიუმი რაც სცენოგრაფმა უნდა გაითვალისწინოს, რა არის?**

- მაგას ივენთ- რეჟისურის სწავლა და მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება უნდა)).

**- თავად რომელი ქვეყნის გამოსვლა მოგეწონა და რით?**

- მომეწონა ნორვეგიის შესრულებული სიმღერა და აზერბაიჯანის პერფორმანსი.

**- აქ ისიც ითქვა, რომ 17 მაისის მოვლენებმა იმოქმედა საქართველოს შედეგზე, ამასთან დაკავშირებით რას იტყვით? თუ გეკითხებოდნენ რამეს და თუ დაინტერესდნენ ამ დღით?**

- მთელს ქალაქში, მონიტორებზე მრავალჯერ გადმოსცემდა ევრონიუსი საქართველოში მომხდარ მოვლენებს. რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა იქონია მოვლენებმა. განსხვავებით წინა წლებისგან, ეგრეთწოდებულმა ბებერი ევროპის არც ერთმა ქვეყანამ არც ერთი ქულა არ მოგვცა. 39 ქვეყანაში მეთხუთმეტე ადგილზე ვართ, ჩვენს მერე არის ქვეყნები გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ასე... ვისარგებლებ შემთხვევით და შევაქებ სოფოს და ნოდის კარგად შესრულებული სამუშაოსთვის, ასევე, ავთანდილს გემოვნებიანი კოსტიუმირებისთვის და საზოგადოებრივ მაუწყებლის სტაფს, მოწესრიგებული მუშაობისთვის, რაც ძალიან იშვიათია საქართველოში. საქართველომ ყოველ წელს უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში, რომ ევროპულ ოჯახში თავი დაიმკვიდროს და ყოველ წელს პირველი ადგილის ამბიცია ჰქონდეს, რატომაც არა.



**2013 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლები სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი, სიმღერით “Waterfall” მე-15 ადგილზე აღმოჩნდნენ. რიგით 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსს შვედეთის ქალაქი მალმე მასპინძლობდა. კონკურსში 39 ქვეყანა მონაწილეობდა. საკონკურსო სიმღერა ქართველებისთვის შვედმა კომპოზიტორმა ტომას ჯეისონმა შექმნა. სცენოგრაფიაზე რეჟისორი ლაშა ონიანი მუშაობდა. სასცენო კოსტიუმები ქართველი კონკურსანტებისთვის დიზაინერმა ავთანდილ ცქვიტინიძემ შექმნა.**

**„კიდევ გააგრძელეთ 17 მაისის მსგავსად ხალხის ჩაქოლვა და ველურობა და გარწმუნებთ, სრულიად ევროპას გააკვირვებთ დემოკრატიით“...**







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გვანცა ჯაფარიძე სვანური გაჭედვ

**my View**
**დეა თავზარიძე**

**„სიყვარულში? ისეთი არაფერი ხდება, თან დროც არა მაქვს“, - ამბობს ეშმაკური ღიმილით გვანცა ჯაფარიძე, თუმცა ჩაძიების შემდეგ ბევრი რამ ირკვევა, და ეჭვიც ჩნდება, რომ შეყვარებულია... კარგი მეგობრები უფრო ვართო, - თავს არ უტყდება ყოფილი მოდელი, მაგრამ ცოტა ხანში საიდუმლოსაც გვიმხელს, თურმე დეჟა გომესთან სულ სხვანაირად ჭიკჭიკებდა... ამ ჭიკჭიკსა და თაყვანისმცემელზე ცოტა მოგვიანებით, მანამდე კი, სვანი მომღერლის სახასიათო შტრიხები, კონკურსები და გაცრუებული იმედი... მოდელობის რამდენიმეწლიანი გამოცდილებით და სამომავლო გეგმებით...**

### სიმღერა და ოქროს უბანი

„სიმღერის ნიჭი დედისგან დამყვა. ბებიაც ძალიან კარგად მღეროდა. დედაჩემს კი დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მემღერა. ახლა, ყოველ გამოსვლას ესწრება და ძალიან ნერვიულობს, იმდენად, რომ გახდა კიდეც... ბავშვობიდან საოპერო ხმა მქონდა და მეზობლებს ჩემი არიებით ვაყრუებდი. კონცერტებს ხშირად ვაწყობდით ხოლმე, მთავარი ორგანიზატორი ჩემი და იყო. ოქროს უბანში ვცხოვრობთ. ჩვენი უბანი მიწისძვრამ იმდენად დააზიანა, რომ ჩვენი ქუჩა გადაკეტეს, ეს ქუჩა ბავშვებმა ერთ დიდ ეზოდ ვაქციეთ. შევიკრიბებოდით, დავაწყობდით დიდ დინამიკებს და მალაკნებიდან სადგურზე ისმოდა ხოლმე ჩვენი ხმა. ფილმებსაც ვიღებდით, ჩემი და იყო რეჟისორი, მე კი მსახიობი... სილამაზის კონკურსებსაც აწყობდა და მე ვიმარჯვებდი. იმიტომ რომ ჟიურის წევრი ჩემი და იყო. დღესაც აგრძელებს ჩემს პიარ-მენეჯერობას. ჩემზე 3 წლით უფროსია. პატარები ძალიან ვჩხუბობდით, მჩაგრავდა, ახლა კი ჩემი პირველი მესაიდუმლეა, ყველაზე მაგარი მეგობარი და დაქალი, რა უნდა მოხდეს, რომ მას არ ვუთხრა. ერთადერთი, რაზეც ვკამათობთ, ერთმანეთის სამოსია. ამ მხრივ, მე უფრო ძუნწი ვარ“...






## „გაჭედვები, გაბრაზება და სიჯიუტე სწორედ ისეთი ვიცი, სვანს რომ ახასიათებს“

### „ლაითი სვანები ვართ“

„ძალიან ვამაყობ იმით, რომ სვანი ვარ. სვანეთში დასასვენებლად ყოველ ზაფხულს ჩავდივარ ხოლმე, ერთი სული მაქვს როდის დადგება დასვენების დღეები, რომ ჩავიდე... რადგან თბილისში დაბადებულ-გაზრდილები ვართ, უფრო ლაითი სვანები ვართ. მაგრამ სვანური ხასიათი მაინც ორივეს გვაქვს. გაჭედვები, გაბრაზება და სიჯიუტე სწორედ ისეთი ვიცით, სვანს რომ ახასიათებს“.

### მოდელი

„ოთხი წლის წინ სერიოზულად ვიყავი ჩართული, ჯიჯისა და სოფო ჭყონიას სააგენტოში... მოდელობაზე არასდროს მიფიქრია, საერთოდ არ მიზიდავდა, ძალიან მომწონდა ფოტოგრაფია, მაგრამ ჩემი დაც მოდელია და მან და მისმა მეგობარმა, როდესაც შემატყვეს, რომ რაღაც მონაცემები მქონდა, მითხრეს, კარგ სააგენტოში უნდა მიგიყვანოთო, მაშინ „ამსა“ პერსპექტიული და ერთ-ერთი წამყვანი სააგენტო იყო. ძალიან კარგად დამხვდნენ, მერე გაჩნდა იმის შანსიც, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ გავსულიყავი. მაგრამ რატომღაც, რაღაც მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. სოფოს ძალიან მოვწონდი, თუმცა ერთი პრობლემა გვქონდა, ჩემს ცხვირთან დაკავშირებით ჯიჯი და სოფო ძალიან კამათობდნენ. სოფო ამბობდა, პოდიუმსა და ფოტოებში ცუდად გამოჩნდებაო. ამიტომ ოპერაციულ ჩარევას მირჩევდა, მაშინ 16 წლის ვიყავი და ამ ასაკში არ შეიძლებოდა, არც ფინანსები მქონდა. ამის გამო საფრანგეთში ვერ გავემგზავრე. ამან გარკვეულწილად რაღაც როლი ითამაშა, რომ ბოლოს თავი დამენებებინა მოდელობისთვის. პოდიუმზეც ჩვეულებრივად გამოვდიოდი, კლიპებშიც მიღებდნენ, მაგრამ გული ამიცრუვდა... სამომავლოდ მინდა ოპერაციის გაკეთება... სამოდელო სააგენტოში სულ ოთხი წელი ვიყავი, ახლა ჟურნალისტიკაზე ვსწავლობ, მინდა ტელეჟურნალისტი გამოვიდე. ჟურნალისტიკა ჩემი ბავშვობის სურვილია. ბავშვობაში მოთხრობებს ვწერდი, ძალიან ბევრი ჩანახატიც მქონდა“.

# სუპერმარკეტი „სმარტი“ ხორცპროდუქტების ასორტიმენტს ზრდის

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი პროდუქცია ამ ბრენდის სავიზიტო ბარათია. სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“, რომ მომხმარებელს ხშირად ანებივრებს სიახლეებით, ეს უკვე ყველასთვის ცნობილია. რამდენიმე დღის წინ რუსთაველის გამზირზე მდებარე სუპერმარკეტ „სმარტში“ მედია-ტური მოეწყო. ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სასიამოვნო სიახლე იყო. ბრენდმა ხორცპროდუქტების ასორტიმენტი გაზარდა და მომხმარებელს ხარისხის კონტროლის ევროპული სტანდარტების დაცვით,150-მდე დასახელების საქონლის, ხბოს და ღორის ცოცხალ ხორცს, ნახევარფაბრიკატებსა და მზა კერძებს სთავაზობს.**



სმარტი
ჩემი სუპერმარკეტი

ზაფხულის დადგომასთან ერთად, მალფუჭებადი პროდუქტების თემა ყველაზე აქტუალური ხდება. სად და რა პირობებში მზადდება ხორცპროდუქტები? „სმარტში“ ერთგული მომხმარებლისთვის უმაღლესი ხარისხის ხორცპროდუქტების შესათავაზებლად ცოცხალი ხორცი ხარისხის კონტროლის რამდენიმე საფეხურს გადის და წარმოების, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის სრული ციკლის მანძილზე მოწმდება. ამას გარდა, „სმარტის“ ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები და ეტიკეტირების სისტემა ხარისხის დამატებით გარანტიას ქმნის. ყველაზე მნიშვნელოვანია და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „სმარტი“ იმპორტირებული, გაყინული ხორცის რეალიზაციას არ ახორციელებს და ცოცხალი ხორცის მომწოდებლების შერჩევისას მხოლოდ სპეციალური აუდიტის საფუძველზე ახდენს. როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „სმარტის“ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსმა გიორგი გირმისაშვილმა განაცხადა, კომპანია მხოლოდ იმ ქართულ კომპანიებთან თანამშრომლობს, რომლებიც ხორცის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს მკაცრად იცავენ.

**გიორგი გირმისაშვილი:** „ჩვენ გვაქვს მრავალფეროვანი ხორცის ასორტიმენტი, რომელსაც მხოლოდ 100%-ნი ქართული ხორცით ვამზადებთ. პროდუქციის დამზადებამდე ხორცი ბევრ პროცედურას გადის, რის შემდეგაც ვახდენთ მათ გადამუშავებას და სასაქონლე დახლზე გატანას. ამ ეტაპზე ხორცის მხოლოდ ორი მომწოდებელი გვყავს, რომლებსაც სახელმწიფო მარეგულირებლის მიერ ნებადართული სასაკლაო აქვთ. როდესაც ხორცი ჩვენთან მოდის, მას აუცილებლად მოჰყვება ფორმა ნომერი ორი, რომელიც არის სახელმწიფოს მიერ გაცემული. ეს არის გარანტი იმისა, რომ პროდუქცია არის კეთილსაიმედო, შემოწმებულია საქონელი, როგორც დაკვლამდე, ისევე დაკლულიც. გარდა ამისა, ჩვენი სამსახურიც აკონტროლებს ამ სასაკლაოებს, სადაც ხდება მათი აუდიტი. თუ ჩვენს მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ამის შემდეგ ვაძლევთ უფლებას, რომ ჩვენთან შემოიტანონ ხორცი. მიღების პროცედურაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ხორცი ჩვენამდე სამაცივრე ავტომობილით მოდის. ჩვენ მიერ მოწმდება, როგორც მაცივრის ტემპერატურა, ასევე ჰიგიენა და საერთო მდგომარეობა. აუცილებელია, რომ სამაცივრე ავტომობილს მოჰყვეს საბუთი, რომელიც ხორცის განთავსებამდე მაცივრის დეზინფექციას ადასტურებს. გვყავს ვეტერინარები, რომლებიც ჩვენსავე ლაბორატორიებში კიდევ ერთხელ ამოწმებენ ხორცის ხარისხს, რის შემდეგაც ხდება ხორცის დამუშავება. მკაცრად ვაკონტროლებთ შენახვის ვადებს.

„სმარტში“ ნამდვილად არის დაცული, ხორცისა და ხორცპროდუქტების ხარისხის კონტროლი საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებით, ამას საკვები პროდუქტების ექსპერტებიც ადასტურებენ.

**ქეთევან დადიანი** - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ნუტრიციოლოგიის განყოფილების გამგე:

„სმარტში“, ნამდვილად არის დაცული, ხორცისა და ხორცპროდუქტების ხარისხის კონტროლი, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებით. ასევე დაცულია ხორცისა და ხორცპროდუქტების უვნებლობის უზრუნველყოფით, თანამედროვე სისტემებისა და პროგრამების დანერგვასთან აუცილებელი პროცედურები. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, აძლევს მომხმარებელს უფრო მეტ გარანტიას იმისას, რომ ამ სუპერმარკეტში შეიძინოს სათანადო ხარისხის უვნებელი პროდუქცია“.

„სმარტი“ საქონლის, ხბოს და ღორის ცოცხალი ხორცის გარდა მომხმარებელს უგემრიელეს ნახევარფაბრიკატებსა და მზა კერძებს სთავაზობს. ღორის შებოლილი კისერი, „ბუჟენინა“ უკრაინულად, „ბუჟენინა“ აჯიკით, ღორის ხორცის „ბასტურმა“, ღორის სუკის „ბასტურმა“, ღორის სუკის „ბასტურმა“ ბადექონში და ხბოს ხორცის „ბასტურმა“, ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ხორცპროდუქტებისა, რაც „სმარტში“ მისაღებ ფასად იყიდება. ამას გარდა, ზაფხულის სეზონის გათვალისწინებით „სმარტში“ მაყალს, წალამსა და პიკნიკისთვის საჭირო სხვა ატრიბუტიკასაც იპოვით.

„სმარტი“ გამორჩეულია ბაზარზე უმაღლესი ხარისხის პროდუქტის ფართო არჩევანითა და მომსახურების ევროპული სტანდარტებით. დღესდღეობით „სმარტს“ 20-მდე ექსკლუზიური კონტაქტი აქვს ევროპელ მომწოდებლებთან. ვისოლ ჯგუფელმა „სმარტის“ ქსელის განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს ალმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე, ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარელსა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე. Ⓐ


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ებით და ეგვიპტური ყელსაბამით



## „მაშინ 16 წლის ვიყავი და ამ ასაკში არ შეიძლებოდა, არც ფინანსები მქონდა. ამის გამო საფრანგეთში ვერ გავემგზავრე“








## „ძალიან საყვარელია, ჩემზე ზრუნავს, ყველაფერში მიგებს და ამ სიმღერასაც მას ვუძღვნი“

## „ჩემი თავი წარმომიდგენია წარმატებულ ქალად, ოღონდ, რატომღაც ისე ვხედავ ხოლმე, მარტოდ“

**„თაყვანისმცემლები მყავს, როგორ არა, კონცერტზეც დადიან, ერთმა, ყელსაბამი ჩამომიტანა ეგვიპტიდან და კონცერტზე მომართვა. მაგრამ მე ვერ მნახა და ჩემს დას მისცა. ერთი პერიოდი ძალიან შეგვიწყდა ურთიერთობა და ახლა ისევ ვაგრძელებთ“...**

### „სცენის და აუდიტორიის შიში დავძლიე“

„კონკურსები და კასტინგები არ მიყვარს, ძალიან სტრესულია და მეც განვიცდი. პირველად 5 წლის წინ „ჯეოსტარისთვის“ მოვემზადე, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, როცა მივედი, მარინა ბერიძემ მითხრა, ჯერ დასახვეწი ხარ, როცა გაიზრდები მაშინ მოდიო. იმდენად დამწყდა გული, რომ ვიტირე კიდეც, ძალიან გამიჭირდა. იმის მერე ივენთებზე ვმღეროდი, ჩემი და ხშირად აწყობდა ხოლმე საღამოებს და იქაც მამღერებდა. ამით ნელ-ნელა სცენის და აუდიტორიის შიში დავძლიე, მაგრამ ბოლომდე ვერა, თუმცა გაბედულად ვიყავი და შემდეგი „ჯეოსტარისთვის“ ვემზადებოდი. მაგრამ ამ მოლოდინში „ახალი ხმა“ გამოჩნდა, პირველად ტარდებოდა ასეთი მაგარი და განსხვავებული პროექტი, მაგრამ იქ როცა მივედი, ძალიან ცუდად ვიყავი, დაბალი წნევა მქონდა, ყელიც ცუდ მდგომარეობაში... ძალა მაინც მოვიკრიბე და ვიმღერე, ბრმა კასტინგამდეც მივაღწიე, მაგრამ მწვრთნელები არ შემომიბრუნდნენ“.

### „საქართველოს ვარსკვლავი“

„საქართველოს ვარსკვლავის“ კასტინგზეც ძალიან ვინერვიულე, თუმცა ბევრად იმედიანად, რადგან მომზადებული ვიყავი... „საქართველოს ვარსკვლავმა“ ძალიან გამზარდა, ცოცხალ ბენდთან ყოველდღიური ურთიერთობა, რეპეტიციები, გადაღებები, კამერასთან მუშაობა, ამ ყველაფერმა იმდენად მომიხსნა კომპლექსები, რომ ძალიან შეცვლილი და დახვეწილი ვარ... ძალიან ძლიერი ნაკადია და კონკურენტად ყველას აღვიქვამ, მაგრამ ერთმანეთთან იმდენად მეგობრული დამოკიდებულება და თბილი ურთიერთობა გვაქვს, რომ თიბისი ოთახში ძალიან განვიცდით თითოეულის სცენაზე გასვლას“.

**- სანამ აუტსაიდერს გამოაცხადებენ მაშინ რა ხდება?**

- ეს არის ყველაზე საშინელება, შიგნიდან მეწყება კანკალი, გული ამოვარდნაზე მაქვს და თვალებში მიბნელდება, მაგ დროს სტრესში ვარ. როდესაც ჩემი სახელი დაასახელეს საშინელება დამემართა, მაგრამ გადავრჩი.

**- როგორ ფიქრობ, გიხილავთ „საქართველოს ვარსკვლავად“?**

- არ ვიცი, ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ იმედი მაქვს, სწორად შერჩეულ სიმღერასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ადელის სიმღერას იმდენად ვერ ვგრძნობდი, რომ ტირილი მინდოდა. იმპროვიზაციის საშუალებასაც არ მაძლევდა. თუმცა, ყველაფერს გავაკეთებ და ჩემს შრომას გავასამმაგებ, რომ მოვიგო.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

- მინდა ჩემი კარიერა ავაწყო. მაგრამ ეს მარტო სიმღერას არ ეხება. მარტო სიმღერის იმედი არ მაქვს, აქ, შოუბიზნესი არ არსებობს. ჟურნალისტობას მივხედავ. ჩემი თავი წარმომიდგენია წარმატებულ ქალად, ოღონდ, რატომღაც ისე ვხედავ ხოლმე, მარტოდ... ოჯახი და მაგარი კარიერა არა მგონია ერთად გამოვიდეს“...

### სიყვარული ?!

**გვანცა ჯაფარიძე:** - დეჟა გომესმა, როდესაც პირველად მასტერკლასზე მოგვისმინა, მკითხა - რას ნიშნავს შენთვის ეს სიმღერაო, მე ვუთხარი - ლურჯი მთვარე ჩემთვის ერთი ადამიანია-მეთქი. დამიხასიათეო, მეც ასე დავახასიათე, ძალიან საყვარელია, ჩემზე ზრუნავს, ყველაფერში მიგებს და ამ სიმღერასაც მას ვუძღვნი-მეთქი...

**- იცოდა, რომ მას უძღვნიდი ამ სიმღერას?**

- ჩათვალა რატომღაც... მაგრამ არ იცოდა... ძალიან ნერვიულობს ჩემზე, გვერდში მიდგას. ძალიან ზრუნავს, კონცერტებს როდესაც ესწრება, კვდება ნერვიულობით. სიმღერებთან დაკავშირებითაც რჩევებს მაძლევს, ასაკით ჩემზე საკმაოდ დიდია, მე 20-ის ვარ, ის 29-ის, მაგრამ ტიპაჟია ისეთი, რომ ხშირად ჩემი ტოლი მგონია...

**- ერთმანეთი სად გაიცანით?**

- კონკურსი ჩატარდა „მის ბეემვე“ და იქ იყო. BMW CLUB GEORGIA-ში მუშაობს, ამ კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. მოვეწონე, მაგრამ მე საერთოდ არ ვიმჩნევდი, თავიდან რატომღაც ცანცარა ბიჭად ჩავთვალე, ჩემზე 9 წლით დიდია, მაგრამ ისეთი ტიპია, ჩემხელა გეგონება... დავიწყეთ ურთიერთობა, მაგრამ დიდად ვერ აეწყო, მერე შევწყვიტეთ და ახლა ისევ ვმეგობრობთ, ბრჭყალებში...

**- ანუ?**

- ანუ კარგი ურთიერთობა გვაქვს...

**- როგორი წარმოგიდგენია შენი ქორწილი?**

- დახურული სივრცე არ მიყვარს, მინდა იყოს ბუნებაში ან პლაჟზე, ასეთი ქორწილი ბავშვობიდან ოცნებად მაქვს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თიკო ბერძენიშვილი „ევ

**my View**
**თამარ გონგაძე**

**ოქტომბრიდან მოყოლებული, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, თიკო ბერძენიშვილს, სამ თანაწამყვანთან ერთად, გადაცემა „დღეს ორის ნახევარზე“ მიჰყავს. ორი წელია თიკო ამ არხის საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელია. თიკო ერთ დროს ყველაზე პოპულარული მუსიკალური გადაცემა „მეალომანიის“ ავტორი და ვირტუალური წამყვანი გახლდათ. სამი წელია, რაც მეა საქართველოში დაბრუნდა. ექვსი წელი ჟურნალისტი ბაქოში ცხოვრობდა. ამის მიზეზი მისი პირადი ცხოვრება გახლდათ. თიკოს მეუღლე იქ მუშაობდა. ჰყავს ორი ვაჟი, ზუკა და ალექსანდრე. 15 აპრილს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ რიგით მეთერთმეტე დაჯილდოების ცერემონიალზე კოლეგების გვერდით ბერძენიშვილიც დაჯილდოვდა. ახლახან შვედეთიდან დაბრუნდა, ევროვიზიის ქართულ დელეგაციაში უკვე მეორე წელია პრესის ხელმძღვანელი გახლავთ. შთაბეჭდილებების ქვეშ არის.**



## „ზუკა ამბობს, როცა ქალი კმაყოფილია, ეს კაცის დამსახურებააო“






**„ევროვიზია“**

**თიკო ბერძენიშვილი:** - ეს მხოლოდ სიმღერის კონკურსი არ არის. ქვეყნის, სიმღერის, ჩაცმის, დადგმის - კომპლექსურად ყველაფრის კონკურსია. ამ დროს, როცა პოლიტიკას ახსენებენ, გულისხმობენ დიასპორებს, რომლებიც ამესიჯებენ. ჩვენ თუ სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენი გულშემატკივარი არ გვეყოლება, შეუძლებელია გამარჯვება. მე, მეორე წელია ევროვიზიას ვესწრები და მინდა გითხრათ, სოფით და ნოდით ვამაყობ. პროფესიონალები არიან, წყნარად, მშვიდად, ორგანიზებულად მოქმედებდნენ, შრომისმოყვარენი არიან. როდესაც სხვა მომღერლები უარს ამბობდნენ ინტერვიუს მიცემაზე, იმ მიზეზით, რომ ყელს უფრთხილდებოდნენ, სოფი და ნოდი სცენაზე გასვლის წინაც კი აძლევდნენ ინტერვიუს. ერთიც ჩაწერეთ და გადით-მეთქი, მრცხვენოდა იმდენი ინტერვიუს მიცემა უხდებოდათ. სამაგიეროდ, ეს პრესამ დაუფასათ და პრესის პრიზი ავიღეთ - გავხდით პრესის რჩეულები. პრესის პრიზი კი ძალიან ბევრს ნიშნავს. აქ კი რატომღაც დაიწერა, რა პრიზი ეგ არის, მაპი ხომ არ მოუციათ, რა სალაპარაკო ეგ იყოო. 3 ათასი ჟურნალისტი და 2 ათასი ფანი - ჯამში 5 ათასი ადამიანი პრესცენტრში იჯდა და ყოველდღე ხმას აძლევდა თავის ფავორიტ კონკურსანტს. ჩვენ ლიდერები აღმოვჩნდით. ბიბისის ჟურნალისტს, პოლ ჯორდანს ვუთხარი, რომ იცოდეთ, ჩვენმა პრესამ აქ რა დაწერა, ეს რა პრიზი ჩამოიტანეთ-მეთქი... პოლმა მეც მომწერა და თავის „ფეისბუქის“ გვერდზეც დაპოსტა, საქართველომ თქვენი მონაწილეებით უნდა იამაყოსო. ჟურნალისტებს მოსწონდათ ნოდის და სოფის აკადემიურობა. სიმღერაც და ჩაცმულობაც ასეთივე ჰქონდათ. რუმინელს ისეთი კრიტიკული სტატიები დაუწერეს, სცენაზე გასვლა არ უნდოდა. სტატისტიკის თანახმად, წუთში 50 სტატია იწერებოდა. მათგან მინიმუმ 10-ში ჩვენ ვიყავით. ბიბისიზე ორჯერ ჩაგვრთეს პირდაპირი

## „ზუკა ძალიან საინტერესო ადამიანია, მეც ენერგიული ტიპი ვარ და ვცდილობთ, ერთმანეთს გავუხალისოთ ცხოვრება. ორივე შევთანხმდით, რომ ყოველი დღით უნდა ისიამოვნო“

ჩართვით. ამაში ჩვენი საელჩოც დაგვეხმარა. კონკურსანტები ყოველდღე ორ-ორ რეპეტიციას გადიოდნენ. ხომ არ გგონიათ, ეს რეპეტიციები ჯინსებში მიდიოდა, ყველა რეპეტიციაზე 15 ათასი მაყურებელი იჯდა დარბაზში, კონკურსანტებს სასცენო კოსტიუმები ეცვათ, ისეთივე მაკიაჟი ჰქონდათ, როგორც კონკურსზე. როგორ უძლებდნენ არ ვიცი. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს სოფის კაბის შლეიფი გაეხა. ხან ვინ აბიჯებდა, ხან - ვინ. თუმცა არ ჩანდა. ავთანდილის ლამაზი კაბა ეცვა. ამბობდა, ერთი სული მაქვს სცენაზე როდის გავალო. მართლა რამხელა გამოცდილება და ადრენალინია. ამათ სიმღერას დარბაზში ყველა მღეროდა. თან ეს შვედი კომპოზიტორი, ტომას ჯეისონი, იქ ძალიან უყვართ.

ისეთი ორგანიზებულია ყველაფერი, გაოგნდებით. მომღერლებსაც უმოწმებენ ბეიჯებს, ისე შანსი არ იყო, გაეშვი სცენისკენ. ყველაფერი წუთებშია გათვლილი. რაღაც დროის 10 წუთზე ერთ ადგილას გამოწმებენ, 5 წუთში მეორე ადგილას, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გადიხარ სცენამდე უამრავ შემოწმებას. უსაფრთხოების ზომები საოცრად დაცულია. ჩვენ გამცილებელ ჯოანზე ბოლოს ვხუმრობდით, ეს ჯოანი შემოგვაკვდებამეთქი. ერთი წუთი რომ გადაგვცდენოდა, გვსაყვედურობდა. იქაური გადაღება „ტელევიზიონშიკმა“ ერთხელ მაინც რომ არ ნახოს, შეუძლებელია. შოკია. აქ ქართველ ოპერატორებს ვუყვებოდი იქაურ მფრინავ სტედიკამებზე. გადაღება რომ ვაჩვენე - შანსი არ არის, კადრი როგორ აქვთ მოჭრილიო, გაოგნდნენ. ყველა რეპეტიცია ცეცხლით და ბოლით გადის, არაფერს ზოგავენ. ძალიან გავიზარდე მათთან ურთიერთობით. მაგრად ვკაიფობდი, რომ ვუყურებდი.

დილაობით საუზმეზე მალმოს პრესას გავშლიდით და პირველ გვერდზე - ფავორიტ ევროვიზიელებში სოფი და ნოდი იყო დაბეჭდილი. ყველა ხუთეულში ჩვენი ნოდი და სოფი იყო. ყველა ბუკმეიკერი ხუთეულში ჩვენ გვასახელებდა. ტოტალიზატორებში ფსონებს რომ დებდნენ, ყველგან მეხუთე ადგილზე გვანაწილებდნენ და რამდენმა ბუკმეიკერმა წააგო ჩვენზე და ფინეთზე დადებული ფული, არ იცით. ჩვენს ხუთეულში არ მოხვედრას არავინ ელოდებოდა. ვამბობდით, მოლოდინს ნუ შევიქმნით-მეთქი. გვავიწყდება, რომ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ. პრეტენზია და ამბიცია ბევრის გვაქვს. გვქონდეს, კარგია. თუმცა რომ არ გაიმარჯვო და უბრალოდ ამ კონკურსით ხუთჯერ მეტმა ადამიანმა გაიგოს, სად არის საქართველო, რა არის ამაში ცუდი. ტექნიკური სამსახურის თანამშრომლები მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ, რა ჯდება, საზღვარზე ტექნიკა რომ გადმოვიტანოთო. იგებდნენ ფრენა რა ღირს საქართველომდე. მახარებს ის, რომ ძალიან ღირსეულები ვიყავით. სოფი და ნოდი თავისი გამოსვლით სიმაღლეზე იყვნენ. დიდი გამოცდილება მიიღეს და ყველამ დიდი სკოლა გავიარეთ. საზოგადოებრივი მაუწყებლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, იბიუს ყველა ქვეყანა იქ იყო (იბიუ - ევროპულ მაუწყებელთა კავშირი, სადაც 57 ტელეკომპანია (საზოგადოებრივი მაუწყებელი) ერთიანდება). ყველა ქვეყნის კულტურის და საგარეო საქმეთა მინისტრი იქ იყო.

ჩვენს სასტუმროში ცხოვრობდა ირლანდიელი კონკურსანტი თავისი დელეგაციით. მას 0 ქულა ჰქონდა. ფინალის მერე მივედით სასტუმროში და განვიხილავდით - იმან ქულა როგორ არ მოგვცა და მსგავსი ტექსტები... ამ დროს გარედან ყიჟინა შემოგვესმა. ნული ქულის მქონე ირლანდიის დელეგაცია „ბრავოს“ ძახებით მოვიდა. ეს ირლანდიელი ბიჭი ფოიეში მოგვიახლოვდა, გიჟები ხომ არ ხართ, რა სიბნელეში დამსხდარხართო და გვილოცავდა მეთხუთმეტე ადგილს. ამიტომაც ასეთი რეზონანსი საქართველოში ჩემთვის არაადეკვატური იყო.

ქალაქი მალმო - პატარა ევროპული ქალაქია. ქალაქი ფინალისთვის ისე მოემზადა, გავოცდით. შარშანდელი გამარჯვებული ლორენი გახლდათ, რომლის მსგავსად იმ დღეს შავი შინიონებით ნახავდით ყველა ქალს - მაღაზიის გამყიდველი იყო თუ მომსახურე პერსონალი. ყველა ქალი ლორენი იყო. ტრანსპორტი უფასო იყო და ყველაფერს ეწერა - ევროვიზიისთვის. ქალაქის ცენტრში დიდი შუშის კაბინა იდგა, ერქვა „ევრო სოფელი“, სადაც სულ ჰყავდათ კონკურსანტი რესპონდენტები და დიდ ეკრანზე პირდაპირ გადმოსცემდნენ ინტერვიუს. სოფის და ნოდის ინტერვიუც ორჯერ გავიდა. ასე სცა ქალაქმა კონკურსს პატივი.







**ჯილდო - „ოქროს ფრთა“**

„აუდიენციაში მუშაობისას „მეალომანიას“ რომ ვაკეთებდი, 18 წლის ვიყავი და მახსოვს, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ჯილდო გადმომცეს - ყველაზე კარგი გადაცემისთვის. ეს იყო პირველი ჯილდო, თან სტუდენტებისგან სტუდენტისთვის ძალიან სასიხარულო იყო. მერე იყო გარკვეული ჯილდოები, მაგრამ ბოლო პერიოდში მიღებული „ოქროს ფრთის“ ჯილდო ძალიან სასიხარულო იყო ჩემთვის. ჩემამდე ისეთი ჟურნალისტები დაჯილდოვდნენ, მით უმეტეს რეგიონალური მედია, რომ ეს მართლა საამაყო იყო. რეგიონალური ჟურნალისტების დაჯილდოება მართლა სასიხარულო იყო, როგორც იქნა, დაფასდნენ. წამყვანის უკან მომუშავე გუნდი ბევრად მეტს აკეთებს. „ოქროს ფრთის“ დიპლომი სამსახურში მიკიდია. კოლექციას შევმატე. ჩემი შვილი, ზუკა, 8 წლისაა და ისე გაუხარდა ჩემი დაჯილდოება, რომ სკოლაში წაიღო ბუკლეტი. ყველას აჩვენებდა ჩემს სურათს. პირველ არხზე ტრანსლაციასაც უყურა და ჩემით ძალიან ამაყი იყო. ექიმობა რომ არ მინდოდეს, ტელევიზიასაც არა უშავსო, ამბობს. ექიმობა უნდა, მაგრამ მაინც ჩემი შვილია კამერები და ყურადღების ცენტრში ყოფნა უყვარს“.

**გადაცემა „დღეს ორის ნახევარზე“**

„ეკრანზე გამოჩენა მინდოდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ბაქოში ცხოვრებისას მენეჯერული კუთხით ავიმაღლე კვალიფიკაცია. მედიამენეჯმენტი და პიარი გავიარე. მერჩია მენეჯერი ვყოფილიყავი. წამყვანი „მეალომანიის“ დროსაც არ ვყოფილვარ. ავტორი და რედაქტორი ვიყავი. ახალი გადაცემის წაყვანა რეზო ჭიჭინაძემ რომ შემომთავაზა, დამაინტერესა, შემეცნებითია და უბრალოდ, საუბარი არ არის. ბევრს იგებ კონკრეტულ ადამიანებზე. ჩვენც სე-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# როვიზიის“ დეტალებით



რიოზულად ვემზადებით თემებით. არ შეიძლება ყველაფერი იცოდე. თან ეს გადაცემა ჩვეულებრივი კალენდარია. იმ დღეს ვინც დაიბადა იმ ადამიანზე ვაგებთ გადაცემას. რეზო კლდიაშვილი გვყავდა და გვითხრა, გუშინ ბალზაკზე რა მაგრად ილაპარაკეთო. სხვათა შორის, გადაცემისთვის კარგად მომზადებული რომ ვყოფილიყავი, შვედეთიდან რომ მოვფრინავდი ბალზაკზე მასალებს თვითმფრინავში გავეცანი. მართლა კარგი გადაცემაა. შეიძლება რაღაც დოზით ნაკლებად ვზრუნავთ მის რეიტინგზე. სამაგიეროდ, ვიხსენებთ, მაგალითად, შალვა დადიანს, კოტე აფხაზს, რომელიც შეიძლება არ გახსოვდეს. ქვეყანამ თავისი გმირი უნდა იცოდეს. დაახლოებით ეს პრინციპი გვაქვს. თუმცა გადაცემა არა მარტო ქართველებზე გვაქვს, გამორჩეულ მოვლენებსაც ვიხსნებთ.

ეს გადაცემა მახალისებს, მომწონს, ახალია. კომფორტული თანაწამყვანები მყავს. ასეთ ოჯახურ გარემოში სხვანაირი ინტიმი იქმნება. მე, ქეთი ელიეშვილი, ლადო ტატიშვილი და გიორგი ჩხეიძე ერთნი ვართ. მე და ქეთის ხელოვნება და კულტურა კარგად გამოგვდის, მუსიკა ლადოს პრეროგატივაა. აღმოვაჩინე, რომ ის საუკეთესო მუსიკათმცოდნეა. ლადო ტატიშვილის სახით მუსიკის კარგი კრიტიკოსი გვყავს. ძალიან კარგად იცის ჯაზი. ერთი გადაცემა გვქონდა დვორჟაკზე. ოთარ ტატიშვილი იცინოდა, მე რომ ჩემი გადაცემა დვორჟაკზე გავაკეთო, დახურავენო. ჩვენ, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გვაქვს ამის ფუფუნება, რომ ასეთ თემებზე ვიზრუნოთ. მიხარია, რომ რეიტინგიც საკმაოდ მაღალია. გადაცემას ნიშა აქვს და სტაბილური მაყურებელი გაუჩნდა.

ზოგჯერ ჩემს მეუღლეს მივმართავ რაღაც თემებზე, ზუკა ღრმად არის ჩახედული რაღაც საკითხებში და მომზადებაში მეხმარება. თუ არ იცის, მომიძებნის. ჯობდა ასე გეთქვაო, ამის თქმაც იცის. ზოგჯერ მომწერს - კარგად გამოიყურებიო. უხარია, რომ მე ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. ზუკა ამბობს, როცა ქალი კმაყოფილია, ეს კაცის დამსახურებააო. წელს „ევროვიზიის“ სლოგანი იყო „ჩვენ ერთნი ვართ“. მე სულ ვამბობ - მე და ჩემი ოჯახი ერთნი ვართ. ეს ყველაფერში იგრძნობა“.

### „უკვე ათი წელია მე და ზუკა ერთად ვართ“

თიკომ და ზუკა გუმბერიძემ ერთწლიანი რომანის შემდეგ ერთად ცხოვრება გადაწყვიტეს. ერთმანეთი კი ბაქოში თერთმეტი წლის წინ გაიცნეს, „ფორტეს“ კლიპის გადაღებისას. „ახლა ზაზა ორაშვილს უნდა მოვთხოვო ამ კლიპის გაგრძელება გადაიღოს. კლიპი ხომ მთავრდება ფრაზით - გაგრძელება იქნება“, - ხუმრობს თიკო.

ოჯახში სამი ზურაა - თიკოს მამამთილი, ქმარი და უფროსი ვაჟი.

„უკვე ათი წელია მე და ზუკა ერთად ვართ. ამდენი წლის ოჯახი ჩვენი ერთიანობაა. ჰარმონია გვაქვს. ზუსტად ვიცით, რომელი რაზე რა კომენტარს გავაკეთებთ. ასევე ვიცით, რომელმა როდის უნდა დავთმოთ. მეც ვცდილობ, რომ მეუღლეს ხელი შევუწყო. ფუნქციები ზუსტად გვაქვს გადანაწილებული. ათი წელი ისე გავიდა, ჩვენც გვიკვირს. ზუკა ბევრს მოგზაურობს და ჩემი მეგობრები მეუბნებიან, იმიტომ ხან მუდამ აღტკინებული, რომ სულ ელოდებიო. მასაც ერთი სული აქვს როდის ჩამოვა. ძალიან საინტერესო ადამიანია, მეც ენერგიული ტიპი ვარ და ვცდილობთ, ერთმანეთს გავუხალისოთ ცხოვრება. ორივე შევთანხმდით, რომ ყოველი დღით უნდა ისიამოვნო. ზუკა ფინანსისტია. განათლება გერმანიაში მიიღო. ჯერ იქ მუშაობდა, მერე ბაქოში. მსოფლიო მოქალაქეა და სამსახურებრივად ძალიან ხშირად დადის. ძალიან ყურადღებიანია და საჩუქრების გარეშე არასდროს ბრუნდება. ახლა უკვე რომ დაცხა, წავკისში ავდივართ და მთელი ზაფხული იქ ვართ ხოლმე.




„გავხდით პრესის რჩეულები. პრესის პრიზი კი ძალიან ბევრს ნიშნავს. აქ კი რატომღაც დაიწერა, რა პრიზი ეგ არის, მაპი ხომ არ მოუციათ, რა სალაპარაკო ეგ იყოო. საქართველოში ასეთი რეზონანსი არაადეკვატური იყო“

„ბუკმეიკერები ტოტალიზატორებში ფსონებს რომ დებდნენ, ყველგან მეხუთე ადგილზე გვანაწილებდნენ და რამდენმა წააგო ჩვენზე და ფინეთზე დადებული ფული, არ იცით“

როგორც მე ვენდობი ზუკას, რომ რაღაც ისეთ ნაბიჯს არ გადადგამს, ისევე მენდობა თვითონ. ალბათ, საბაბი არ უნდა მისცე. თუმცა არასდროს უნდა თქვა არასდროს. ყველაფერი ხდება. მაინცდამაინც მესამე ადამიანის გაჩენაზე არ ვამბობ, ზოგადად ურთიერთობებში ყველაფერი ხდება. ყველაფერი ყოველთვის იდიალურად არ არის, პრობლემებიც იყო, თუმცა ისე გადავლახეთ, ღვთის წყალობით, რომ რამე ძირეული პრობლემა არ გვქონია. ერთ გადაცემაში გვქონდა 89 წლის ცოლ-ქმარი გაშორდნენ, უბრალოდ, ერთ სახლში დარჩნენ საცხოვრებლად. ამ ასაკამდე ერთად რომ მიხვალ, მერე რატომ უნდა დაშორდე, მაგრამ ასეც ხდება. ეს ჩვენგან შორს“...

### „ფეთიანი დედა ვარ“

„უფროს შვილს ზუკას დუდას ვეძახი, ალექსანდრეს - სანის. რომ მეუბნებიან რა ჰქვიათ შვილებსო, დუდა და სანი-მეთქი, ვპასუხობ. ადრე მათ დედას და დედამთილს (ჩემი შვილები მისი გაზრდილია) ვუტოვებდი. როცა უკვე გაიზარდნენ ბავშვები, ორივე მივხვდით, რა კარგია ბავშვებთან ერთად სიარული. ახლა უკვე ერთად დავდივართ, მაგარი ყოფილა. ბავშვები იმ ასაკში არიან, რომ აღარ მაწუხებენ, თავის ინტერესს იკმაყოფილებენ. ჩვენც ჩვენთვის წყნარად დაჯდომა შეგვიძლია და ეს კარგია. რახან საქართველოში არ გვიცხოვრია, ახლა დავიწყეთ მისი დათვალიერება. კახეთის მხარე მოვიარეთ. ვფიქრობ, შვილების გარეშე ყველაფერი უმნიშვნელოა ქალისთვის. ფეთიანი და ყურადღებიანი დედა ვარ. ვცდილობ, მე ვიყო ყველაფერში ჩართული. მე დამყავს ყველაფერზე - ცურვა, ცეკვა, კარატე. ყურადღებიან დედობაზე პრეტენზია მაქვს“.

### სიახლეები

„ჩვენს არხზე გიორგი ბარათაშვილი ახალი ძალებით შემართულია. ყველას აქვს კარგის მოლოდინი. მოტივაცია გაზრდილია. შეიკრა გუნდი და ერთიანი მუხტია. იმედი მაქვს ახალი სეზონიდან მაყურებელი კმაყოფილი იქნება. ბევრი სოციალური პროექტის გაკეთებას ვაპირებთ. ახალი გადაცემები ბადეშია, რომელიც ამ ზაფხულს გაიფილტრება. ერთ-ერთ სოციალურ თოქშოუს კი, სავარაუდოდ, ნინო ზაუტაშვილი გაუძღვება“.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N21 (219) ორშაბათი, 27 მაისი, 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი

ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



# მაკა ძაგანია საყვარელ მამაკაცს დაშორდა

EXCLUSIVE



„გაჭედვები, გაბრაზება და სიჯიუტე სწორედ ისეთი ვიცი, სვანს რომ ახასიათებს“

# გვანცა ჯაფარიძე სვანური ხასიათით „საქართველოს ვარსკვლავში“

EXCLUSIVE



# თიკო ბერძენიშვილი „ევროვიზიის“ კულუარებით

EXCLUSIVE



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება